რევაზ ჭეიშვილი

ფესვი

რეზო ჭეიშვილი

დალი

გამომცემლობა „ნაკადული“,
თბილისი, 1976

საქართველოში რამდენიმე მანდიკორია. დაბა მანდიკორი, რომელსაც აწი ჩვენ სოფელს დავუძახებთ, უნაგირა მთის კალთაზეა შეფენილი. სოფელი თავდაპირველად მთის ორივე ფერდობზე ყოფილა გაშენებული. ამას ადასტურებს ციხის ნანგრევები და თვით სოფლის სახელწოდება. სიტყვა მანდიკორი ძველქართულად დაახლოებით ნიშნავს — ხურჯინივით. იყო მანდიკური და გახდა მანდიკორი. ხმოვანთა მონაცვლეობის ამ ტიპიურ ფონეტიკურ შემთხვევას რომ თავი დავანებოთ, იქაურები ისე უწესოდ და უმაგალითოდ ამახინჯებენ არსებით სახელებს, ჩემს კადნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მათი ჩამოთვლა წაგვიყვანდა შორს. დროთა ვითარებაში მთის ერთი კალთა გატყიურებულა და სოფელი თანდათან ჩამოსულა ქვევით მინდვრებისა და ჭალებისაკენ, რაც თავისთავად მტერთა თავდასხმების შემცირებით და მშვიდობიანობის დამყარებით იქნებოდა გაპირობებული.

არა მგონია, რომელიმე მანდიკორელს თავისი სოფლის სახელის ეტიმოლოგია სწორად ესმოდეს. აღარაფერს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ამდაგვარი კვლევა-ძიებით მაინცადამაინც თავსაც

არავინ იწუხებს. გარდა ამისა, ზედმეტი ფიცისა და მტკიცების გარეშე დამიჯერებთ, რომ ბევრმა სიტყვა „მანდიკორიც“ არ იცის, რას ნიშნავს, თუმცა ხურჯინს დღესაც წარმატებით იყენებენ იქაურები. ზოგიერთი განათლებული მანდიკორელის მტკიცებით, „მანდიკორი“ ნიშნავს გორას და მეტს არაფერსო. ესე იგი, კორი — გორი, ხოლო მანდი სულ ზედმეტად მიაჩნიათ. უკეთეს შემთხვევაში, ეს სიტყვა ასე შეიძლება გაიშიფროსო: მანდიკორი — მანდ იყო გორი. გორა მართლაც იქ ყოფილა და ახლაც იქ არის, ხოლო მანდიკორი ნიშნავს ხურჯინს და მეტს არაფერს, რასაც ამ სოფლის ადგილმდებარეობაც მშვენივრად ადასტურებს. ამ დებულები" სისწორეში ღრმად ვართ დარწმუნებული, და ვფიქრობთ, რომ სახელწოდება მანდიკორის წარმოშობის საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ერთხელ და სამუდამოდ..

მანდიკორს ისტორიული წარსულითაც შეუძლია იამაყოს. გარდა ზემოთ ნახსენები ციხის ნაშთებისა, სოფლის განაპირას, ზედ მდინარეზე დღემდე შემორჩენილია ნანგრევები, რომლებსაც წისქვილის სათავეს ანდა ქვიტკირის ხიდის ნარჩენებსაც მიამგვანებდა კაცი, მაგრამ იქაურები დაბეჯითებით ამტკიცებენ: სწორედ აქ იყო მანდიკორის ქებული ციხე, სადაც ალი-ფაშა დაბანაკდა და მერე კვირიკეთში გადავიდაო. ცოტა ქვევით, მდინარესთან, ვიწროებში, სადაც ახლა ჩაის მიმღები ფარდულია, ერთ დროს იმერეთის რომელიღაც მეფეს თათართა ჯარი წაუხდენია. სხვათაშორის, ამის შესახებ ისტორია დუმს და მანდიკორელებს ამ ფაქტის იურიდიულად დამტკიცება შეიძლება გასჭირვებოდათ კიდეც, ამ საკითხით ვინმე რომ სერიოზულად დაინტერესებულიყო.

ელგუჯა ვაშაძეს ძალიან უყვარდა თავისი სოფელი. მანდიკორის წარსული და მომავალი შეიძლება ამ ახალგაზრდას უფრო აინტერესებდა, ვიდრე სხვა ვინმეს. გული სიამაყით ევსებოდა,

როცა უყურებდა, რომ საქართველოს ზოგიერთ რუკაზე მისი სოფელიც იყო აღნიშნული. სათუთად გადაშლიდა სოლმე „ქართლის ცხოვრებას“, სადაც მანდიკორიც იყო მოხსენიებული, როგორც ერთი ნაკლებადცნობილი ფეოდალის სამფლობელო.

ელგუჯას მამა თომა ვაშაძე პედაგოგი გახლდათ. ლენინგრადში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ერთხანს თბილისში მოღვაწეობდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ სოფელს დაუბრუნდა და მასწავლებლად დაბერდა კიდეც. ასეთ კაცზე იტყვიან, ცოდნა ვერ გამოიყენაო, თუმცა თომა ბედს არ ემდუროდა. იგი არ ეკუთვნოდა იმ ხალხს, ვინც დიდი ენერგიითა და მონდომებით მიიკვლევს ხოლმე ცხოვრებაში გზას. უთქმელ, უპრეტენზიო ადამიანს უჭირდა კიდეც ქალაქის ორომტრიალში ყოფნა. სოფელს კი მალე შეეთვისა. პატიოსნად, თავდადებულად ასწავლიდა სოფლის ბავშვებს ბუნებისმეტყველებას, რუსულ ენასა და ლიტერატურას. აფასებდნენ კიდეც იმ რაიონში. სკოლიდან დაბრუნებული ეზოში ფუსფუსებდა დაღამებამდე, შემდეგ გვიანობამდე კითხულობდა წიგნებს და ამდაგვარ ერთფეროვნებაში იცლებოდა კიდეც მისი ცხოვრების საწყაო. იგი ისედაც მოგვიანებით მოეკიდა ოჯახს. ხანში შესულმა ახალგაზრდა ექიმი ქალი შეირთო. ცისფერთვალება, ქერა ადამიანი უცხო ფრინველს ჰგავდა. ისეთი ფერმკრთალი იყო, თითქოს მზეს არ ენახა. მანდიკორელებს სილამაზეზე სულ სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ პატარძალი ამით არ დაუწუნებიათ. სამწუხაროდ, ქალი ადრევე გარდაიცვალა; იმსხვერპლა იმ მოურჩენელმა სენმა, რომლის სახელი ავადმყოფობის დროს იმ ოჯახში აღარავის უხსენებია. ახალგაზრდა ექიმი, როგორც სხვებს ეგონათ, მართლა ვერ ხვდებოდა, რა სჭირდა, თუ ხვდებოდა და არ იჯერებდა, ძნელი სათქმელია. ავადმყოფი თანდათან ილეოდა და ერთადერთი შვილის დარდი მიჰყვებოდა სამარეში. უმაღლესში მოწყობილს

ვნახავდე და არ მინდა მეტი არაფერიო, ამბობდა. მხოლოდ სკოლის ატესტატს ეღირსა. გულგრილად შეათვალიერა სიმწიფის მოწმობა და თვალები ცრემლებით აევსო. შვილი ამ დროს შუა ოთახში იყო ასვეტილი და თითქოს სხვათა შორის ლაპარაკობდა, გამოცდების ჩასაბარებლად თბილისში ერთად წავიდეთ, მანამდე შენც ფეხზე წამოდგებიო. დედას ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ თავს იკავებდა ძალისძალათი, შვილს თვალს არიდებდა. დიდხანს არ დასჭირვებიათ ერთმანეთის თვალის ახვევა. ერთი კვირის შემდეგ გამოცივდა დედის ოთახი.

ქალი დამარხეს მანდიკორის სასაფლაოზე, ბებერი ცაცხვის გვერდით. ცაცხვი, როგორც მოხუცები ამბობდნენ, ადრე უფრო ზევით, ფერდობზე მდგარა, მიწა. დაცოცებულა და ხე, ახლა ეს ძნელი დასაჯერებელია, ქვევით ჩამოსულა. დასაფლავების შემდეგ გამართულა ჩვეულებრივი ქელეხი, სადაც ღირსსახსოვარი აღარაფერი მომხდარა. მეორე დღეს ელგუჯა მოულოდნელად გახდა ცუდად თავის ბრუალი დაეწყო. ძილში კოშმარები აწუხებდა. სიბნელეში რაღაცები ელანდებოდა კიდეც. დედის სიკვდილმა უფრო ცუდად იმოქმედა, ვიდრე ამ ხნის კაცისაგან იყო მოსალოდნელი. იგი ბევრს ფიქრობდა ადამიანის არარაობაზე, ხანდახან უმიზეზოდ გაშტერდებოდა, თითქოს აღარ არსებობდა. რადგანაც დედა მისი სტუდენტობის ხილვის ნატვრით მოკვდა, ელგუჯა უმაღლესში მოწყობაზე უარი განაცხადა. თითქოს პირიქით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბიჭმა მუშაობის დაწყება დააპირა და მამასაც ძალა აღარ დაუტანებია. რაიონის ცენტრში ავტოპარკში მუშაობდა შოფრად და მერემონტედ ერთი წელი. შემდეგ ისევ სოფელს მიეკედლა, კოლმეურნეობამ ტყისმცველად გაამწესა, ცოტა ხანი ეს თანამდებობა შეიფერა, სანამ სწავლისა და თბილისში გამგზავრების სურვილმა არ შეაწუხა.

ვაშაძეების ეზოში ოციოდე ძირი სკა იდგა. ფუტკრის მოვლა-პატრონობა და სიყვარული ამ ოჯახს გვარად მოჰყვებოდა. მათი

მამა-პაპანი ცნობილი მეფუტკრეები ყოფილან. თომასაც არ აკლდა გამოცდილება და თვით ელგუჯაც უპირბადოდ ხსნიდა სკას. მთელი დღე, დაღამებამდე, შეეძლო ეცქირა ამ უცნაური მწერებისათვის. ხანდახან შუადღისას, როცა ყველა სულიერს რული ერეოდა, ბომბორა ნაგაზი რომ ენაგადმოგდებული თვლემდა საჩეხში, დაღლილი ელგუჯა ჩრდილში, ხმელ ჯირკზე იჯდა და ფუტკრების ზუზუნს უგდებდა ყურს. ცხელოდა, ნიავი ოდნავ არხევდა სიმინდის შემჭკნარ ფოთლებს და შაბიამნით დაფორაჯებულ ვაზის ფურცლებს. ფერდობზე სკა და სარაჯი იყო შეფენილი; ეზოს გადაღმა ტყით დაფარული გორები ჩანდა. ტყე თანდათან მუქდებოდა, ხშირდებოდა და მთებსა და მთებს შუა იხურებოდა გაუვალ თაღებად. დობილო ტყეში და მზის უნახავ ხრამ-ხევებში ადრე თურმე ალები ბუდობდნენ; ანკარა ღელეში ბანაობდნენ და მთვარის შუქზე ივარცხნიდნენ მზისფერ დალალებს. ახალგაზრდა ტყისმცველი ნადირს არ მორიდებია, ბევრჯერ ტყეში დაღამებია და დასთენებია კიდეც, მაგრამ, ცხადია, ტყისქალისდამაგვარიც არაფერი უხილავს. გაუვალ, უკაცრიელ ტევრში, შეშისმჭრელზე რომ არაფერი ვთქვათ, თავზეხელაღებულ მონადირესაც არ გადასწყდომია, თუმცა გზადაკარგული მწყემსი, თხას რომ ეძებს ხოლმე, იქაც ბევრჯერ შეხვედრია. ალები კი მოგონებებში, ზღაპრებში, თქმულებებში ცოცხლდებოდნენ დროდადრო. რაღა შორს წავიდეთ, თვით ელგუჯას ნათლია, ლაშიღელელი კაცი თავგადადებული ამტკიცებდა: ყმაწვილკაცობაში ცხენზე ალი შემომიხტა, მისი ბრჭყალები ბეჭზე ახლაც მატყვიაო; კიდევ კარგი, არ მივუხედე, თვარა წამახდენდა და დამკარგავდაო.

— რატომ? — უკვირდა ელგუჯას.

— არ შეიძლება შეხედვა, თუ შეხედავ, ვეღარ დაივიწყებ და დაღუპული ხარ...

ლაშიღელელ დურგალს ეჭვიც არ ეპარებოდა თავის ნათქვამში. ხშირად სხვებიც სერიოზულად უსმენდნენ, უფრო უცნაურ და

ფანტასტიკურ ამბებსაც იხსენებდნენ, და მაინც ძნელი დასადგენი იყო, სჯეროდათ თუ არა ყველაფერი ეს.

ტყეს, ფრინველთა და ნადირთა სადგომს, თქმულებების, ზღაპრების და ალების საბუდარს შიგადაშიგ ჩეხავდნენ, როგორც ამბობდნენ, გეგმაზომიერად, მაგრამ მაინც ჩეხავდნენ. ტრაქტორები მოათრევდნენ უზარმაზარ მორებს ფერდობზე. ძრავების ტკაცანი და ელექტროხერხების გუგუნი აფორიაქებდა საუკუნოვანი ძილითა და მთვლემარებით მივარდნილ არემარეს. ფრინველი მიფრინავდა, ნადირი ზევით, მთისკენ მიიწევდა; ზღაპრები, თქმულებები, ჭინკები და ალები მარადისობაში იკარგებოდნენ.

I

სულისშემხუთველი, თბილისური დილა თენდებოდა. ასფალტს, სახლებს, ვიტრინებს და მანქანებს უღიმღამო, ტყვიისფერი დაჰკრავდა. საიდანღაც თითქოს ნიავიც უბერავდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, როგორ საშინლად დაცხებოდა შუადღით.

სადგურის ბაქანზე, სხვა დამხვდურებთან ერთად განცალკევებით იდგნენ უბრალოდ ჩაცმული ქალი და კაცი. ქალა ხელში დაკეცილი ქოლგა ეჭირა. კაცი იყო გამხდარი, დალეული, თუმცა უძლური და სუსტი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ისინი ელგუჯას ელოდებოდნენ. ვერ იტყოდით, კაცს ძალიან უხარია ცოლის დისშვილის ჩამოსვლაო. იგი გრძნობდა, რომ უცხო ადამიანი ძალაუნებურად დაარღვევდა ოჯახის მყუდროებას, მაგრამ მაინც უნდოდა ბედნიერი ყოფილიყო, უხასიათობას მალავდა და ყოველნაირად იზიარებდა ცოლის სიხარულს.

მატარებელი ნელა შემოვიდა სადგურში. გამოუძინებელი მგზავრები, დროზე ადრე ფეთებით რომ წამოყარა კონდუქტორმა, უკვე კიბეებს მოსდგომოდნენ.

დეიდამ და ბიძამ იცოდნენ, რომელი ვაგონით მოემგზავრებოდა ელგუჯა და მოგვიანებით ფანჯარაში დაინახეს კიდეც. ვაგონმა წყნარად ჩაიარა და უფრო შორს გაჩერდა, ვიდრე ეგონათ. დამხვდურებმა ფეხს აუჩქარეს და წავიდნენ ფარდულისაკენ, სადაც ორცხობილებს და თბილ ლიმონათს ყიდდნენ.

მგზავრები ვაგონის ვიწრო დერეფანში იყვნენ გაბაწრულნი. ელგუჯა ნელა მოჩოჩავდა თითქმის ყველაზე ბოლოს და რაღაც უნდო მზერით იხედებოდა ფანჯრიდან. სახელოებდაკაპიწებული, თეთრი პერანგი ეცვა და ხელში დიდი ჩემოდანი ეჭირა. მოყვრები შორიდან შეამჩნია, თუმცა სახეზე არაფერი დასტყობია და, როგორც შემდეგ გამოირკვა, მატარებლის გაჩერებამდე დაენახა ორივე, მხოლოდ ბიძა სადგურის თანამშრომელი, ყოველ შემთხვევაში, უცხო კაცი ჰგონებოდა. „ღმერთო, რამხელაა!“ — ფიქრობდა გაოცებული ქალი.

ელგუჯა ვაგონიდან ჩამოვიდა და უზარმაზარი ჩემოდანი ზედ ლიანდაგის პირას დადო.

დეიდამ ელგუჯას აკოცა. კაცმაც წამოიწია საკოცნელად.

— უყურე ამას შენ, რამხელა გამხდარა?!— უთხრა ცოლს, როცა წელში მოხრილ მგზავრს ყურებამდე ძლივს მისწვდა.

ტროლეიბუსში ჩასხდნენ. დიდი მოედანი მსუბუქი ავტომანქანებითა და ხელბარგიანი მგზავრებით იყო სავსე. ტროლეიბუსიც გაიჭედა. მებილეთე ქალმა მძღოლს უთხრა, წავიდეთო. მძღოლს ხმა არ გაუღია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ფანჯრიდან პაპიროსის ნამწვი მოისროლა, მექანიკურად აატკაცუნა სამართავი ხელსაწყოები და ვაგონი დაძრა.

ტროლეიბუსიდან ჩამოსული სტუმარ-მასპინძლები რიყის ქვით მოკირწყლულ აღმართს შეუყვნენ. ელგუჯამ კარგად დაიმხრო იქაურობა, თუმცა ასახვევი შეეშალა და გაუკვირდა, როცა პირდაპირ განაგრძეს გზა. კაცი ჩემოდნის ჩამორთმევას უპირებდა, დაიღლებოდი, შეგეცვლებიო, მაგრამ ელგუჯა ტვირთს არ

ანებებდა; სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, ეს ჩია კაცი რომ ამოდენა ჩემოდანს ეპოტინებოდა.

ბინაში ელგუჯას ნაცნობი სუნი ეცა. იქაურობის იშვიათი სტუმარი იყო, მაგრამ ამ სუნს ყოველთვის იკრავდა ხოლმე. დიასახლისი ერთმანეთის მიყოლებით აღებდა კარ-ფანჯრებს და ოთახები დილის გრილი ნიავით ივსებოდა. ელგუჯამ ფანჯარაში გადაიხედა. ამასობაში ბიძამ დრო იხელთა და ზღურბლთან უპატრონოდ მიტოვებულ ჩემოდანს ეცა, მსუბუქად ასწია, მაგრამ ტვირთმა დაძალა და უცნაურად მიარბენინა ოთახის კუთხემდე. ელგუჯამ ხმელი ფოთოლივით გაფარფატებულ კაცს უიმედოდ გააყოლა თვალი და მაგიდასთან დაჯდა. ძველი გაზეთი გაშალა, საიდანაც პურის ნაფხვენები გადმოიბნა. ნაფხვენები შეაგროვა, საფერფლეზე დაყარა, გაზეთი დაკეცა კვლავ და გვერდზე გადადო. გულამოვარდნილმა კაცმა კი ერთხელ კიდევ შეათვალიერა უცნაური ჩემოდანი და როცა დარწმუნდა, საიმედო ადგილზე დევსო, ოთახიდან გავიდა.

— ბიძაშენი, ხომ იცი, სხვა სამსახურში გადავიდა... — უთხრა ელგუჯას საქმით გართულმა დიასახლისმა. — თავისი თავის უბედურია, ისე, შენ ძალიან უყვარხარ!

წვრილმანი, უსარგებლო ნივთებით გადატვირთული ოთახის ცალი კედელი გობელენებითა და გადიდებული ფოტოსურათებით იყო მოქარგული. უფრო საჩინო ალაგას ელგუჯას დედის სურათები ეკიდა. პატარა, მრგვალ ჩარჩოებში დედის ძმების, ელგუჯას უნახავად რომ დაიღუპნენ ომში, ფოტოებიც ჩანდა. ამ გამოფენიდან მიხვდებოდით, რომ დიასახლისს მაინცადამაინც დალხინებული ცხოვრება არ უნდა ჰქონოდა გამოვლილი. მართლაცდა, ექვსი და-ძმიდან ეს ერთი ქალიღა დარჩენილიყო. საძინებელი ოთახის კუთხეში ქალს პატარა ხატი ჰქონდა ჩამოკიდებული. მიმწუხრის ჟამს ლოცულობდა გარდაცვლილ მშობლებზე და დედმამიშვილებზე. ქმარი ყოველთვის გულგრილად

ადევნებდა ამ სცენას თვალს. ძრახავდა თუ უწონებდა ცოლს საქციელს, ვერ გაიგებდი.

— მამაშენს ქალი ხომ არ შეურთავს? — დაიძახა დეიდამ მეორე ოთახიდან.

— ქალი არა, ის!.. — შეკრთა ელგუჯა.

— რა ვიცი, ჩემი და კი წევს ცივ მიწაში და... — ამოიოხრა ქალმა და ისევ მიჩუმდა.

ელგუჯას გუნება გაუფუჭდა. კარგად იცოდა, დეიდას სიძე არ უყვარდა, ის კი არა, დის სიკვდილსაც, სრულიად უსაფუძვლოდ, სადღაც თომას აბრალებდა. ოცი წლით ხნიერმა კაცმა ჩემი და როგორ უდროოდ მოკლა და მოინელაო, იტყოდა ხოლმე.

ელგუჯამ ამოიოხრა, ფანჯრისაკენ შეტრიალდა და გუნებაწამხდარი დაეყრდნო რაფას. თავდაღმართში ტერასებად დაფერდებულ ყავისფერ სახურავებს ჩააყოლა თვალი. სახლებსა და სახლებშუა ქუჩა ეშვებოდა და სულ ახლოს ქალაქის შუაგულს (საიდანაც ყრუ ჟრიამულიც ისმოდა) უერთდებოდა ხეობასავით. ვინ იცის, რამდენი მისნაირი ჩამოდიოდა აქ სახელისა და ბედის საძებნელად, მერე ვისი კეხი საით შებრუნდებოდა, ვინ საით წაჰყვებოდა ცხოვრების მდინარებას, რა გზას ეწეოდა, არავინ იცოდა.

— ...ღვინოს დავლევდით, მაგრამ მე სამსახურში მაგვიანდება და ელგუჯასაც თავისი საქმე ექნება, სადილობამდე მოვითმინოთ, როგორ იტყვი, შენ? — იკითხა კაცმა საუზმის დროს და მურაბიანი ჩაი მოსვა.

— მე ღვინოს არ ვსვამ! — მშვიდად განაცხადა ელგუჯამ. — რატომ, ბიჭო? — გაუხარდა ქალს.

— მწყენს.

— სულ არ სვამ?

— იშვიათად. ერთხელ ძლიერ დავთვერი და მომეჩვენა, რომ ყველაფერი ბრუნავდა, ყველაფერი თავდაყირა იდგა, მეგონა,

დედამიწაც ტრიალებდა სათვალთვალოდ...

— არ დალიო, დეიდა, თქვენ უცნაური ჯიში გაქვთ... — რაღაც სასოწარკვეთილი ხმით თქვა ქალმა. — შენ მაინც თურმე ბაბუა-შენს ჰგავხარ... ამის ბაბუა მჭედელი იყო...

— ვიცი, — თავი დაუქნია ქმარმა.

— დიდხუთშაბათს გრდემლს უროს დაჰკრავდა, ამირანმა არ აიწყვიტოსო, იმ ღამით იკარგებოდა. ამბობდნენ, ტყეში ქალთან ათევს ღამესო... ტყეში რა უნდა ქალს... ისე, რა დაკარგული ტყეებია ამათთან. შენ არ მოსწრებიხარ, ხომ, ბაბუას?

— არა, — თქვა ელგუჯამ.

— ისე, ესეც კი გაატყიურა მამამისმა. ტყისმცველად არ გემუშავა, არ იქნებოდა, თქვენ ოჯახს სამაგისო რა ჭირდა?!

— მამაჩემი არაფერ შუაშია, მე თვითონ ვისურვე და დავდექი... თანაც სტაჟი დამიგროვდა... — თავისაუწევლად ჩაილაპარაკა ელგუჯამ.

— ნადირის არ გეშინოდა მაინც? — გაიღიმა ქალმა.

— სადღაა ნადირი.

— სულ აღარ არის? — გაუკვირდა კაცს.

— აქა-იქ... ნადირი მფრთხალია, ადამიანს ერიდება, ტყის მჭრელი და შეშის მპარავი კიდევ უფრო მშიშარაა... — თქვა დაღონებულმა ელგუჯამ და დეიდას აგრძნობინა, სამწუხაროდ, არაფერი საარაკო თავს არ გადამხდენიაო.

— ალი აღარ არის? — იკითხა ქალმა უყურადღებოდ. — ალი კი არა, დალი! — შეუსწორა მეუღლემ.

— დალი შენი საყვარელი მეზობლის ჭლექიან ქალიშვილს ჰქვია... — ხმას დაუწია ქალმა.,

— ჩვენში ასე ეძახიან... — გული მოუვიდა კაცს.

— ერთი და იგივეა, — განმარტა ელგუჯამ.

— ღმერთის გარდა ქვეყანაზე არაფერი არ არსებობს... — დაასკვნა ბოლოს დიასახლისმა. კაცი დაიღრიჯა და წასასვლელად

გაემზადა. — დედაშენის დანატოვარი ნივთები ან ტანსაცმელი ხომ არ გაგიყიდიათ, ანდა ხომ არავისთვის მიგიციათ? — იკითხა დეიდამ, როცა ქმარმა კარი გაიხურა.

— როგორ გაგვიყიდია, ანდა ვისთვის უნდა მიგვეცა! — წამოენთო ელგუჯა.

— მე წავედი! — დაიძახა კაცმა აივნიდან.

— საწყენად კი არ მითქვამს, ისე ვიკითხე... ჩემი უბედური და რატომ უნდა იწვეს შავ მიწაში... შენ ვერ უნდა გიყურებდეს!?

ქალმა ტირილი დაიწყო და ელგუჯამაც ჭამა შეწყვიტა. იმწამსვე მეორე ოთახში გავიდა, დაქექილი რომანი აიღო და ფანჯარასთან დაჯდა. წიგნში სათვალე იდო, ალბათ დეიდას გვერდი ჰქონდა ჩანიშნული. ელგუჯა წიგნს ფურცლავდა და ალაგ-ალაგ კითხულობდა უგულოდ, თუმცა ვერაფერს იმახსოვრებდა. შუადღისას დეიდაც სამსახურში წავიდა. ელგუჯას იმ დღეს გარეთაც არ გაუხედავს. გვიანობამდე ტელევიზორს უყურებდა და ის დღე როდის ჩამოთავდა, ვერ გაიგო.

II

მშვიდად და უსიზმროდ ეძინა იმ ღამეს ელგუჯას. როცა გაიღვიძა, იგრძნო, რომ კარგა ხნის გათენებული იყო. მაღალი ფანჯრის წირთხლს და აგურის კარნიზს თვალი ააყოლა და გაოცდა. ვერ გაიგო, რატომ ვერ ხედავდა ცისფერ შპალერს, ნაცნობ, მუდამ მოღიავებულ, მოჩუქურთმებულ აივნის კარს, საიდანაც რიკულები ჩანდა ხოლმე. მალე მიხვდა, რომ ქალაქში იყო და აფორიაქდა. ღია ფანჯრიდან გრილი ნიავი და ჩიტების ხმა შემოდიოდა. ჩიტებიც რაღაც სხვანაირად ჟივჟივებდნენ. მასპინძლები ამდგარიყვნენ და მეორე ოთახში თუ სამზარეულოში საქმიანობდნენ. პატარა რეპროდუქტორი ლაპარაკობდა ხმადაბლა.

აივანზე, ეტყობოდა, მერძევე ამოვიდა. იგი ბრტყელი სმით, სვენებ-სვენებით და ხვნეშით ლაპარაკობდა. დეიდა საყვედურობდა: რძეს ბევრ წყალს ურევთ, სულ წახდით, აღარაფრის გერიდებათო. მერძევე პატიოსნებას იფიცებოდა, დედ-მამის სულს და შვილების სახელებს ახსენებდა.

ელგუჯას მოეჩვენა, რომ ქალაქში უზრუნველად და იოლად

ცხოვრობდნენ; ძროხას სხვა წველიდა, პურს სხვა აცხობდა. არც ბარავდნენ, არც ხნავდნენ, საქონელს არ უვლიდნენ. მიდიოდნენ სამსახურში, ბრუნდებოდნენ შინ, ყვინთავდნენ გვიანობამდე ტელევიზორთან, იძინებდნენ და ფაცხაფუცხით დგებოდნენ მზის ამოსვლის შემდეგ, რათა კვლავ სამსახურში წასულიყვნენ.

ქუჩიდან ზარის ხმა შემოვიდა. ზარი ჟღარუნებდა გაბმულად. ელგუჯას მანდიკორის სკოლა და წაბლის ხის სვეტზე ჩამოკიდებული, ლილისფერგადაკრული ბრინჯაოს ზარი გაახსენდა. წამოდგა, შარვალი ჩაიცვა და ფანჯრიდან ქვევით ჩაიხედა. ტროტუართან უცნაური მანქანა იდგა. ახლომახლო სახლებიდან ნაგვით დატვირთული ქალები გამორბოდნენ და ვედროებს მანქანის ხვიმირაში ცლიდნენ. ელგუჯამ დეიდაც დაინახა. დეიდას ცარიელი ვედრო ეჭირა და ვიღაცას ელაპარაკებოდა. მენაგვე — მძღოლი, რომელსაც საკმაოდ მოდური ფრენჩი ეცვა, თავის ზარიანად გვერდზე გამდგარიყო და მდუმარედ, მაგრამ ღირსეული იერით უყურებდა ამ სურათს.

ელგუჯამ ისაუზმა, ჩაიცვა და საბუთების შესატანად წავიდა. უმაღლესი სასწავლებლის ეზო და ბაღი უკვე აბიტურიენტებით, ლექტორ-მასწავლებლებით და დასასვენებლად შემოსული მოქალაქეებით იყო სავსე. ვესტიბიულში, შესასვლელშივე ორი გრძელი მაგიდა ერთმანეთზე მიედგათ. აბიტურიენტები მაგიდებს შემოსხდომოდნენ. ზოგი განცხადებას წერდა, ზოგი გამოცდების ცხრილს იზეპირებდა: ბევრი კიდევ უსაქმურობისაგან ამთქნარებდა. საბუთებს კანცელარიაში იბარებდნენ. კედლებთან და სვეტებთან, ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად გოგონები და ბიჭები იდგნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ მაინც ყველას შეწუხებული სახე ჰქონდა.

ელგუჯამ სრულიად მოულოდნელად, ნაცნობ ადამიანს მოჰკრა თვალი. ეგონა, მეშლებაო, მაგრამ ნაცნობმა ხელი ასწია და

მისკენ წამოვიდა. ეს იყო კიმოთე, ელგუჯას თანასოფლელი, რომელიც, რა ხანია, არ ენახა. იგი მხოლოდ არდადეგებზე ბრუნდებოდა მანდიკორში და ისეთი სახით დადიოდა, თითქოს მეცადინეობისგან იყო გაწამებული და გადაღლილი. სინამდვილეში, არსად არ სწავლობდა. ქალაქიდან ერთხელ სმაც კი ამოვიდა, ვარლამის ბიჭი არაფერს არ აკეთებს, უსაქმოდ დაწანწალებსო. ამ საშინელ ხმას მშობლების ყურამდე არ მიუღწევია და კიმოთესაც არაფერი გაუგია.

ელგუჯას უყვარდა ეს კაცი. იგი ახლა მშველელივით მოევლინა და სიმარტოვის გრძნობა, რომელიც იმ წუთას ისე.

ძალიან აწუხებდა, მთლიანად განუქარვა.

— როგორა ხარ, ბიჭო, როდის ჩამოდი?! — ეკითხებოდა სახეგაბადრული კიმოთე და ელგუჯას ქვემოდან ისე ამაყად შეჰყურებდა, თითქოს თავისი სიპატარავით იწონებდა თავს. არადა, კიმოთე ამჟამად, რაც მართალია, პატივისცემას უფრო იმსახურებდა, ვიდრე სხვა რამეს. ქალაქელ ბიჭს ჰგავდა აშკარად, ეცვა მოდაზე (ყოველ შემთხვევისათვის, ელგუჯას ასე მოეჩვენა) და ლაპარაკობდა ისე, როგორც თბილისში გაზრდილ კაცს შეშვენოდა.

— შენ რას შვრები, კიმოთე, აქ რას აკეთებ?

ელგუჯამ ისიც არ იცოდა, რომ ამ კაცს, ყველა სიკეთესთან ერთად, უკვე კიმი ერქვა და არა კიმოთე.

— ვაბარებ ისევ, შარშან და შარშანწინ ერთი ქულა დამაკლდა, გადავყევი ამ ქალებს, ლოთობას... ჩემი ბრალი კი არის, რა გელოთება და რა გექალება, შე კაი კაცო, როცა შენი საქმისათვის ვერ მიგიხედია...

ელგუჯას გაეცინა. კიმოთეს ეს სიცილი არ მოეწონა, მაგრამ ნირი არ უცვლია.

— ... ასეა, ძმაო, აქ სულ სხვა ამბებია... ისე წელს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხები უეჭველად. ეს გადაწყვეტილია, საქმეც ჩაწყობილი მაქვს... შენ სად აპირებ?

— ფილოლოგიურზე შევიტანე საბუთები.

— მანდაც ძნელია... შენ სტაჟიც გექნება კოლმეურნეობაში დაგროვილი და ესეც წაგადგება, არ უნდა ლაპარაკი... გამოდი, გარეთ გავიდეთ...

ასიცხებულიყო. მზე ახლა სამხრეთიდან მოსდგომოდა შენობას. ეზოში და კიბეზე ქვა და მიწა ხურდა. კიმოთემ სახე მოიჩრდილა და იქაურობა შეათვალიერა.

— წამოდი, დიმიტრის გაგაცნობ! — უთხრა ელგუჯას, თუმცა იმ წუთას შინ წასვლას აპირებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარსად შეჩერებულიყო.

„ვინ არის ნეტავი დიმიტრი?“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

ჩრდილში სკამზე მარტოდმარტო იჯდა ვიღაც გამხდარი კაცი, რომელიც ელგუჯას შორიდან ყმაწვილი ეგონა. ხნოვანებას და სიდარბაისლეს უცნობს მართლაც ვერ მიაწერდით, მაგრამ სკოლის მოწაფეაო, ვერაფრით ვერ იტყოდით, თუმცა ბიჭურად შეკრეჭილი თმა და იერი ადვილად შეგაცდენდათ, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტიც კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდა.

— როგორა ხარ, დიმიტრი? — ჰკითხა კიმოთემ მისვლისთანავე.

— ვარ რა... — უხალისოდ ჩაილაპარაკა დამხვდურმა. — გაიცანი, ჩვენებური კაცია...

— ოჰ, — თქვა ელგუჯას დანახვაზე დიმიტრიმ, წამოიწია და ხელი ჩამოართვა. — გამოცდებს აბარებ?

— დიახ. — კარგია! — მოუწონა დიმიტრიმ. — ახლა შეიტანა საბუთები... — დააზუსტა კიმოთემ.

— აწყობ, არა?.. — უცბად გაეცინა დიმიტრის. — რა ხარ, შე უკვდავო!

— მე რისი მომწყობი ვარ, ჩემი თავი ვერ მომიწყვია! — გულწრფელად აღიარა კიმოთემ და ფერადი სათვალე პერანგის გულის ჯიბეში შეინახა. დიმიტრი უცბად დადინჯდა და ელგუჯას

ჰკითხა, რაზე აბარებო.

— ფილოლოგიურზე... — უპასუხა ელგუჯამ და ეს სიტყვა თვითონვე ეუცხოვა.

დიმიტრიმ თვალები წაჭუტა და კიმოთეს ახედა. — ღუპავ, ბიჭო, ამ კაცსაც? — შენ გვაკლდი ახლა, — გული მოუვიდა კიმოთეს.

დიმიტრის აღარ გასცინებია, რატომღაც დაიღრიჯა, სიგარეტის ნამწვი მოისროლა, თითებზე დაიხედა და ელგუჯას უთხრა:

— შენ მართლა არ შეგეშინდეს, ვხუმრობ!

ელგუჯამ ფეხი მოინაცვლა, შეეცადა, რაც შეიძლებოდა უდარდელი სახე მიეღო და თავისუფლად გაჩერებულიყო.

კარგა ხანს უბერა დიმიტრიმ გადაყვითლებულ თითებს სული, რას იშორებდა, ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიგო.

— ეს კაცი ლექსებს წერს? — მოულოდნელად იკითხა მან. — რაზე ეტყობა? — გაეცინა კიმოთეს.

დიმიტრიმ შარვალზე ჩამოისვა ხელი, გულდაგულ მოიშორა რაღაც ნამცეცები და ისევ ელგუჯას ახედა.

— არ ეტყობა, საწყალი... ნახე როგორ გაწითლდა, ეს რა იქნება, არავინ არ იცის. უკვდავებას მოიპოვებს, როგორც არაფერი!..

ელგუჯა სულ აილეწა. იგი ხანდახან მართლა წერდა ლექსებს და საიმედოდ ინახავდა. ლექსები მანდიკორში ჰქონდა დამალული და გულზე მოეშვა, როცა მიხვდა, რომ მისი პოეტობის ამბავს ნახევარი თბილისი ვერ გაიგებდა. დიმიტრიმ ამოიოხრა და მიწას დააშტერდა.

— რა ხდება ახალი, დიმიტრი? — ჰკითხა კიმოთემ და იქვე ჩამოჯდა. — — არ ვიცი... — უიმედოდ უპასუხა დიმიტრიმ და დაფიქრდა, თუმცა ახლად გაცნობილი ადამიანი სულ არ დავიწყებია.

... — არადა, რა საქმიანი კაცი დადგებოდა ამისაგან, პატრონი რომ ჰყავდეს... რომაელ ლეგიონერს არ ჰგავს? ამის წინაპარი ლაზი იქნებოდა. მოდი, დაჯექი, ფეხზე რატომ დგახარ?.. თქვენ ტოლები ხართ?

— არა, მე უფროსი ვარ! — უთხრა კიმოთემ., — აჰა! — თქვა დიმიტრიმ.

ელგუჯა კიმოთეს მიუჯდა. იქაურობა შეათვალიერა კვლავ და ქერათმიან ქალს მიაჩერდა მონუსხულივით. ქალი თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ისე მოულოდნელად ჩაიარა მანდიკორელეების ცხვირწინ. იგი ღიმილით მიესალმა დიმიტრის და კიბისაკენ წავიდა. დიმიტრი უცბად გამოფხიზლდა, სკამიდანაც კი წამოიწია და ამ თავაზიანი მიხრა-მოხრით ელგუჯას გაოცებაც მოახერხა. ქალი კი კიბეზე ადიოდა და რაც უფრო და უფრო მიიწევდა ზევით, მით უფრო ნათლად იკვეთებოდა თეძოები და მაღალი ფეხების სილუეტები. ქალი შესასვლელ კართან შეჯგუფულ ხალხს შეერია და გაქრა.

— იცი, ვინ იყო? — ჰკითხა კიმოთემ ელგუჯას. — ვინ იყო? — შეკრთა ელგუჯა — დალი შელია, გაგაცნობ თუ გინდა.

— ო, რა ხარ, შე უკვდავო! — გაეცინა დიმიტრის და ხველება აუტყდა.

— რა გაცინებს? — შეჩქვიფდა კიმოთე.

— უკვდავი ხარ-თქვა, გეუბნები და არ გჯერა... — ძლივს დაწყნარდა დიმიტრი და ბიჭები ლუდზე დაპატიჟა.

ელგუჯას ლუდი არ უყვარდა. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ სვამდნენ ამ საძაგელ სითხეს ადამიანები. ორი კათხა მაინც გამოცალა ტანჯვა-წვალებით.

— კიდევ დალევ? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— არა, გმადლობთ! — მოიღუშა ელგუჯა, იფიქრა, ხომ არ დამცინის, ლუდს საგანგებოდ ხომ არ მასმევსო.

— სად ცხოვრობ, შენ? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— დეიდასთან, ჯერჯერობით...

დიმიტრიმ თავი დააქნია უყურადღებოდ, ელგუჯას მიაშტერდა მდუმარედ.

— გადმოდი, ჩემთან იცხოვრე, რა გინდა დეიდასთან! — თავი

გამოიდო კიმოთემ.

— მარტო ცხოვრობ, შე უკვდავო, ხომ? — დაინტერესდა დიმიტრი.

— კი, მარტო... — სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა კიმოთემ.

— შენია, არა, ეს თბილისი? — რატომ არა! დიმიტრის გაეცინა და მოულოდნელად წავიდა.

ნასადილევს ელგუჯამ დეიდას უთხრა, რუსთაველზე უნდა გავიაროო.

— რა გინდა, ბიჭო, რუსთაველზე, ჯერ არ ჩამოსულხარ და ახლავე რუსთაველი დაიწყე?

— ამხანაგს დავპირდი, გამოვალ-თქვა...

— ვინ ამხანაგს?

— კიმოთე ჰქვია, ჩვენებურია...

— რა გვარია? — კეთილაძე. — კაცია?

— კაცია... — სწრაფად უპასუხა ელგუჯამ; თუმცა ამ საკითხზე არც მანამდე დაფიქრებულა.

ქალს არც გვარი მოეწონა, არც სახელი და ელგუჯას უთხრა, ბიძაშენი წაიყვანე აუცილებლადო.

— ბარემ შენც წამოდი. — არ გეკადრება ჩვენთან სიარული? — გაეცინა დეიდას.

ელგუჯა რუსთაველის პროსპექტზე გავიდა, რამდენჯერმე აიარ-გამოიარა თეატრებისა და კინოების წინ, მაგრამ კიმოთე ვერსად ნახა. ვერ გაიგო, დათქმულ ადგილს ვერ მიაგნო თუ ამხანაგმა დააღალატიანა. ცოტა ხანი იხეტიალა და ჭავჭავაძის ქუჩის ასახვევში გაჩერდა.

ქერათმიანმა ქალმა გადმოუსვია პროსპექტიდან და მარტოდმარტო წავიდა ზევით. ელგუჯას მგზავრი ეცნაურა და იქვე გაახსენდა, ინსტიტუტის ეზოში რომ დაინახა. ქალი ახლა უფრო სხვანაირი ჩანდა, თმასაც კვამლისფერი გადაჰკრავდა. „ეტყობა,

აქეთ ცხოვრობს“, — გაიფიქრა ელგუჯამ და რატომღაც ამ აღმოჩენამ ძალიან გაახარა. ჩალისფერთმიან ადამიანს თვალი გააყოლა, მაგრამ მალევე მოტრიალდა, რადგან ჩათვალა, რომ ასეთ ქალებს ამ ადგილებში კიდევ ბევრს აღმოაჩენდა, თუ გამეცადინდებოდა.

III

ელგუჯამ კარგად დაიჭირა მისაღები გამოცდები. ამდენს თუ მოახერხებდა, არ ეგონა, მაგრამ ბოლო გამოცდამდე მისი მოწ-ყობა-არმოწყობის ბედი მაინც ყანთარზე ქანაობდა. ხუთი თუ გინ-დაო, უთხრა ახალგაზრდა ლექტორმა, კომისიის თავმჯდომარეს მიაკითხეო. ეს ოთხიც რომ დავკარგო, სად მივდივარო, გაიფიქ-რა ელგუჯამ და მაინც უყოყმანოდ მიადგა თეთრთმიან, ხანში შე-სულ კაცს, მოწყენილი რომ იჯდა დაფასთან ახლო.

— რა გნებავთ? — უხალისოდ იკითხა მან. — ხუთი.

პროფესორი გამოცოცხლდა, გაეცინა, სტუდენტი თვალში მო-უვიდა, სადაურობა — წარმოშობაც ჰკითხა.

— ... თქვენი რაიონი, თქვენი სოფელი განსაკუთრებით ცნობი-ლია ძვირფასი ტყით და იშვიათი ენდემური ჯიშებით.,, — თქვა პროფესორმა, როცა ელგუჯას ასავალ-დასავალი გაარკვია, — მართალი ვარ?

ელგუჯამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, შემდეგ თავისი

ტყისმცველობის ამბავი თქვა და იმ ადამიანის გულიც სამუდამოდ მოინადირა, არაფრით არ ეგონა, ძუ კაცს ასე, ამნაირად ტყე შეიძლებოდა ჰყვარებოდა. როცა აცნობა, ტყეს ახლა ორგანიზებულად ჩეხავენო, პროფესორმა ტირილი კინაღამ დაიწყო.

— ჩეხავენ; მხოლოდ გეგმაზომიერად... — დაუმატა ბოლოს.

— გეგმაზომიერად... — ჩაილაპარაკა კომისიის თავმჯდომარემ და კიდევ უფრო მოიწყინა.

„ნეტავი არ მეთქვა!“ — წუხდა ელგუჯა. სიცხისაგან მოთენთილი, ახალი ამბით შეწუხებული პროფესორიც დუმდა. ახალგაზრდა ლექტორი მოვიდა, საგამოცდო ფურცელი მოიტანა და თავმჯდომარეს ეჩურჩულა კარგა ხანს.

— ეს კარგი ბიჭი ჩანს! — წამოიძახა გაბრაზებულმა პროფესორმა, — ასეთებმა უნდა ისწავლონ, ეს ისწავლის სწორედ!

ლექტორმა უხმოდ გააფორმა ნიშანი. ელგუჯა გახარებული გავიდა. იმ დღეს არც გაუგია, რომ მისი სტუდენტობა გადაწყვიტა კომისიის თავმჯდომარის მიერ წამატებულმა ნიშანმა. იმ ღვთისნიერ კაცს კი შემდეგ აღარ შეხვედრია.

პირველ სექტემბერს ლექციების დაწყებამდე დერეფნები და ვესტიბიულები სტუდენტებით გაივსო. ყველა საგანგებოდ იყო ჩაცმულ-დავარცხნილი. ამ არეულობაში ელგუჯამ ერთი ნაცნობი ძლივს აღმოაჩინა. იგი „ნაცნობს“ მისჩერებოდა და ადგილიდან არ იძროდა. დალი შელია კი (ეს სახელი და გვარი ელგუჯამ იმ დღეს ვერაფრით ვერ გაიხსენა) მხიარულად ესალმებოდა მეგობარ-ამხანაგებს; განურჩევლად კოცნიდა ქალსა და კაცს და თითქმის ყველას იცნობდა, ელგუჯას გარდა. იგი ხმამაღლა იცინოდა და სწრაფად, უცხო ყურისათვის თითქმის გაურკვევლად ლაპარაკობდა. მიყურადებული ელგუჯა მაინც მიხვდა, რომ ქალი იმ ლილით შავი ზღვის სანაპიროდან ჩამოსულიყო. ეს მართლა დაემჩნია კვალი, მხოლოდ არც ისე, როგორც ზოგიერთებს ეჩვენებოდათ, სად იყავი, სად გაშავდიო, — ეკითხებოდნენ ერთსა და

იმავეს. დალი ამბობდა, მხოლოდ ათი დღე დავისვენე, მანამდე თბილისში და წყნეთში ვიყავი და არც ისეთი გაშავებული ვარო.

— ვინ არის ეს ქალი? — იკითხა ერთმა კაცმა ელგუჯას გვერდით.

— მე რა ვიცი, ვინ არის! — უპასუხა ვიღაცამ გულგრილად,

— აბა, რა იცი, ამხელა კაცი აქ რას მიკეთებ?! — გაიცინა პირველმა.

სქელ კაცს, დალის რომ ქურდულად უყურებდა, გაზეთები ეჭირა ხელში. ელგუჯას ისიც ლექტორი ეგონა, მაგრამ რომელიღაც პირველკურსელის მამა ყოფილიყო. მალე ზარი დაირეკა. ზარის ხმამ ელგუჯა ააფორიაქა და დანარჩენი ყველაფერი გადაავიწყდა.

პირველსავე ლექცია-სემინარზე ელგუჯამ თანაჯგუფელები შეათვალიერა. სულ ხუთი ბიჭი აღმოაჩინა. დანარჩენი ადგილები ქალებს შეევსოთ. ელგუჯამ ჩათვალა, რომ ასეთი თანაფარდობა გაცილებით უკეთესი იყო. იგი ბიჭებს დააკვირდა, თავი უნებურად შეადარა ხუთივეს და გუნებაში განსაზღვრა, რა უპირატესობას მოიპოვებდა ამ ქალთა ლეგიონის წინაშე.

ელგუჯამ სწავლის დასაწყისშივე დაუშვა შეცდომა, რომლის გამოსწორება მერე აღარც უფიქრია, თუმცა მოგვიანებით ყველაფერს მიხვდა. პირველად კურსის გოგონები ორ ნაწილად — ულამაზოებად და ლამაზებად დაყო. მუდამ ლამაზებთან სიახლოვეს ცდილობდა. ამით დანარჩენები გაამწყრალა და „ლამაზების“ გულიც გვიანობამდე ვერ მოიგო. მიუხედავად ამ ტაქტიკური კრახისა თუ უტაქტობისა, არ ჰყვარებია არც ერთი და გარდა იმ ზერელე, მოჩვენებითი მეგობრობისა, თანაკურსელებთან რომ არც ისე იშვიათია, არავისთან არაფერი არ აკავშირებდა.

იგი ბეჯითად შეუდგა სწავლას, ლექციას და სემინარს არ აცდენდა, წუთი წუთით ჰქონდა გაზომილი და როგორც შემდეგ მიხვდა, ამის გამო ზოგიერთები დასცინოდნენ თურმე. სკოლიდან

პირდაპირ უმაღლესში მოხვედრილ თანაკურსელებს პირველ ხანს ვერაფრით ვერ შეეწყო. ხანდახან მარტოდმარტო, შეუმჩნევლად იჯდა მერხზე, ფიქრობდა, დარდობდა, სოფელი ენატრებოდა, თუმცა უკან დაბრუნება არ უნდოდა.

ერთ დილით, ლექციების დაწყებამდე ჯგუფში მხიარულებამ იმატა. თანაჯგუფელები თითქოს უმიზეზოდ იცინოდნენ და ერთმანეთს ერთსა და იმავე ამბებს ახსენებდნენ. ელგუჯამ ვერაფერი გაარკვია. ხან ერთ ჯგუფს მიადგა, ხან მეორეს მიეკედლა, მაგრამ ყურიც არავინ ათხოვა.

წინა დღით კურსის ყველაზე ლამაზ გოგოს დაბადების დღე აღუნიშნავს და თითქმის ყველანი იქ ყოფილიყვნენ. ღამენათევ, ნაქეიფარ სტუდენტებს სალექციოდ არ ეცალათ. ბელაც-მოთენთილი და დაღლილი ჩანდა. მაინც ყველაზე კარგი ის იყო აშკარად. ელგუჯას მაშინღა გაახსენდა, ბელა რომ წინა დღით სტუმარივით გამოცხადდა და მოსვლისთანავე დაიკარგა, თუმცა სულ უმიზეზოდ რომ არ გამოჩენილა, მაშინაც შეეტყო. დავა და ჩურჩული კი ლექციების დამთავრებამდე არ შეწყვეტილა. ალბათ საჩუქრის ფულის შეგროვებაც მაშინ დაიწყეს. ბელა ელგუჯას თვალს არიდებდა, მაგრამ ელგუჯამ უფრო დაირცხვინა და ლექტორი რომ დროზე არ შემოსულიყო, ალბათ თავისი დაემართებოდა.

დაბალი ტანის, სხარტი ლექტორი საქმიანად დადგა კათედრაზე და არეულ-დარეულ აუდიტორიას მდუმარედ გადაავლო თვალი. როცა სიწყნარე დადგა, გარკვევით განაცხადა: დღეს ჩვენ გადავდივართ დიდი ფრანგი მწერლის ბალზაკის შემოქმედებაზე და წინასწარვე შევთანხმდეთ, რომ ონორე დე ბალზაკი ნიჭიერი კაცი იყოო. ლექტორმა შეისვენა; როცა ნახა, შეკამათების სურვილიც არ გაუჩნდა არავის, ლექცია დაიწყო. ამ მოუსვენარ, ენერგიულ კაცს ბევრი უცნაური ზნე სჭირდა. პირველ სექ-

ტემბერს, პირველსავე ლექციაზე საჭიროდ ჩათვალა ეთქვა, გვარი მოლიერი მორიელში არ აგერიოთო. ლაპარაკობდა მონოტონურად, ოდნავ გამკივანი ხმით. ჩურჩულს, გადალაპარაკებას, განსაკუთრებით სიცილს ვერ იტანდა. მე მადროვეთ და როცა საჭირო იქნება, შიგადაშიგ თვითონვე გაგაცინებთო, ჰპირდებოდა სტუდენტებს. დანაპირები კი არ ავიწყდებოდა, ან უმადურ სტუდენტებს არ ესმოდათ არაფერი, რადგან მუდამ უადგილო ალაგას იცინოდნენ, ან დუმდნენ. ასე იყო თუ ისე, ლექტორს, დამდუღრულივით რომ გარბოდა ზარის დარეკვისთანავე, ერთი საყვედური არ დასცდენია.

ელგუჯას იმ დღეს დანა პირს არ უხსნიდა. ბალზაკი რომ ნიჭიერი იყო, ადრეც იცოდა და შეიძლება ამიტომაც, ლექციამ ვერ დააინტერესა. ლექტორი გავიდა თუ არა, თვითონაც ადგა და უკან აღარ მობრუნებულა. პირველად იმ დღეს მიატოვა მეცადინეობა. გასასვლელში ფეხი აითრია, მაინც შეყოყმანდა: მართლა წავიდე თუ დავრჩეო. შადრევანზე წყალი მოსვა და კედლის იუმორისტულ გაზეთს მიაჩერდა. გაზეთს შირად ცვლიდნენ, მაგრამ, როგორც წესი, ყველა ნომერში პარიკმახერი არსენა იყო გამოხატული. ეტყობოდა, არსენა აღარაფერს ამბობდა, სხვას ეს ამბავი სულ არ აწუხებდა და ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ახლა არსენა ვიღაც სტუდენტს კრეჭდა თმას. სურათი რატომღაც მწვანე ფერში იყო გადაწყვეტილი და იმ მახვილგონივრულ დიალოგს, სტუდენტსა და ოსტატს შორის რომ იყო გამართული, სულ არ ესადაგებოდა.

სტუდენტი — ახლა ირგვლივ შემომიარე, ვაჟკაცურად! არსენა — შემოგიარო რა, მაგელანი ვარ!?

ელგუჯა კარგა ხანს უყურებდა გაზეთს, ერთხელაც არ გასცინებია, თუმცა გაღიმება შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, სატირალი შიგ არაფერი ეწერა. საიდანღაც თენგიზი გამოჩნდა. ელ-

გუჯას დანახვაზე შეჩერდა უხმოდ. არც ეს კაცი იყო სწავლა-განათლებასთან მწყრალად, მაგრამ იმ დღეს მასაც ეშმაკი შესჩენოდა. დილიდანვე გაქცევას აპირებდა. ალბათ სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ ეს წესიერი ადამიანი ამდენს ვერ გაბედავდა. თენგიზს ეშმაკობისა და ამპარტავნობისაც არა ეცხო რა და ელგუჯა სხვაზე მეტად სწორედ მას ემადლიერებოდა.

IV

ფიზკულტურის გაკვეთილზე, სპორტდარბაზში ვიღაც პატარა, ყურებდასიებული კაცი შემოვიდა, ფიზკულტურის მასწავლებელს ხელი ჩამოართვა და პირდაპირ იკითხა: ელგუჯა ვაშაძე რომელია აქო.

— მე ვარ! — რატომღაც შეკრთა ელგუჯა.

— შენ ხარ? — იკითხა მოსულმა, თუმცა მაინცადამაინც არაფერი გაჰკვირვებია; ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა გრძელტრუსიანი სტუდენტი და უკვე შინაურულად ჰკითხა:

— ქართულს ჭიდაობდი შენ? — დიახ. — ვისთან.

— ჩაჩხიანთან... — წყნარად თქვა ელგუჯამ. დარწმუნებული იყო, ეს გვარი არაფერს ახალს არ იტყოდა.

— შალვასთან? — დიახ, შალვასთან. — რაიონის ჩემპიონი იყავი, მართლა? — კი, ერთხელ. — მერე მარტო ქართულს ჭიდაობდი?

— თავისუფალსაც, მაგრამ ფაქტიურად მარტო ქართულს, დრო არ მრჩებოდა...

ელგუჯას ახლაღა გაახსენდა, საბუთების შეტანისას განცხადებაში თავისი სპორტული დამსახურებაც რომ აღნიშნა. არც უფიქრია, ამ ამბავს თუ ვინმე. ყურადღებას მიაქცევდა.

— მაშინ ასე შევთანხმდეთ, — თქვა პატარა კაცმა, — დღეს საღამოს შვიდ საათზე მოხვალ საჭიდაო დარბაზში. ფიზკულტურის მეცადინეობისაგან განთავისუფლდები და სექციაზე ივლი, მოხვალ თუ არა?

ელგუჯამ ფიზკულტურის მასწავლებელს გადახედა, იფიქრა, არ ეწყინოსო, მაგრამ რა იცოდა, თუ მასწავლებელი ერთორ სტუდენტს კიდევ დაუსართებდა დიდი სიამოვნებით.

— დეკანატში შეთანხმებულია, ჩვენ შენს მოწყობაზეც გავისარჯეთ, რომ იცოდე. ამიტომ უნდა მოხვიდე! — მუქარით თქვა პატარა კაცმა; თაბახის ფურცლებზე, რომლებზედაც ალბათ სიები იყო ჩამოწერილი, რაღაც აღნიშნა და ისევე მოულოდნელად და შეუმჩნევლად გავიდა, როგორც გამოცხადდა.

სადილზე ელგუჯამ იმდღევანდელი ამბავი გაიხსენა და თქვა: სპორტდარბაზში უნდა წავიდეო.

— ახლა? — ჰკითხა ბიძამ. — შვიდ საათზე დამიბარეს...

— რა გეჭიდავება, ბიჭო, სწავლას მიხედე შენ! — გულგრილად ჩაილაპარაკა დეიდამ.

— სპორტი ძალიან კარგია, თუ მარჯვედ იქნები, არაფერს არ წააგებ, მხოლოდ წონა არ დაიკლო! — ურჩია ბიძამ, — ჩემი ბიძაშვილის შვილი, კარლო, შენ ხომ იცი? — მიუხედა ცოლს, — კალათბურთელი იყო და აღარაფერს ჭამდა, წონას ვიკლებო.

— ის, კაცო, ავად იყო! — აუხსნა ცოლმა.

— ვინ მოგახსენა! — ეწყინა ქმარს.

— ვიცი, ვიცი, არ ამხელდნენ თუ არა, ავად იყო.

— ახლა ეს მასწავლის, რა იყო და რა არა, წონას იკლებდა, გეუბნები...

— კარგი, მასე იყოს!

ელგუჯამ ვერაფერი ვერ გაიგო, კალათბურთელი რაღა წონას იკლებდა, მაგრამ ხმა არ გაუღია, უგულოდ ისადილა და წასასვლელად გაემზადა.

. საჭიდაო დარბაზში სიჩუმე სუფევდა. ყურებდასიებული, პატარა კაცი, რომელიც იმ ღილით ელგუჯას თავს დაესხა, და ერთი სქელი ადამიანი კუთხეში ისხდნენ და ძალზე სერიოზულად უყურებდნენ ერთმანეთს. ლეიბზე ორი საცოდავი მოჭიდავე ძიძგილაობდა. ღია კარიდან გასახდელში კიდევ რამდენიმე მოჭიდავე ჩანდა. — ელგუჯამ ფრთხილად შეათვალიერა იქაურობა და შემოსასვლელში გაჩერდა. პატარა კაცმა მოგვიანებით შეამჩნია, ცოტა ხანი უაზროდ უყურა და მერე ჰკითხა:

— რა გვარი სარ, შენ? — ვაშაძე.

— ეს არის, ჩემპიონი! — უთხრა მეორეს და სიაში ჩაიხედა.

მეორე კაცი პირველზე მაღალი და სქელი იყო. ყურები მასაც დასიებოდა, თუმცა ისე თვალსაჩინოდ არ ხვდებოდა კაცს თვალში.

— გინდა, ბიჭო, ჭიდაობა?! — იყვირა სქელმა მოულოდნელად.

დაბნეულმა ელგუჯამ მხრები აიჩეჩა მხოლოდ. სქელს ეგონა, შეეშინდაო.

— შალვასთან ჭიდაობდა თურმე, ჩაჩხიანთან... — აუხსნა პატარამ.

.

— ჩაჩხიანთან... — ჩაიცინა სქელმა და გვერდზე გაიხედა. მეორემაც გაიღიმა, მაგრამ თავი უცბად შეიკავა და სახედაღრეცილი მიაჩერდა კოლეგას.

— ჩვენთან თუ დარჩები, თავისუფალში უნდა ივარჯიშო, მარტო ქართულით შორს ვერ წახვალ... ცოტა აქ, — სქელმა მკლავი მოხარა და მთასავით ამობურცულ კუნთზე დაიხედა. — თუ ლაყედ იქენი, წასულია შენი საქმე... რომელ ფაკულტეტზე. ხარ?

— ფილოლოგიურზე.

— მით უმეტეს. ახლა მე იმას კი არ გასწავლი, გალახე ან მოკალი ვინმე-მეთქი, ისე გეუბნები, ვაჟკაცურად...

ელგუჯას გაუკვირდა, სქელმა რომ ჭკუის დარიგება დაუწყო და ადრე ნათქვამს გადაუხვია. მოჩხუბარი და ყალთაბანდი ეგონა და არც პატარა მოსჩვენებია ანგელოზად.

— ისე, თუ გული არ გიშვება, ნუ მოხვალ...

— ჭიდაობა სავალდებულო კი არაა... — დაუმატა პატარამ.

ელგუჯა სულ გაშტერდა.

— კვირაში სამჯერ მოდი, თუ გინდა; დღეს თავისუფალი სარ და სამშაბათს სამ საათზე გამოცხადდი, საჭიდაო ტანსაცმელი მოიტანე, თუ გაქვს, თუ არ გაქვს, იყიდე, ან ჩვენ გიშოვით ბოლოს და ბოლოს... ბატონი პავლე გავარჯიშებს!.. — დაამთავრა პატარამ და ამხანაგს გადახედა.

— ესე! — თავი დააქნია ბატონმა პავლემ.

ელგუჯამ წასვლა დააპირა, მაგრამ მწვრთნელები ისევ მიაჩერდნენ ერთმანეთს და დამშვიდობება ვერ გაბედა, ხელი არ შეეშალოთო. პატარამ ამასობაში სიმწრით ჩაიცინა.

“ — ეხ!.. — ამოიოხრა სქელმა და ხელები მაგიდაზე დააწყო. მოულოდნელად ორთავეს სიცილი აუტყდა. სქელი კინაღამ გაიგუდა.

— ასეა ცხოვრება! — თქვა მან და ძლივს დაწყნარდა.

ელგუჯა კუთხეში მიწყობილ ორფუთიან გირებს დასწვდა, ადგილზე მოსინჯა, შეათამაშა.

— მძიმეა!? — დაუყვირა სქელმა.

ელგუჯას ერთი გირი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— ნელა! — წვრილი ხმით გააფრთხილა პატარამ.

ელგუჯამ იგრძნო, როგორ წამოწითლდა სახეზე, ისევ დაიბარა, გირები მოიმარჯვა და თავისუფლად გამართა ორივე მკლავი.

— ესე! — მოეწონა ბატონ პავლეს. ეს ივარგებს, თუ ნამეტანი ჭკვიანი არ არისო, გაიფიქრა თან.

V

ელგუჯა მუყაითად, თითქოს გულმოსული, შეუდგა ვარჯიშს. მისი ჩემპიონობის ავად ხსენება ვერ მოინელა.

„მე ნამდვილი ჩემპიონი გავხდები ორ-სამ წელიწადში!“— იქადნებოდა იგი. მეცადინეობას არ აცდენდა. ყველაფერს დაჟინებით და ერთგულებით აკეთებდა. მწვრთნელი ახალი შეგირდის შეუპოვრობამ გადარია. ეყოფა თუ არა ძალა ბოლომდეო, ფიქრობდა. კმაყოფილი იყო, თუმცა მაინც ჩემპიონს ეძახდა.

ელგუჯა ხალიჩას და მოჭიდავეებს უფრო იოლად შეეგუა, ვიდრე თანაკურსელებს. ერთხელ თავისი თანაკურსელი თენგიზიც მოიყვანა. თენგიზს დამყოლი ხასიათი ჰქონდა და უარი არ უთქვამს, მაგრამ დიდი ვერაფერი შვილი მოჭიდავე გამოდგა. ერთ-ერთ წვრთნაზე კისერიც იღრძო და მთელი ერთი თვე კისერგაშეშებული დადიოდა. მშობლები შეშფოთდნენ. თენგიზის მამიდამ (სანახევროდ იმ ქალის გაზრდილი იყო) ელგუჯას რატომღაც რუსულად აუხსნა, მაგის ჩხუბი და ჭიდაობა ვის უნახავს, ისედაც სუსტი და რაქიტიანიაო.

თენგიზის მამიდა, რუსიკო ორმოცდაათ წელს უნდა ყოფილიყო გადაცილებული, თუმცა ხანი ეგრერიგად არ ეტყობოდა. გაუთხოვარი ქალი თმას ძალიან შავად იღებავდა და დღენიადაგ პაპიროსი ჰქონდა პირში გაჩრილი. გამხდარი, მაგრამ ცოცხალი და ენერგიული ადამიანი მთელი თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებას იცნობდა. გამომცემლობაში მუშაობდა. თვითონაც წერდა, ძირითადად თარგმნიდა და კარგი სახელითაც სარგებლობდა. იმ ოჯახში ელგუჯამ რამდენიმე ნამდვილი პოეტი გაიცნო. ამ ხალხს ყოველთვის სასოებით უყურებდა, მაგრამ რედაქციებსა და გამომცემლობებში გაწამებულ მგოსნებს არაამქვეყნიურობა სულ არ ეტყობოდათ და ელგუჯას გასაოცებლად, ღრუბლებშიაც არც ერთი არ დაფრინავდა. — ამ ოჯახის მასპინძელი ელგუჯას არასოდეს შუბლშეკრული არ უნახავს. პირიქით, ელგუჯას დანახვაზე ქალს სულ ეღიმებოდა, ხათრიანი და მორიდებული ბიჭის საქციელა მოსწონდა. თენგიზი მოურიდებლად ართმევდა მამიდას კინოს და თეატრის ფულს და თავისი მოხერხებით ტკბებოდა. "ქალი სხაპასხუპით არიგებდა ორივეს ჭკუას, მაგრამ თენგიზ არაფერი ესმოდა და თვალი სულ კარისაკენ ეჭირა.

იმ დღეს რუსიკოსთან მისი კარის მეზობელი დალი შელია შემოვიდა. პირდაპირ შემოაღო კარი და მერეღა მოიხათრა. ეტყობოდა, ბიჭებს არ ელოდა. შეჩერდა, გაიღიმა და სალამი თქვა. თენგიზმა თავი დახარა და სტუმარს ხელი ჩამოართვა, როგორ ბრძანდებითო, მოიკითხა.

— კარგად, გმადლობთ.. — უპასუხა დალიმ და საშინაო კაბის ზედა ღილი შეიკრა.

„აი, როგორი ყოფილა ეს ქალი შინ!“ — გაიფიქრა ელგუჯამ, თუმცა ამ აღმოჩენიდან არავითარი დასკვნა არ გაუკეთებია.

— მოდი, ჩემო ლამაზო, მოდი... — წყნარად დაუძახა რუსიკომ. იგი მაგიდასთან იჯდა და რაღაც ხელნაწერს ასწორებდა. დალი

გვერდით მიუჯდა. ხელი გადახვია და კარგა ხანს ეჩურჩულა.

— კარგი, კარგი... — უთხრა მასპინძელმა.

დალიმ გაიცინა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ეტყობოდა, ადრინდელი ნათქვამი გაიმეორა ხმადაბლა.

— გავიგე, ბოშო, რა დაგემართა! — წამოიძახა რუსიკომ.

დალი უცბად დადინჯდა და კართან ატუზულ ბიჭებს შეხედა უყურადღებოდ; შემდეგ სულ უმიზეზოდ გაიღიმა და რუსიკოს მეორე ოთახში გაჰყვა.

— წავედით ჩვენ, რუსიკო! — დაიძახა თენგიზმა. — რა გეჩქარებათ! — მოისმა ქალის ხმა.

„მართლა, რა ეჩქარებოდა!“ — ფიქრობდა ელგუჯა და მოწყენილი მიჰყვებოდა ამხანაგს.

— ვინ იყო ის ბიჭი? — ჰკითხა დალიმ რუსიკოს.

— თენგიზის ამხანაგია, ერთად სწავლობენ.

— შეუძლებელია.

— ცოტა უფროსია, გვიან მოწყობილა, ადრე ტყეში ყოფილა ყარაულად გადავარდნილი. აი, ნახე, ასეთებია... — რუსიკომ ტყემლის ყვავილისფერი, სიფრიფანა პერანგები ამოალაგა და ტახტზე გაშალა.

— რა კარგია! — თქვა დალიმ.

მეორე დღეს, ზუსტად იმავე დროს სამკითხველო დარბაზის კართან, უფრო სწორად, შიგ კარში, შეეფეთა დალი ელგუჯას. ელგუჯამ იფიქრა, მივესალმებიო, მაგრამ ქალს თავი არ აუწევია და დაიბნა; იმის მაგივრად, რომ გზა დაეთმო, ჯიქურ გაიარა, კარს გაედო შეუმჩნევლად, მაგრამ უზარმაზარმა კარმა რაღაც საშინელი ძიგძიგი და ზანზარი დაიწყო. დალიმ უნებურად აიხედა და დარბაზში შევიდა.

„კიდევ კარგი, ვერ მიცნო!“ — ფიქრობდა ელგუჯა.

თუ არცნობას სანატრელად მივიჩნევდით, ელგუჯას ბედთან დასაყვედრებელი არა უნდა ჰქონოდა რა, რადგან დალიმ იგი,

საერთოდ, ვერ იცნო, თუმცა მარტო იმ დღეს მესამედ შეხვდა.

ზამთარი მომდგარიყო კარს. თბილისში ციოდა. ადრე ღამდებოდა. საჭიდაო დარბაზის ჭერზე ერთადერთი, უსაშველოდ დიდი ნათურა ეკიდა. შუქი თვალს არ სჭრიდა, მაგრამ არც უსინათლობა იგრძნობოდა. დაღლილი ელგუჯა შუა ლეიბზე წამოჯდა. ჩაგმანულ, ჩარკინულ ფანჯარას და ჩამტვერილ ჩარჩოში ჩაბუდებულ სიბნელეს მიაშტერდა; მოეჩვენა, რომ გარეთ ჩამკვდარი, გაყინული და გაქვავებული ქალაქი დაინახა. დედამიწა მარადიულ ძილს მისცემოდა. მხოლოდ ცაზე არაამქვეყნიური მუსიკის ხმაზე სრბოდნენ პლანეტები, ტრიალებდნენ ერთი მიმართულებით ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ფონზე.

— დაგეძინა, ბიჭო!? — დაიყვირა ვიღაცამ.

ელგუჯა შეკრთა და დევისსადარ სულიერს მიაშტერდა უაზროდ. დევი თანდათან დაპატარავდა და ბატონ პავლეს დაემსგავსა. მწვრთნელი ფარდაგზე იწმენდდა ფეხებს და ლეიბზე შემოსვლას აპირებდა.

— რა იყო, რაზე ფიქრობ?.. ჭიდაობას ფიქრი და ფილოსოფია არ ჭირდება, დადექი ძირს!

— მე? — იკითხა ელგუჯამ, თუმცა უკვე კარგად იცოდა, ვისაც ელაპარაკებოდნენ.

— დიახ, თქვენ! ელგუჯამ გაიღიმა და ჩოქბჯენში დადგა. არ უყვარდა, როცა ამ ხნის კაცი ეჭიდავებოდა. უხერხულობისგან სად წასულიყო, არ იცოდა. ვაითუ ვერ წამაქციოსო, ეშინოდა, თუმცა ამ შიშის არავითარი. რეალური საფუძველი არ ჰქონია, მწვრთნელმა ხვნეშით ჩაიმუხლა და ელგუჯას ზურგზე ხელები დაადო; მარცხენა კეფაზე დააჭირა, მარჯვენა იღლიაში ამოუდო.

— არ უნდა მომიშვა აქამდე!

— მე მეგონა, წელში შემოდიოდით...

— გეგონა კარგია, გაამაგრე კისერი... ამაზე პრიმიტიული ილეთი აღარ არსებობს ქვეყანაზე...

. ელგუჯამ გაიჭირვა, მაგრამ თავი მაინც ვერ წამოსწია და შუბლით ხალიჩას მიეწება. მარჯვენა ხელი პარტნიორს მაჯაზე მოუჭირა, რაც შეეძლო. ამანაც არ უშველა, თუმცა მწვრთნელს ხელში სისხლი გაუჩერა. ბატონმა პავლემ სწრაფად ჩაახვია ფეხი ფეხში, „გასაღებით“ მხარი ამოიღო და წინ მიაწვა. შეგირდი ჯერ კისრით, მერე ორივე ბეჭით ხალიჩაზე გაასწორა. ლეიბზე გაგორებული ელგუჯა უმეტყველოდ იღიმებოდა, ასე იოლად როგორ მაქცევსო, უკვირდა და მაინც სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

უგუნებოდ გამოვიდა ელგუჯა დარბაზიდან. ძალიან გვიანი ეგონა და გაჩახჩახებული ვესტიბიულისა და ხალხის დანახვამ გააოცა, სითბოში, სინათლეში სულ არ იგრძნობოდა, რომ გარეთ ღამე და სიცივე იყო. ელგუჯამ საგულდაგულოდ მიათვალიერა იქაურობა; იქნებ დალი დავინახო სადმეო. ქალი ხშირად, მართლაც, ნანატრივით გაილანდებოდა, მაგრამ იმჯერად არსად ჩანდა. სამაგიეროდ, თენგიზი ეშვებოდა კიბეზე, თავჩაღუნული მოდიოდა, გვერდზე არ იხედებოდა. ელგუჯამ ხელი მოჰკიდა და შეაჩერა.

— წამოდი, დიმიტრისთან გავიაროთ! — უთხრა თენგიზი, მისალმების მაგივრად.

— რა მინდა დიმიტრისთან? — მუსიკას მოვუსმინოთ, აბა, აქ რას აკეთებ?

ელგუჯას აღარაფერი უთქვამს. დიმიტრისი ერიდებოდა, მაგრამ მარტოობას სტუმრობა სჯობდა აშკარად.

დიმიტრი შინ იყო. თენგიზი — ამას იგი იოლად ახერხებდა, — დიმიტრისთან გაშინაურებული იყო და არც მასპინძელი ყოფილა უცხვირპირო და უკარება, თუმცა ერთი შეხედვით, უარესიც გეგონებოდათ.

დიმიტრის ერთადერთ ოთახში, პატრონი რომ კაბინეტს ეძახდა, სითბო და სიმყუდროვე დახვდათ.

— უდროო დროს ხომ არ მოვედით? — იკითხა თენგიზმა.

— არა, შე უკვდავო, შემოდი!

— ამას ხომ იცნობ?

— როგორ არა, გაიხადეთ პალტოები!

მასპინძელი და სტუმრები მალე მილაგ-მოლაგდნენ და ოთახში სიჩუმე ჩამოდგა, თუმცა არავის უხერხულობა არ უგრძნია.

— დიმიტრი, როგორა ხარ, შე ძველო? — მკლავში ხელი მოჰკიდა თენგიზმა.

— კარგად, უკვდავო, სად დაიკარგე?

— აქა ვარ, რა... — ჩაილაპარაკა თენგიზმა და მაგიდაზე მიგდებული წიგნი გაშალა.

— პაპიროსს არ ეწევით ხომ არც ერთი? — იკითხა დიმიტრიმ და სიგარეტების ფერფლითა და ნამწვავებით სავსე საფერფლე გარეთ გაიტანა. ელგუჯამ პატარა, ძველებური ყაიდის ოთახი მოათვალიერა. ზევით კარნიზის შვერილები ჩანდა და ჭერზე ჭაღის ორნამენტიც იყო დარჩენილი. კედელზე ფანქრით დახატული დიმიტრის პორტრეტი და დიურერის გრავიურა ეკიდა. კუთხეში, დაბალ მაგიდაზე რადიომიმღები და ორი დიდი მაგნიტოფონი იდო. იქაურობა კი ფირფიტებითა და დახვეული ფირებით იყო გავსებული. დიმიტრის უმდიდრესი მუსიკალური ჩანაწერები ჰქონდა. მთელი ხელფასის ნახევარს ამ საქმეს ახმარდა და არც ნანობდა. კლასიკური და ულტრათანამედროვე მუსიკით იყო გატაცებული. მხოლოდ რჩეული მუსიკოსები ახერხებდნენ ამ ოთახში მოხვედრას. ბევრი აღიარებული ავტორიტეტი, განსაკუთრებით ქართველი კომპოზიტორები და, აქვე შეიძლება ითქვას, მწერლებიც, დიმიტრის სიცილის გუნებაზე აყენებდნენ. ქართული ხალხური სიმღერების გარდა, არაფერი მშობლიური არ სწამდა. ქართულ ხალხურ სიმღერებს კი თავს ევლებოდა, ახარისხებდა, ადარებდა ერთმანეთს, რაღაც ნიშნების მიხედვით ყოფდა და ამრავლებდა. თვითონ კი ბედს დაეჩაგრა. სმენა ჰქონდა თუ არა, ძნელი დასადგენი იყო, მაგრამ სიმღერა აშკარად არ იცოდა.

იმჟამად დიმიტრი ფიხტეს ერთ-ერთ ნაკლებადცნობილ შრომას, რომელსაც მუსიკასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, თარგმნიდა, კომენტარს უკეთებდა და ამ საქმიანობით იყო დაკავებული.

— ვანებებ პაპიროსს თავსო, არ თქვი შენ ამას წინეებზე? — იკითხა თენგიზმა, როცა მასპინძელმა სუფთა საფერფლე შემოიტანა და ახალ სიგარეტს მოუფშვნა თავი.

— ვთქვი, მაგრამ ვერ დავანებე.

— მოგკლავს ამდენი თუთუნი...

— ან მომკლავს, ან დამარჩენს, ორში ერთია, მაგრამ არც ისეა საქმე, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ. ხომ ყველა მეცნიერი და ფილოსოფოსი (ფილოსოფოსი რა შუაში იყო, სტუმრებმა ვერ გაიგეს) ამტკიცებს, თამბაქო მავნებელიაო. აგერ ნახავთ თქვენ, თუ ამის სიკარგეც არ გამოირკვევა. ვინ იცის, ნიკოტინმა რამდენ ბაცილას, მიკრობს და სენს მოუღო ბოლო და არავინ ჯერჯერობით არაფერი არ იცის...

— შეიძლება... — დაეთანხმა ელგუჯა სერიოზულად. — კიმოთე სად არის? — ღიმილით ჰკითხა დიმიტრიმ.

— ერთი თვეა, არ გამოჩენილა, შეიძლება სოფელში წავიდა.

— ეს კიმოთე რა არის, რა ტიპია. უკვდავია, რომ იცოდეთ; ვერ მოეწყო მაგ გაჭირვებული კიდევ, ხომ?

— ვერა. — საიდანაა კიმოთე, მარაბდიდან? — მანდიკორიდან.

— ისე, მარაბდიდან ჯობდა. კიმოთე მარაბდელი... თუმცა, შენც იქიდან ხარ, ხომ?

— კი, მეც იქიდან ვარ.

— მაშინ უკაცრავად!.. — გაეცინა დიმიტრის, — ნახე, როგორ მიყურებს? რა ხართ ეს მანდიკორელები, უნდა დაგვიპყროთ, ხომ? რა კარგები ხართ!.. შენ პირველი კაცი გახდები ხუთ წელიწადში, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა ,

ელგუჯამ ნაძალადევად გაიცინა, დიმიტრის თვალი მოარიდა,

თუმცა სადღაც ამ სიტყვებმაც ასიამოვნა.

— დიმიტრი, ელგუჯას ხათრით მოგვასმენინე რამე! — მოითხოვა თენგიზმა.

— კი, უკვდავო, დებიუსი გინდათ? — დავაი.

— იცით, ვინ არის დებიუსი? — ყველაფერი ვიცით, დიმიტრი ჩემო... — უკვდავი სარ და არ გჯერა...

დიმიტრიმ მაგნიტოფონი ააჩხაკუნა, ააშრიალა. ოთახში წყნარი, ტკბილი ჰანგები დაიფანტა. ელგუჯას ეგონა, მანდი.. კორში, მთვარიანში სერზე მაყრები თუ მღერიანო.

— დებიუსი არ გეგონოთ, ქართული სიმღერაა, ხულოს რაიონშია ახალი ჩაწერილი. რადიოკომიტეტში მომცეს, ძველთაძველი, ოთხხმიანი სიმღერაა. დააკვირდით კარგად: პირველი, მეორე, მოძახილი და ბანი. ბანი სულ სხვაგან მიდის. გაბმული ბანი კი არ არის, ნახე, როგორ იცვლება...

ძველთაძველი ხელხვავი ელგუჯას დაუსრულებელ, უთავო და უბოლოო რამედ მოეჩვენა, მაგრამ დიმიტრისა და თენგიზის აღტაცება გაიზიარა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს გაოცებულიც კი დარჩა. ამის შემდეგ კლასიკური მუსიკა დაუკრეს. ელგუჯა არც ამჯერად გადარეულა, თუმცა ხმა არ ამოუღია, უკმაყოფილება არაფრით გამოუხატავს და მოთმინებით მოისმინა ყველაფერი.

VI

ელგუჯას დეიდა და ბიძა უშვილოდ ბერდებოდნენ. ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებას მათ ხასიათზეც დაესვა დაღი. ბიძა უსამართლობის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბუნებით პატიოსანს ყველაფერზე გული მოსდიოდა და ნერვები ეშლებოდა. ვერაფრით ვერ აეხსნა, დღისით, მზისით რატომ ჰგვიდნენ ქუჩებს; რატომ დადიოდა გზებზე ამდენი მსუბუქი ავტომანქანა ერთდროულად და ახალგაზრდა, ქართველი ბიჭები რატომ ყიდდნენ ღერაღერა მწვანილს ბაზარში.

— ...როგორ არ უნდა გადაირიო. დგახარ ქუჩაში გადასასვლელთან, ყველგან ხომ არ არის ეს შუქნიშანი, ისე უნდა იყოს წესით, დგახარ, ელოდები, იცდი, ელოდები. მერე, როდის ჩამოთავდება, თუ იცი, ეს მანქანები?.. მოდიან მდინარესავით, კალაპოტში არ ეტევიან... და შენ მოქალაქე რომ ხარ, დგახარ და ქუჩის მეორე მხარეს ვერ გადასულხარ... აქ დაბადებულმა, აქ გაზრდილმა კაცმა ჩემს ქალაქში ქუჩა ვერ უნდა გადავიარო?.. რა

არის ეს, საქმეა ახლა ეს, მითხარი შენ?!.

— შალვა თანდათან უწევდა ხმას და ბოლოს ენაც ებმოდა.

„ეს კაცი ასე დიდხანს ვერ იცოცხლებს!“ — ფიქრობდა ელგუჯა.

შალვას საერთოდაც ეშინოდა ქუჩის ორომტრიალის. დარწმუნებული არ იყო, რომ ვიღაც გიჟი საგანგებოდ არ დააჯახებდა მანქანას. მაშინაც კი, როცა შუქნიშანი გზას ჩაკეტავდა და მოძრაობა შეწყდებოდა, შალვა შიშით კვდებოდა და თავდებოდა. ვინ დააჯერებდა, რომ თეთრ ხაზს მომდგარი მანქანების მძღოლები შუქს და ნიშანს დაგიდევდნენ. ერთხელაც იქნებოდა და რომელიმე პირდაპირ ქვეითად მავალ მოქალაქეებში გარგავდა ცხვირს. გადასასვლელთან მდგარ შალვას.თავგზა ებნეოდა ხოლმე. თუ ბევრი ხალხი იყო, კიდევ ჰო,. თუ არადა, დაფეთებული გარბოდა მეორე მხარეს. საკვირველი ის იყო, რომ ადრე ასე შიშით და ძრწოლით არ დადიოდა გზა-შარებზე. თანდათან, დღითი დღე უცხოველდებოდა ქუჩის შიში. მოედნის დანახვაზე ხომ სულ კანკალებდა. თავბრუ ესხმოდა, როცა წრეზე მოტრიალე მანქანების ჯარას აკვირდებოდა. განაკიდეს დადგებოდა ხოლმე და შიშით შეჰყურებდა თავზარდამცემ სივრცეს. მოედანი მისთვის უკანონობისა და ამაოების ბაზარი იყო, სადაც არ არსებობდა არავითარი გაგება, არავითარი მიხვედრა და შებრალება.

ელგუჯას დეიდაც ნერვიული ქალი იყო. ელგუჯას დაკვირვებით, ხშირად სამართლიანად, თუმცა უშედეგოდ ეჩხუბებოდა მეზობლებს, ქმარი თითქოს დაჯაბნილი ჰყავდა, მაგრამ მაინც მეუღლის ხასიათისა და ახირებული წეს-ჩვევის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.

ელგუჯას უჭირდა სადილზე დაგვიანება ან ღამით შინ მოსვლა. შუაღამემდე რომ შეყოვნებულიყო, სახლში ელოდნენ, არ იძინებდნენ. ბიძა არაფერს ამბობდა, მაგრამ ელგუჯა ერთ სიკვდილს ათავებდა, მერე დაუფარავად, დაწვრილებით ჰყვებოდა,

სად იყო, ვისთან იყო, სად შეყოვნდა და სად შეგვიანდა. დაწოლისას დეიდა ჩურჩულით აფრთხილებდა, ბიძაშენს ნუ გააბრაზებ, ხომ იცი, როგორი კაცია, წესი და რიგი უყვარსო. გააწამა სხვაც და თავისი თავიც, ვეღარ ხვდება, ახლა რომ სხვა დროაო.

ელგუჯას უყვარდა დეიდა, ალბათ, ბიძაც, მაგრამ ამ სახლში გაჩერებაც აღარ შეეძლო და ოთახის დაქირავება გადაწყვიტა. მართალია, თომა სოფლიდან სურსათ-სანოვაგეს და ფულსაც უგზავნიდა, მაგრამ ყველაფერთან ერთად, ეგონა, ამ ხელმოკლე ოჯახს ზედმეტ ტვირთად ვაწვებიო.

დეიდას სულაც არ უნდოდა დისშვილის მოშორება, თუმცა ხვდებოდა, რომ ასე უკეთესი იყო. სტუმარი, თუნდაც ძალიან შინაური, მეუღლისათვის მაინც უცხო იყო და ოჯახის უფროსი ძალაუნებურად თავისუფლებას კარგავდა. ხანდახან უცხოსავით შემოდიოდა შინ. ქალი ამას გრძნობდა და ელგუჯას მაინცადამაინც დიდ წინააღმდეგობას აღარ უწევდა. თავს იქით იიმედებდა, სადაც უნდა დადგეს, ხშირად მივაკითხავ და თვითონაც ყოველდღე სადილად აქ ამოვაო.

— ... კი მაგრამ, რას იტყვის, ბიჭო, მამაშენი, ამ ამბავს რომ გაიგებს?! — კითხულობდა გაკვირვებული დეიდა.

— მამაჩემი არაფერს არ იტყვის... — ამშვიდებდა ელგუჯა.

ელგუჯამ გაჭირვებით იშოვა პატარა ოთახი ვაკეში, პარკთან ახლოს სახლის პატრონს ამ ადგილას ადრე თურმე საკუთარი ეზო და ქოხი ჰქონდა. ამხანაგობას ოთხსართულიანი სახლი აეგო და დანგრეული ქოხის საზღაურად კერძო მობინადრისათვის მშვენიერი ბინა მიეცათ.

სესე მაინც თავის გატიალებულ მამულს მისტიროდა. ეზოში მაღლარი ვენახი და ხეხილი მქონდაო. დაკარგული მიწის ჯავრი მიჰყვებოდა სამარეში. რა მოეთოხნა, რა დაებარა, არ იცოდა. ერთადერთი, ობოლი ვაზი ქუჩაში ტროტუართან დაერგო, ვაზის ძირი შემოერაგვა და ქვევიდან მეოთხე სართულამდე მავთული

გაეჭიმა, იმ ვარაუდით, რომ ორ-სამ წელიწადში ვენახი აივანზე ამოვა და გაიხარებს, მოსავალსაც მომცემსო. სესე დილა-საღამოს რწყავდა ვაზს. იზაბელას ნერგი მართლაც სწრაფად იზრდებოდა და სუროსავით მიჰყვებოდა მავთულს.

ელგუჯას ოთახში თაგვი კუდს თუ მოიქნევდა. სამაგიეროდ, მზიანი იყო და ფანჯარაც სუფთა, მყუდრო ქუჩას დაჰყურებდა. მაღალი, ფართო სარკმელი იატაკთან იყო გაპირდაპირებული. ეტყობოდა, კარბა აივნის კარისათვის იყო განკუთვნილი და რაღაი აივანი არ გაკეთდა, ფანჯარა ჩასვეს.

თვით ოთახიც უცნაურად იყო გამოყვანილი. ალბათ, თავდაპირველად სახლზე სხვა რამის, შეიძლება საკუჭნაოს, მიშენებას აპირებდნენ. ასე იყო თუ ისე, ეს მერცხლის ბუდე ელგუჯას ძალიან მოეწონა. ოთახში იდგა მხოლოდ საწოლი, წიგნების კარადა, დაბალი და უსაშველოდ ფართო ტუმბო თუ განჯინა სურსათ-სანოვაგისათვის. ამ ტუმბოს მაგიდადაც თავისუფლად გამოიყენებდა მოხერხებული ადამიანი და ბოლოს ასეც მოხდა. სამაგიეროდ, მასპინძლებს მაგიდა აღარ უძებნიათ, მდგმური შემდეგისათვის შეიპირეს და ერთი სკამი შემოუგზავნეს კომპენსაციისათვის.

მეპატრონეებს ორი შვილი ჰყავდათ. საკმაოდ შეუხედავი ქალიშვილი რომელიღაც ტექნიკუმში სწავლობდა. ვაჟი ჯარში ყოფილიყო გაწვეული და ელგუჯამ მასპინძლის მემკვიდრის ნახვა მხოლოდ ფოტოსურათებით მოახერხა. დედა, მამა და ქალიშვილი გამხდრები და მაღლები იყვნენ. თუ ოჯახური გენეტიკითა და ფოტოსურათებით ვიმსჯელებდით, არც ჯარში გაწვეული ბიჭი იქნებოდა დაკოინებული.

დედა და ქალიშვილი უაღრესად ცნობისმოყვარე ადამიანები აღმოჩნდნენ. როგორც კი ელგუჯა კარს გაიხურავდა და სადმე წავიდოდა, ქალები იმწამსვე ოთახში შეცვივდებოდნენ. მართალია, ოთახსაც ალაგებდნენ, მაგრამ სიამოვნებით ამოქექავდნენ

ხოლმე ჩემოდანს, წიგნებს, სურათების ალბომს, რომელიც ელგუჯამ სოფლიდან წამოიღო და სხვა უფრო უსარგებლო ნივთებსაც. — ელგუჯამ რამდენჯერმე შეამჩნია, რომ მანდიკორიდან მიღებულ წერილებს ვიღაც ხსნიდა და აწებებდა ოსტატურად. დაკარგვით არაფერი იკარგებოდა. წიგნი რაა, წიგნიც კი, არც დროებით, არც სამუდამოდ, ოთახიდან არ გასულა. ესეცაა: დედა და შვილი წიგნებთან ცოტა მწყრალად გახლდნენ. სამაგიეროდ, ქალიშვილი ხატავდა. უფრო ფერადი ფანქრები მუშაობდა და ზეთის საღებავებსაც ხმარობდა. დედა შვილის ოსტატობით ტკბებოდა და აღტაცებას სხვასაც უზიარებდა. მშვენივრად ხატავს, მაგრამ რად გინდა, არ ამხელს, თავისი თავის მტერიაო. გოგო ამ დროს მორცხვად იჭყანებოდა და თითებს იგრეხდა.

ოჯახის უფროსს, სესეს, რომელსაც აბსოლუტურად არ აინტერესებდა, რას აკეთებდა მისი მდგმური, სად სწავლობდა, ვისთან მეგობრობდა, ერთი უცნაური ზნე სჭირდა. მდგმურის შინ არყოფნის დროს, გაქირავებულ ოთახში შედიოდა და ელგუჯას საწოლზე კოტრიალობდა. სანამ ელგუჯა ერთხელ მძინარე სესეს თავს არ წაადგა, მან ვერაფერი ვერ ივარაუდა, რა სულიერი გორავდა მის ქვეშაგებში. ამის შემდეგ გასაღებს თან ატარებდა. ერთი-ორჯერ შეატყო, რომ კარი მისი გასაღების გარეშეც გაღებულიყო, თუმცა თარეშსა და რბევას რამდენადმე მაინც ბოლო მოეღო."

იანვრის სესიები მოახლოვდა. სტუდენტებმა ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს მეცადინეობა. ელგუჯას ამხანაგი ბიჭები ქალიშვილებთან ერთად ამზადებდნენ საგნებს. უფრო ხშირად ბელასთან იყრიდნენ თავს. ელგუჯასაც მათთან უნდოდა ყოფნა, მაგრამ ვერ ბედავდა, ფიქრობდა, მასპინძლებს თვალში ეკლად შევესობიო. შეიძლება სწორადაც მსჯელობდა, თუმცა ბელა ახლა სულ არ გაურბოდა და თითქოს სხვაზე უკეთესი თვალითაც კი უყურებდა. ასე იყო თუ ისე, ელგუჯას არც უც(დია ბელას სალონში მოხვედრა და კენტად დარჩა, მარტოდმარტო შეუდგა მეცადინეობას. პატარა

ოთახში ციოდა. ხანდახან რადიატორიც გაიყინებოდა და საწოლ-ში მოკუნტული, საბანწამოხურული სტუდენტი აკანკალებული ამუშავებდა კონსპექტებს, — იმ დღეს დილიდან მშიერი კითხ-ულობდა წიგნს. სოფლიდან ჩამოტანილი თაფლიც გაუთავდა და უკანასკნელი მანეთიანიც შემოეხარჯა. ხახვი რაა, ხახვის ერთი ბოლქვიც კი არ ეგდო სადმე. დეიდასთან ასვლა ეზარებოდა, თუმცა არასვლით უფრო შავდებოდა საქმე, რადგან ერთი კვირა იქით არ გაეხედა და ქალი გაჯავრებული ჩამოაკითხავდა, სადაც იყო.

ხუთ საათამდე გაუძლო შიმშილს ელგუჯამ. როცა ნახა, რომ შესაღამოვდა და ბინდიც ჩამოწვა, წამოდგომა იკადრა. ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. დეკემბრის ცივი ქარი უბერავდა. ჯიბეში გახ-ვრეტილი შაურიანი ვერ იპოვა, ტრამვაიში რომ ჩამჯდარიყო. სი-არულში გათბა, გახურდა და მგლის მადაზეც დადგა. იფიქრა, იფიქრა და კიმოთესთან წასვლა გადაწყვიტა.

კიმოთეს საკუთარი, მშობლების მიერ ოდესღაც შეძენილი, პატარა, ბნელი ოთახი ჰქონდა ვერაზე, ორი ძველი ქუჩის გასა-ყართან. ელგუჯას გასაოცებლად, მასპინძელი შინ აღმოჩნდა. სიბნელეში და თამბაქოს ბოლში ძლივს გაარჩია ელექტრონის ღუმელზე გადამჯდარი ადამიანი. ნაკვერჩხალივით გაღვივებუ-ლი სპირალი სიგარეტის ფერფლით იყო შელამაზებული. კიმო-თემ წიგნი გვერდზე გადადო და სტუმარს შეეგება. ელგუჯამ ელექტრონის ღუმელს მიაფიცხა გათოშილი ხელები, შემდეგ პალტო გაიხადა და ტახტზე დაჯდა.

— რას კითხულობ ამ სიბნელეში, აანთე სინათლე...

— დაღამდა? რა მალე ბინდდება, არა?.. — იკითხა გაოცებულმა კიმოთემ და შუქი აანთო.

ოთახში მუხის მძიმე მაგიდა, ძველებური, დაბალი ტასტი და უზარმაზარი გარდერობი იდგა. ელგუჯას და, როგორც შემდეგ გა-

მოირკვა, სხვებსაც სულ უკვირდათ, როგორ შემოიტანეს ამ სოროში ამოდენა კარადა. კიმოთე ამბობდა, გადმოცემით ვიცი, გარდერობი აქ მდგარა, როცა ოთახი გაუტიხრავთო. შეიძლება, მართლაც ასე იყო. კიმოთეს მშობლებს კი ოთასი ნამდვილად გარდერობიანად ჰქონდათ შეძენილი,

— საჭმელი არაფერი გაქვს? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ელგუჯამ.

— გშია? — დაინტერესდა კიმოთე.

— ერთი კვირაა მამაჩემს ფული გადმოგზავნილი აქვს და ჯერაც არ მიმიღია...

— მიიღებ, ნუ გეშინია, იცის ასე შეგვიანება... — ანუგეშა კიმოთემ.

ელგუჯა კედელს ზურგით მიაწვა და უიმედოდ შეათვალიერა იქაურობა.

— კარაქი, პური და შაქარი მაქვს, თუ გინდა, ჩაი ავადუღოთ... — ამოშაქრა როგორც იქნა კიმოთემ.

— ჩაი არ მინდა.

კიმოთემ გარდერობის კარი გამოაღო, საშაქრე და საკარაქე გამოიტანა, მერე ისევ უკან შებრუნდა, ტანსაცმელი მისწიმოსწია, გარდერობში შეძვრა და თავფეხიანად შეიმალა შიგ.

— სამი ცალი კვერცხია! — მოისმა საიდანღაც ჩაგუდული ხმა.

— მოიტანე, თუ რამეა!

კიმოთე გარდერობიდან გამოვიდა, შარვალზე, მიკრული ბამბები მოიშორა და კვერცხები მაგიდაზე დაალაგა ფრთხილად,

— სამი ცალი შენ არ გეყოფა და, მართალია თუ გინდა, მეც უჭმელი ვარ.. დანაც ნახე, რა პატარებია!

— საბუდარია შიგ? — იკითხა გუნება-გამოკეთებულმა ელგუჯამ.

— საბუდარი კარგი გამახსენე... ამ სახლის პატრონს სარდაფში ქათმები ჰყავს, წავალ და კვერცხი თუ ვნახე, მივიპარავ...

— არ გინდა, თავი დაანებე! — შეწუხდა ელგუჯა.

— შენ მაცალე, შემჭამა მაგის ქათმებმა მაინც, მოსვენება აღარა მაქვს...

კიმოთემ დიდი, ნაბდის ქეჩები წაიძრო, ძველ ფეხსაცმელებში ფეხი ჩადგა და ხელების ფშვნეტითა და სტვენით ჩავიდა ქვევით. ცოტა ხნის შემდეგ ღიღინით ამობრუნდა უკანვე და ჯიბიდან ორი კვერცხი ამოაგორა.

— ერთი დედალი საბუდარში ზის და ბარემ იმასაც დაველოდოთ...

ელგუჯას ენერგიული პროტესტის მიუხედავად, კიმოთე ქუსლჩათელილი ფეხსაცმელების ფხოკიალით სამჯერ ჩარახუნდა ძირს და მაინც ხელცარიელი დაბრუნდა. ნაბდის ქეჩები ჩაიცვა კვლავ და თქვა: მე მგონი, უკვე ეჭვი აიღეს, დაბლა ჩასვლა სახიფათოა, თანაც ის დედალი მოკრუხებული უნდა იყოს და კვერცხს რაღას დადებსო...

— შენ, ბიჭო, მართლა მოგწონს ის ქალი? — შუა ჭამის დროს მოულოდნელად იკითხა კიმოთემ.

— ვინ ქალი? — გაოცდა ელგუჯა.

— იცი შენ, ვისზედაც გელაპარაკები... — კიმოთემ წყალი მოსვა და ტუჩები ხელსახოცით შეიმშრალა, — ისე, ქალად ქალი ნამდვილად კარგია, მაგრამ მე რომ ვაკვირდები, ისეთიც არაფერია, თუმცა ქვეყანა კი გიჟდება... შეიძლება მე ვცდები კიდევაც. ისე, მე რომ შენ ადგილზე ვიყვე, ხელიდან არ გავუშვებდი... იმიტომ კი არა, რომ აპოლონი ვარ.. ქალისათვის სილამაზეს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა...

— აბა?

— მთავარია სურვილი, ნდომა... ცოტა შნოცაა, რასაკვირველია, საჭირო, ფულიც საჭიროა, მოთმინებაც, მაგრამ როგორც გითხარი და გიმეორებ, მთავარი მაინც სურვილია,.. ცოტა რაღაც გამეგება ამ საქმეში. საერთოდ, კიმოთეს ნუ მეძახი..

— აბა, რა დაგიძახო? — კიმი, გინდა კიმა, სულ ერთია... — როცა მარტო ვართ, მაშინ კიმოთეს დაგიძახებ...

— მაშინ შეიძლება, მაგრამ თქვი ეს კიმაა თუ კიმი, ფულს ხომ არ გთხოვს ვინმე!..

VII

პროფესორ ალექსანდრე შელიას სამი ქალიშვილი ჰყავდა: ვენერა, მზექალა და დალი. მზექალა ადრე გათხოვდა და ქმარი შოთა გაბუნია ზედსიძედ შემოვიდა პროფესორის ოჯახში. შოთა თავდაპირველად გზასაცდენილი, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდის რეპუტაციით სარგებლობდა, თუმცა დაქორწინების შემდეგ გზა აღარ გამრუდებია. პირიქით, პედანტურად, პუნქტუალურად, თანმიმდევრულად მიიწევდა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მამას და დედას ეძახდა სიდედრს და სიმამრს, აქტიურად ერეოდა წვრილმან, საოჯახო საქმეებში, ცოლისდებსაც მფარველობდა მისი ასაკისათვის შეუფერებელი სიდინჯით. მიუხედავად ამისა, დალი მოულოდნელად თვითნებურად გაჰყვა ბადრი კილაძეს და მშობლებისა და სიძის გულისწყრომაც დაიმსახურა, ოჯახმა პირველ ხანს თითქოს ერთიანად მოიკვეთა უმცროსი ქალიშვილი. მართალია, შინაური კონფლიქტი არც გართულებულა, არც გაღრმავებულა, პირიქით,

მაცხრა და მიჩუმდა, მაგრამ შელიების ოჯახის წევრები ვერაფრით ახალ სიძეს ვერ შეეთვისნენ. ერთი წლის თავზე კი, ბადრის დაპატიმრების დღიდან, დალი მარტო დარჩა ქმრის ბინაში და უფროსი, გაუთხოვარი და ვენერა დალისთან გადაბარგდა. ძველ ბინაში დარჩნენ მშობლები, შუათანა ქალიშვილი, სიძე და გოგონები — მაკა და ხათუნა, ერთმანეთის მიყოლებით რომ გააჩინა მზექალამ, ოთხი თუ ხუთი წლის წინ.

ელგუჯას შეტყობით, ვენერა არც ისეთი ხნიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქალი, ჩანდა, გარეგნობაზე ნაკლებად ზრუნავდა. შეჭაღარავებულ თმას აღარ იღებავდა, არც წარბ-წამწამი ჰქონდა შეფერადებული. ალბათ გათხოვების იმედი დაკარგა და კოპწიაობასაც მოეშვა საბოლოოდ. იგი ჭირვეული, ნერვიული ქალი იყო. ხანდახან სულ ტყუილუბრალოდ ახირდებოდა. დალი ყოველთვის უთმობდა. როცა ცამდე მართალი იყო, მაშინაც უკან იხევდა. იმ ქალს, რომელიც მხოლოდ უმცროსი, განებივრებული დის ცხოვრებით და სიყვარულით ცხოვრობდა, სიტყვას რომ შეუბრუნებდა, იმაზედაც გული სწყდებოდა, და მაინც ზოგჯერ დაუზოგავად წაეკიდებოდნენ ერთმანეთს. იმ დილითაც წაკინკლავდნენ. მხოლოდ შენზე ფიქრობ, საკუთარი თავის გარდა არავინ გახსოვსო, შვილი ამიტომ არ იყოლიეო, უთხრა ვენერამ. დალიმ რვეულებს ხელი დახვია, ჩანთაში ჩაალაგა, პალტო ჩაიცვა და წავიდა. ვენერას ეგონა, ძალით გავახელეო და უფრო ანერვიულდა. დალი კი დაზე არ ბრაზობდა. მჩატედ მიაბიჯებდა ქუჩაში, მაგრამ გაბრუებულივით იყო და ნაცნობებსაც ვერ ამჩნევდა. „მართლა ჩემი თავის გარდა არავინ მახსოვს?“ — ფიქრობდა იგი. უცბად მოეჩვენა, რომ არავინ არ უყვარდა. „შვილი არ იყოლიეო, არ ვიყოლიე კი არა, არ მეყოლა.. მართალია, არც. მინდოდა თავდაპირველად, სწავლაში ხელი შემეშლება-მეთქი, მაგრამ შემდეგ ასე გამოვიდა... შეიძლება ადამიანს არავინ არ უყვარდეს?... ეს ხომ საშინელებაა... რა აზრი აქვს და ასეთ ცხოვრებას?

თუმცა ვინ იცის, იქნებ უკეთესიცაა... მერე ვინ ითქვა, რომ ქმარი არ მიყვარს... ვის შეუძლია ამის დამტკიცება. მიყვარს თუ არა?.“ — დალი გამოერკვა, ვიღაცას მიესალმა და ინსტიტუტშიც შევიდა. იგი კვირაში სამჯერ, ხან კი ყოველდღე მოდიოდა ამ შენობაში. ელგუჯამ ზუსტად იცოდა მისი მოსვლა-წასვლის განრიგი და დროს უქმად არ კარგავდა. დერეფანში, კიბეზე, გასასვლელ-გამოსასვლელში იკავებდა ხელსაყრელ ადგილს; ხშირად თავაზიანად უთმობდა გზას, მაგრამ ამ მონდომებას შედეგი არ მოჰქონდა. დალი ვერ ამჩნევდა. ხანდახან შეავლებდა თვალს, თუმცა იმ მრავალრიცხოვანი სტუდენტებისაგან, სულ იმ ადგილებში რომ ტრიალებდნენ, არაფრით ასხვავებდა. დალი ახლაც ერთი წამით შეჩერდა, კედელზე გაკრულ ცხრილს გააყოლა თითი, დაფიქრდა, გუნებაში რაღაც გაიანგარიშა, წავიდა და ნაცნობი სუნამოს სუნი დატოვა. ელგუჯა მიხვდა, რომ იგი მიდიოდა სამკითხველოში, საიდანაც საათობით არ გამოდიოდა. ცდას აზრი აღარ ჰქონდა, ზარიც დაირეკა; ზევით ასვლა დააპირა და ნაცნობი ქალი დაინახა, რომელიც მას მანდიკორში ასწავლიდა. გერმანულ ენას რამდენიმე წლის წინ. სახელად ლამარა ერქვა, გვარი ვერ გაიხსენა. ის კი არა, პირველად ვერც იცნო. ქალი დასრულებულიყო, ფეხები დასქელებოდა თითქოს. თმა უცნაურად ჰქონდა ავარცხნილი, ხელში იმოდენა ჩანთა ეჭირა, რომ ბაზრიდან დაბრუნებული დიასახლისი ეგონებოდა ადამიანს. სულ სხვანაირი იყო, როცა მანდიკორში ამოვიდა. შემოდგომის წვიმიანი დღე იყო. ყელამდე შეკრული, შავი, ვიწრო საწვიმარი ეცვა, რომელიც ტანზე კარგად მორგებოდა და მაღალ მკერდსა და სავსე თეძოებსაც უხდებოდა. ხელში ეჭირა ქოლგა, თუმცა წაბლისფერი თმა და ცალი ლოყა მაინც დასველებოდა. სკოლის აივანზე იდგა და სოფლისაკენ იყურებოდა, შუკაში გლესი წითელ ხარებს მოუძღოდა. ჩოჩიალა, ფრჩხილებიანი ურემი აყალო მიწას ალიანდაგებდა.

ახალმა მასწავლებელმა ყველა იქაური ქალი დაჩრდილა.

სოფლის დონ ჟუანები, განსაკუთრებით ერთი, რომელსაც მახლობელ ქალაქში „ერმილე მანდიკორსკის“ ეძახდნენ, იერიშზე გადავიდნენ. ქალი თავდაჭერილად, თავისუფლად იცავდა თავს და თვით „ერმილე მანდიკორსკიც“ კი ვერაფერს გახდა.

ელგუჯა სხვებთან, მით უმეტეს ერმილესთან, ქალაქში რომ მაღაზიის გამგედ მუშაობდა, რა გამოსაჩენი იყო, მაგრამ მასწავლებელი შეიძლება სხვაზე მეტად და ღირსეულად სწორედ მას მოეწონა. ქალის დანახვაზე ჭკუას კარგავდა, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მასწავლებელი, რომელიც მეზობელთან იდგა მდგმურად, ვერაფერს ხვდებოდა.

შუადღე იყო. ელგუჯა მეზობლის ეზოში ნაჯახს ეძებდა. ოდიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. შინ არავინ უნდა ყოფილიყო წესით. კალოზე ინდაურები დაჩერჩეტობდნენ მხოლოდ. საჩეხში გაგორებული, სიცხისაგან შეწუხებული ნაგაზი ელგუჯას უაზროდ მისჩერებოდა. სამზადის სახლთან ჯირკზე დასობილი ნაჯახი ელავდა. ელგუჯა ტარს აწვებოდა და ნაჯახის ჯირკიდან ამოგდებას აპირებდა, როცა წყლის შხაპუნი გაიგონა. დაუფიქრებლად შეიხედა სამზადი სახლის კედლის ბზარში და სველი სოხანე და გერმანულის მასწავლებელი დაინახა. მასწავლებელს სკამზე სპილენძის უზარმაზარი ტაშტი იდგა და თავს იბანდა. თავდახრილი დამხობოდა წითელ ტაშტს. ჩამოშლილი თმა წყალში ჰქონდა ჩაყრილი. ელგუჯა ბამბასავით თეთრ ზურგს და მხრებს მიაშტერდა მონუსხულივით, ქალმა თითქოს რაღაც იგრძნო, წელში გაიმართა და წამსვე მკერდზე ორი თეთრი მთა აიბურცა. მასწავლებელმა იმა გაიქაჩა, მუჭში გაწურა, კედელს მიაჩერდა საეჭვოდ. ფერდაკარგული, რეტდასხმული ელგუჯა სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას, თუმცა ნაჯახის წაღება არ დავიწყებია.

ზუსტად წლისთავზე, ნოემბრის არდადეგებზე ქალი შინ წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. თქვეს: გათხოვდა, მოიტაცესო.

ვის წაჰყვა, ვინ მოიტაცა, ვერავინ გაიგო. „ერმილე მანდიკორსკი“ იმ დღეებში თავგატეხილი ამოვიდა ქალაქიდან. რა მონაწილეობა მიიღო იმ ისტორიაში, გაურკვეველი დარჩა. სოფელს ბევრი არაფერი დასტყობია. გერმანულის საათები კვლავ ქიმიის მასწავლებელს გადააბარეს და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა.

გერმანულის მასწავლებელი, რომელსაც ძველი ეშხი და პეწი დაჰკარგვოდა, თუ არც არასოდეს არ ჰქონია, ელგუჯა კიდევ რამდენჯერმე დაინახა თბილისში და რატომღაც ყოველთვის თვალი აარიდა.

VIII

ასე უინტერესო და უშედეგოდ ჩაიარა თითქმის ერთმა წელმა. არაფერი. ღირსსახსოვარი არ სდებოდა, არაფერი თვალში საცემი არ იცვლებოდა. დღე დღეს მიჰყვებოდა; თენდებოდა და ღამდებოდა. დრო, როგორც ყოველთვის, სწრაფად მიდიოდა. დრო არაფერს ანგარიშს არ უწევდა, ყველაფერს ასწორებდა და ათანაბრებდა. ზაფხულის გამოცდები ისე მოახლოვდა, ელგუჯამ უკან მოხედვა ვერ მოასწრო. ლექციები შეწყდა. უმაღლესი სასწავლებლის დერეფნები თითქმის დაცარიელდა, პირველი გამოცდა ელგუჯას ჯგუფს მთავარი კორპუსის მესამე სართულზე დაუნიშნეს, აუდიტორიის, კართან აცრემლებული გოგონები იდგნენ, მაღალი ნიშანი ბევრმა ვერ მიიღო და ზოგიერთი ჩაიჭრა კიდეც. სკოლაში თავგასულ, ზამთრის სესიებზე იოლად ფონს გასულ გოგონებს ოთხიანი შეურაცხყოფა ეგონათ. ყველა ამტკიცებდა:

ვიცოდი, მაგრამ ლექტორმა ნიშანი დამაკლოო. გამომცდელს ისე აგინებდნენ, თითქოს აუდიტორიაში ურჩხული იჯდა და სამ

კითხვაზე ვინც პასუხს ვერ გასცემდა, შავი დღე ელოდა.

ელგუჯა ფრთხილად შევიდა ოთახში. სიცხისაგან გათანგული ლექტორი ხალისიანად შეეგება, დიდი ცხვირსახოცი, რომლითაც სახეს ინიავებდა ჯიბეში ჩაიდო და სტუდენტი მერხზე, დასვა.

— რა გვარი ხართ, თქვენ? — ვაშაძე. — ბილეთს მე მოგცემ, თუ მენდობი.

ელგუჯა დათანხმდა, მაგრამ თვითონ ლექტორმა გადაიფიქრა. ცუდი ბილეთი შეგხვდება და მე დამაბრალებ ყველაფერსო. ელგუჯა დაიბნა და ძლივს მოახერხა ერთი ქაღალდის აღება.

— გამოცვალე, თუ გინდა! — ჩააცივდა გამომცდელი.

ელგუჯას თვალები აუჭრელდა, დაწერილი ვერ წაიკითხა და კინაღამ შეცდა, ბილეთი კინაღამ დააბრუნა. შემდეგ მიხვდა, ბილეთი რომ შეხვდა და შვებით ამოისუნთქა. მოსაფიქრებლად დაჯდა თუ არა, ყველაფერი დაავიწყდა, ცივმა ოფლმა დაასხა. ზევით აიხედა, თვალები ჭერს მიაბჯინა, თითქოს რაღაცას იხსენებდა და ვერც იხსენებდა.

წინ, ერთი მერხის ჩაგდებით, ორი გასაცოდავებული ქალიშვილი იჯდა. ლექტორი ხუმრობდა და ქალებს იოლ კითხვებს აძლევდა. ქალები მაინც შფოთავდნენ. ლექტორი ოხრავდა და მატრიკულში ნიშნებს აფორმებდა. ერთი გოგო შეშინებული მისჩერებოდა შიგ ხელებში, თან ლაპარაკობდა, თუმცა კარგად ხვდებოდა, რომ მის პასუხს აწი აზრი აღარ ჰქონდა.

— განაგრძე, გენაცვალე, მე რას მიყურებ! — ალერსიანად უთხრა ლექტორმა.

— რას მიწერთ, პატივცემულო?

— რაც გეკუთვნის, იმას!.. — ჩაილაპარაკა ლექტორმა და ქალიშვილს მატრიკული გადაუგდო. მეორესაც ისე მოექცა.

ქალიშვილებმა მატრიკულები აკრიფეს, ძლივს გაარკვიეს, რა ეწერა შიგ და გახარებულები გავიდნენ. ელგუჯას მივედით, ოთხები მიიღეს. ამის მაყურებელი დამშვიდდა, თუმცა, როცა მისი

დრო დადგა, მაინც აღელდა და ისე არეულ-დარეულად დაიწყო ლაპარაკი, ეგონა, ჩავფლავდიო. ლექტორი, პირიქით, კმაყოფილი დარჩა. სტუდენტი შეაქო, ხუთი დაუწერა და უთხრა: აწი ყურადღება უნდა მოგაქციო უდავოდო, თუმცა იმ დღის შემდეგ ნაქებარი სტუდენტი არ გახსენებია და არც სტუდენტს დასტყობია ულექტორობა მაინცადამაინც.

დერეფანში შეჯგუფებულმა ამხანაგებმა ელგუჯას ხუთიანი მიულოცეს. ელგუჯამ მოიხათრა. ზოგიერთები წიგნს თავს აკლავდნენ და ხუთი მაინც სანატრელი ჰქონდათ. ალბათ ბედია ყველაფერიო, გაიფიქრა, ცოტა ხანი შეიცადა და ეზოში გავიდა.

ცხელოდა. მიწას ბუღი ასდიოდა. ქვევით ჩრდილში დიმიტრი და ვიღაც ბიჭი ისხდნენ. ელგუჯა კიბეზე დაეშვა, დიმიტრის მიესალმა და დაჯდა. დიმიტრიმ ელგუჯა და უცნობი ბიჭი წარუდგინა ერთმანეთს. უცნობს, რომელსაც გიგიშა ერქვა, რაღაც დაუდევრად ეცვა. უცნაური ჩაცმული კი არ იყო, მაგრამ ტანსაცმელს ან არაფრად აგდებდა, ანდა ეს იყო მოდა, რომელსაც ჯერჯერობით ეჭვის თვალით უყურებდნენ დანარჩენები. მუცლამდე ჩახსნილი ხაკის. პერანგი და დახეულ-დაკერებული შარვალი ორ-სამ ალაგას დასვროდა თუ დასწვოდა. შეიძლება ამის გამოც ელგუჯას იგი მხატვარი ეგონა. თავხედური ქცევა კი, რაც გიგიშამ შემდეგ გამოამჟღავნა, შემოქმედის ნიჭსა და დაბნეულობას მიაწერა. ტელევიზიაში მუშაობდა თურმე ერთ-ერთი გადაცემის რედაქტორად. დიმიტრიზე უმცროსი ჩანდა, თუმცა, ეტყობოდა, უმცროსუფროსობას არად დაგიდევდა.

— აღარ მორჩი სწავლას? — იკითხა დიმიტრიმ. — ერთი გამოცდა ჩავაბარე, ახლა, ამ წუთას. — მომილოცავს.

ელგუჯას შეეშინდა, არ მკითხოს, რა მიიღეო. შეიძლება ხუთი ამათთვის სირცხვილადაც ითვლებოდა. საბედნიეროდ, ნიშნით არავინ დაინტერესებულა. დიმიტრის სხვა რამე აწუხებდა და ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯას პირდაპირ უთხრა: წაგვიყვანე, ლუდი

დაგვალევინე, ამ საქმის ასე დატოვება უხერხულიაო.

— წავიდეთ, მერე! — წამოიძახა ელგუჯამ და შარვლის ჯიბეში ჩაკეცილმა ფულმა ბარძაყი გაუწვა.

დიმიტრი არ აჩქარებულა. არც გიგიშა წამომხტარა, თუმცა, ეტყობოდა, ყველაფერზე თანახმა იყო.

— რა უნდა დალიო, ბიჭო, შენ, სული ძლივს გიდგია!.. — უთხრა დიმიტრის.

— რაშია, იცი, საქმე... — თქვა დიმიტრიმ, — ადამიანი შეუცნობელი არსებაა, ადამიანს ყველაფრის შემეცნება შეუძლია საკუთარი თავის გარდა. სული ძლივს გიდგიაო, რომ მეუბნები, სიტყვას დაუკვირდი. ჯერ ერთი, სული სხვა რაღაცაა, შენთვის ძნელი გასაგები და ასახსნელი, მეორეც, ვინ რისი შემძლეა, არავინ არ იცის ქვეყანაზე... — ამ ლაპარაკის დროს დიმიტრი გადაყვითლებულ თითებს : დასცქეროდა და თუთუნის ნაბწკვენებს იშორებდა. გიგიშა კი ამ მსჯელობაზე იღრიჯებოდა, სახეზე ხელს იფარებდა და ელგუჯას თვალს უკრავდა.

— რა იყო, ბიჭო?! — მოიხედა დიმიტრიმ. — ადე, წამოდი, წამოდი... — ხელი გამიშვი!..

ერთ მივარდნილ სახინკლეში ჩავიდნენ. ნესტიანი სარდაფი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ კუთხის მაგიდასთან იდგა ორი გაოფლილი კაცი. მოწყენილი დახლიდარი რეპროდუქტორს უსმენდა და სიცხისაგან შეწუხებული, თუ ახალი ამბებისაგან გაოგნებული, დროდადრო საცოდავად ოხრავდა.

— გამარჯობა, ლავრენტი! — დაუძახა გიგიშამ.

— ოჰ, გაუმარჯოს! — იყვირა დამხვდურმა და მოსულს ხელი ჩამოართვა. სტუმარი ვერ იცნო და რადგანაც ლავრენტიც არ ერქვა, იფიქრა, ან ვეშლები, ან ჭკუითო.

— ხომ ხარ მაგრად? — საშუალოდ! — მოკლედ მოუჭრა დახლიდარმა. — ჩამოგვისხი, აბა! — კი, ბატონო, მაგაზე გაწყენინებთ... რამდენი ხართ? — სამი.

დახლიდარმა თავდაღმა დამხობილი, მძიმე კათხები გადმოატრიალა და ლუდი ჩამოაჩხრიალა.

— გაიცანი, ჩემი ძმაკაცებია! — უთხრა გიგიშამ. — ვიცნობ, კაცო! — უპასუხა „ლავრენტიმ“.

— გენაცვალე მიხვედრაში და ვაჟკაცობაში! — გაეცინა გიგიშას.

— აბა, რა ვქნა, ჩემო ძმაო, ფული მე არა მაქვს და თანამდებობა! — დაუფიქრებლად უპასუხა დახლიდარმა. იგი იმ წუთას რაღაცაზე ჩაფიქრდა და გიგიშას ნათქვამი არ გაუგონია.

— სალუდეში ხმაურითა და ყაყანით ხუთი კაცი შემოვიდა, ლუდი, საუზმე და ასი ხინკალი მოითხოვეს. ერთმა ბიჭმა ხინკლით სავსე სინს დაატანა ხელი და ცალკე მაგიდაზე დადო,

— რამდენია? — იკითხა მორჩილი ტანის, ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცმა.

— ასია, — უთხრა ერთმა.

— რა იცი შენ, დათვალე?

— ყოველ შემთხვევისათვის, ასზე მეტი არ იქნება არაფრით, თუ აკლია, ჩვენ ვიზარალებთ, რა გინდა შენ! — უთხრა მსუქანმა კაცმა დაეჭვებულ ამხანაგს.

— კარგი, კარგი, იყოს, რაც არის... — ჩაილაპარაკა მორჩილი ტანის ბიჭმა, რომელსაც წვრილი წელი, სუსტი ფეხები და ფართო გულ-მკერდი ჰქონდა. დიდი პირი კი იშვიათი ჯიშის თევზის ლაყუჩს მიუგავდა.

ლაყუჩიანი ამფსონებს მოშორდა, განმარტოვდა ხინკალთან და რამდენიმეს ზედიზედ გადაუძახა პირში.

— ამათ, — თქვა გიგიშამ, — ეტყობათ, ნიძლავი აქვთ დადებული. ის ასი ხინკალი იმ ბიჭმა უნდა შეჭამოს.

— მარტომ? — იკითხა ელგუჯამ. — რასაკვირველია... — თავაზიანად უპასუხა გიგიშამ...

ამ ლაპარაკს თმაშევერცხლილმა, ლამაზმა კაცმა მოჰკრა. ყური, წინ წამოვიდა და გიგიშას ვარაუდი სიტყვიერადაც დაადასტურა.

— ...დრო არ დაგვითქვამს, მაგრამ გაუჩერებლივ უნდა ჭამოს, ერთი ლუდის დალევა შეუძლია, როცა მოეხასიათება, მაშინ...

— ეს უკვდავი ყოფილა! — თქვა დიმიტრიმ.

— მუცლის ნასახი არ ამჩნევია... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ, რომელიც კარგა ხანი იყო, რაღაცის თქმას აპირებდა.

— ჩემს ცხოვრებაში ათ ხინკალზე მეტი ერთად არ შემიჭამია... — ხმამაღლა განაცხადა გიგიშამ, მაგრამ მსმენელებს სწორედ ამ ნათქვამის სისწორეში შეეპარათ ეჭვი.

— ათი რაა, შე კაი კაცო... — უსაყვედურა მჭამელმა, — ათი კი არა, ოცდაათი ხინკალი ორი საათის წინ შევჭამე, სულ ტყუილა, რომ იცოდე შენ!

— ეს ვინ ყოფილა, სად იყავი აქამდე, თუ ძმა ხარ!

— რა ვიცი მე, სად ვიყავი... — დაიმორცხვა გიგიშას ქებით შეწუხებულმა დიდპირამ და თხელი ქაღალდით ტუჩები მოიწმინდა,

— — დიდი მაგარი მჭამელია... — დინჯად დაიწყო თმაშევერცვლილმა, — ოცდაათი ცოტა მეტი მოუვიდა, მაგრამ ათი ცალი ხინკალი მართლა შეჭამა ამ დილით...

— თერთმეტი... — დაასუსტა დიდპირამ.

გიგიშას სიცილი წასკდა და ხელიდან ჩანგალი გაუვარდა. ბიჭს ეგონა, ესეც არ სჯერაო და სანამ გიგიშა ახალ ჩანგალს, მოიტანდა, მანამდე შეიცადა და შემდეგ დაიწყო:

— ეს არაფერი, ერთხელ ცხრა საინი სალიანკა შევჭამე... სასადილოს დირექტორმა მითხრა, ვინ ხარ, მისხარი და რა გინდა ჩემგანო... ყველაფერს იღბალი უნია, ცხოვრებაში... ჭამაში არ არის საქმე, ისე ვამბობ ზოგადად...

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ, დრო ნუ გაგყავს! — უსაყვედურა მსუქანმა კაცმა.

— ახლა ამოვიღე, კონსტანტინოვიჩ, პირველად ხმა!

— პირველად ამოიღე თუ მეორედ, არ მაინტერესებს, წყნარად იყავი და ჭამე, თუ საჭირო იქნა, ჩვენ ვილაპარაკებთ...

დიდპირა გაჩუმდა, უაზრო თვალებით გადახედა სინს, ერთი ხინკალი აირჩია და უხალისოდ ჩაიდო პირში; ფეხი კიბის საფეხურს ჩამოადო, ზურგით კედელს მიეყრდნო და ნელა, უგემურად დაიწყო ღეჭვა. სარდაფში სიჩუმე დადგა. ღია კარიდან, ოთხკუთხედი სინათლე რომ ჩანჩქერივით ჩამოდიოდა, ქალაქის ყრუ, შორეული ხმაური შემოვიდა.

— ნახე, რამდენს ტოვებს! — წამოიძახა უცბად ერთმა კაცმა და მწვანე პლასტმასის თეფშზე დაყრილ ჭიპებს დახედა.

— რას ვტოვებ, სად ვტოვებ, ამაზე ამბობ?! — ბიჭმა პატარა ჭიპი აარჩია, ზევით ასწია და ყველას დაანახა... — ამის უფლება აღარა მაქვს, მითხარით!?

— აქვს, კი აქვს... — გული აუჩვილდა თმაშევერცხლილ კაცს.

— სარდაფი ხალხით გაივსო. თმაშევერცხლილი სათითაოდ უხსნიდა ყველას, რაც ხდებოდა. დიდპირას ირგვლივ წრე, შეკრეს. მსუქანი ამბობდა, ძალიან გთხოვთ, ნუ მოაცდენთო, მაგრამ ვერავის ვერაფერი შეასმინა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვინ ვის აცდენდა, ისეც გასარკვევი იყო.

ბიჭი არ ჩქარობდა, დინჯად იღეჭებოდა და საგულდაგულოდ იწმენდდა და იმშრალებდა ტუჩებს. ლუდი მოითხოვა, მისცეს. ხალხს გადახედა და კათხა ერთი მოსმით გაანახევრა.

— რამდენი დარჩა? — იკითხა ვიღაცამ. — ბიჭმა შეისვენა და ხინკლის თვლა დაიწყო.

— მოიცა, კაცო, მოიცა... მე დავითვლი... — გული მოუვიდა მსუქანს.

დიდპირამ ხელი ჩაიქნია და დარჩენილი ლუდი გამოწრუპა.

გამოირკვა, რომ ორმოცდახუთი ხინკალი ხელუხლებლად იდო ხონჩაზე.

— ამას ეს დღეს ვერ გაათავებს!.. — იმედი გადაეწურა ვიღაცას.

ყველამ ჭამა-სმა დაიწყო. ზოგიერთი სულ წავიდა.

— დრო უნდა დაგეთქვათ, ასე რა გამოვიდა... — უსაყვედურა გიგიშამ მსუქანს..

— მართალი ბრძანდებით, გამოცდილება უნდა ყველა— — ფერს...

— უნდა გეკითხათ ვინმესთვის...

— რა ვიცი, აბა, ვის მოაგონდა მაშინ ამდენი, არადა იმოდენა მშენებლობა უპატრონოდ მივატოვე... — ამოიხვნეშა შეწუხებულმა კაცმა.

— წადი მერე, გაკავებს ვინმე? — უთხრა დიდპირამ. მსუქანმა გაიღიმა და საათზე დაიხედა..

ბიჭი უკვე იცოხნებოდა, ლუკმის გადაყლაპვა უჭირდა. ელგუჯამ ამ სურათს ვერ გაუძლო და ფულის გადასახდელად გაეშურა. ნახარჯი გიგიშას წინასწარვე გაესტუმრებინა.

— ვალი ჰქონდა მაგ კაცს ჩემი და დავუქვითე! — დაუძახა გაოცებულ ელგუჯას.

— კარგი, კაცო! — ეწყინა ელგუჯას.

— არა უშავს, მაგ საქმეც გამოსწორდება... — ანუგეშა დიმიტრიმ.

მოულოდნელად ბიჭმა ჭამას მოუმატა და ხალხი ისევ გამოცოცხლდა. შეჭამს, ვერ შეჭამს, კი შეჭამს... ისმოდა აქეთ-იქიდან. უმრავლესობა სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ ბევრი იმედს არ კარგავდა. მჭამელს სულ არ აწუხებდა ცნობისმოყვარეთა მზერა და ლაპარაკი. ეტყობოდა, რომ აუდიტორია ამხნევებდა, ძალას და ენერგიას მატებდა. დროდადრო თვალები უელავდა უცნაურად, ხელს ზევით სწევდა, ურწმუნოებს ამშვიდებდა, დაშოშმინდით, ყველაფერი რიგზე იქნებაო..

ოცდაორი ხინკალი რომ დარჩა, ლუდის ცარიელი კათხა აიღო და დიდის ინტერესით ჩაიხედა შიგ. დარბაზი გაინაბა.

— ხმ! — ხმამაღლა ჩაახველა ვიღაცამ.

ბიჭი ამ ხმაზე გამოერკვა და უიმედო თვალებით გადახედა დახლს. შემდეგ ერთი ხინკალი შეჭამა და კაცს, რომელსაც ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ რკინიგზაზე მუშაობდა, სთხოვა, ზურგზე ხელი დამარტყიო. რკინიგზელმა სულელურად გაიცინა და ფეხი არ იცვალა. თმაშეევერცხლილმა მიაყოლა ისევ ბეჭებში, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. ბიჭმა წყალი მოითხოვა მაინც. წყალი დებულებით გათვალისწინებული არ ყოფილა და არ მისცეს.

დიმიტრი და ელგუჯა ზევით ავიდნენ. — არ მოდის ის სულელი? — იკითხა დიმიტრიმ. ელგუჯამ უკან მიიხედა და გიგიშაც გამოჩნდა.

— იმ გაჭირვებულს ჰგონია, — თქვა მან ამოსვლისთანავე, — რომ წყალი უშველის, ნახევარ ჭიქაზეც თანახმაა და ახლა თათბირობენ, მისცენ თუ არა, ხმები შუაზე გაიყო, რა დროს წამოდით, თქვენ ხალხი ხართ ამის შემდეგ?.. წყალი თუ არ მისცეს, თხუთმეტ წუთში გაგორდება ძირს...

— ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერი... — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

— მე წავალ, რაღაც საქმეც მაქვს... — მოიბოდიშა ელგუჯამ.

— კარგად იყავი, შენ არ წახვიდე... — დიმიტრის გადახედა გიგიშამ.

— მეც უნდა წავიდე, მეჩქარება... — თქვა დიმიტრიმ.

— შენ გიჟი ხომ არა ხარ! — დაიღრიჯა გიგიშა, დიმიტრის ხელი გადაუგრიხა და ძალით წააპორწიალა სხვა მხარეს.

IX

ცარიელ საჭიდაო დარბაზში ბატონი პავლე იჯდა და გაზეთს კითხულობდა. თეთრი, გატკიცინებული პერანგის სახელოები საგულდაგულოდ ჰქონდა აკეცილი და დასვირინგებული მკლავები მოუჩანდა. დარბაზში სიჩუმე და სიგრილე იყო.

— გამარჯობა, ბატონო პავლე!

— გაუმარჯოს ჩემპიონს!.. — თავი ასწია მწვრთნელმა და ელგუჯას შეხედა, — რას შვები, ბიჭო, მორჩი გამოცდებს?

— კი.

— ხუთები ხომ მიიღე? — კი.

— ასე უნდა, ბიძია, ვინც არ სწავლობს, ის არც სხვა საქმეში ვარგა, გლახა ყველგან გლახაა!.. — რატომღაც გაგულის—

და მოწაფის წარმატებით გახარებული მწვრთნელი.

— აღარავინ აღარ დადის? — იკითხა ელგუჯამ, ხელი სასწორს ჩამოადო და თითები აათამაშა.

— ორშაბათიდან დავიწყებთ, აგვისტოსათვის გუნდი მზად უნდა მყავდეს, ხომ იცი, სად მივდივართ?

— როგორ არა, ვიცი...

— კარგია, რომ იცი... ასლა, რატომ დაგინახე, გეტყვი: იარე შენც და, თუ ვარჯიშს არ გამიცდენ, წაგიყვან, ძირითადში ვერ დაგპირდები, მაგრამ მაინც გამოგიტანიებ, გასაგებია?

— დიახ, — აღელდა ელგუჯა.

აგვისტოს ბოლოს „ბურევესტნიკის“ პირველობა იწყებოდა და ბატონი პავლე საქართველოს სტუდენტთა ნაკრებ გუნდს აკომპლექტებდა. ამ ნაკრებში მოხვედრა დიდი პატივი იყო, რადგან თითქმის ყველა ცნობილი მოჭიდავე, იყო თუ არა საჭირო, უმაღლესში სწავლობდა, თუმცა ასეთ უბრალო შეჯიბრებაში მონაწილეობას ყველა როდი კადრულობდა. პავლეს ელგუჯას მოშორება არ უნდოდა. წავა სოფელში და ტყე-ტყე სიარულში რაც ისწავლა, ისიც გადაავიწყდებაო, ფიქრობდა. წამოვიდეს, ნახოს ნამდვილი შეჯიბრი, ხალიჩას შეეჩვევა, გათამამდება, უკეთესია, ანგარიშობდა იგი. პავლე გაოცებული ადევნებდა ელგუჯას ზრდას თვალს და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ერთი, დიდი-დიდი ორი წლის შემდეგ .ბიჭი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდებოდა.

ელგუჯა ორშაბათიდანვე შეუდგა წვრთნას და ივლისის მიწურულამდე სხვა აღარაფერი უკეთებია. გამგზავრების დროც მოვიდა, მაგრამ მოულოდნელად შეიცვალა სიტუაცია. მამამ შემოთვალა, სასწრაფოდ ჩამოდი მანქანის ყიდვის თაობაზეო. ელგუჯა დაეთხოვა მწვრთნელს და მანდიკორისაკენ გაეშურა მეორე დღესვე. ავტომანქანის საყიდელი ფული ჰქონდა დაზოგილი. ნახევარს მამა უმატებდა და უმაღლესში მოწყობის აღსანიშნავად აპირებდა კარგა ხნის წინ აკვიატებული სურვილის ასრულებას. სოფლიდან რაიონის ცენტრში ჩავიდა — მანქანა ნახა. მოეწონა და არც მოეწონა. ყიდვა ვერ გადაწყვიტა, ეძვირა, თორემ გადაფორმებას თვით გამყიდველი ახერხებდა და ამ გარიგებას, წესით, აღარაფერი წინ აღარ უნდა დადგომოდა. ცდუნება დიდი

იყო. ელგუჯამ მაინც თავის შეკავება ამჯობინა და ეს საქმეც სამერმისოდ გადადო. სამაგიეროდ სოფელში გახალისდა; ნათესავები და ნაცნობები მოიკითხა და ისევ უკან დაბრუნდა. ამ ორდღიანი ვიზიტის გამო იგი მარტოდმარტო, დაგვიანებით უნდა ასდევნებოდა გუნდს.

თბილისში აგრილებულიყო.

სადგურში, პირველ ლიანდაგზე, თბილის-მოსკოვის გრძელი მატარებელი იდგა. ბაქანზე ხალხი ირეოდა. ელგუჯამ ჩანთა ვაგონში შეინახა, გამობრუნდა, კიბესთან შეჩერდა და დეიდას და ბიძას დახედა.

— წადით ახლა, რაღას უყურებთ... — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ.

— ადრეა ჯერ... — საათზე დაიხედა კაცმა და აშკარად შეეტყო, როგორ ეწყინა, მართლა ადრე რომ იყო. სადგურიდან აბანოში აპირებდა გავლას და უქმად დგომა არ უხაროდა. ძველთაძველი ჩანთა, საგულდაგულოდ რომ ჰქონდა ამოიღლიავებული, არ აწუხებდა, მაგრამ აბანოს ახსენებდა და ხასიათს უშხამავდა.

„რა აქვს ამდენი შიგ?“ — უკვირდა ელგუჯას. მარტო დარ. ჩენა ენატრებოდა. მატარებლის წასვლას კი საშველი არ ადგებოდა. დეიდა არიგებდა, ფული არ მოგპარონო. ელგუჯა აქეთ-იქით იხედებოდა მალულად, ხომ არავინ გვისმენსო. ბედად, ნაცნობი არ ჩანდა და უცნობს მათთვის არ ეცალა.

ნათესავები მაინც დროზე ადრე, მოულოდნელად წავიდნენ და ელგუჯა დამშვიდდა, შვებით ამოისუნთქა, კუპეში შევიდა, ფანჯარასთან დაჯდა. იმ მხარეს თითქოს სამუდამოდ მიტოვებული, უთავბოლო საბარგო მატარებელი ჩანდა. გზაწვრილს ჩაქუჩებით შეიარაღებული ორი კაცი მოჰყვებოდა. ერთი ბორბლებთან იჩხრიკებოდა, სარკმელს აღებდა, ტკაცანით კეტავდა წამსვე და მიდიოდა. მეორე პრიალა ღერძს გრძელტარიან ჩაქუჩს უკაკუნებდა და იგიც უკანმოუხედავად მიიწევდა წინ.

კუპეში ცხელოდა. სარკმელი ღია იყო, მაგრამ მაინც ჩახუთული ჰაერი იდგა. დერეფანში მგზავრები მიდი-მოდიოდნენ. ელგუჯასაკენ ჯერჯერობით არავინ იხედებოდა. ლამაზი ქალი დამემგზავრებოდეს მაინცო, ფიქრობდა ელგუჯა და თვალი კარისაკენ ეჭირა. მატარებლის გასვლას აღარაფერი აკლდა, როცა კუპეს კარი გაიღო და ერთი უსაშველოდ სქელი კაცი გაეხიდა შიგ. უკან მებარგე მოჰყვებოდა თურმე. გრძელულვაშა მუშამ ჩემოდნები, ჩანთები, სახელურიანი კასრი და ათასი სხვა ხარახურა შემოყარა მოურიდებლად.

— გამარჯობა! — თქვა ახალმა მგზავრმა.

— გაგიმარჯოს. — თქვენი ადგილია ეს?

— დიახ.

— მაშინ ეს ჩემი იქნება! — მიხვდა მსუქანი კაცი და ხვნეშით დაჯდა; ჯიბიდან ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო, სახე და მოტიტვლებული თავ-კისერი შეიმშრალა.

ელგუჯა დერეფანში გავიდა და ღია ფანჯარასთან გაჩერდა. ბაქანზე გამცილებლები იდგნენ კვლავ. მგზავრები ფანჯრებიდან იხედებოდნენ. წამსვლელ-დამრჩენს სალაპარაკო დალეოდა; დამდგარიყო ის უაზრო წუთი, როცა სათქმელი აღარაფერია და მატარებელიც არ იძვრება. ელგუჯას ესმოდა, როგორ ვაჭრობდნენ მსუქანი მგზავრი და მებარგული.

— ჯერ ერთი, ნომერი გაქვს შენ?! — აბა, ეს რა არის, კაცო, აბა, ეს ნომერი არ არის... — კაი, კაი, დამანებე თავი!

ეტყობოდა, მორიგდნენ, რადგან მუშა გაჩუმდა და მგზავრსაც აღარ ამოუღია ხმა. ულვაშა მალე გარეთ გამოვიდა. ნელა მოდიოდა და გაკვირვებული თვალებით დაჰყურებდა ფულს. მატარებელი წავიდა. ელგუჯამ გულგრილად შეათვალიერა ბაქანზე დარჩენილი ხალხი და კუპეში შევიდა.

— წავედით? — იკითხა მსუქანმა და ყურებამდე გაიღიმა. ეს კა-

ცი მთელი გზა ასე იღიმებოდა და თანამგზავრს ლუდზე ეპატიჟებოდა. სულ არ აღმოჩნდა უჟმური და ხელმოჭერილი, ელგუჯას პირველად რომ მოეჩვენა.

მატარებელმა ალბათ აიაღმართა, რადგან კარი თავისთავად გაიღო და ელგუჯამ ფანჯარასთან, საიდანაც იგი ადრე ბაქანს ათვალიერებდა, ორი ქალი დაინახა.

„ესენი აქ საიდან გაჩნდნენ?“ — გაიკვირვა მან, გარეთ გავიდა და ვაგონის ტიხარს ბეჭით მიაწვა.

ტანსრული, სათვალიანი ქალი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა. მეორე სმას არ იღებდა, ზურგშექცევით იდგა, ფანჯრიდან იხედებოდა, შეიძლება თანამგზავრს არც კი უსმენდა. მე მარჯვნიდან ეცემოდა სახეზე და დროდადრო მისი პროფილის სილუეტი ირეკლებოდა ჩალურჯებულ მინაზე.

„ეს დალია!“ — გაიფიქრა გაოცებულმა ელგუჯამ.

ქალები მოულოდნელად მოტრიალდნენ. ელგუჯა შეკრთა, დაიბნა, ყურადღებაც კი მიიქცია. მგზავრები კუპეში შევიდნენ. ელგუჯამ თავი დაღუნა და ვაგონის ბოლოში გავიდა. ხომ არაფერი გინდათო, ჰკითხა კონდუქტორმა.

— არაფერი... — უპასუხა ელგუჯამ და ანგარიშმიუცემლად ისევ ფანჯარასთან დადგა. კუპედან, სადაც ქალები მიიმალნენ, ლაპარაკი და სიცილი ისმოდა.

დაღამებამდე დალი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა გარეთ, მაგრამ გვერდზე აღარ გამოუხედავს. მალე კონდუქტორმა ჩაი ჩამოარიგა. ქალებმა ნაადრევად ივახშმეს, საიმედოდ ჩაიკეტნენ და მათი ხმა შემდეგ გარეთ აღარ გამოსულა, თუმცა გვიანობამდე არ დაუძინიათ.

დალისთან და მის მეგობართან ერთად მგზავრობდა თეთრთმიანი, ჯერ კიდევ ლამაზი, ხნიერი ქალი, რომელმაც კეთილი, მაგრამ ჩერჩეტი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. იგი ერთი ცნობილი მეცნიერის დედა აღმოჩნდა. ეს გვიან გაამხილა და

სათვალიან ქალიშვილზე დიდი ეფექტი მოახდინა. დალიმ ამხანაგის სიხარული გაიზიარა, თუმცა კარგად ვერც გაიგო ქალის ნათქვამი და ვისი დედა იყო, ესეც ვერ გაარკვია.

— სხვათა შორის, მეც ადრე გავთხოვდი... — უთხრა ხნიერმა ქალმა დალის, — შვილი არა გყავთ?

— არა... — ოდნავ წამოწითლდა დალი. ხნიერმა ქალმა ამოიოხრა და დალი ახლა მუშტრის თვალით აათვალიერა. რა იქნებოდა, ასეთი რძალი ჩემს ოჯახშიც შემოსულიყოო, — გაიფიქრა.

— თქვენი ქმარი რა მოხელეა? — იკითხა ცოტა ხნის შემ. დეგ.

— მხატვარია... — ხმადაბლა თქვა დალიმ. ქმარზე ლაპარაკს ყოველთვის გაურბოდა. ფიქრობდა, რომ ბადრი კილაძე, ისეთივე მხატვარი იყო, როგორც ბედუინი ან ტორეადორი, თუმცა ქმრის ნიჭში და უნარში არასოდეს დაეჭვებულა.

— ჩემი ქმარი დირიჟორი იყო, მაგრამ დაყრუვდა... — განაცხადა ხნიერმა ქალმა.

— რას ბრძანებთ? — შეწუხდა დალის მეგობარი.

— დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ დაყრუვდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა ახლა დიდი ხნის მკვდარია...

ელგუჯას კუპეში, მსუქანი კაცის გარდა, აღარავინ შემოსულა. მატარებელში საერთოდაც ხალვათობა იყო. მსუქან კაცს ერთი თვის სამყოფი საგზალი ჰქონდა წამოღებული. წამდაუწუმ ეპატიჟებოდა თანამგზავრს სუფრასთან. ნაჭამი ვარო, — უმტკიცებდა ელგუჯა.

— როდის ჭამე, თუ კაცი ხარ, გამაგებინე?!

— ცოტა თავს ვიკავებ, შეჯიბრზე მივდივარ და წონას ვიცავ, — თქვა ელგუჯამ.

— ეს სხვა საქმეა... — უთხრა კაცმა.

ელგუჯა კარგა ხანი იყო საიდუმლოს გამხელას აპირებდა, მაგრამ არავინ არაფერს ეკითხებოდა. მსუქანი კაცი არც ახლა

დაინტერესებულა ამ ფაქტით და ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯამ, ვითომ სხვათაშორის, ჩაილაპარაკა:

— ხარკოვში საკავშირო პირველობა იწყება თავისუფალ ჭიდაობაში და იქ მივდივარ, წონა რომ მოვიმატო, შეჯიბრზე ვერ გამოვალ...

— ფაქტიურად მეც დიეტაზე ვარ... — უპასუხა თანამგზავრმა. ელგუჯა წამოდგა და რესტორანში წავიდა.

მატარებელი თავაწყვეტილი მიდიოდა. ბუფერებიდან, როცა ელგუჯა ვაგონიდან ვაგონში გადადიოდა, საშინელი დგრიალი ისმოდა. რესტორანში ბოთლები და ერთმანეთზე დაწყობილი თეფშები წკარუნობდა. კუთხეში ორი თბილისელი ბიჭი იჯდა. კონიაკს სვამდნენ. ელგუჯა ერთს შორიდან იცნობდა, თუმცა არ ესალმებოდა. ახლაც თვალი აარიდა და ცარიელ მაგიდასთან დაჯდა. თეთრხალათიანმა მომტანმა მოგვიანებით მოაკითხა. ელგუჯამ ლიმონათი მოითხოვა. ახალგაზრდა მომტანმა საკმაოდ უხეშად, სამჯერ გაამეორებინა ნათქვამი. ელგუჯამ იფიქრა, ალბათ ისე არ მაცვია, როგორც საჭიროა და არიფი ვგონივარო. თანაც თბილისელი ბიჭები ირონიულად იღიმებოდნენ და ალბათ ყველაფერი ესმოდათ. ელგუჯა ანერვიულდა. ”

„ეხ, რას იზამ!..“ — სინანულით ფიქრობდა იგი დაძინების წინ; დალი ელანდებოდა და მატარებლის რახრახს აყურადებდა. მალე ჩაეძინა, გათენებამდე გვერდიც არ უცვლია.

საქმეს უკეთესობა არც მეორე დღეს დასტყობია. ქალები მშვენივრად ატარებდნენ დროს. ნასაუზმევს საიდანღაც ერთი ახალგაზრდა ლექტორი მოვიდა. ჭოკივით ჩამომხმარმა კაცმა პირდაპირ ქალებს მიაკითხა და ელგუჯა დალის გაცნობის ყოველგვარი იმედი დაკარგა. უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, როცა დალი გამოვიდა და გვერდით დაუდგა. შარვალი ეცვა, ღია ფანჯრიდან იხედებოდა და გაწეწილ თმას ხელით იმაგრებდა. ელგუჯამ გა-

დაწყვიტა, გამოვეცნაურებიო და აღელდა, რაღაცის თქმა დააპირა, ვერ გაბედა.

დერეფანში დაბალი ტანის ბიჭი გამოჩნდა. საიდან მოდიოდა, ღმერთმა უწყოდა. დიდი კეპი ეხურა და ამ სიცხეში შავი პიჯაკი ეცვა. ელგუჯამ უცნობის ჩავლას დაუცადა, მაგრამ ახლადგამოჩენილი ადამიანი, ეტყობოდა, მაინცდამაინც არსად იჩქაროდა. იგი შეჩერდა და შარვლიან ქალს ფეხებიდან თავამდე ახედა; ქუდი გაისწორა და უკაცრავად, რომელი საათიაო, იკითხა საშინელი რუსულით. დალის საათი არ ჰქონდა და ამხანაგს დაუძახა, რა დროაო.

— ქართველი ხართ? — გაიჭყანა ბიჭი.

— დიახ, — უპასუხა დალიმ.

— ბიჭი მარტო ამ პასუხსაც არ დასჯერდა. ძალიან აინტერესებდა, სად მიდიოდა, რატომ და რისთვის მიემგზავრებოდა დალი მოსკოვში. ქალი უხალისოდ, მაგრამ მაინც თავაზიანად პასუხობდა. როცა ბიჭს შეკითხვები გაუთავდა, ქალმა ბოდიში მოიხადა და კუპეში შევიდა. ცნობისმოყვარე ბიჭმა გაკვირვებული მზერა გააყოლა, ქუდი კიდევ უფრო ჩამოიწია, პიჯაკი რაღაცნაირად გადაიქაჩა, ცალი ბეჭი მოიღლიტა და ნელა წავიდა. კუპედან ისევ მხიარული ლაპარაკი და სიცილი მოისმა. დალი იცინოდა წყნარად, გაბმულად, ამ ხმამ ელგუჯას გული გაუწვრილა, მოთმინება დაულია.

ნაშუადღევს ლექტორიც წავიდა და ქალები მარტო დარჩნენ. სულ მალე ისევ დიდქუდიანი ბიჭი გამოვიდა არენაზე. იგი პირდაპირ ქალებს მიადგა და იკითხა: კარტი ხომ არ გვეთამაშაო. მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს, ბიჭს ხელში ახალი კარტი ეჭირა, ბეჭით კარბას მოსწოლოდა და ეშმაკივით) იხედებოდა. სათვალიანმა გოგომ კაბა გაისწორა და მსუქანი მუხლისთავები დამალა. ხნიერმა ქალმა მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი ნივთები მისწი-მოსწია და სტუმარი მოიპატიჟა.

— თუ შეიძლება, ქუდს მოვიხდი! — ითხოვა ბიჭმა, დალის გაეცინა. ბიჭმა მოუხედა და გაუღიმა. — აგერ ჩამოკიდეთ! — ურჩია სტუმარს ხნიერმა ქალმა. — გმადლობთ, ქალბატონო! — თავი დახარა სტუმარმა.

თამაში დაიწყეს. ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯამ ცალი თვალით შეიხედა ნახევრად ღია კარში, დაინახა, რომ ბიჭი მოხერხებულად მოკალათებულიყო პატარა კიბეზე და საოცარი სისწრაფით არიგებდა კარტს.

ელგუჯა ისევ რესტორანში გავიდა, კარგა ხანი იქ დარჩა და მხოლოდ შებინდებისას შემობრუნდა უკან. ვაგონში უკვე სინათლე ენთო, თუმცა გარეთ არ ბნელოდა.

დალი მოწყენილი იდგა ფანჯარასთან. ბეჭებზე თეთრი ღაზლი ჰქონდა მოხურული. ელგუჯა გვერდით ფანჯარასთან გაჩერდა და იდაყვებით რაფას დაეყრდნო. გარედან თბილი ქარი ეცა და თმა აუშალა.

შორს ტრიალი მინდვრები ჩანდა. ტყის კონტურები ილანდებოდა შიგადაშიგ. კირით შეფეთქილი სახლები, გუბურები და ალუბლის ბაღები გაიელვებდა დროდადრო. ერთ ალაგას გზის მუშები იდგნენ. ქალს და კაცს ერთნაირად ეცვათ; ხელში წერაქვები და ნიჩბები ეჭირათ და მატარებელს უყურებდნენ. თანდათან ბინდდებოდა. არემარეს ბინდი ეფინებოდა. მზე სადღაც გადახნული, თვალუწვდენელი მინდვრის უკან იმალებოდა. უკანასკნელი სხივები ტოვებდა მიწას. ჩიტი ბუდისაკენ მიფრინავდა. დალი მოტრიალდა, ელგუჯას გადახედა და მოწყენილი სახით კუპეში შევიდა. ელგუჯამ საგანგებოდ ნაყიდი პაპიროსის ბრჭყვიალა კოლოფი ამოიღო, გახსნა და პაპიროსს მოუკიდა. ბოლს და ნიკოტინს მიუჩვეველს ხველა აუტყდა.

„... შეიძლება შეჯიბრზე, მართლაც მომიწიოს გამოსვლა... — ფიქრობდა იგი, — ვინ იცის, რა მოხდება? იქნებ პირველი ადგი-

ლიც კი ამეღო? ყველაფერი მოსალოდნელია... რატომ არ გავუ-ღე იმ ქალს კუპეს კარი? როგორ წვალობდა, არ ღირდა, მაგრამ შეიძლება უზრდელიც კი ვეგონე. ისე, ჭიდაობას ბედი უნდა, ბევ-რი რამე კენჭისყრაზე არის დამოკიდებული... ესე იგი, ჩავიჭერი, დალაპარაკება ვერ გავბედე, გლახაკი ვარ, ლაპარაკი არ უნდა, სანამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს... დეიდაჩემი რომ მეძახო-და, ფული არ მოგპარონო, სად მაქვს მოსაპარავი ფულები, ანდა ვინ რა უნდა მომპაროს და წამართვას... ნეტავი დალიმ ხომ არა-ფერი გაიგონა?..“

ელგუჯამ უნებურად სტვენა დაიწყო. კარგა გვარიანად რომ აუწია, მერეღა მიხვდა, რას სჩადიოდა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა; ხომ არავინ მისმენსო. დერეფანში არავინ ჩანდა, მხო-ლოდ სულ ბოლოს, სადაც ჩაის ადუღებდნენ, ერთი — ოფიცერი ეწეოდა პაპიროსს..

მატარებელი ხარკოვში ნაშუაღამევს ჩავიდა.

„ახლა დალის სძინავს!“ — გაიფიქრა ელგუჯამ, როცა დერე-ფანში გაიარა. დალის მართლა ეძინა და ამის გარკვევას მარჩიე-ლობა არ სჭირდებოდა, თუმცა ძილგატეხილიც ბევრი იყო მატა-რებელში. მატარებელი სვლას ანელებდა, ღია კარიდან დილის სუსხი შემოდიოდა. „რა მინდა აქ, ამ უცხო ქალაქში?“ — ფიქრობ-და ელგუჯა.

ხარკოვის სადგურში ბნელოდა, მაგრამ, ეტყობოდა, გათენე-ბასაც ბევრი აღარაფერი უკლდა. ელგუჯა ვაგზალში შემოთენება გადაწყვიტა. სკამლოგინზე დაჯდა და მაღალ ჭერს და მწვანე კედ-ლებს დაუწყო ყურება. უკან და გვერდზე, ცოტა მოშორებით, სხვა მგზავრებიც ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხის ჩემოდანზე იყო გადამჯდარი, რაღაცას ჰყვებოდა (და ფხიზლად დარჩენილ მგზავრებს გულიანად აცინებდა.

ელგუჯამ თვალები დახუჭა, ჩანთა ახლოს მოიწია და საზურ-გეს მიაწვა, მოხერხებულად მოკალათდა. გუნებაში საზღვრავდა,

როგორ, რა გზით და ვისთან უნდა მისულიყო პირველად. უცბად დალის სიცილი მოესმა. შეკრთა და თვალი გაახილა. თურმე ჩასძინებოდა და თავი ისევ მატარებელში ეგონა. „მაინც რა უცნაური სიცილი იცის იმ ქალმა!“ — გაიფიქრა მან. სადგურში ზრიალით ჩამოდგა რომელიღაც მატარებელი. ფანჯრებმა სულ რაწკარუწკი დაიწყო. ელგუჯას შეეშინდა, ისევ არ დამეძინოსო და ბაქანზე გავიდა.

X

ელგუჯა ხარკოვიდან პირდაპირ თბილისში დაბრუნდა. მართალია, თავიდანვე სოფელში წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც თბილისში ამოყო თავი. თვითმფრინავიდან ყველაზე ბოლოს გადმოვიდა. ფესი განგებ აითრია, იფიქრა, ჩემპიონად არ მომნათლონ დამხვდურებმაო.

ელგუჯას არ უჭიდავია. იმ გუნდურ, პირველ ადგილში, საქართველოს გუნდმა რომ მოიპოვა, წილი არ ედო, მაგრამ სხვაზე ნაკლებად არ ყოფილა გახარებული. სათადარიგო სკამზე იჯდა თუ მაყურებლებში, ყოველთვის შიშით შეჰყურებდა განათებულ ხალიჩას და მტკივნეულად განიცდის თანაგუნდელთა წარმატება-წარუმატებლობას. ხანდახან თავს მოჭიდავედ წარმოიდგენდა და მარტო ამის გაფიქრებაზე გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. მწვრთნელები შეჯიბრების მერე მიხვდნენ, რომ ელგუჯა მაინც უფრო ივარგებდა, ვიდრე მისი თანაგუნდელი, რომელმაც მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა საშუალო წონაში.

აეროდრომზე შეხვედრის, ზეიმისა და ცერემონიალის იმედი

ელგუჯას გარდა (ბოლომდე არც ის იყო დარწმუნებული) არავის ჰქონდა, მაგრამ ასეთ უსულგულობასაც არავინ ელოდა: ახლო-მახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ტრაპთან მხოლოდ ერთი კაცი იდგა, მფრინავის ქუდით სახეს იჩრდილავდა და სულ სხვაგან იხედებოდა. აეროპორტში დასიცხული მგზავრები წრიალებდნენ. რამდენიმე ადამიანმა მოიხედა და ახლადგამოჩენილ მგზავრებს გააყოლა ზანტად თვალი.

ვინც როგორ მოახერხა, ისე გაიკვლია ქალაქისაკენ გზა. ბევრი, მათ შორის ელგუჯაც, ავტობუსით წავიდა.

ელგუჯამ ძლივს იცნო თავისი ოთახი, ისე იყო იგი ათასგვარი ხარახურით გამოტენილი. დიასახლისმა კარის გაღებისთანავე მოიხადა ბოდიში, არ გელოდით, აქაურობა ცოტა არეულ-დარეულია, არ გაგიკვირდეთო, მაგრამ მდგმურმა გაოცება ვერ დამალა. „აქედან ჩანს, ამ ბუნაგს რომ ადამიანის სადგომად არ თვლიან!“ — გაიფიქრა მან.

ჩახუთულ ოთახში მეორის სუნი იდგა. ეს სუნი აქ სხვა დროსაც ტრიალებდა, მაგრამ მობინადრე სუნს ადრე ეჩვეოდა და მერე ვეღარაფერს გრძნობდა. დიასახლისს ერთმანეთის მიყოლებით გაჰქონდა უსარგებლო ნივთები და ოთახს ელვისუსწრაფესად ალაგებდა. ელგუჯამ ჩანთა მტვრიან სკამზე დადო; საღამოს მოვალო, დაიბარა და წავიდა. მდგმურის ასეთ უდროო დროს გამოჩენით შეწუხებულმა დიასახლისმა რაღაც ჩაილაპარაკა და სევასა და რეცხვას მიჰყო ხელი.

თბილისს ცეცხლი ეკიდებოდა. ხალხი გაკრეფილიყო. ვისაც დრო და საშუალება ჰქონდა, თავისათვის ეშველა. საერთო ეზოებიდან ბავშვების ჟრიამული აღარ ისმოდა. მთავარ ქუჩებს რწყავდნენ, მაგრამ ასფალტი იორთქლებოდა და მალე შრებოდა.

ელგუჯამ ქალაქში ერთი ახლო ნაცნობი ვეღარ აღმოაჩინა. გარდა იმისა, რომ კიმოთე ბოლოს და ბოლოს უმაღლესში მოწყობილიყო, ახალი ამბავიც არაფერი დახვედრია.

დალი წყნეთში ისვენებდა ოჯახთან ერთად. ალექსანდრე შელიას პატარა, მაგრამ მოხერხებული და მყუდრო აგარაკი ჰქონდა ზედა წყნეთში. დალის ბინაში ვენერა იყო დარჩენილი. იგი ასთმას უჩიოდა და სიმაღლეს ვერ იტანდა. ბავშვები მეცადინეობაში ხელს მიშლიანო, მოიმიზეზა იმ დღეს დალიმ და თბილისში წასვლა გადაწყვიტა. ავტობუსის გაჩერებასთან დადგა და მანქანაც შეჩერდა იმწამსვე თავდაღმართში. დალიმ გულგრილად შეავლო თვალი ახალ „ვოლგას“ და გვერდზე გაიხედა, ყავისფერი, ტყავის ჩანთა შეათამაშა მუხლებთან.

ვახტანგ ოდელიაძემ მანქანის კარი გამოაღო და დალის ჰკითხა, საით მიბრძანდებითო.

— გამარჯობა, უცხო მეგონე... — გაეცინა დალის.

— დაბრძანდით! ვახტანგ ოდელიაძემ დალისთან ერთად დაამთავრა ინსტიტუტი. სპეციალობას მალე უღალატა და სამეურნეო დარგის მუშაკი გახდა. იმჟამად კი, დალის ვარაუდით, რკინიგზაში ან პროკურატურაში მუშაობდა.

დალიმ არ გაამხილა, თბილისში რომ მიდიოდა. მაღაზიაში მაქვს საქმეო, თქვა და მართლაც იქვე უნივერმაღთან ჩამოვიდა; ცოტა ხანი იტრიალა ბაზრის წინ ჩაჯდა ავტობუსში ჩაჯდა.

ცხელოდა. ნახევრად სავსე ავტობუსი რბილად, უხმაუროდ ეშვებოდა თავდაღმართში. დაბალი ფიჭვის წვეროკინები ელავდა დროდადრო ფანჯრიდან. „რატომ არ წავყევი ვახტანგ ოდელიაძეს თბილისში?“ — ფიქრობდა დალი. ვახტანგი ცოტა ნაძრახი კაცი იყო. მუსუსისა და მექალთანის სახელი ჰქონდა, მაგრამ დალის ამის არ შეშინებია.

„... უცხო ადამიანმა ხომ არ იცის, ვის უზიხარ და — რატომ... შეგხედავენ, ათასნაირ კუდს გამოაბამენ.... თბილისი მაინც არ არის დიდი ქალაქი, თუნდაც ამიტომ. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველას ერთმანეთის ამბავი აინტერესებს და მიუხედავად

ამისა, ცუდად მოვიქეცი... ვისაც რა უნდა, ის იფიქროს, რაში მეკითხება?.. თუმცა ჩემი მდგომარეობა უფრო რთულია... კაცმა რომ თქვას, ამდენი მაშინ არც მიფიქრია, წამომცდა, არ მოვდივარ-მეთქი. თანაც არასოდეს ვახტანგი არ მიყვარდა, არ მსიამოვნებდა მასთან ლაპარაკიც კი... მე მგონი, სახანძრო დაცვაში მუშაობს, აბა, რა იყო, რა პიჯაკი ეკიდა მანქანაში, ალბათ ასეა!“ — დაასკვნა ბოლოს დალიმ და ავტობუსში მგზავრები შეათვალიერა. ვის წინაშე იმართლებდა გუნებაში თავს, ვის აბარებდა ანგარიშს? საკუთარ თავს, ცხადია, მაგრამ მარტო აქ არ თავდებოდა ყველაფერი. ქმრის დაპატიმრების შემდეგ დანაშაულის გრძნობა დაჰყვებოდა ყველგან და ყოველთვის. ეს გრძნობა არც ისე ძალიან აწუხებდა, მაგრამ არც არასოდეს შორდებოდა.

დალიმ ფეხით ჩაიარა რუსთაველის პროსპექტი, შეიარა წიგნების მაღაზიაში და გარეთ გამოსულმა შეამჩნია, რომ მაღალი, ღია წაბლისფერთმიანი, ბობრი ბიჭი მოჰყვებოდა თითქმის ფეხდაფეხ. ბიჭი ეცნაურა, სად მინახავსო, გაიფიქრა რამდენჯერმე. კვლავ მოიხედა, რაკი დარწმუნდა, ბიჭი აშკარად, დაუფარავად მოჰყვებოდა, რატომღაც გაეცინა და გაახსენდა კიდეც მოსკოვის მატარებელი. ეს ის ბიჭი იყო, მასთან ერთად რომ იმგზავრა ერთი თვის წინ და შემდეგ მოჩვენებასავით დაიკარგა მოსკოვში ჩასვლამდე.

როცა დალიმ მეორედ მოიხედა და გაიცინა, ელგუჯას რაღაც ენიშნა. მოეჩვენა, მე მიცინისო, მაგრამ რატომ ან რისთვის უცინოდა, აღარ უფიქრია. არც იცოდა, რას სჩადიოდა; სად მიდიოდა ან ვისთან. წყვდიადიდან სინათლისაკენ მიისწრაფოდა; მიჰყვებოდა სხივს ბრმად და დალის სულ ახლოს ესმოდა მამაკაცის მძიმე ნაბიჯების ხმა. თანდათან მხიარულ გუნებაზე დგებოდა, ერთობოდა და აღმართში სიარული უადვილდებოდა. სადარბაზოში შეუხვია, კიბეზე ასულს მოეყურა, რომ ნაბიჯებმა პირდაპირ განაგრძეს გზა. როგორც ელოდა, ისე მოხდა თითქოს და რაოდენ

იყო მისი გაოცება, როცა საკუთარი ბინის ჰოლში უცხო კაცი დაინახა. სანამდე რამეს მოისაზრებდა და შექმნილ სიტუაციაში გაერკვეოდა, ოთახიდან ვენერაც გამოვიდა. იგი სამზარეულოში აპირებდა შესვლას, ხელში ფაიფურის ჩაიდანი და ვერცხლის სინი ეჭირა. შეჩერდა, უცხო ადამიანს მიაჩერდა.

— გაიცანი, ინსტიტუტის თანამშრომელია... — უთხრა დალიმ.

ვენერამ ელგუჯას გაუღიმა. ჭურჭელს დახედა, სტუმარს აგრძნობინა ხელის ჩამორთმევას ვერ მოვახერხებო. ამის შემდეგ გაუთვალისწინებელი სიჩუმე ჩამოვარდა. დალის თავის საქციელი აეხსნა ვერაფრით. სამთავენი დუმდნენ და არ იძროდნენ.

— მობრძანდით!— თავაზიანად თქვა ვენერამ. თვითონ სამზარეულოში შევიდა. ელგუჯამ ოთახში შეაბოტა. დალი შეყვა.

— დაბრძანდით! — სკამი გამოუწია სტუმარს.

ელგუჯა დაჯდა. დალი მეორე ოთახში გავიდა. მალევე შემობრუნდა. სქელძირიანი, რბილი ქოშები ეცვა. კაბაც გამოეცვალა. უხმაუროდ ჩაუარა გახევებულ კაცს, გაიარა ჰოლი და გაუჩინარდა. სადღაც კარი გაჯახუნდა. სამზარეულოში შეუხვია თუ გარეთ გავიდა, ძნელი დასადგენი იყო.

კარგა ხანს იჯდა ელგუჯა მარტოდმარტო, გაუნძრევლად, თვალისდაუხამხამებლად მისჩერებოდა ფერადი ფილებით მოჭიქულ ღუმელს. ძალიან მაღალჭერიანი, ძველი ბინა გამოციებული და გამოყრუებული იყო. ღუმელთან ახლო აკვარელით დახატული სურათი ეკიდა. გვერდზე როიალი ჩანდა, წინ ჰოლის კარი და ფარდა ილანდებოდა. სხვაგან სტუმარს არ გაუხედავს. საიდანღაც კედლის საათის ხმა ისმოდა, რაც დროთა მსვლელობას ადასტურებდა აშკარად. რაღაც ხმაურობდა, რაღაც მოძრაობდა მაინც.

უხმაუროდ, თითქმის შეუმჩნევლად შემოვიდა დალი; ელგუჯას წინ დაჯდა, მაგიდაზე კარტის შეკვრა დადო.

— ვითამაშოთ ერთი ხელი, თუ მომიგებთ, რასაც მთხოვთ,

აგისრულებთ... — თქვა მან, — თანახმა ხართ?

ელგუჯამ თავი დააქნია.

დალიმ შვიდ-შვიდი კარტი დაარიგა. დანარჩენი ძირს დაალაგა.

— მე არ ვიცი ეს თამაში!.. — ყრუდ თქვა ელგუჯამ, როცა ქალმა აგურის ტუზი გადმოატრიალა.

დალის ამ სმამ ყური მოსჭრა. დაფიქრდა.

— რა თამაში იცით? — იკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

ელგუჯა დუმდა. ფიქრობდა. ღმერთო, რა თამაში იცოდა მან. კარტი ხშირად უთამაშია, მაგრამ სად და როდის? რა თამაშს თამაშობდა? საოცარია. არსებობდა კი საერთოდ რაიმე თამაში?.. — დალის ჩალისფერ თმას ოდნავ გადაჰკრავდა ცისფერი. ეს ცისფერი სახეზეც ჩამოსდიოდა მკრთალად. საფეთქელთანაც სუსტი, მკრთალი ცისფერი ხაზი აჩნდა.

— მაშინ მე გასწავლით... — თქვა ქალმა.

დალი არიგებდა, დალი ჩამოდიოდა თავის და მოწინააღმდეგის კარტს. ქაღალდი თვალდახელშუა ქრებოდა, ილეოდა; თამაში, სამწუხაროდ, დასასრულს უახლოვდებოდა. ელგუჯას ხელი დაუცარიელდა. დალი კი დაღონებული დაჰყურებდა დარჩენილ ხუთ კარტს.

— ყავას ხომ არ დალევთ?! — დაიძახა ვენერამ საიდანღაც. — მე წავაგე... — თქვა დალიმ. — თქვენ როგორ წააგეთ? — იკითხა ელგუჯამ.

— აი, ნახეთ, სულ ჯვრები დამრჩა... — დალიმ ხუთი კარტი გაშალა მარაოსავით და მაგიდაზე ფრთხილად დადო, — რა გინდათ, რას მთხოვთ? — იკითხა მან.

ელგუჯას ხმა არ გაუღია. აღარც დალის გაუმეორებია შეკითხვა. საათი წიკწიკებდა ზურგს უკან, დრო არ ჩერდებოდა, ბორბალი ბრუნავდა ღერძის გარშემო და მაინც შეუძლებელი იყო გაგე-

ბა, რამდენ ხანს დუმდნენ ისინი, ელგუჯა წამოდგა და უხმოდ წა-
ვიდა..

XI

პროფესორ შელიას აგარაკის აივანი ტყიან გორებს და გაბუჩქნარებულ ფერდობებს დაჰყურებდა. საღამოს ბუჩქებსა და ბუჩქებსშუა მომწყვდეულ პატარ-პატარა მინდვრებს ჩრდილი ეფინებოდა. მინდორი უფრო მწვანდებოდა, მუქდებოდა და ხავსისფერი ედებოდა. ალიონზე ხრამ-ხევები ჩაინისლებოდა. მზე ამოდიოდა, ნისლი წყლისფერდებოდა, ფერდობებს ჩრდილი ეცლებოდა, ყველაფერი თვალისმომჭრელად კაშკაშებდა.

დილით დალი დისშვილებს ასეირნებდა. დეიდა და დისშვილები ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ ხელოვნური ტბის პირას. ტბიდან დროდადრო ვერცხლისფერი თევზები ხტოდნენ და მოლივლივე წყალზე პატარ-პატარა რგოლებს აჩენდნენ. დალის ბავშვების აღტაცება ედებოდა, ჩიტის ხმა, ცვრიანი ტოტის ხელის შეხება ახალისებდა, მაგრამ ხანდახან თვალი გაუშტერდებოდა, სულ უმიზეზოდ დაფიქრდებოდა. ბორცვიდან სიცხის ბუღში გახვეული, დეფორმირებული, სხვადასხვა მხარეს გაშლილ-გაწელილი ქალაქი ჩანდა. დალის მაინც იმ ჭისკენ მიუწევდა გული.

ზაფხულიც მალე მიილია. სწავლა დაიწყო და პირველი სემესტრის ბოლოს დალის სხვის მაგივრად მოუხდა პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება ერთ ჯგუფში. ფილიპე ხანთაძე ავად გახდა და მისი საათები ლექტორ-მასწავლებლებმა გადაინაწილეს. მათ შორის მოხვდა დალიც. ასპირანტ ქალს არც შესახედაობა უწყობდა ხელს სამასწავლებლოდ, არც არა. ვითარი გამოცდილება არ გააჩნია, თუმცა უცხო ენა ბევრი, არ იცოდა მასავით, ლაპარაკით კი ყველაზე უკეთესად ლაპარაკობდა. ეს წინადადება მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. სულ რამდენიმე მეცადინეობის ჩატარება მოგიხდება, დაამშვიდეს იგი და მცირერიცხოვან ჯგუფს წარუდგინეს ოფიციალურად.

დალიმ მალე გაარკვია, რომ ერთი-ორი კაცის გარდა ჯგუფში ინგლისურის ინჩიბინჩი არავის გაეგებოდა. პირველ დღეს მეტი ვერაფერი შეძლო. სტუდენტები ხმაურობდნენ. ზოგი კითხულობდა, ზოგი წერდა. წინა მერხიდან გოგონები ტოლივით ელაპარაკებოდნენ. დალის მისდაუნებურად ეღიმებოდა, მაგრამ სწრაფად იკავებდა თავს, თვალი მაინც ბოლო მერხისაკენ გაურბოდა, სადაც ელგუჯა იჯდა. „ეს უკვე მეტისმეტია!“ — ფიქრობდა იგი და ჟურნალში იხედებოდა, სიას ჩაჰყურებდა ჩაფიქრებული.

ყველა ხვდებოდა, დალის რომ თავის უფლებების ბოროტად გამოყენება არ შეეძლო და ზოგიერთს თავს გასდიოდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდა მასწავლებელი უყვარდათ და საქმეს ეს ათანასწორებდა. მასწავლებელსაც პატარა რამე ახარებდა; სულ უბრალო რამეზე მთელი სახე გაუნათდებოდა. ხანდახან კი ისე მოიწყენდა, გუნება გაუფუჭდებოდა მის მაყურებელს. ასეთი მოცინარი და მოტირალი სახის ადამიანს იშვიათად შეხვდებოდით.

ელგუჯა ყოველ გაკვეთილზე რაღაც ახალს და მნიშვნელოვანს ელოდებოდა, მაგრამ ერთი მეცადინეობა ტყუპის ცალივით ჰგავდა მეორეს, დალიც ისე იქცეოდა, თითქოს ელგუჯა არასოდეს სხვაგან არ ენახა. სემინარი შეღამებისას მთავრდებოდა.

ელგუჯა უიმედოდ გააყოლებდა შინ მიმავალ მასწავლებელს თვალს და თვითონაც სახლში მიდიოდა. დიდხანს იდგა ოთახში ფანჯარასთან და განათებულ ქალაქს, ქუჩას და მანქანების ბრუ-ალს უყურებდა. ამასობაში სემესტრიც მიიწურა. გამოცდები მო-ახლოვდა, ჩავლების დრო დადგა.

— ჩაივლებს მე ვერ ჩავატარებ, — თქვა ლალიმ დეკანატში.

— რატომ? — მშვიდად ჰკითხა დეკანის მოადგილემ.

— მე რა შუაში ვარ, ბატონო ლადო, სტუმარივით შევდივარ იმ ჯგუფში, თანაც არაფერი არ იციან და როგორ მოვიქცე? თქვენ მა-ინც დამესწარით!

— არა უშავს, გამოცდა ხომ არ არის, თქვენთვისაც კარგია, პრაქტიკას მიიღებთ, რაც იციან და როგორც იციან, იმის მიხედ-ვით ჩათვალეთ, გინდათ ნუ ჩათვლით, თქვენი საქმეა...” დაამ-შვიდა დალი ლადო სამყურაშვილმა.

სამყურაშვილის რჩევა-დარიგების მიუხედავად, სტუდენტების უმრავლესობას დალიმ იმდღესვე ჩაუთვალა. დარჩენილები, რომლებმაც ფაქტიურად არაფერი არ იცოდნენ, მეორე დღეს გა-მოვიდნენ: მასწავლებელი სულ მცირე ცოდნას სჯერდებოდა. ბევრი პირდაპირ რვეულიდან პასუხობდა. ზოგი დაწერილსაც ვერ კითხულობდა და სტუდენტის მაგივრად მასწავლებელს რცხვენოდა. სულ ბოლოს დარჩა ელგუჯა. მე პირადად არაფერი არ ვიცი, განაცხადა მან გულახდილად. დალიც ასე ფიქრობდა, მაგრამ მაინც დაიბნა.

— სულ არაფერი? — თითქმის.

— მაშინ ხვალ გამოდით ან ერთ კვირას გადროვებთ, თუ დეკა-ნატი დაგრთავთ ნებას.

— ერთი თვეც რომ მადროვოთ, მაინც არაფერი არ გამოვა.

— აბა, როგორ მოვიქცეთ? — როგორც თქვენ გინდათ. გინდ ჩა-მითვალეთ, გინდ არა. დალი დაფიქრდა.

— მე თუ არ ჩაგითვალეთ, გამოცდებზე არ დაგიშვებენ და რას

იზამთ?

— რა უნდა ვქნა! — თანაც ხვალ გაქვთ, მგონი, პირველი გამოცდა? — კი, ხვალ.

— მე მითხრეს, მითხრეს კი არა, გამაფრთხილეს, რომ სპორტსმენი ხართ... შეჯიბრებებზე ალბათ დრო დაკარგეთ..

— დრო დავკარგე, კი... — დაეთანხმა ელგუჯა და იქვე დაუმატა: თუმცა ამის ბრალი არ არის, დრო ისედაც ბევრი მრჩებოდა.

— მაშინ სულ ცოტა რაიმე მაინც გესწავლათ!.. — შეწუხდა დალი.

„რატომ მექცევა ამნაირად, როგორ უცნობივით მელაპარაკება... ამხელა კაცი ვდგავარ მეც შტერივით და თავს ვიმართლებ!“ — ფიქრობდა ელგუჯა და მერხს დაჰყურებდა. შავად გაპრიალებულ ფიცარზე ვიღაცას, შეიძლება მასავით გაჭირვებულს, იეროგლიფები ამოექარგა. ქვევით თვე, რიცხვი, წელი, გვარი და სახელი იყო მიწერილი. ნაწერი სინათლეზე იისფრად ილანდებოდა. თავს გვერდზე გაწევდი თუ არა, აღარაფერი ჩანდა. შუქჩრდილების თამაშმა და უფრო კი ამ ეპიტაფიის აღმოჩენამ ელგუჯა ძალიან გაახარა, თითქოს რაღაც გამოსავალიც იპოვა.

— როგორ მოვიქცეთ? — კითხულობდა დალი.

ელგუჯა ხმას აღარ იღებდა.

— ხომ იცით, რომ მაინც ჩაგითვლით და რატომ მაწვალებ?... არ შეგიძლიათ მითხრათ, რომ ცოტა იცით ან იცოდით და გადაგავიწყდათ...

— თუ ეს საკმარისია, ცოტა მართლა ვიცი, რამდენიმე ზმნას ვაუღლე, ტექსტს წავიკითხავ გაჭირვებით, მაგრამ არ ღირს...

დალიმ ვერ გაიგო, რატომ არ ღირდა თავის შეწუხება და ჩათვლის მიღება. იფიქრა კიდეც, იქნებ სწავლა არ უნდა და ტყუილად ვეძალებიო. იქამდე მივიდა, რასაც სტუდენტი ეტყოდა, იმას გააკეთებდა, ოღონდაც ამ კაცს რაიმე ეთქვა კონკრეტულად. ელგუ-

ჯა მიხვდა, ქალი რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. გაეღიმა, მერხში გასწორდა, არ იფიქროთ, თითქოს რაიმეს გთხოვდეთო, თქვა და დალი საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. დალის ნერვიულად გაეცინა, სახე გაეხსნა, გაუნათდა, თუმცა ცისფერი ძარღვი გაუფერმკრთალდა საფეთქელთან, სტუდენტს თვალი მოარიდა და საგამოცდოს დახედა. „რა საშინელი სურათია, სად გადაიღო ნეტავი ვიცოდე!“ — გაიფიქრა, დამშვიდდა, მაგრამ ღიმილის შეკავება ვეღარ შეძლო.

— ისე, სხვათა შორის, კურსდამთავრებულებსაც ბევრს ვიცნობ და ერთი ღერი ინგლისური არ იციან! — წამოიძახა ელგუჯამ.

— თუ არ ისწავლეს, არც ეცოდინებათ! — წყნარად უთხრა დალიმ.

ელგუჯა ჩაფიქრდა, ამ უბრალო ჭეშმარიტებას როგორ არ დავუკვირდიო.

— პრინციპში თქვენ სწორი ხართ, — დაეთანხმა დალი, — მივხვდი, რისი თქმაც გინდათ. გრამატიკითა და იმ პროგრამით, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ენას ვერ ისწავლი. ისე აქაც, განსაკუთრებით უცხო ენათა ფაკულტეტზე, არიან კარგი სტუდენტები...ზოგიერთმა სალაპარაკო ენაც მშვენივრად იცის...

— კი, ნამდვილად... — უაზროდ დაუკრა კვერი ელგუჯამ.

დალიმ მატრიკული აიღო და ჩათვლა გააფორმა. კარგად ბრძანდებოდეთო, თქვა და სწრაფად გავიდა გარეთ.

მთელი ღამე არ სძინებია ელგუჯას. წათვლემდა თუ არა, დალი ესიზმრებოდა. ხელახლა აბარებდა გამოცდას, წვალობდა, ცოდვილობდა. ისე თვალნათლივ ხედავდა ყველაფერს, რომ ძილ-ბურანიდან კარგა ხანი ვერ გამოდიოდა. თვალს გაახელდა, გადაბრუნდებოდა, გადმობრუნდებოდა, ძალისძალით დაალევინებდა თვალს წყალს და ისევ იმ სიზმარს უბრუნდებოდა. დილით თავის ტკივილი აჰყვა. მაინც ადრიანად გამოვიდა შინიდან და გამოცდაზეც პირველი გამოცხადდა.

მხოლოდ დღის ბოლოს დაინახა დალი დერეფანში. ქალს ხელში ჩანთა ეჭირა და მსუბუქად და უდარდელად მოდიოდა.

ეტყობოდა, ელგუჯას ვერ ხედავდა. მოულოდნელად შედგა.

ელგუჯას მიაჩერდა. გაიღიმა და იკითხა:

— ჩააბარეთ გამოცდა?

— ჩავაბარე, კი.

დალიმ თვალები გააშტერა ერთი წამით, თითქოს რაღაც გაიხსენა. უცბად გაიღიმა კვლავ და წავიდა.

ელგუჯამ ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, დალის თვალი გააყოლა, უნებურად წაიღიღინა, წინ წავიდა და სტენდზე გაკრულ სურათებს მიადგა. ცივ მინას კინაღამ შუბლი მიადო მოეჩვენა, რომ მარტოდმარტო იდგა უზარმაზარ სიცარიელეში, სადღაც ბრინჯაოს ზარები ჟღრიალებდა გაბმულად. უცბად შეკრთა და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. დერეფანში გასასვლელ-გამოსასვლელები სტუდენტებით იყო სავსე. საუბრობდნენ, იცინოდნენ უხმოდ; აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ უაზროდ, უმისამართოდ.

XII

თბილისში მშრალი ამინდები იდგა. იანვარი ისე წავიდა, ფიფქი თოვლი არ გადმოვარდნილა. ღამღამობით ყინავდა. მთვარიანში ელგუჯას ოთახის ფანჯრიდან მოწმენდილი, ლურჯი ცარგვალი ჩანდა. მინებთან ქარი ზუზუნებდა და სარკმელთან თითქოს უცნაურ ხმაზე ლაპარაკობდა.

ოთახში საიდანღაც თაგვები მოძვრებოდნენ და მთელი ღამე განჯინაში ფხაკურობდნენ. ელგუჯას ნერვები ეშლებოდა, არ ეძინებოდა. იატაკსა და კედელს შუა რამდენსამე ალაგას გაჯი იყო გახრული. ვიწრო გვირაბებით წრუწუნები რიგრიგობით ამოდიოდნენ და საჭმლის ნამუსრევზე იერიში მიჰქონდათ. საიდუმლო დარანების აღმოჩენა ელგუჯას სულ არ გასჭირვებია, მაგრამ ბარბაროსული ბრძოლის ხერხებზე იმთავითვე განაცხადა უარი. ხვრელები ქვამარილით ამოქოლა და ის დღე და ის დღე, თაგვის წრუწუნი არ სმენია. კბილებდაკვეთილნი, უწყლობით დამაშვრალნი თაგვნი, — დიდნი და პატარანი სამარადისოდ აიყარნენ და გარდაიხვეწნენ, ვითარცა ჭილყვავნი აღზევების ჟამს.

იმ თვის სტიპენდია მოგვიანებით დაარიგეს. ჯგუფის ბიჭებმა სახელდახელოდ მოითათბირეს და საქეიფოდ წასვლა მოინდომეს. აქამდე ჭიქა ღვინო ერთად არ დაელიათ და იმ დღეს რაზედ ატყდნენ, ვერავინ დაადგინა. ერთი რესტორნის ეგზოტიკურ დარბაზს დადგეს თვალი. ასეთი დარბაზები, თბილისში რომ საკმარისზე მეტია, ჩამოსულ ხალხს და იაფფასიან მუშტარს უფრო იხილავდა.

ელგუჯამ ბევრი დალია, ძალიან დათვრა, თუმცა დანარჩენები უფრო გატიალდნენ. ყაყანით ამოვიდნენ კიბეზე და შემდეგ სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ უგზო-უკვლოდ. ელგუჯა და თენგიზი ოპერის ბაღთან ხელმეორე შეხვდნენ ერთმანეთს. მალე კიმოთეც გამოჩნდა დაბარებულივით.

— გააჩერე ვინც გინდა და გავლახავ, ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს დაგპირდები! — სამსახური შესთავაზა ელგუჯა),

ბედად კიმოთეს საჩხუბრად არ ეცალა, სადღაც ჩქარობდა და დროც აღარ დაუკარგავს. მანქანა გააჩერა, ბიჭები შიგ ჩასხა და გაურკვეველი მიმართულებით გააქანა. ელგუჯას არ უკითხავს, სად მივდივართო; კიმოთე რომ მთვრალი იყო, იმასაც ვერ ამჩნევდა. მანქანაში ბორგავდა, ვერ ისვენებდა. ამხანაგს ქუდი მოხდა და კეფაზე დაიკოსა. თენგიზი საერთოდ არ იღებდა ხმას, თავი რბილი სავარძლის საზურგეზე ჰქონდა მიდებული და ყვინთავდა.

მანქანა გარეუბანში გაჩერდა. ელგუჯამ იქაურობა მოათვალიერა და ვერაფრით ვერ მიხვდა, სად იყო. მანქანაც წავიდა და მგზავრები უკაცრიელ ქუჩაში დარჩნენ.

კიმოთემ კარგა ხანი იწრიალა აქეთ-იქით. ეტყობოდა, გზა აერია. ბოლოს, როგორც იქნა, ერთსართულიანი სახლის ღობეს მიადგა და ამფსონებს სთხოვა, ვიმღეროთო.

— ...მე ვიტყვი პირველს, ეს იტყვის მეორეს და ელგუჯა ბანს მოგვაწოდებს! — სისხოსა და სიმაღლის მიხედვით გაანაწილა

ხმები კიმოთემ და კმაყოფილიც დარჩა. თენგიზმა, რომელიც ადგილზე ყანყალებდა და ეგონა, არაფერი ეყურებაო, უცბად ყელი მოიღერა და ცივი ხმით ამღერდა. კიმოთემ პირზე სელი დააფარა, თუმცა მგალობელი კარგა ხანს ვერ გააჩერა.

— დამაცადეთ... — გული მოუვიდა კიმოთეს. ჩაახველა და თვითონვე წამოიწყო ძველთაძველი ქართული სიმღერა. ელგუჯა და თენგიზი უყოყმანოდ აჰყვნენ. არც ერთს ხმის და სმენის ნატამალი არ ჰქონდა. ზოგის ხმა ალთას მიდიოდა, ზოგისა — ბალთას. ასეთ შეუწყობელ სიმღერას იშვიათად თუ მოისმენდა ადამიანის ყური. ელგუჯას თვალები მიენაბა და ძალიან სერიოზულად მღეროდა. ეგონა, ვატკბობ აქაურობას, დვრინით ვგუგუნებო. ბიჭებმა რამდენიმე ნომერი კიდევ შეასრულეს და ბოლოს და ბოლოს ვიღაც დედაბერმა გამოაღო ფანჯარა.

— გადაეცით მედიკოს, რომ ეს სიმღერა კიმი კეთილაძემ მას მიუძღვნა ღრმა პატივისცემის ნიშნად! — დაიძახა კიმოთემ.

— დედაბერმა უარის თუ დასტურის ნიშნად რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ მისი ხმა მესერს არ გადმოსცდენია. არც კიმოთეს რაინდობა შეუფასებია ხეირიანად. ვერც სახელი დაიმახსოვრა მისი და ვერც გვარი. ჩანდა, მარტო ელგუჯა მოუვიდა თვალში. რა კარგი ბიჭია და რა ქუდია, რომ ახურავსო, გაიფიქრა სინანულით.

— წავედით, ბიჭებო! — წამოიკივლა კიმოთემ. ხელები გაშალა და ფარფატით დაეშვა ქვევით. როცა გაივაკა, ნაბიჯს უკლო, ამხანაგებს შეავლო თვალი, თუმცა არ შეჩერებულა.

გზის პირას, ხის ბოძზე დაკიდებული ნათურის ქვეშ, მანქანა იდგა. იქვე ორი ბიჭი წრიალებდა.

— სიგარეტი! — მოითხოვა კიმოთემ. — არ არის! — უთხრა ერთმა. — რატომ არ არის? — გაუკვირდა კიმოთეს. უცნობმა კიმოთეს გადახედა და ზურგი შეაქცია.

— თქვენ მე თვალში ხომ არ გეპატარავებით!? — მიადგა კიმოთე მაღალ ბიჭს, რომელსაც აქამდე სმა არ ამოუღია.

— წადი ასლა, სანამ ლამაზი ხარ! — წყნარად უთხრა მაღალმა.

— ბატონო! — ხმა წაიწვრილა კიმოთემ.

— ალფეზ, არ გინდა! — დაიძახა სიბნელიდან მეორემ, თუმცა მაღალს არაფერი დასტყობია და რა არ უნდა სდომებოდა, ძნელი გასაგები იყო.

— კიმოთე, რა ამბავია!? — შორიდან დაიძახა ელგუჯამ.

— რა ვიცი, მე ამათი!.. — დაიღრიჯა კიმოთე, მაგრამ სიტყვის დამთავრება არ დაცალდა, რადგან მეორე ბიჭმა, ამხანაგს რომ აფრთხილებდა, არ გინდაო, გამეტებით ჩააფარა თავში. კიმოთე დაბზრიალდა და გამოთაყვანებული სახით გაიხედა სულ სხვა მხარეს. ამასობაში ელგუჯამაც მოირბინა.

— შენ რაღა გინდა?! — ბრაზიანად ჰკითხა მაღალმა. — ელგუჯა დაღლილი იყო და პირველად ხმა არ გაუღია, თუმცა არც მერე შეუწუხებია ლაპარაკით თავი. როგორც კი სული მოითქვა, მაღალს ხელი სტაცა და მანქანაზე მიახეთქა. ისეთი ხმა გავარდა, თითქოს მანქანა შეასკდა რკინის ბოძს. მაღალმა სიმწრით ამოიგმინა და ჩაჯდა. ამხანაგი წამოეშველა. ელგუჯამ ისიც ძირს დაუშვა. თვითონაც დაგორდა, თუმცა ორივენი დაითრია და ქვეშ ამოიდო. ამ ზედახორას მილიციის მანქანა წამოადგა იმწამსვე თავს, რომელიც სრულიად შემთხვევით გადააწყდა ამ სურათს. ელგუჯამ მანქანის ხმა გაიგონა, მაგრამ კიმოთემ, ვიღაცას რომ კატეგორიულად უცხადებდა, ხელი არ მახლოთო, უფრო გამოაფხიზლა; შავი წამოსწია და წითელქუდიანი კაციც დაინახა; მაშინვე წამოდგა, წასვლაც დააპირა და ძალიან გაუკვირდა, როცა ამის უფლება არ მისცეს.

მილიციის სამორიგეოში თბილოდა. რადიატორებს არ დასჯერებოდნენ და კუთხეში ელექტროღუმელიც ჩაერთოთ. ახალგაზრდა, გაწკეპილი ლეიტენანტი გაპრიალებული ჩექმებით დააბიჯებდა ბარიერს იქით. რიგითი მილიციელი ღუმელთან, სკამლოგინზე იყო გემრიელად მორთხმული.

კარი გაიღო, ოთახში ბრაგაბრუგით შემოვიდა ბადრაგის მილიციელი და სიმაღლეზე დაწყობილი პატიმრები შემოიყოლა.

— სიგარეტი! — შემოსვლისთანავე მოითხოვა კიმოთემ.

ახალგაზრდა ლეიტენანტმა გამომცდელად უყურა ცოტა ხანს და სიგარეტი მისცა.

— თქვენც გინდათ? — ჰკითხა დანარჩენებს. სხვებმა უარი თქვეს.

ბადრაგის მილიციელი დაწვრილებით უხსნიდა მორიგეს ყველაფერს, ვიღაც პატივსაცემი კაცის გვარს და სახელს ახსენებდა, რომელიც პირადად შესწრებოდა ამ ინციდენტს..

— ჰო, კარგი, გასაგებია... — ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა, — მათხოვეთ თქვენი საბუთები!

სტუდბილეთები ამოალაგეს. კიმოთემ წაუღიღინა.

— სასიმღეროდ გაქვს, ბიჭო, შენ საქმე? — თავისაუწევლად იკითხა საბუთების ცქერით გართულმა მორიგემ.

— ცოტა ნასმია, უფროსო! — სარკმლიდან გამოიხედა ვიღაც თმაწვერგაბურძგნულმა კაცმა.

განის კარში პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი და პირდაპირ რაფაზე წვერგაუპარსავი თავი იდო, თავი, ეტყობოდა, იღიმებოდა, რადგან ლაშები ყურებამდე იყო ახეული.

— შენ გაჩერდი, გირჩევნია! — დაემუქრა ელექტროღუმელს შეფიცხებული მილიციელი.

— კი, უფროსო! — თქვა წვერგაუპარსავმა, საიდანღაც პაპიროსი დააძრო და თავი ბოლში გაეხვია.

ლეიტენანტმა წერა დაიწყო.

— უფროსო, როდის დავლიოთ, მე და შენ? — დაიძახა თავმა. მილიციელმა ხმა არ გასცა. სარკმელში კი თუთუნის ბოლი ჩაეხვია და ჩახუჭუჭდა. ბოლი გაფერმკრთალდა, გაიისფრდა და თმაწვერგაბურძგნული კაცის თავიც გამოიკვეთა თვალსაჩინოდ.

— უფროსო, ხვალ შაბათია თუ დღესაა პარასკევი?

— მოვალ ახლა მანდ და გაგაგებინებ, რა დღეა! — დაჰპირდა მილიციელი. გაბურძგნული თავი მოჩვენებასავით დაიკარგა. ეტყობოდა, მილიციელს ტყუილუბრალოდ ლაპარაკი არ უყვარდა.

— შენ მე არ მიცნობ? — ჰკითხა მორიგემ ელგუჯას.

— რაღაც მეცნობით...

მორიგემ ისევ სტუდბილეთში ჩაიხედა, თავი გააქნია და ჩაილაპარაკა:

— რატომ დათვერით, ბიჭო, ასე? — ხოში გვქონდა! — დაიძახა კიმოთემ.

— გაჩერდი, კაცო! — გაბრაზდა გამოფხიზლებული თენგიზი.

მორიგემ თენგიზს გადახედა.

— თბილისელი ხარ, შენ?

— დიახ... თქვენ გიცნობთ, ჩვენთან არ სწავლობთ? — კი, მხოლოდ დაუსწრებლად.

— ჩვენც ერთად ვსწავლობთ, ეს მოჭიდავეა... — ელგუჯას გადახედა თენგიზმა.

— ვიცი, — თქვა ახალგაზრდა ლეიტენანტმა, — სპორტსმენი კაცი მერე ასე უნდა დათვრეს...

— იმ დღეს, უფროსო, სამი მსოფლიო არ მოიყვანეს აქ სპორტში?!.. — შეახსენა ბადრაგის მილიციელმა.

— სამი მსოფლიო კი არა, ის... წადი, შენს საქმეს მიხედე!

მილიციელმა რაღაც ქაღალდებს მოაწერა ხელი, სიგარეტს მოუკიდა და წელათრეული გავიდა გარეთ. ელგუჯა სკამლოგინზე დაჯდა. კიმოთეს ჩაეძინა. ერთი საათის შემდეგ, როცა კიმოთემ ერთი პირი ძილი მოილია, როცა ელგუჯა გამოფხიზლდა, ხოლო თენგიზმა წუწუნს უმატა, სახლში გადაირევიანო, მორიგემ სტუდბილეთები დაარიგა და სამივენი შინ გაუშვა.

— კარგად იყავით, გადაეცით მოკითხვა თქვენებს! — დაიძახა რაფაზე ხელახლა შემომდგარმა თავმა და გარეთ გასულ ბიჭებს ნაღვლიანი მზერა გააყოლა.

XIII

უგუნებოდ გაიღვიძა დილით ელგუჯამ. თავი სტკიოდა. სანამ წამალი არ დალია, გაბურბუსალებული იარა. არც სასმელი უნდოდა, არც საჭმელი. ბუნდოვნად იხსენებდა წუხანდელ ამბებს და ნირწამხდარი მიდიოდა ინსტიტუტისაკენ.

ლექციების დაწყებამდე კიმოთემ მოაკითხა. — გაიგე, ვისთან მოგვსვლია ჩხუბი?

— ვისთან? — ალფეზ მაჩაბელთან! — ოფ! — უცბად გამხიარულდა ელგუჯა. — იცი, ვინ არის ალფეზა მაჩაბელი? — ვინ არის ასეთი?

— ალფეზა მაჩაბელი, რას ლაპარაკობ შენ!

გარდა იმისა, რომ ამ სახელისა და გვარის გაგონებაზე კიმოთეს რაღაც უცნაური შიში და რითი იპყრობდა, კონკრეტულს არაფერს ამბობდა და ელგუჯამ ასევე ვერ გაიგო, ვინ იყო ეს ალფეზა მაჩაბელი. იგი მაინც შეფიქრიანებული შევიდა ლექციაზე. ორი საათის შემდეგ კი აუდიტორიაში ისევ ფერდაკარგული კიმოთე

გამოჩნდა, ელგუჯა გარეთ გაიყვანა და ჩუმად აცნობა, გუშინდელი ნაცნობები უკვე ეზოში გველოდებიანო.

— რა უნდათ? — იკითხა ელგუჯამ.

— არ ვიცი, საქმე გვაქვს, ვილაპარაკოთო.

ელგუჯამ ახლაღა შეამჩნია, კიმოთე რომ ადამიანს აღარ ჰგავდა. თვითონაც აღელდა და დაუფიქრებლად დაეშვა ქვევით. კიბეზე თენგიზი გაახსენდა და იკითხა, ისიც ხომ არ წამოგვეყვანაო. თენგიზი არ უხსენებიათ და მესამე კაცი გვახლდა თუ არა, ისიც არ იციანო, თქვა კიმოთემ.

ეზოს ბოლოში, ხევში ჩაკარგული ქუჩის მხარეს ორი ბიჭი იდგა განცალკევებით და ელგუჯა წამსვე მიხვდა, ვინც იქნებოდნენ, თუმცა ორივე იუცხოვა. სალამი თქვა და უხმოდ გაჩერდა იქვე. სამივენი თვალდათვალ ზომავდნენ ერთმანეთს, თუმცა ერთს მეორესათვის თვალში არ შეუხედავს.

ფერმკრთალი, ნეილონის დათბილულქურთუკიანი, ბეჭებში მოხრილი ბიჭი ჯანიანი მამაკაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა სიმაღლითაც ვერ დაიკვეხნიდა. მეორე, მაღალი, თხელი ბიჭი, პალტოდან პულოვერი, თეთრი პერანგი და ჰალსტუხი რომ მოუჩანდა, ელგუჯას უფრო ეცნაურა, თვალშიაც მოუვიდა, პირველად სიმპათიითაც კი განეწყო მისადმი, სწორედ ეს აღმოჩნდა ალფეზ მაჩაბელი.

— რას გვერჩოდი, შე კაი კაცო, რომ გვეტაკე წუხელის და გვაგორავე ტალახში? — წყნარად იკითხა ალფეზა და გაიღიმა კიდეც.

— მთვრალი ვიყავი, ბევრი არაფერი მახსოვს, მაგრამ, მე მგონი, თქვენ იყავით დამნაშავე... — მშვიდად თქვა ალფეზას ღიმილით გათამამებულმა ელგუჯამ.

— ჩვენ ვიყავით დამნაშავე?! — სიმწრით გაეცინა ალფეზას.

— დავიწყო! თავიდან და ყველაფერი გაირკვევა... მართლა მასე კი არ არის საქმე!.. — წინ წამოვიდა კიმოთე.

— ეს ვინ არის? — იკითხა ალფეზამ.

— წადი ახლა აქედან! — დაიჯღანა ნეილონისქურთუკიანი.

— რა გინდა, კაცო, შენ?! — წადი, ბიჭო! კიმოთემ უკან-უკან დაიხია და ხესთან გაჩერდა. — ბოლოს და ბოლოს რა გინდათ?! — წამოენთო ელგუჯა.

— წინ არ წამოხვიდე, თუ თავი არ მოგძულებია... გულით საყვარელს აგიტირებ, ახლა, ამწუთას!.. — კბილებში გამოსცრა ალფეზამ, ოდნავ უკან დაიხია და ხელსაყრელი პოზიცია დაიჭირა. ხელში სიგრძეზე დაკეცილი გაზეთების მეტი არაფერი ეჭირა, მაგრამ მარტო პრესის იმედად რომ არ იყო წამოსული, გამოუცდელი თვალიც მიხვდებოდა.

— ფეზიკ, არ გინდა, გაიყვანე და ცალკე ელაპარაკე!.. — გააფრთხილა ამხანაგმა და სულ სხვა მხარეს გაიხედა, თითქოს იმ წუთას არც არაფერი ეთქვას.

— გავიყვან კი არა, სუდს მოვუწყობ ახლა ამ სიმონას! — თქვა მაჩაბელმა.

— სიმონა რომ არის, იმიტომ უნდა გაყვანა, გინდა დაგაჭერინოს?.. წამოდით, აქეთ წამოდით!..

ქურთუკიანმა მოიხედა და როცა ნახა, უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ ყველანი, საქმიანად გაუყვა მოწითლებულ გზაწვრილს.

ელგუჯა გაბრუებული მოაბიჯებდა: ნაღვინევი და უძილო რეტდასხმულს ჰგავდა. მაინც კარგად ხვდებოდა, რაც ხდებოდა და ფიქრობდა, თუ არ მოვითმინე, უეჭველად მომკლავენო. თავის გადარჩენის არაცნობიერი ინსტინქტი უფხიზლებდა გონებას.

შეჩერდნენ. კიმოთე მოვიდა და რამდენიმე ბიჭიც, რომელიც ამ ლაპარაკს შეესწრო და ასე თუ ისე, სამივეს იცნობდა, იქ გაილანდა.

— ბოდიშს მოიხდის და ის იქნება! — დათმობაზე წავიდა ქურთუკიანი. გაუგებარი კი იყო, საბოდიშოდ რაღა ამ სიშორეზე მოდიოდა.

— რად მინდა, ბიჭო, მე მაგის ბოდიში! — ხმა გაიბრტყელა ალფეზამ.

ხელი არ ასწიო, ფეზიკ! — გააფრთხილა ამხანაგმა.

ალფეზამ სიგრძეზე გაკეცილი გაზეთები მოიქნია და ელგუჯას სახეში ცეცხლა. ელგუჯამ თავი უკან დაწია, თუმცა ადგილიდან არ დაძრულა. ალფეზამ მეორედ მოუნაცვლა. ქურთუკიანი ამასობაში შუაში ჩადგა, მაჩაბელს ხელიც კი ჰკრა, მაგრამ გაზეთებმა მესამეჯერ გაიტკაცუნეს ელგუჯას ლოყაზე.

ამის შემდეგ ალფეზა სწრაფად შეტრიალდა და წავიდა. ამხანაგი მიჰყვა. მართალია, სამივე უსაყვედურა, არ ხარ სწორიო, მაგრამ უკან არც იმას მიუხედავს. სწრაფად მიეფარნენ თვალს, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. სეირის მაყურებლებიც მალე დაიფანტნენ მდუმარედ.

ელგუჯა სკამზე დაჯდა და კიმოთეს პაპიროსი მოსთხოვა. ცეცხლის მოკიდების დროს მიხვდა, რომ ხელები უკანკალებდა; გაუკვირდა, ანთებული სიგარეტი ბუჩქებში მოისროლა, სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადაუარა.

„არ შეარჩენს, ხომ ვიცი ამის ამბავი!“ — ფიქრობდა კიმოთე. კარგად ახსოვდა, როგორ გამოეკიდა ელგუჯა წალდით ლაშიღელელ შოფერს, რომელიც ახალი ჩამოსული იყო ციმბირიდან. შოფერმა ჯობაძემ მკვდარი დედა შეაგინა და ელგუჯამ პირდაღებული სოფლელების თვალწინ იფრინა თავზეხელაღებული კაცი. შემდეგ კი სამი დღე და სამი ღამე თოფით უდარაჯა გზაშარაზე. ჯობაძემ მანქანა მიატოვა, გადაიმალა და ბოლოს შუამავლები გამოუგზავნა, თავი დამანებოსო. ეს ჩემზე უბედური ყოფილა ვიღაცააო, უთქვამს შემდეგ ჯობაძეს. მაგ კაცი გლახად დაამთავრებს სიცოცხლეს, თვარა აგერა ვარ მე და ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთო.

XIV

იმ ღამით შეაცია ელგუჯას. ტანზე მსხვილად დაფოთლა და სიცხე მისცა. ორი დღე საწოლიდან არ წამომდგარა. მესამე დღეს დაუკლო სიცხემ მხოლოდ. თბილად ჩაცმული წრუპავდა ცხელ, თაფლით გაზავებულ ჩაის ან ტახტზე წამოწოლილი კითხულობდა. იმ დილით მამის გამოგზავნილი ბარათი მიიღო. თომა პუნქტუალურად უგზავნიდა რჩევა-დარიგებებით სავსე წერილებს. კონვერტში წერილთან ერთად ხშირად გაზეთებიდან ან ჟურნალებიდან ამოჭრილი პატარ-პატარა სტატიები იდო, სადაც ეწერა, ღვინოში და არაყში არის ალკოჰოლი, ალკოჰოლი ჯანმრთელობის მტერიაო; თამბაქო შეიცავს ნიკოტინს, ხოლო ასკილის ნაყოფი ცე ვიტამინით არის სავსე; ნერვიულობა ადამიანისათვის მაწყინარია, სიმსუქნე სულის მტერია; ფიზიკური შრომა და სუფთა ჰაერი სასარგებლოაო და სხვა. ამ ამონაჭრებს ელგუჯა თავიდან ბოლომდე კითხულობდა ძალაუნებურად, თან უკვირდა, რატომ ჰგონია მაგ კაცს, რომ გაზეთებს არ ვყიდულობო.

ბოლო წერილით მამა იტყობინებოდა: კარგად ვარ, მანდი-კორსაც არა უჭირს რაო. ხეში წყალი ჩადგა. გაზაფხულის სუნი და სითბო ტრიალებსო. კონვერტში პატარა სტატიაც იყო. შიგ ეწერა: იელის ნაჭამი ფუტკრის თაფლი მავნებელიაო. აკაციაზე და ცაცხვზე ადრე შქერი და იელი ყვავის ხოლმე, ფუტკარი იელს ეტანება და მათრობელა თაფლი დგებაო, უმატებდა თომა. იელის თაფლს საპყარიც ბევრი მოურჩენია, მაგრამ როცა იელი ყვავილობს, თაფლი მაინც საშიშიაო... „რა უნდა ამითი თქვას?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

ერთხელო, განაგრძობდა თომა, კოლხთა ერთ სოფელში ათი ათასი ბერძენი მეომარი მოიწამლა ასეთი თაფლითო. „... საიდან იცის, რამდენი მოიწამლა, იქნებ აკლდა ათი ათასს, თუმცა, ძველ წიგნებში აქვს წაკითხული!“

— შენთვის იელი ახლა ყვავის. იელი გაგაბრუებს, გაწყენს, ურვაშეპყრობილს გატარებსო, წუხდა მამა.

... ცხრა მთა გადმოვლილი ელინები ახალმთვარობაზე მოსდგომიანო კოლხურ სოფლებს. მაინცადამაინც არაჩვეულებრივი იქ არაფერი შეუნიშნავთ, გარდა უთვალავი სკისა. თაფლს გამკითხავი და პატრონი არ ჰყავდა თურმე. ელინი მეომრები თაფლს მისძალებიან და გადასულან ჭკუიდან. პირველად ჰგონებიათ, მიწა იძრა. ერთმანეთზე გადაბმულ, გადაგრეხილ გორებს ხორუმის ცეკვა დაუწყია. როცა შეღამებულა და მთის წვერზე მთვარე ამოცურებულა, ათი ათასი მებრძოლი შეშლილს დამსგავსებია. ისინი როკავდნენ, ღრიალებდნენ და ხელებს ზევით იშვერდნენ: თანდათან ეცლებოდათ ღონე და ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ ძირს.

ოთახში ბინის პატრონი სესე შემოვიდა. სესემ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე იცოდა შემოსვლა. იღიმებოდა და გვერდულად მოძვრებოდა ღრიჭოდ დატოვებულ კარში.

„ამას აქვს რაღაც ბერძენი მეომრის!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და

საწოლზე წამოჯდა.

— იყავი, იყავი, დაისვენე... — მოიბოდიშა სესემ. — არა უშავს, მობრძანდით. — როგორა ხარ, ბიჭო? — არა მიშავს, გმადლობთ. — სიცხე ხომ აღარა გაქვს? — მე მგონი, არა, გამიარა. — გაცივდი, ალბათ, სადმე... — შეიძლება, დაბრძანდით.

სესე არ დაჯდა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და საწოლთან აეყუდა. გადაშვებული სალათი ეცვა უქამროდ. მოღიმარი, მოსულელო სახე ჰქონდა. სესემ საკუთარი ოთასი შეათვალიერა. იქაურობას წიგნების მეტი არაფერი შემატებოდა. წიგნები ტუმბოზე, კარადაში და სკამზე აღარ დატეულიყო და კუთხეში იატაკზეც იყო დალაგებული.

„რად უნდა ამდენი წიგნები?.. ჭამოს, სვას არ ჯობია!.. მამამისმა თუ იცის ნეტავი, რაში ყრის ფულს!“ — ფიქრობდა სესე და ჯიბეებიდან ბარძაყებს იფხანდა.

— ხომ არაფერი გინდა, ბიჭო, თუ რამე დაგჭირდეს, თქვი, შემოდი ჩვენთან ხანდახან. რა გიჭირს, რა გილხინს, არ უნდა ვიცოდეთ?.. დიდი მორიდებული კაცი სარ, ჩემმა მზემ!

სესეს საყვედურზე ელგუჯას ეღიმებოდა მხოლოდ, თუმცა როცა ეუბნებოდნენ, ხათრიანი და მორიდებული ხარო, რატომღაც სწყინდა. მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, სტუმარს ხელმეორედ შესთავაზა სკამი. სესე ამჯერად დაჯდა, მხოლოდ ჯიბეებიდან ხელები არაფრით არ ამოიღო.

— საჭიდაოდ აღარ მიდიხარ?

— ვაპირებ, კი.

სესემ იჭვნეულად გაიღიმა და ელგუჯას მიაჩერდა. ელგუჯა ხვდებოდა, ეს კაცი ჭიდაობას რომ მოცლილი და უსაქმური ხალხის ხელობად თვლიდა.

— ადრე, ახალგაზრდობაში, — დაიწყო სესემ, — მეც ვჭიდაობდი, მხოლოდ ჩვენებურად. თქვენი წესებისა მე არაფერი გამეგე-

ბა. ერთხელაც სოფელში ვიღაც გადამთიელმა დათვები ჩამოიყვანა. ერთი სიტყვით, ცირკი გამართა რაღა, ჩვენ ფული გადაგვახდევინა. მერე კიდევ იმ კაცმა თქვა, თუ ვინმეს შეგიძლიათ, გამოდით და დათვს ეჭიდავეთო. ჩემს დღეში დათვთან არ მიჭიდავია. ვიფიქრე, მაგის ყოფაც არ იყოს, მოდი, გავალ-მეთქი. სხვებმაც წამაქეზეს და გავედი. ერთი სიტყვითა, ვეცი დათვსა, გამოვკარი შუაკაური და დავეცი ძირს..

— წააქციეთ? — გაუკვირდა ელგუჯას.

— მა! — მერე დათვმა არაფერი ქნა?

— რა უნდა ექნა?

— წინააღმდეგობა სულ არ გაგიწიათ?

— დაფიქრება არ ვაცალე.

— რომ ეკბინა?

— პირი აკრული ჰქონია და რას მიკბენია!

— ა, მაშინ გასაგებია.

— ისე პატრონი კი გაჭინჭყლდა, არ იჯერებდა, მოულოდნელად დაეტაკა საწყალ დათვსო, მეორედ ეჭიდავოსო.

— მერე გადით მეორედ? — დაინტერესდა ელგუჯა.

— რა ბიჭი გავიდოდი! დათვი ისე გაბრაზდა, ძლივს აკავებდნენ, მე მეძებდა, სად წავიდაო... მეორე დღეს ვნახე, მაგრამ ვერ მიცნო.

ოთახში სესეს ცოლი და ქალიშვილი შემოვიდნენ.

— შემოცვივდით?! — იკითხა სესემ.

— სად ხარ, კაცო, შენ... ჩვენ დავეძებთ და ეს თურმე აქ არ ჭუკჭუკობს!..— ცოლმა თვალები მოწკურა და ქმარს საყვედურით და სიყვარულით მიაჩერდა. ეს გამოხედვა ელგუჯას ყოველთვის ზიზღს ჰგვრიდა. — — მართლა დათვთან მორკინალი კაცი იყო თუ არა სესე, ღმერთმა უწყოდა, მაგრამ ღორს რომ ოსტატურად აუგო წესი, ელგუჯამ თავისი თვალით ნასა.

მეზობლად, ერთმა კერძო მოსახლემ კახეთიდან უზარმაზარი

ღორი ჩამოიყვანა. იმ ახლომახლო სესეს გარდა კაც ღორის დამკვლელი არ აღმოჩნდა. სესემ დანა ალესა, ფხა მოუსინჯა, ჯიბეში ჩაიდო და ელგუჯას სთხოვა: ღორი უნდა დავკლა, წამოდი, დამეხმარე, შენს გაზრდასო.. ელგუჯას სულაც არ უნდოდა ამ საქმეში გარევა, მაგრამ სახლის პატრონს უარი ვეღარ უთხრა.

ცივი, მთვარიანი ღამე იყო. პატარა ეზოში გათანთალებული ღორი ღრუტუნებდა. ელგუჯას იგი შორიდან თეთრი ვირი ეგონა. ებო ელექტრონის შუქით გაანათეს და მასპინძელმა, სქელმა კაცმა, რომელსაც ზოლებიანი, ღამის პიჟამა ეცვა და დაბალ, ქვის კიბეზე სიცივისაგან ძიგძიგებდა, განაცხადა: მე ამ საცოდაობას ვერ დავესწრები და აბა, თქვენ იცითო. დარჩნენ ქალები და ბავშვები. ელგუჯამ იფიქრა, ჩვენ ორნი ამ საქმეს ვერც შევძლებთო და შიში სესესაც გაუმხილა. სესემ ჩაიცინა და ელგუჯას უთხრა: მე ფაქტიურად შენი დახმარებაც არ მჭირდება, სასეიროდ მოგიყვანეო.

სესემ დანა ხალათის სახელოში დამალა (ვითომ ღორმა იცოდა, დანა რა იყო) და პირუტყვს ღაბაბში მოჰფხანა გემრიელად. ალერსით გულაჩუყებული ღორი სიამოვნებისაგან აღრუტუნდა და წამოწვა. სესე ღორს ჩაეხუტა, ცალი ფეხი ნაზად აუწია და დანაც ფეთქა შიგ გულში. ღორმა რაღაც საშინელი ხმით დაიხრიალა, შემდეგ ახროტინდა და მიჩუმდა. თუმცა კაცი კიდევ კარგა ხანი ფხარკალებდა და რაღაც ილეთებს აკეთებდა. — ცოტა ხნის შემდეგ სესე წამოდგა, ღორს დანა ჯაგარზე დააწმინდა და ელგუჯას უჩურჩულა: წამსვე გავაცხებიე სული, მაგრამ არ წამოვდექი, მასპინძელმა რომ უჯაფობა არ დამწამოსო.

— უკვე? — იკითხა გაოცებულმა ღორის პატრონმა. — დავკალი, პატივცემულო! — უთხრა სესემ.

— უჰ! — გაოცდა მსუქანი კაცი, ღია კარიდან რომ იჭვრიტებოდა.

— კარგი რამეა, მე და ჩემმა ღმერთმა! — ღორს გადახედა სესემ.

— უჰ! — თქვა კაცმა და გარეთ გამოვიდა ფრთხილად.

სესემ ელგუჯას გადაულაპარაკა, არ წახვიდე, ახლავე სუკებს ავათლიო, მაგრამ ელგუჯა არ გაჩერდა, თუმცა მასპინძელიც ბევრი ეპატიჟა.

შუაღამისას მოვიდა შინ სესე. მთვრალი იყო და ღიღინებდა: სანამ ცოცხალი ვარ, ასე ვიქმ, ვახარებ ვარდსა, იასაო...

ელგუჯას ძილი გაუტყდა. სესეს კი, ეტყობოდა, მალე ჩაეძინა, რადგან მისი ხმა მერე გარეთ აღარ გამოსულა.

XV

ელგუჯა მისდა დაუკითხავად ვიღაცამ ინსტიტუტის სიმღერის გუნდში ჩარიცხა. უზარმაზარი გუნდი, რომელიც ბოლოს და ბოლოს სიმრავლით თუ გააკვირვებდა ვინმეს, ოლიმპიადისათვის ემზადებოდა. მომღერალ სტუდენტს მეცადინეობის გაცდენისათვის სტიპენდიას უკავებდნენ.

გამხდარი ლექტორი, რომელსაც გუნდის შეფობა ჰქონდა დაკისრებული, ყოველ ხუთშაბათს ელგუჯას აკითხავდა, იმუქრებოდა, თუ შემდგომ მეცადინეობაზე არ გამოცხადდები, შენს საქმეს დეკანატს გადავცემ და მერე არაფერი დამაბრალოო. ლექტორს ზღარბივით თმა და პატარა, გაოცებული თვალები ჰქონდა. ხელში მუნდშტუკი ეჭირა და დღენიადაგ პატიმარივით აბოლებდა.

— მოვიდა! — აფრთხილებდნენ ელგუჯას, როცა ლექტორი გამოჩნდებოდა. — რატომ არ გამოცხადდი გუნდის მეცადინეობაზე? — დამნაშავესავით ეკითხებოდა ლექტორი და სიგარეტს დაჰყურებდა, ფერფლის დასაყრელ ადგილს ეძებდა.

იმ დღეს ელგუჯამ მეცადინეობაზე გამოცხადება დააპირა მაინც. გადაწყვიტა, ლოტბარს პირადად დასთხოვებოდა და საჩივრებისა და საყვედურებისათვის თავი მოერიდებინა.

დიდი აუდიტორია სტუდენტებით იყო სავსე. ელგუჯამ ოთახში შეიხედა და გაუბედავად შევიდა შიგ. ყურადღება არავინ მიაქცია. ეტყობოდა, ერთი მეორეს არც კი იცნობდა. მერხებთან ბელა შეეფეთა. ბელა მღეროდა თუ ორკესტრში უკრავდა, ელგუჯამ კარგად არ იცოდა, მაგრამ ამ ჯარში რომ რაღაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, გაგებული ჰქონდა.

— რა გინდა, რატომ მოდი? — ჰკითხა ბელამ. — მე რა მოვედი, მომიყვანეს; ვინაა თქვენი უფროსი?

— აქ ყველა თავის თავის უფროსია, თანაც, მგონი, დღეს რეპეტიცია არ უნდა იყოს, ლექციაა, თუ არ ვცდები.

ლექციის გაგონებაზე ელგუჯამ უკან დაიხია და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ ბელამ აღარ გაუშვა.

დიდი აუდიტორია თანდათან სტუდენტებით ივსებოდა. უნდა ჩაეტარებინათ ლექცია-სემინარი: როგორ დავიცვათ თავი მასობრივი დაზიანების იარაღისაგან.

ლექტორი სამოქალაქო თავდაცვის შტაბიდან იყო გამოგზავნილი. ფილოლოგიის ფაკულტეტისათვის სავალდებულო დასწრება გამოაცხადეს, მაგრამ უმრავლესობამ შინ წასვლა დააპირა., დეკანი და მისი მოადგილე კიბესთან იდგნენ და არავის არ უშვებდნენ. მხოლოდ რამდენიმე სტუდენტმა, რომლებმაც განაცხადეს, ამ ფაკულტეტზე არ ვსწავლობთო და, საბედნიეროდ, ვერც ვერავინ იცნო, მოახერხა გაპარვა.

თითო მერხზე ათამდე კაცი მაინც მოთავსდა. ჩანთები წინ ჰქონდათ დალაგებული და თითქმის ყველანი გასაქცევად იყვნენ გამზადებულნი; ერთხმად ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. სტუდენტები კი ისევ მოდიოდნენ და ამდენი ხალხი სად უნდა დატეულიყო, არავინ კითხულობდა. სულ ბოლოს კიმოთე გამოჩნდა.

ხელში მზის სათვალე ეჭირა და სასხვათაშორისოდ მოდიოდა; ალმაცერად ათვალიერებდა საზოგადოებას, არავინ სკამი არ შესთავაზა და გაოცებული შეჩერდა კედელთან. შემდეგ ბევრიც იწრიალა, მაგრამ დასაჯდომი კი არა, ჩასახული ადგილიც ვერ იშოვა.

— მოდი, ბიჭო, აქ! — უთხრა ბოლოს ელგუჯამ და წინა მერხზე თავისუფალი ადგილი დაანახა.

— ოჰ! — სათვალიანი ხელი ასწია კიმოთემ. გაუკვირდა, აქამდე როგორ ვერ დავინახეო. იგი მართლაც მინიშნებულ ადგილზე ჩაეკვეხა უფროსკურსელებთან. ისევ იქ ყოფნა ერჩია, რადგან თავისიანებს ბავშვებად და ხამებად თვლიდა. პირველკურსელებმა კი ვერაფრით ვერ გაიგეს, რას ამადლიდათ ეს კაცი..

ლექცია რატომღაც ქალმა წაიკითხა. ყველას ეგონა, ამ საქმეს თადარიგში გასული რომელიმე პოლკოვნიკი მაინც იკისრებდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. — ქალმა ძალიან მაღალი ხმით დაიწყო ლაპარაკი და თავდაპირველად გაოცებული აუდიტორიის ყურადღებაც კი მიიპყრო, თუმცა, ლექციებით გადაღლილი სტუდენტები მალე ალაპარაკდნენ და ახმაურდნენ...

ბელა უმიზეზოდ იცინოდა და ისე არასერიოზულად იქცეოდა, რომ ელგუჯა საგონებელში ვარდებოდა. ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად იძლეოდა კითხვებს. ელგუჯაც დაახლოებით ამდაგვარად პასუხობდა და აბურდულ ლაპარაკს ბოლო არ უჩანდა. უცბად ბელა შეტრიალდა და უკანა მერხზე მჯდომ ამხანაგს რაღაც უჩურჩულა. ამხანაგმა ვერაფერი გაიგონა. ბელამ ისევ გადასწია თავი ამხანაგისაკენ და მაინც ვერაფერი შეასმინა. ბოლოს რვეული გაშალა, ფურცელი ამოხია, გოგოს ანიშნა, დავწერ და წაიკითხეო; წერა დაიწყო. წერდა და იცინოდა. ელგუჯამ ფურცელს სტაცა ხელი, მაგრამ ბელამ იმარჯვა, ფურცელი დაითრია, დაკუჭა და მუჭში დამალა. ელგუჯამ ვერაფრით ხელი ვერ გაუხსნა და გაოცდა. ამასობაში მისი ხელები ერთი წამით

ბელას მკერდზე აღმოჩნდა. ელგუჯამ მკვრივი სირბილე იგრძნო თითებქვეშ და თავში ელვასავით დაურბინა ჟრუანტელმა.

— გეყოფა! — გააფრთხილა ბელამ და სახეზე სიწითლემ ამოფეთქა.

ელგუჯა შეცბა, ბელას ჩამოეხსნა. — ამდენი კი არ შემიძლია... — გაიცინა ბელამ, გულისპირი გაისწორა, რვეულის ფურცელი წვრილად დახია, მერხში შეკუჭა და დადინჯდა.

... თუ ბირთვულმა აფეთქებამ ქუჩაში ან მინდორში მოგისწროთ, დრო არ დაკარგოთ, ყოველი წუთი ძვირფასია. ნუ დაიწყებთ საგანგებო თავშესაფრის ძებნას. თავის დასაცავად გამოგადგებათ ქვიტკირის ყორეები, ორმოები, თხრილები, ჭრილები; ხე და ქვა. დაწექით ძირს და პირველ რიგში დახუჭეთ თვალები. როცა გადაივლის დარტყმის ტალღა, წამოდექით. ჯერ თქვენს თავს და მერე სხვასაც მიხედეთ. გახსოვდეთ, რომ თქვენ გარშემო ათასნაირი საფრთხეა... — ერთი და იმავე ტონით, ცივი ხმით. ლაპარაკობდა ლექტორი ქალი.

კიმოთეს ლექტორის ჯავრი არ ჰქონია. დროდადრო უკან იხედებოდა და თვალი ბელასკენ რჩებოდა, პირზე ნერწყვი ადგებოდა, ელგუჯას ბედი შურდა. ყველაფერს იღბალი უნდაო, ფიქრობდა იგი. „ჩემს კურსზე რა ღვთის წყრომაა მაინც, ამდენმა მაიმახმა ერთად როგორ მოიყარა თავი!“

ლექტორმა მალე დაამთავრა ლექცია, წყალი მოსვა, სულა მოითქვა და კატეგორიულად მოითხოვა, შეკითხვები მომეცითო. — მცირე პაუზის შემდეგ შუა რიგის მესამე მერხიდან, სადაც სულ ბიჭები ისხდნენ, ერთი სტუდენტი წამოდგა. სტუდენტს პატარა თავი ჰქონდა და წრიპა ეგონათ, მაგრამ იწია, იწია და დინოზავრივით წამოიმართა. სანამდე რამეს იტყოდა, ძირს იხედებოდა, რას ეძებდა, კაცმა ვერ გაიგო. ეს ბიჭი სადღაც მივარდნილ მთებში იყო გაზრდილი და რატომღაც ამით ძალიან ამაყობდა.

— ბრძანეთ! — უთხრა ლექტორმა და მოსასმენად მოემზადა.

სტუდენტმა მიუჩვეველი ყურისათვის სრულიად უცხო ხმით იკითხა: რეგულარულად ჩატარდება თუ არა კიდევ ასეთი ლექციები და თუ ჩატარდება, როდის და ვის ხარჯზეო. დაკარგულ დროს გულისხმობდა თუ მატერიალურ-ეკონომიურ სტიმულირებას, აღარ დაუზუსტებია, რადგან პირდაპირ სხვა საკითხზე გადავიდა და გამოირკვა, რომ კიდევ ბევრი რამე აინტერესებდა. მხოლოდ კითხვებს თავი ვეღარ მოუყარა და ყველაფერი აერდაერია.

— თუ შეიძლება, თავიდან გაიმეორეთ! — სთხოვა ლექტორმა.

სტუდენტმა ჩაახველა, ეგონათ, სალაპარაკოდ ემზადებაო, მაგრამ სამარესავით დადუმდა და მისი ხმა შემდეგ აღარავის სმენია, თუმცა კარგა ხანს ეხვეწნენ, თქვი რამეო.

— მაშინ დაბრძანდით! — უთხრა ქალმა.

— არაფრით არ დაჯდება! — აუხსნა ერთმა მისმა ნაცნობმა ახლომახლო მსხდომთ. ყველას გასაოცებლად სტუდენტი იმწამსვე დაჯდა და სერიოზული სახით მიაჩერდა მომხსენებელს.

შეკითხვებით, მით უმეტეს ადრინდელზე უფრო საქმიანით, ლექტორი აღარ შეუწუხებიათ და ლექციაც დამთავრდა. სტუდენტები ისეთი ჟრიამულით წამოიშალნენ, ლექტორს შეეშინდა, არ გადამეჯეგონო და კათედრას აღარ მოშორებია.

XVI

ახალ სემესტრში უცხო ენის გაკვეთილზე ჯგუფში დალი შელიას ნაცვლად ვიღაც გამხდარი კაცი შემოვიდა, რომელმაც იქვე განაცხადა: მე ის არ გეგონოთ, ადრე ვინც გასწავლიდათო. დაჭორფლილი სახის, ელამი კაცი შეუძლებელი იყო, ვინმეს დალი შელიაში შეცვლოდა, მაგრამ კაცი, ეტყობოდა, სხვა რამეს გულისხმობდა. ფილიპე ხანთაძე ისევ ბიულეტენზე იმყოფებოდა და ეს კაცი ალბათ გამოცდებამდე გაჰყვებოდა ამ ჯგუფს. ამის გამო ბევრი დაფრთხა და არცთუ ტყუილუბრალოდ. მართალია, ლექტორი. შემდგომში ასე გამომწვევად აღარ მოქცეულა, მაგრამ სტუდენტების გული ვერა და ვერ მოიგო.

წიგნების კარადებით გამოტენილ ოთახში მხოლოდ და მხოლოდ დალი შელია იჯდა და წერდა. მაგიდაზე რამდენიმე წიგნი ერთდროულად ჰქონდა გადაშლილი. კარის ჭრიალზე ასწია თავი, დაღლილი თვალები მოჭუტა, შემოსულს მიაჩერდა და ცოტა ხნის შემდეგ გაიღიმა კიდეც.

— არავინ არ არის?.. გამარჯობათ!— ძალიან ხმადაბლა წაილაპარაკა ელგუჯამ.

— გასულია, ახლავე მოვა, გინდოდათ რამე?

— წიგნის წაღებას ვაპირებდი,

— მოძებნე, სანამ მოვიდოდეს... — უთხრა სალიმ. მხრებზე მოხურული შალი გაისწორა, რვეული და წიგნი მიწის წინ. დალეული ფანქარი კი დაგორდა და ძირს დავარია.

— თქვენ აღარ ჩაატარება ჩვენთან აწი სემინარს? — იკითხა ელგუჯამ. ფანქარი აიღო და მაგიდაზე დადო.

— არა, სემინარების დრო სადღა მაქვს, მე თვითონ გამოცდები მაქვს ჩასაბარებელი.

— წელს ამთავრებთ ასპირანტურას, არა? — ვამთავრებ კი, თუ დავამთავრე. — ცუდია! — ამოიოხრა ელგუჯამ. — რა არის ცუდი, რომ ვამთავრებ?

— ჩვენგან რომ წახვედით, ეს არის ცუდი, ყველას გულ დასწყდა...

— აჰ! — თქვა უნებურად დალიმ და სიხარული ვერ დამალა.

— ახალ მასწავლებელს როგორ შეეგუეთ? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ისე რა... — მხრები აიჩეჩა ელგუჯამ.

— მკაცრია? — ჩაეძია დალი.

— მკაცრია, მაგრამ ვერ გავიგე, ქართული იცის თუ არა!.. — სულ უადგილოდ დაუმატა ელგუჯამ.

— აბა, სხვა რა ენა იცის? — გაიღიმა დალიმ.

ელგუჯამ იგრძნო, როგორ დაამცირა ქალმა კოლეგა. ეს საქციელი როგორღაც არ მოეწონა.

— რუსული და ინგლისური რომ არ იცის, ვატყობ, მაგრამ, მე მგონი, ქართულთანაც მწყრალად უნდა იყოს!.. — მაინც ასიამოვნა თანამოსაუბრე, მიზანსაც მიაღწია, თუმცა დალიმ არაფერი დაიმჩნია; პირიქით, უსაყვედურა კიდეც, უბრალოდ ენა ებმის,

თორემ მთლად მასეც არ არის საქმეო.

— ... მერე ნახავთ, წლის ბოლოს, ვინ რა იცის, ჩათვლის დრო რომ დადგება... ნეტავი რა გეშველება!..

ეს სიტყვები ისეთი სასოწარკვეთილი ხმით თქვა, რომ ელგუჯას გულს ნაღველი შემოაწვა.

— ისე, მართლა სწავლაზეც ხომ არ არის საქმე... თუ გაჭირდა, დღე და ღამეს გავაერთიანებ ბოლოს და ბოლოს...

— თავსაც ნუ მოიკლავთ! — გაიცინა დალიმ და ელგუჯა მიაჩერდა, შემდეგ უმიზეზოდ დაფიქრდა; მოღიმარი ლურჯი თვალები გაუშტერდა. ელგუჯამ ახლაღა შეამჩნია, რომ მკლავებზე და ყვრიმალებზე უფერო ბუსუსები ჰქონდა დამჩნეული. იგი უფრო თეთრი იყო, ვიდრე ეგონა. ჩალისფერი თმა, ცისფერი რომ გადაჰკრავდა აქა-იქ, ღია ლურჯი თვალები და ზღვისკენჭისფერი კბილები მაინც სხვა ელფერს ანიჭებდა, სითეთრე და სიფერმკრთალეც იკარგებოდა მთლიანობაში.

— ამ საღამოს კლუბში სპექტაკლია, — თქვა დალიმ და ტყავის ჩანთა გახსნა. — აქ მოსაწვევი მქონდა, სად წავიღე ნეტავი?.. ინგლისურ ენაზეა მხოლოდ...

— საჩემო ყოფილა... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ. — თუ არ გინდათ, სხვას მივცემ! — გულიანად გაეცინა დალის.

— მინდა, როგორ არა...

დალიმ თეთრი, პრიალა მოსაწვევი ამოიღო და ელგუჯას გაუწოდა.

— თუმცა ალბათ უამისოდაც შემოგიშვებენ... — სულ ერთია, ამას შევინახავ.

ელგუჯამ მოსაწვევი დაკეცა და პიჯაკის გულისჯიბეში ჩაიდო.

ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, რომელსაც ლურჯი სატინის სამუშაო სალათი ეცვა. ქალმა ელგუჯას გადახედა და პირდაპირ ტელეფონს მიადგა.

— კარგად იყავით! — თქვა ელგუჯამ. დალიმ თავი დაუკრა და

წერა განაგრძო.

გარეთ გასვლისთანავე გაახსენდა ელგუჯას, კაბინეტში რომ წიგნისათვის შევიდა, მაგრამ უკან მიბრუნება საჭიროდ არ ჩათვალა, პირდაპირ შინ წავიდა. გახარებული ელოდა შეღამებას. საგანგებოდ ჩაიცვა. იჯავრა, რატომ უკეთესი არაფერი მაქვსო და რაც ჰქონდა, არ დაიკლო. როცა კლუბში შევიდა, მაშინვე იგრძნო, რომ გადაპრანჭული იყო. დარბაზი სანახევროდ შემთხვევით შემოსულ სტუდენტებს გაევსო. ზოგიერთებს ჩანთები და რვეულებიც თან ჰქონდათ. პარტერსა და ამფითეატრს შორის, გასასვლელში, იქ, სადაც მწვანე ფარდაგი ეფინა, დალი იდგა და ამხანაგებს ელაპარაკებოდა. თმა ახლა ცხენის კუდივით გამოესკვნა ზედმიწევნით საგულდაგულოდ. გულგახსნილი, სწორად დაშვებული კაბა ეცვა. ხელში ტყავის პატარა პორტმონე და ძალიან თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა. სპექტაკლის დაწყებამდე იქვე, ამხანაგებთან დაჯდა.

სტუდენტებმა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ წარმოადგინეს ინგლისურ ენაზე. მსახიობების მთელი არტისტიზმი ინგლისური ენის ცოდნა-არცოდნით ფასდებოდა.

დალი მთელი გულისყურით მისჩერებოდა სპექტაკლს, რომლის შექმნაშიც თვითონაც ედო წილი. სტუდენტებს ხანდახან სიტყვები ეშლებოდათ. ოდნავი ფონეტიკური გადახვევა კურიოზულ შეცდომამდე მიდიოდა და დალი წყნარად იცინოდა დროდადრო, სახეზე ცხვირსახოცს იფარებდა, იცინოდა სადღაც მკერდში. ელგუჯას რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ იგი ტიროდა.

ახალგაზრდებს ზედმიწევნით კეთილსინდისიერად შეესწავლათ როლები; გამოთქმით მკაფიოდ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. უმრავლესობას არაფერი გაეგებოდა და მთქნარებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დარბაზში ლაპარაკობდნენ კიდეც. უჩვეულო სპექტაკლს მაინც ჰქონდა თავისებური სი-

ლამაზე. მიუხედავად ამ სიკეთისა, ბოლომდე ბევრი ვერ გაჩერდა. სპექტაკლი ტექნიკური მიზეზებითაც გაჭიანურდა და დასასრულისათვის დარბაზი განახევრდა. ელგუჯამაც ვეღარ გაძლო, დალის გვერდით ადგილიც გათავისუფლდა, მაგრამ გადაჯდომა ვერ გაბედა და წავიდა. — მეორე დღეს, დილით დალი ერთი წუთით შეჩერდა დერეფანში. მოგეწონათო, ჰკითხა ელგუჯას მისალმების მაგივრად.

— მომეწონა კი, თუმცა ვერაფერი ვერ გავიგე... — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა.

— რა გაგება უნდა, „რომეო და ჯულიეტა“ ხომ გაქვთ წაკითხული...

— წაკითხულიც მაქვს და კარგადაც მახსოვს, მაგრამ როცა ენა არ გესმის, მაინც ძნელი გასაგებია...

— ცხადია, — დაეთანხმა დალი, — მაგრამ მარტო ამაში არ არის საქმე... მაინც მოსაწყენი სანახაობაა... ძნელია ალბათ რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ისტორიის მოსმენა, ალბათ სხვა დროა, ასე არ არის?

— ალბათ... — დაიბნა ელგუჯა. დარწმუნებული არ იყო,

რომ დალი გულწრფელად ლაპარაკობდა.

— ამიტომაც დაიცალა დარბაზი...

— აბა!.. — შეწუხდა ელგუჯა. შემდეგ გაახსენდა, როგორ მიატოვა თვითონვე წარმოდგენა და დალის თვალი ვეღარ გაუსწორა.

— კარგად იყავით! — თქვა ქალმა. — კარგად.

დალიმ გაიღიმა, ერთი წუთით შეყოვნდა და უცბად წავიდა.

XVII

— თქვენ აქეთ ხომ არ მობრძანდებით? — იკითხა დალიმ, როცა ვაჟი უხეიროდ გაეხიდა ტროტუარზე და მისდა უნებურად ჩაკეტა ასასვლელი.

ისინი, სრულიად შემთხვევით, რუსთაველის პროსპექტზე, ჭავჭავაძის ქუჩის ასახვევში შეხვდნენ ერთმანეთს. თავაზიანი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ დალიმ ელგუჯას უადგილოდ ჰკითხა, აქეთ ხომ არ მობრძანდებითო და ვაჟსაც თანხმობის გარდა არაფერი დარჩა სათქმელი. — ადრიანი გაზაფხულის ღამე იყო. ახლადგაფოთლილ ხეებს სიმწვანის სუნი ასდიოდა.

დალის ძვირფას ლაბადას შარიშური გაჰქონდა. ქალი რატომღაც ძირს იხედებოდა დროდადრო, თითქოს მიწაზე რაღაცას აკვირდებოდა. ნელა მიდიოდა, ფეხი ფეხს რომ გაედებოდა, კაპრონის წინდების ელექტრული წკიპინი ისმოდა საიდანღაც. სუსტი ნიავი აქანებდა რტოებს და ტროტუარზე ჩრდილები ირწეოდა.

— რატომ აღარ ჩანდით ეს დღეები? — შეჯიბრზე ვიყავი. — მერე

რა ჰქენით? — იკითხა დალიმ და ძირს დაიხედა. — მეოთხე ადგილი ავიღე.

ქალს აღარაფერი უთქვამს და ელგუჯამ ვერ გაიგო, კმაყოფილი დარჩა თუ არა მისი მეოთხე ადგილით.

— ... ვინც უმედლოდ ბრუნდება, — განაგრძო მან, — ყველა მეოთხე ადგილს ჩემულობს, მაგრამ მე მართლა ავიღე ეს ადგილი, დიდი არაფერი, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში შემიყვანეს და ეს კარგია...

— უმედლოდ დაბრუნება რას ნიშნავს? — გააწყვეტინა და ლიმ და გადასახვევთან გაჩერდა. სახლამდე ასიოდე ნაბიჯიღა იყო დარჩენილი. ალბათ არ უნდოდა, სხვის დასანახად, უცხო ადამიანის თანხლებით მისულიყო შინ. ელგუჯამ ეს იგრძნო, გუნება ეცვალა, მაგრამ მოულოდნელად დალი ზევით წავიდა.

— უმედლოდ დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე მედლები ნაწილდება, შემდეგ აღარაფერი...

— ჩემს სახლამდე მისვლა ამ გზითაც შეიძლება... ვთქვათ, სამი კაცის მეტი არც შეგროვდა?...

— ასეც ხდება, კი... შარშან, მაგალითად, ნახევრად მძიმე წონაში გამომიყვანეს, როგორც იტყვიან, გუნდის ინტერესებისათვის. წონა მოვიმატე და მესამე ადგილი დავიკავე სამ კაცში.

— მერე მედალი მოგცეს? — გაეცინა დალის.

— უმაღლესი სასწავლებლების პირველობა იყო, იქ მედლები არ ნაწილდება...

შემოუარეს მომცრო კვარტალს, ჩავიდნენ ქვევით და ვიწრო გზა მალე მყუდრო ქუჩას გადაადგა. პირდაპირ კი სამსართულიანი, ძველი სახლის სადარბაზო გამოჩნდა.

— აი, აქ ვცხოვრობ მე, — თქვა დალიმ.

— ვიცი... — ყრუდ თქვა ელგუჯამ და წარბები შეჰყარა.

— საიდან?

„ღმერთო, ნუ გადამრევ და არ მინდა მეტი არაფერი!.. წარმოგიდგენია, რას მეკითხება? იქნებ მართლა არ ვახსოვარ? შეუძლებელია, დაუჯერებელია. იქნებ მე თვითონ არ ვყოფილვარ ამ ბინაში? იქნებ დამესიზმრა ყველაფერი? იქნებ მე თვითონ შევთხზე გუნებაში და დავიჯერე?!“

— თქვენ პირდაპირ, თქვენს სადარბაზოში ცხოვრობს ჩემი ამხანაგის მამიდა... — თქვა ელგუჯამ კარგა ხნის ფიქრის შემდეგ.

— რუსიკო? — დიახ, რუსიკო. — აჰ, მახსოვს... რუსიკოს დისშვილს რა ჰქვია? — თენგიზი.

— თენგიზს ერთხელ ამხანაგი ახლდა, რუსიკომ მითხრა, ტყის ყარაულიაო, თქვენ იყავით?

„რა ხნის ამბავი გაიხსენა... დავიჯერო, ჩემი სტუმრობა არ ახსოვს?.. იქნებ მართლა არ ვყოფილვარ იმ დღეს ამ ქალის სახლში? მაშინ სად ვიყავი? არა, შეუძლებელია... კარტი ხომ ვითამაშეთ, თანაც მე მოვიგე... დამესიზმრა? შეუძლებელია...“

ელგუჯამ ღრმად შეისუნთქა ჰაერი და დალის უთხრა: რუსიკოს ყარაული კი არა, ტყისმცველი უნდა ეთქვაო.

— ალბათ. — დაეთანხმა დალი.

— მერე რა მოხდა, მე შიფრადაც კი ვიმუშავე ერთი წელი...

— შოფრად? — გულგრილად იკითხა ქალმა, ფეხის ცერებზე აიწია და თავისი სახლის განათებულ ფანჯრებს შეხედა, — წარმოგიდგენიათ, აქედან მაღალი კაცი, მაგალითად, თქვენ, ჩემს ბინაში ყველაფერს დაინახავთ...

— აქედან ვერა... — დაამშვიდა ელგუჯამ, — მაგრამ ხეზე თუ ავიდა ვინმე, მაშინ ყველაფერი გამოჩნდება!

— აი, ეს არ გამითვალისწინებია არასოდეს! — ხმამაღლა გაიცინა დალიმ და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო. უცბად დადინჯდა. ელგუჯას დაემშვიდობა, გადაჭრა ქუჩა და სადარბაზოში გაუჩინარდა:

ვენერას ეძინა, თუმცა არც ისეთი გვიანი იყო. ლალიმ ფეხსაცმელი გაიხადა, ქოშები ჩაიცვა და სამზარეულოში გავიდა. გაზი აანთო, ჩაიდნით წყალი დადგა. გადაწყვიტა, ჩაის შემდეგ ცოტას ვიმეცადინებო, მაგრამ მიხვდა, დაწოლა მთლად ერჩია ყველაფერს. მართლაც მალე დაწვა. გვიანობამდე კი მაინც ვერ დაიძინა.

XVIII

როგორ არ ჰგავდა ბატონი პავლე იმ მრისხანე და თავზეხელაღებულ ადამიანს, ელგუჯას რომ პირველად მოეჩვენა. მწვრთნელს თურმე არც ისე აფასებდნენ. სახელი და პატივი ფაქტიურად უკან ჰქონდა მოტოვებული და უკეთესი მომავლის იმედიც აღარ იყო. ელგუჯას ახლა იგი რაღაცნაირად ეცოდებოდა კიდეც. შავი პრიალა კოსტიუმი ეცვა და წვრილი, ფაბრიკაშივე ჩამარყუჟებული ყელსახვევი ეკეთა. ალბათ, გამოსაჩენ ადგილზე მიდიოდა, მაგრამ სქელ, ჯანმრთელ ადამიანს სულ არ შვენოდა ეს მორთულობა.

პავლე დინჯად, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, შეგირდს ჭკუას არიგებდა: შრომა, ვარჯიში და შრომა — ისე არაფერი არ გამოვაო. ელგუჯამ ცენტრალურ სპორტდარბაზში დაიწყო ვარჯიში საქართველოს ნაკრებთან ერთად და ინსტიტუტის ჭიდაობის სექციას კარგა ხნის წინ ჩამოშორდა.

— ...ომიდან რომ დავბრუნდი, ისევ ვარჯიში დავიწყე... — ლა-

პარაკობდა პავლე, — ერთი დღე არ გამიცდენია. ხანდახან შიმშილისაგან თავბრუ მეხვეოდა და გული მიმდიოდა, სად იყო მაშინ ასეთი პირობები?.. — პავლემ შეისვენა და მერე ძალიან ხმადაბლა თქვა: — სწორედ ორმოცდაექვსში გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიო. ელგუჯამ ვერ გაიგო, რაღა ამ სიტყვებზე დაუწია ხმას.

— ... აბა, კარგად იყავი, რაც გითხარი, გაიგონე, თავი არ გამალახვინო! — პავლე სასაცილოდ გაძუნძულდა და ტროლეიბუსში ჩაჯდა.

ვერის ბაღი ხმელი ფოთლებით იყო მოფენილი. გრძელ სკამზე, კანშემომსკდარ ჭადრის ძირას, მზის გულზე დიმიტრი, კიმოთე და ერთი უცხო ახალგაზრდა ისხდნენ. სამივენი მზეს ეფიცხებოდნენ, პლაშჩის საყელოები აწეული ჰქონდათ და ხმას არ იღებდნენ. დიმიტრი სიგარეტს ეწეოდა და დროდადრო ყრუდ ასველებდა.

უცნობი გურამ ყვავაძე აღმოჩნდა. ეს გვარი და სახელი ელგუჯას პირველად არ სმენია. ახლადგაცნობილი ადამიანი ხელმეორედ შეათვალიერა, ტყავის სპორტული ჩანთა ძირს დადო, სკამზე დაჯდა და პიჯაკი გადაიღეღა. ვარჯიშის ღან დაბრუნებულს სცხელოდა კიდეც.

„რა ჯანმრთელები არიან ეს სპორტსმენები!“ — გაიფიქრა დიმიტრიმ და იმწამსვე ხველა აუტყდა. სიგარეტი ახრჩობდა, მაგრამ თავს ვერ ანებებდა. მართალია, მისი თეორიის მიხედვით თამბაქო რაღაც ავადმყოფობებსაც არჩენდა, მაგრამ თვითონვე ხვდებოდა, რომ ადრე თუ მალე, სწორედ თუთუნი მოუღებდა ბოლოს. ყოველ შემთხვევაში უფრო ადრე წაახდენდა, ვიდრე უშველიდა „ავადმყოფობებს“, რომლებიც დიმიტრის ჯერჯერობით არ ჰქონია.

— თქვენ მოჭიდავე ხართ? — ჰკითხა გურამ ყვავაძემ ელგუჯას.

— ვჭიდაობ, კი.

— კარგია ჭიდაობა! — გულღიად გაიღიმა გურამმა და ელგუჯას

თვალი მოარიდა.

გურამი ალბათ დიმიტრის ტოლი იყო, ან ცოტა უმცროსი. ნათელი, მრგვალი თვალები და სანახევროდ გაცვენილი თმა ჰქონდა. კეთილი და ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა ერთი შეხედვით.

— დიმიტრი, ერთი რამე მაინტერესებს და რა ხანია მინდა გკითხო: სიცოცხლე, დედამიწის გარდა, თუ არის კიდევ სადმე? — იკითხა კიმოთემ, ელგუჯას ნიშნის მოგებით გადახედა და ხმელ ნეშოში აურია ფეხი.

— თუ ხუმრობ, მითხარი, იქნება გამეცინოს.

— რა არის აქ სახუმარო და სასაცილო. გეკითხები, არის თუ არა სიცოცხლე სხვაგანაც-თქვა..

— არის! — გადაჭრით უპასუხა დიმიტრიმ.

— საიდან იცი?

— საიდან იციო, რა არის ეს უკვდავი... რაში გეპიტნავება, საიდან ვიცი, რომ ვიცი, მადლობელი არა ხარ!? — ჩაიქირქილა დიმიტრიმ და სიგარეტი ამოაძრო გულისჯიბიდან.

— თუ სიკვდილი და სიცოცხლე არსებობს ჩვენთვის, ესე იგი, დედამიწისათვის კონკრეტულად, — დაიწყო გურამმა, — მაშინ იგივე პროცესი უნდა გავიაზროთ ზოგადად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კვდებიან და იბადებიან თვით სიცოცხლეებიც. თუ უფრო ქვევით ჩამოვალთ, კვდებიან პლანეტები, ჩნდებიან ასლები. იღუპებიან და იბადებიან გალაქტიკები. შეიძლება თვით სამყაროებსაც ეხებოდეს გარდაცვალება-დაბადების ეს კანონი. სამყაროებიო, იმიტომ ვამბობ, რომ თუ ჩვენს, — ეს სიტყვა არ არის ზუსტი, — სამყაროს დასასრული აქვს, მაშინ უნდა არსებობდეს სხვა სამყაროც...

— ასე გამოდის, დედამიწაც მოკვდება, — მიხვდა კიმოთე.

— ასეა, კი... ყოველ შემთხვევაში სიცოცხლე აქ არც იწყება, არც მთავრდება...

— დედამიწა როგორ მოკვდება?

— ვარსკვლავის სიკვდილით, გაციება-გაყინვით. სასიცოცხლო პირობების შეცვლით, კოსმიური კატასტროფით, რადიაციით. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამოანგარიშებულია, რომ დედამიწის მოსახლეობა თითქმის არითმეტიკული პროგრესიით იზრდება, აქედან თავისთავად ცხადია, იზრდება მოხმარება ენერგიისა, რომელსაც კაცობრიობა ყოველი სეკუნდის განმავლობაში ხარჯავს. თუ გავიხსენებთ, რომ სამოცი წლის განმავლობაში ამ პროცესმა მატების სამიოთხი პროცენტი შეადგინა, მაშინ გამოვა, რომ სამი ათასი წლის შემდეგ ენერგიის ხარჯვა გაუტოლდება მზის ენერგიას.

ხოლო შემდეგ გადააჭარბებს საშინელი სისწრაფით. ხუთი) ათასი წლის შემდეგ კი მილიონი მზის ხარჯვისა და მოხმარების ძალაც არ გვეყოფა...

— აბა, გამოგვსვლია წირვა! — შეწუხდა კიმოთე.

— ეს შენ არ გეხება, იმიტომ, რომ უკვდავი სარ... — დაამშვიდა დიმიტრიმ, — თანაც ათასწლეულების შემდეგ მოსახდენ ამბავზეა ლაპარაკი და თუ ამდენ ხანს იცოცხლებ ან მეორედ დაიბადები, გადასახლდები სხვა პლანეტაზე, სადაც, როგორც აგიხსნეს, თუ რამე გაიგე, არის სიცოცხლე. მაგალითად, კანტს, — მიუხედა გურამს, — ამ ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

— მართალია, — დაემოწმა გურამი, — სხვათა შორის, კანტი მართლა ამტკიცებდა სხვა პლანეტების სიცოცხლისუნარიანობას, მაგრამ სადღაც თავისსავე აზრსაც ეწინააღმდეგებოდა. ჯერ ერთი, ჩვენ ზუსტად უნდა დავადგინოთ ჩვენი გონების საზღვრებიო, ამბობს იგი ერთგან. გონებას შეუძლია შეიცნოს სიცოცხლის მრავალნაირი მოვლენა, მისი კანონები, მაგრამ სიცოცხლის პრინციპი ჩვენი შემეცნების ფარგლებს სცილდებაო. უფრო მეტიც, მისი შემეცნებისათვის არ მოიპოვება არავითარი მონაცემი ჩვენი შეგრძნებების სისტემაშიო. მართალი გითხრათ, ბოდიშს

კი ვიხდი, მაგრამ ადამიანის გონებაზე მე უფრო დიდი წარმოდგენის ვარ, ვიდრე ამ შემთხვევაში კანტია. პირიქით, მრწამს (ზუსტად ასე თქვა „მრწამს“), რომ ადამიანის გონებას შეუძლია ყველაფერი შეიცნოს. მხოლოდ თვით ადამიანი არის ყველაზე რთული და შეუცნობელი ამ სამყაროში. ისე კი თავისთავად, კანტის აზრი, რომ თვით სიცოცხლის პრინციპი ჩვენთვის გაუგებარიაო, დამაფიქრებელია და არც ისე ადვილად უარსაყოფია, ერთი შეხედვით რომ შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. რაც შეეხება სიცოცხლეს, იგი აქ არც იწყება, არც მთავრდება.

გურამი უცბად გაჩუმდა. დიმიტრის ისევ სველა აუტყდა. ვიღაც მაღალი კაცი მოვიდა და მოსაუბრეებს წამოადგა თავს.

— რა გინდა? — ჰკითხა კიმოთემ.

— მშვიდობა და კარგად ყოფნა, რა უნდა მინდოდეს!

მაღალ კაცს საყელოაწეული, ქამარშემოჭერილი, გახუნებული საწვიმარი ეცვა. წარბებამდე ჩამოფხატულ კეპის წინაფრას სანახევროდ დაეფარა თვალები, გრძელი სახეც დაეჩრდილა. ქუდს ქვემოთ წამწამები არ ხამხამებდა. ეტყობოდა, თვალგაშტერებული იხედებოდა, თუმცა ვის მისჩერებოდა, ვერ გაიგებდი.

— დაბრძანდით! — უთხრა დიმიტრიმ.

— ლატარიის ბილეთებს არ იყიდით? — ჩუმად ამოილაპარაკა კაცმა.

— ბატონო? — ვერ გაიგონა კიმოთემ. — ლატარიის ბილეთებს ვყიდი... — არ გვინდა, გმადლობთ... — უთხრა კიმოთემ.

— რატომ კადრულობთ, ახალგაზრდავ ასეთ რაღაცეებს,

თბილისში ყველა მიცნობს, ჰკითხე, ვისაც გინდა.

— გვაჩვენეთ, თუ შეიძლება, რა გაქვთ...—სთხოვა გურამმა, მაღალმა ძველი ლატარიის ბილეთები ამოიღო და ყველას დაურიგა.

— ეს უკვე გათამაშებულია, — თქვა ვიღაცამ.

— მერე რა მოხდა, არ გამისინჯავს, პატიოსან სიტყვას გეუბნებით...

— რატომ არ გასინჯეთ? — გაეცინა გურამს. — უიღბლო კაცი ვარ, ბორია მქვია, თბილისში ყველა მიცნობს, მაინც ვერაფერს ვერ მოვიგებ და არ გავსინჯე, იაფად ვყიდი, ათი ცალი მანეთი...

— მუქთია... — გაეცინა დიმიტრის. — წადი, ბორია, თავი დაგვანებე, მე ხომ მიცნობ?

— როგორ არა... — უცბად გაეცინა ბორიას, მაგრამ იმწამსვე თავი შეიკავა. — ხეიბარი კაცი ვარ, მეორე კლასის, შენც ხომ იცი, იაფად ვყიდი, თბილისში ყველა მიცნობს...

— ა, შენ მანეთი და წადი! — მანეთიანი მიაწოდა ელგუჯამ, — ბილეთები არ გვინდა...

— იყოს მაინც, გასინჯეთ, მე უიღბლო კაცი ვარ, ბორია ვარ, თბილისში ყველა მიცნობს...

— გეყოფა ასლა! — შეუწყრა დიმიტრი.

ბორიამ დიდი კეპი მოიხადა, ყველას თავი დაუკრა და წავიდა.

— ვინ იყო? — სიცილი აუტყდა კიმოთეს.

— მე რა ვიცი... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ. ლატარიის ბილეთები ერთმანეთზე დააწყო და წვრილად დახია.

ბორია გაძარცული ხეების გასწვრივ მიდიოდა საქმიანად. ხის ფოთლებს აშრიალებდა, ხან გამოჩნდებოდა, ხან იმალებოდა. მისი გრძელი ლანდი ტყდებოდა დროდადრო ჭადრების გაპრიალებულ ტანზე.

„... გონებას შეუძლია შეიცნოს სიცოცხლის მრავალნაირი მოვლენა, სიცოცხლის კანონები, მაგრამ თვით ამ სიცოცხლის პრინციპი ჩვენი შემეცნების ფარგლებს სცილდება...“ — იმეორებდა გუნებაში გაოცებული ელგუჯა. „და მაინც სიცოცხლე მხოლოდ აქ არც იწყება, არც მთავრდება...“ დიმიტრი ახველებდა. გურამი პიჯაკის სახელოს იწევდა ყურებამდე. კიმოთე იღიმებოდა, ხმელ-

ფოთლებში ურევდა ფეხს. ბორიას საქმიანად მიდიოდა გაძარცუ-
ლი ხეების გასწვრივ.

XIX

მანდიკორში ოქტომბრის წვიმიანი დღეები მიჰყვებოდა ერთმანეთს. გვიანი, სევდიანი შემოდგომა ილეოდა. გაკრეფილი ხეხილის რტოებს და ტაროატეხილი სიმინდის ღეროებს ნიავი აქანავებდა. ორღობეში წითელი მიწა ატალახებულიყო. ჩოჩიალა ურმები ღერძამდე ეფლობოდნენ აყალო მიწაში. მანდიკორი ისევ მანდიკორი იყო და მეტი არაფერი. ახალი თავმჯდომარე აერჩიათ. თავმჯდომარემ, ახალგაზრდა ხათრიანმა კაცმა, თქვა: ძველი კლუბი უნდა დავანგრიოთ, ახალი უნდა ავაშენოთო. შარაგზას მოვაასფალტებთ, ზაფხულში აქ ტალახს ვეღარ ნახავთო. როცა თაკარა მზე დააჭერდა და გვალვა დაიწყებოდა, ტალახი მართლაც ძნელი საშოვნელი გახდებოდა მანდიკორში.

სოფლის ბოლოში მოზრდილი ფიცრული ფარდული აეგოთ, სადაც ხე-ტყის დამზადების სამმართველოს რაიონული კანტორის ფილიალი და ტყის დაცვის განყოფილების ზონალური სადგური ერთად იყო მოთავსებული. მიუხედავად ამ ტერმინების მიახლოებითი სიზუსტისა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

წიფლისგვერდას ფერდობზე ტრაქტორები გუგუნებდნენ. სოფლელებს უხაროდათ, ტყეში გზა გაჰყავთ, ურემი ტალახში აღარ ჩაეფლობა, შეშას მაინც გამოვზიდავთ წესიერად.

ელგუჯა მამას მოსავლის დაბინავებაში ეხმარებოდა, თანაც ყოველდღე ჩადიოდა რაიონის ცენტრში, სადაც მანქანის ყიდვა-გაფორმებასაც ადგებოდა საშველი. მხოლოდ წვრილმანი, ფორმალური საკითხები რჩებოდა მოსაგვარებელი. წვიმიან დღეს მეტყევის ქოხში იჯდა იგი. ღადარში ნედლი ტარო იწვებოდა. ცეცხლზე მიფიცხებულ, ნაქურჩალით თავდაცობილ დოქში მაჭარი ფუცხუნებდა. კედელზე ცალლულიანი თოფი, ყაბალახი და ცხენის ავშარა იყო მიკიდებული. გარეთ გადაუღებლად წვიმდა. თავზე ტომარაწამოხურული მწყემსი მიტლაპუნობდა ტალახში. ელგუჯა ატკაცუნებულ მუგუზლებს მისჩერებოდა და მასპინძელს, მოხუცებულ ტყისმცველს — დათიკო ვირსალაძეს გულისყურით უსმენია. დარიკო დინჯად, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა.

... განთქმულმა მონადირე სპირიდონმა ფრიალო კლდეს ააყოლა თვალი და სუნთქვა გაუკავდა. კბოდეზე, მღვიმის პირას მზეთუნახავი იდგა და ოქროსფერ დალალებს ივარცხნიდა..

დიდება შენდა, დიდებულო, ვინც გინდა იყო, მითხარი, ვინ ხარ! დაიძახა გადარეულმა ოხრაშუყერელმა მონადირემ. მზეთუნახავმა შეჰკივლა და დაიმალა.

სპირიდონი მიხვდა, რომ ალი დაინახა. მთვარეულივით დაბრუნდა ოხრაშუყერში. დაწვა და ერთი კვირა ხმა არ გაუღია. გათვალული არისო, თქვეს. შეულოცეს შავტარიანი დანით. შუბლზე კანაფა ფხალის ფოთოლი დააფარეს. მეშვიდე დღეს სპირიდონმა მოიხედა და ნათლია მჭედელს მიაკითხა. მჭედელმა იბრუხმა გრდემლს კვერი დაჰკრა, რათა ამირანს არ აეწყვიტა და მჭედლების სახსენებელი არ ამოეგდო. შემდეგ ნათლულს ერთი გუდა სატეხი და რკინის სვედა გაუჭედა.

დილაბნელში აანთო სანთლები სპირიდონმა თეთრი კლდის

ძირში; ილოცა და იალა კიდეც.

... ამ კლდის თავდგომი და ამ ტყის მბრძანებელი შენა ხარ. შენს ადგილში მოვედი, თუ რამე გამაჩნია, მიილოცე და მიპატრონე. შენი ყურმოჭრილი ყმა მოვსულვარ, შენი შესაბრალისი და შესაწყალისი ვარ; ნუ გამიწყრები, ნუ გამიჯავრდები. კარგი სვე მომე, სიკეთეზე სიკეთე მომიმატე, შენ დამიფარე შინ და გარეთ, აქაც და იქაც; ნუ დამკარგავ, ნუ შემიძულებ. დაილოცე, მბრძანებელო, დამლოცე და მშვიდობით ამომიშვი.

სპირიდონმა პირჯვარი გადაიწერა, კლდეზე რკინის პალოების მისობა დაიწყო. ერთ სატეხზე ფეხს რომ შედგამდა, მეორეს თავს ზევით ალურსმავდა. ასე მიცოცავდა სიპ კლდეზე მამაცი სპირიდონი. როცა გუდა დაიფუშა და ხვედაც გაცვდა, გამოქვაბულს მიაღწია. გამოქვაბულში ირმის ტყავებზე ალი იწვა. ოქროს თმა აბრეშუმივით იყო ძირს გაფენილი. მონადირემ მუხლი მოიყარა, თაყვანი სცა ამ თმის შუქს და ბრწყინვალებას. ალმა უთხრა, აიღე მაკრატელი, შემაჭერი თმა და შენი გავხდებიო. სპირიდონმა ოქროს მაკრატელი აიღო, მაგრამ ხელები აუკანკალდა. არ შემიძლიაო, თქვა. ღვთის განგებას ვერავინ გარდაუვა, მოსახდენი ისედაც მოხდება, მოიკრიფე ძალა, უბედურო მონადირევ და შემაჭერი თმაო. სპირიდონმა თმა შეაკვეცა და ალი მისი გახდა. წასვლისას მზეთუნახავმა გააფრთხილა, რაც უნდა მოხდეს, არაფრის დიდებით, არამც და არამც არაფერი თქვაო.

— ყოველ ხუთშაბათს დადიოდა სპირიდონი სანადიროდ, ღამეს მღვიმეში ალთან ათევდა და დილით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა უკან. სად ითენებ, სპირიდონ, ღამეს, არასოდეს ხელი არ გეცარება, ვინ გწყალობს და ვინ გეხმარება, როგორ ხოცავ ამდენ ნადირს?!... კვირობდა ჯამაათი.

გასრულდა ხანი. სპირიდონს მოსწყინდა ტყეში ხეტიალი, შეირთო სეფეთხერელი კოჭლი ხუროს ქალი და დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. შეუჩნდა კოჭლი ხუროს ქალი, სად დადიოდი,

სად ითენებდი ღამეს, ხალხი შენზე რას იგონებს, რას ლაპარაკობსო... შეუჩნდა, შეუჩნდა და ყველაფერი ათქმევინა.

მთავარის ავსებისას, გიორგობა დღეს ოხრაშუყერელი ვაჟკაცები ორსართულიან, მაღრიბულ ხორუმს ცეკვავდნენ. მეფერხულეებს თეთრი ჯიხვი გამოუხტათ. ჯიხვმა ცვითა თავი წრეში, გაჭკრა ფეხი, გაფხაკურდა და მინდორში გავარდა.

— ვინ დაიჭერს, ვინ მოკლავს თეთრ ჯიხვს! ვერავინ ვერ დაიჭერს, ვერავინ ვერ მოკლავს სპირიდონის გარდა.

სპირიდონი აღიკაზმა, იარაღი აისსა, დაედევნა ჯიხვს, გადაიარა დაჭლიკული მინდორი, ორწოხებში გავიდა. კვალი თვალშეუდგამ კლდეზე ადიოდა. სპირიდონი მიჰყვებოდა კვალს და მიიწევდა ზევით და ზევით. ფეხის დასადგმელი და ხელის მოსაჭიდებელი ადგილი რომ აღარ დარჩა, უკან დაბრუნება გადაწყვიტა. აღარც ჩასასვლელი ბილიკი ჩანდა, აღარც მისი ნაფეხურები. წახდა სპირიდონი. იყვირა. ამ ხმამ ხვამლის მთას გადაუარა, გოდოგნამდე მიაღწია. იგი შველას სთხოვდა მოგზაურთა და მონადირეთ. მოცვივდნენ ოხრაშუყერლები, მოიტანეს კიბეები, თოკები და ნაბდები. კიბე კიბეს გადააბეს და კლდეს მიაყუდეს. თავი ფალანგი სპირიდონის ფეხებს მისწვდა, მაგრამ კლდე აიწია და მონადირეც აიყოლა. დაუარეს მთას მეორე მხრიდან, მწვერვალიდან ჩამოუშვეს განასკვული თოკები. კლდე ახლა დაბლა დაქანდა.

— აღარაფერი მიშველის, ნუ ცოდვილობთ! — დაიძახა სპირიდონმა. — დედოფალი გამრისხებია და სამაგიეროს მიხდის. დედაჩემო, ჩემი ქამარ-ხანჯალი ჩემს ბიჭს შეუნახე; ჩემო უდღეურო ცოლო, ჩემო დამღუპველო ფეხში ქვააგორებული გატაროს გამჩენმა...

სპირიდონმა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი გადმოაგდო და კლდეც ზევით წავიდა ნელ-ნელა.

ხალხი მიხვდა, მონადირე ალს ჰყავდა განწირული. შველაზე

ხელი აიღეს.

— რა გინდოდა მზეთუნახავთან, საბრალო სპირიდონ! — თმას იშლიდა ცოლი.

— დღე და ღამე იყრება, სპირიდონ, შენს ქოჩორს ორბები ეთამაშებიან, სად მიხვალ, სად რჩები, უბედურო სპირიდონა!.. — ქვითინებდა დედა.

XX

ალექსანდრე შელიას ოჯახი. ბაკურიანში გაემგზავრა დასასვენებლად. ცოლით, სამი ქალიშვილითა და ორი შვილიშვილით მიდიოდა იგი მთაში. დალი მეორე დღესვე აპირებდა უკან გამობრუნებას. ვენერას ერთი კვირის შვებულება აეღო, მაგრამ იმ ერთ კვირას გაძლებდა თუ არა, ისიც არ იცოდა. ვნახავ, თუ ჰაერი ავიტანე, დავრჩებიო. ხანში შესულ ცოლ-ქმარსაც უჭირდათ აყრა და მგზავრება, მაგრამ შვილიშვილების ხათრით ვერ დგებოდნენ შინ.. გამოდიოდა, რომ ყველანი მაკას და ხათუნას მიჰყვებოდნენ. გოგონებს ფაქტიურად ბებია ზრდიდა და უვლიდა. ქალიშვილებს, განსაკუთრებით საშუალოს და უმცროსს, საოჯახო საქმეები არ ემარჯვებოდათ. არც უფროსი და იყო გადამკვდარი დიასახლისი, მაგრამ დალის ჩაის ის უდუღებდა და ტანსაცმელსაც ურეცხავდა. შეძლებული დედ-მამის ხელების შემყურე ქალიშვილებს გაჭირვება არ ენახათ და თუ რამე ჭირდათ, მხოლოდ ამის გამო,

დალიმ ვაგონი მოათვალიერა. უმრავლესობა დასასვენებლად მიდიოდა აშკარად. თოვლს და ჰაერს დანატრებულები,

მთებს ეშურებოდნენ. ზედა თაროებზე ჩანთები და ფერადი თხილამურები ეწყო. გასასვლელ-გამოსასვლელებში პაპიროსს ეწეოდნენ. დალის მარტო ბოლის დანახვაზე ასტკივდა თავი, მალე დაიღალა და განერვიულდა.

ქვიშხეთს გასცდნენ თუ არა, გორებზე და თხემებზე აქაიქ შემორჩენილი თოვლის ნაფლეთები გამოჩნდა. თოვლმა იმატა და ბოლოს სულ ახლო მთლიანად გადათეთრებული გორა გაილანდა.

ვიღაცამ დაიძახა, შეხედეთ, თოვლიაო. ამ ხმაზე, ხათუნა, რომელსაც თავი დედის კალთაში ჰქონდა მიდებული, წამოხტა და ფანჯარას ეცა. პირველად ვერაფერი გაარკვია, მერე კი თეთრ მთას მიაჩერდა და ამ უცხო სანახაობამ გააბრუა.

— სად არის, დედა, თოვლი? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ მაკამ.

— ე, დედა, გაიხედე ფანჯარაში...

გოგონები მდუმარედ აეკვრნენ მინას და კარგა ხანს სმა არ გაუღიათ.

— მოეშვი, მამა, ამ გაზეთებს, შემდეგაც მოესწრები! — უსაყვედურა დალიმ მამას.

— რა იყო, მოხდა რამე?

— არაფერი, თოვლია გარეთ... — გაეცინა დალის მამის შეშფოთებული სახის დანახვაზე.

მამამ სათვალე მოიხსნა, თეთრი მთები შეათვალიერა, მართლაც თოვლიაო, თქვა მან, სათვალე გაიკეთა და ისევ გაზეთში ჩარგო ცხვირი. ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს ღიმილით.

მატარებელი სწრაფად, უხმაუროდ მიჰყვებოდა მდინარის დაბრეცილ ნაპირს, ჩამომზღვლეულ ფლატეებს, კლდოვან კბოდეებს. თანდათან ყველაფერი თეთრდებოდა. ჩანდა, წინა ღამით ხვავრიელად მოეთოვა, რადგან ხეებზე და თალარებზე სქელი

თოვლი იდო. ერთი კაცი ეზოში ჭოკით ხიდან თოვლს ჟვერავდა. ქვევით თეთრი ბუქი მოდიოდა და სიმძიმისაგან განთავისუფლებული ტოტები ქანაობდა აღმა-დაღმა.

თოვლის დანახვისთანავე დალი აიბუზა. როგორ არ უყვარდა სიცივე და ზამთარი. აღტაცებული მგზავრებისაც არ სჯეროდა. დარწმუნებული იყო, ნახევარზე მეტი თვალთმაქცობდა და ერთმანეთის წამხედურობით აქებდა თოვლსა და ბაკურიანს. ქალიშვილობაშიც შიშით შეჰყურებდა ხოლმე თოვლის პირველ ფანტელებს, თბილისის ცაზე რომ გამოჩნდებოდა. გადათეთრებულ-გადაპენტილი, უზარმაზარი ცა დიდებული სანახავი იყო, მაგრამ შემდეგ ყინვა, თოვლ-ჭყაპი, წყალწყალა, ჭუჭყიანი გუნდები ძნელი ასატანი ხდებოდა. მაინც რამდენჯერ გაუმწარებია, რამდენჯერ თვალი ცრემლით აუვსია შორიდან (ვითომ საალერსოდ) ნატყორცნ გუნდას თუ ყინვის ნატეხს, თბილისელი ბიჭები რომ მოხერხებულად ისროდნენ ყოველ მოსახვევში. მხოლოდ ამის გახსენებაზე არ იშმუშნებოდა უსიამოდ. საერთოდ, არ უყვარდა სიცივე.

ბორჯომის სადგურში ყინავდა. ბაქანი წყლისფრად ლაპლაპებდა. ვიწრო ლიანდაგზე ბაკურიანის მატარებელი ჩამომდგარიყო. საკმაოდ უცნაური და ულამაზო ელმავალი თოვლის საფხეკ მახინას უფრო ჰგავდა, ვიდრე სხვა რამეს.

დალის ბევრჯერ უმგზავრია ამ გზით. ბავშვობისას, თითქმის ყოველ ზაფხულს ბორჯომის ხეობაში ისვენებდა. მაშინ, ამ ვაგონებს პატარა ორთქლმავალი ატარებდა. სასაცილო ორთქლმავალი გაბმულად კიოდა და ლურჯ ბოლს მიაფრიალებდა. საყვირის ხმა ხევიდან ხევში, სოფლიდან სოფელში სისრულის, ჩიტის ბარტყობის, სიმწვანის ექოდ გადაისმოდა. ახლა ყველაფერი შესუდრული და გულჩამკვდარი იყო.

ვაგონში ასვლისას დალის ვიღაც უცნობი კაცები გამოეცნაურნენ. დალი თავდაჭერილად, ცოტა უკმეხადაც კი იქცეოდა. კაცები

კი ბადრის ამხანაგები აღმოჩნდნენ. ერთი ეცნაურა კიდეც, მაგრამ სად ენასა, ვერ გაიხსენა. ამ ქვეყანაზე ალბათ კუთხე-კუნჭული არ არსებობდა, სადაც ბადრის ამხანაგი და პატივისმცემელი არ იყო.

— გუშინ კიდევ ჩამოთოვა და გზები ჩაჩუმქრა, თორემ მანქანით წაგიყვანდით! — თქვა ერთმა.

მატარებლით ყანყალს, მართლაც, მანქანით მგზავრობა სჯობდა და დალის ეწყინა, გზა რომ არ იყო, თუმცა სახეზე არც წყენა დასტყობია, არც სიხარული. ამასობაში ერთი სადღაც გაუჩინარდა, ვაგონში ყუთი შემოათრია და ხვნეშით დადგა ძირს.

— ამაში ცოტა მანდარინია... — თქვა მან და გათოშილი ხელები დაიორთქლა.

— რა საჭირო იყო, რატომ გაისარჯეთ! — შეწუხდა დალი. — როგორ გეკადრებათ!

— ამჯერზე მეტი ვერაფერი მოვახერხეთ და შემდეგ ზევითაც ამოგაკითხავთ! — თქვა გამხდარმა კაცმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მეტი გავლენა ჰქონდა და დანარჩენებზეც უფროსობდა.

მალე ზარმა ჩამორეკა. ბადრის ამხანაგებმა წასვლა დააპირეს. სქელმა კაცმა ფეხი აითრია და საგანგებოდ ჩამოართვა ხელი დიდსა და პატარას..

— გაიზარდეთ, გაიზარდეთ, ბიძიებო! — უთხრა ბავშვებს და ოდნავ აბანცალდა. მაშინღა შეეტყო, მთვრალი რომ იყო.

მატარებელი დაიძრა. — არ დარჩეთ, მგონი, წავედით! — შეეშინდა დალის დედას.

— სად წავა, ქალბატონო, ამ გზას მაინც ვერ აცდება, ძალიანაც რომ უნდოდეს! — ჩაილაპარაკა ხავილით, ქუდი დაიხურა, ერთხელ კიდევ დაუკრა ყველას თავი და, სანამ ძირს ჩახტებოდა, კიდევ რამდენიმე მგზავრს გამოელაპარაკა.

არადა არ დაილია პატარა გზა. მოშუადღევდა. ეტყობოდა,

ისევ თოვას აპირებდა, რადგან ნაძვებიდან თოვლი არ ცვიოდა. ერთი-ორჯერ უდღეურმა მზემაც გამოანათა და მერე ისევ მოიქუფრა. მატარებელი არ ჩქარობდა. რაც უფრო და უფრო უახლოვდებოდა ბაკურიანს, მით მეტად უკლებდა სიჩქარეს. თითქოს წლობით იდგა პატარ-პატარა სადგურებში და ზლაზვნით, წელათრევით იძვროდა ადგილიდან. ცარიელ ვაგონში ციოდა. კუთხეში თუჯის მრგვალი ღუმელი იდგა, მაგრამ შიგ ცეცხლი მინავლებულიყო კარგა ხნის წინ. ჰაერში კი მაინც დამწვარი ნახშირის სუნი იდგა. დალის ისევ ასტკივდა თავი.

— შენ რა დაგემართა? — ჰკითხა ვენერამ. — არაფერი... — ამოიოხრა დალიმ. — რა იყო, დედა, ხომ არაფერი გინდა! — შეშფოთდა დედა. — არაფერი არ მინდა! — შეწუხდა დალი.

— რა იყო, რას შეუჩნდით! — გამოცოცხლდა პროფესორი.

— კარგი რა, ყველაფერს საქმედ ნუ გახდით! — გაბრაზდა მზექალა და ხათუნას, რომელიც ზევით თაროზე. მიფოფხავდა, კისერში უჩქმიტა, — აი, ასე მოგიხდება!

ხათუნამ ღრიალი მორთო. ამაზე დალი სულ განერვიულდა.

სადგურიდან სასტუმრომდე, ბავშვების ხათრით, მარხილით იმგზავრეს. დალიმ კიდევ უფრო მოიწყინა. ღია მარხილს ცივი, გამჭოლი ქარი უბერავდა. მარხილის ქიმზე ვიღაცას იისფერი მელანი გადაესხა და დალის ეგონა, პალტო დამესვრებაო, თუმცა მელანი ერთი-ორი წლის მიმხმარი მაინც იქნებოდა. ჭუჭყიანი დასაჯდომიც არ მოსწონდა და მობუზული იჯდა კუთხეში.

სამაგიეროდ, სასტუმროში დახვდათ საუკეთესო, წინასწარ შეკვეთილი ნომერი და დალი მალე გამხიარულდა. ახალმა პარკეტმა, სითბომ აბაზანამ, ხალიჩებმა და სარკეებმა იმწამსვე გუნება გამოუკეთა. გარეთ გასვლა არც უფიქრია, თუმცა კარგა ხანი იხედებოდა ფანჯრიდან და სასეირნოდ მიმავალ ოჯახს: დებს, დისშვილებს და მშობლებს მისჩერებოდა. ბოლოს ვესტიბიულში გავიდა. ეგონა, მარტო დავრჩიო, მაგრამ ამ უდროო დროსაც

კარგა ძალი ნაცნობი აღმოაჩინა.

შუადღისას მზემ გამოიხედა და სასტუმროს სქელი მინები ააბრჭყვიალა. დერეფნები დაცარიელდა; აღარ ისმოდა ბავშვების ჟრიამული, კარების ჯახაჯუხი.

— დალი სავარძელში იჯდა. ბეწვისსარჩულიანი ნატის პალტო სკამის სახელურზე ჰქონდა გადაფენილი და ნაცნობ გოგოს ელაპარაკებოდა. გოგო ერთი. პასუხისმგებელი მუშაკის ქალიშვილი იყო და ყველასთან საუბარს როდი კადრულობდა, სამაგიეროდ, დალი უყვარდა და, თუ უკადრისობას სათვალავში არ ჩავაგდებდით, ისედაც არ იყო ცუდი ადამიანი.

ქვევით მუხის დედაკარმა მოუხშირა ჭრიალს. ვიღაცები ცემენტის იატაკზე ბაკუნებდნენ და ხმამაღლა ხორხოცობდნენ. ასეთი ხმაური ჯგროდ შეყრილმა, ერთი ჭკუის ხალხმა იცის ხოლმე. მოურიდებელ სტუმრებს ბევრიც აღარ დაუხანებიათ. ერთმანეთის მიყოლებით, რიგრიგობით ამოვიდნენ კიბეზე. მორგვივით კისერი და მრგვალი ყურები ჰქონდათ. დალიმ ეს მოგვიანებით შეამჩნია და გაოცება ვერ დამალა.

„მოჭიდავეები არიან!“ — მიხვდა ბოლოს, რადგან იმ გუნდში თეთრი კვიცივით გამოარჩია ერთი კაცი, რომელსაც არც ყელყური დამრგვალებოდა, არც თმა და თვალები ჰქონდა სხვებსავით ჩანახშირებული.

— როდის ჩამობრძანდით? — იკითხა ელგუჯამ საკმაოდ გაუბედავად.

— დღეს, — უთხრა დალიმ. — ჩვენ ორი კვირაა აქა ვართ... — ლექციები? — განთავისუფლებული ვარ...

— რა კარგია, — გაიღიმა დალიმ, — ნეტავი როდის სწავლობ, სულ წასული რომ ხარ?..

ვიღაც ჯანიანმა კაცმა, თავზე ღერი თმა რომ არ ჰქონდა და საკმაოდ შნოიანად ეცვა, სწრაფად ამოათავა კიბე და ქალებს მო-

ურიდებლად გადახედა; შემდეგ ელგუჯასთან შეჩერდა; ხმისა-მოუღებლად მოიქექა ჯიბე, რაღაც ქვითრები ამოალაგა, გადაარ-ჩია და რამდენიმე ცალი ელგუჯას მისცა.

— ბატონო თამაზ, გაიცანით!

თამაზმა სწრაფად, ენერგიულად ჩამოართვა ქალებს ხელი და მდაბლად წელში მოიხარა. ამ ცერემონიალის დროს დალის პალტო დაცურდა და ძირს დავარდა. უმალ პატრონი დაიხარა, თუმცა თამაზმა ხელი შეაშველა და ქალის მადლობაც დაიმსახუ-რა. ამის შემდეგ მაინც უხერხული სიჩუმე დადგა. თამაზმაც დიდ-ხანს ვერ გაუძლო, რამდენჯერმე მოინაცვლა ფეხი, საათზე და-იხედა; ელგუჯას უთხრა, ერთ საათში ჩემთან შეიკრიბეთო, პა-სუხს აღარ დაუცადა, ქალებს დაემშვიდობა და სწრაფად წავიდა.

— ჩვენი მწვრთნელია, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი... — გა-ნაცხადა ელგუჯამ.

— ეს კაცი? — იკითხა დალის ამხანაგმა. — დიახ, — უპასუხა ელ-გუჯამ.

ქალმა მაგიდაზე მიყრილ ჟურნალებს გადახედა, ერთი აიღო და ფურცვლა დაიწყო უგულოდ.

— ვინ იყო? — ჰკითხა ქალმა დალის, როცა ელგუჯაც წავიდა.

— ჩვენი სტუდენტია...

— თქვენ რა კარგი სტუდენტები გყოლიათ! — საეჭვოდ გაიღიმა დალის ამხანაგმა.

პასუხის გაცემა დალიმ საჭიროდ არ ჩათვალა, მაგრამ უნებუ-რად დაამთქნარა და უმიზეზოდ დაიწყო პალტოს ჯიბეებში ხელის ფათური.

მეორე დღეს, ნასაუზმევს ალექსანდრე შელიას ოჯახი უკლებ-ლივ სადგურში გავიდა დალის გასაცილებლად. დედა და ბებია წამდაუწუმ უჯავრდებოდნენ ბავშვებს, როცა ისინი ლიანდაგები-საკენ გარბოდნენ ანდა ცხვირით ეცემოდნენ ბაქანზე. მოულოდ-

ნელად ელგუჯა მოვიდა და შორიახლო გაჩერდა, მიესალმა დალისიანებს და ხმა აღარ გაუღია. დალი ჯერ გაბრაზდა, შემდეგ, სადღაც მოეწონა კიდეც ეს თავხედობა, რადგან დანარჩენებმა კარგი თვალით შეათვალიერეს ეს უცხო ადამიანი.

— მე რომ დამავიწყდა იმ თერმოსის ყიდვა?! — მიუბრუნდა დალი ვენერას.

— ვიყიდი და ჩამოგიტან, — უთხრა დამ.

— ახლა მინდოდა წამეღო, ჩათქმული მქონდა. — ჩათქმული არა ის, კიდევ რას მოიგონებ!

— მე წავალ და მოვიტან! — თქვა მოულოდნელად ელგუჯამ.

— სულ ერთია, ვერ მოასწრებთ! — ცივად უთხრა ვენერამ.

— სადღა წახვალ, შვილო, მატარებელი დაიძვრება საცაა! — უთხრა დალის დედამ.

— არა უშავს... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და თოვლში გააბოტა.

— სად გაუშვი, შე ქალო! — შეწუხდა დედა. — მე გავუშვი?! — ნიშნის მოგებით იკითხა დალიმ.

— აღარც იქნება, გუშინ მთელმა სასტუმრომ ის თერმოსი იყიდა... — ჩაილაპარაკა მზექალამ, ორივე ბავშვს ერთდროულად რომ ჩაჰფრენოდა პალტოს საყელოში.

— უთერმოსოდ ვერ ჩახვიდოდი თბილისში!.. — თითქოს თავისთვის თქვა ვენერამ და გვერდზე გაიხედა.

— ვთქვი და მომკალით ახლა!

— მორჩით ლაპარაკს, წავიდა მატარებელი! — ბრძანა მამამ.

დალიმ ბავშვები დაკოცნა და ვაგონში ავიდა. მატარებელიც აიძრა. დალიმ ოჯახის წევრებს ხელი დაუქნია, სადგურის მიდამოებიც მოათვალიერა, მაგრამ ელგუჯა ვერსად შენიშნა. მოწყენილი დაჯდა ფანჯარასთან. ეს ამბავიც ცუდად ინიშნა და მგზავრობის ასე მარცხიანად დაწყება არ ესიამოვნა. რაღაც საწყენი შემხვდებაო, ფიქრობდა იგი და ფიჭვის დათოვლილ ხეებს უყურებდა.

მატარებელი წაღვერში გაჩერდა, როგორც იქნა. ბორჯომამდე თითქოს აღარაფერი რჩებოდა, მაგრამ ახლა გასვლას აღარ ადგებოდა საშველი. ფანჯრიდან გარეთ ცქერით დაღლილს თავი უბრუოდა და თვალებიც სტკიოდა.

მოპირდაპირე სკამზე ახალგაზრდა კაცი იჯდა. ყველაფერზე ეტყობოდა, დალისთან გამოლაპარაკებას აპირებდა. ადრე ჟურნალებს ათვალიერებდა და დალი გრძნობდა, როგორ აპარებდა დროდადრო მისკენ თვალს. მგზავრს ბოლოს კითხვა მობეზრდა, ჟურნალები დაკეცა და პალტოს ჯიბეში ჩაიდო. დალიმ ჟურნალებს თვალი გააყოლა. „გაბედოს თუ რამეს თქმა უნდა, ჟურნალებს მაინც გამოვართმევ!“

— დიდხანს ვიდგებით კიდევ აქ!? — იკითხა ახალგაზრდა კაცმა თავისთვის.

„მე რა ვიცი!“ — გაიფიქრა დალიმ. — მოულოდნელად ვაგონში ელგუჯა შემოვარდა. სქელი, მაღალყელიანი წაღებით, ბეწვიანი, ბოლომდე ჩახსნილი ჯუბით მთლიანად შეავსო შეციებული ვაგონი. ყველანი თოვლით შეფიფქულ, ავარვარებულ ადამიანს მიაჩერდნენ, დიდი თერმოსით ხელში რომ მოიკვლევდა სკამებსა. და სკამებშუა გზას.

— ღმერთო, აქ საიდან გაჩნდი! — გული შეუქანდა დალის. — დავეწიე მატარებელს! — თქვა ელგუჯამ. — რით?

— ფეხით.

— მატარებელს ფეხით როგორ დაეწიე?

— კინაღამ ჩამოგასწარით, მაგრამ ვაგონი შემეშალა! — გაიღიმა ელგუჯამ. დაჯდა და მაგიდაზე თერმოსი დადგა. ცისფერ თერმოსს თეთრი და წითელი ვარდი ჰქონდა მიხატული. დალიმ ფრთხილად ჩამოუსვა თერმოსს ხელი და ვაჟის სიმხურვალე იგრძნო. იგი თავიდან ფეხებამდე თოვლში იყო ამოგანგლული. ეტყობოდა, ვერც ისე იოლად მოსულიყო აქამდე, როგორც ამტკიცებდა.

— მართლა ფეხით ჩამოდი? — არ სჯეროდა ქალს.

— ცხადია, გზაზე იმხელა თოვლია, ცხენიანი კაცი ვერ გაიარს... :

— პირდაპირ არ ვიცი, რა გითხრა, ისეთი ნარჩენი ხარ, ვერ გიყურებ, რომ გაცივდე, რა ვქნა? ეს გაიხადე მაინც და ჩემი პალტო მოიხურე!

— პალტო რათ მინდა, ამას კი გავიხდი, აქ ისე ცხელა, გარეთაც თბილა, წამოვედი თუ არა, გათოვდა კიდეც, ახლაც თოვს...

— დაიღალე?

— არც ისე, სულ თავდაღმართში მოვშლიგინობდი, ბილიკებით მოვდიოდი, ამის გატეხვის მეშინოდა, თორემ სულ არ გამიჭირდებოდა...

ისინი ახლა აშკარად შენობით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდნენ.

— ამას რას დავეძებდი, ეს რომ მცოდნოდა, ვაგონში რა გამაჩერებდა... ისე, რა ლამაზია, არა?

— ლამაზია, კი... — თქვა ელგუჯამ და წამოდგა, ჰაერი არ ეყო და ვაგონში გაიარ-გამოიარა.

— დაჯექი, ნუ დადიხარ, მოდი, მაინც მოგახურავ ჩემს პალტოს...

— არა, არ მინდა... — ღრმად ამოისუნთქა ელგუჯამ და დაჯდა.

— ეს არის, არ მცივაო, ხელები სულ გაწითლებული გაქვს...

ელგუჯამ ხელებს დახედა და მუხლებზე დაიწყო. დალიმ თბილი ხელისგულები დააფარა ზემოდან.

ელგუჯამ სმა ვერ ამოიღო, თუმცა, როგორც შემდეგ დაასკვნა, რაღაცის თქმა დააპირა ადრევე. დალიც აღელდა. მოეჩვენა, რომ ეს უკვე ზედმეტი იყო. სწრაფად გასწია ხელები და ფანჯრისაკენ მიბრუნდა. ელგუჯას შეეშინდა, ხომ არაფერი ეწყინაო, მაგრამ ქალი მალე მოტრიალდა და მხიარული საუბარი გაბა, თუმცა ბორჯომამდე უკვე მართლაც აღარაფერი იყო დარჩენილი.

ბორჯომში უფრო ხვავრიელად თოვდა. ბარდნიდა. მსხვილ-მსხვილი ფანტელები ცვიოდა ციდან. ქარი არ უბერავდა. შედარებით თბილოდა.

დალი და ელგუჯა ბორჯომ-თბილისის მატარებლის წინ, უკაცრიელ ბაქანზე იდგნენ. დალი ხშირად უმიზეზოდ იცინოდა. რბილ ფაფუკ თოვლში ჩექმებით ხრაშუნებდა. ზოგჯერ ზევით იხედებოდა. დიდრონი ფანტელები წამწამებზე ეცემოდა ან ტუჩზე ადნებოდა. ა საღამოვდებოდა. შეუმჩნევლად გასულიყო დრო. დალის წასვლის ჟამი დგებოდა და ელგუჯას თანდათან სევდა ერეოდა. დალის უკვე თვითონაც არ უნდოდა წასვლა, რაღაცაზე გული სწყდებოდა და ბოლოს მიხვდა, რომ მისი თანამგზავრი ძალიან სერიოზულად იქცეოდა.

„ეს ჩემზეც მოქმედებს, მალე ტირილს დავიწყებ!“ — გაიფიქრა მან. დაიხარა, დიდი გუნდა აიღო და ელგუჯას მოშიშვლებულ საყელოში ჩაუგდო. ყველაფერს ელოდა ელგუჯა და ამას არა. წაიხარა. საყელოდან სასწრაფოდ თოვლის მოფერთხვას შეუდგა. ცოდვილობდა, წვალობდა და დალის გულიანად აცინებდა. ქალმა უცბად სიცილი შეწყვიტა. ელგუჯამ იფიქრა, თოვლს მომაშორებსო, მაგრამ დალიმ უფრო დიდი გუნდა აიღო და გამეტებით დაახალა იმავე ადგილზე. ელგუჯა სწრაფად მოტრიალდა, ხელი ნიჩაბივით ამოუსვა თოვლში, ერთი თეთრი მთა აიღო. დალი გაიქცა, მაგრამ ღრმა თოვლში ჩაეფლო და გაჩერდა. როცა ნასა, გასაქცევი არსად ჰქონდა, სახეზე ხელები აიფარა. ელგუჯა ნელა მიუახლოვდა და თოვლი ძირს დააგდო. ბათქუნზე დალიმ თვალი გაახილა. ელგუჯა იქვე იდგა, მოღიმარი, მაგრამ მაინც სევდიანი თვალებით იხედებოდა.

წასვლის ზარი ჩამორეკეს.

დალი ელგუჯას დაემშვიდობა. კიბეზე ასვლისას ელგუჯამ ხელი შეაშველა. დალი მსუბუქად ავიდა, შევიდა დერეფანში და ფანჯარას მოადგა. მისი სილუეტი აილანდა დაჭირხლულ მიხაზე.

იგი ელგუჯას უღიმოდა, ნელა უქნევდა თითებს, მაგრამ მატარებელი აღარ აპირებდა წასვლას. უცბად ქალმა ფანჯრის ჩარჩოს დაქაჩა და ბოლომდე ჩამოსწია. იგი ახლა მთელი ტანით გამოიკვეთა ჩარჩოში. ვაგონი შექანდა.

— კარგად იყავი! — თქვა დალიმ. — კარგად!

მატარებელი ისევ გაჩერდა. დალი გადმოიხარა და ელგუჯას უთხრა, პირველი ადგილი აიღე, ისე არ ჩამოხვიდეო. ამ სიტყვებზე თვითონვე გაეცინა, ძირს დაიხედა და მიხვდა, მიდიოდა. მატარებელი თანდათან უმატებდა სიჩქარეს. ელგუჯა მარტოდმარტო იდგა და თოვლში ეხვეოდა. თოვდა წყნარად და უშფოთველად.

XXI

თბილისში გაზაფხული მოდიოდა. მარტი ჭინჭყლობდა და ჭირვეულობდა. გარეუბანში უდღეური ნუში აყვავილდა. არყის ხეებს უფოთლო ტოტები დაუმწვანდათ. მაინც ციოდა. გაზაფხულის დადგომას თითქოს საშველი არ ადგებოდა, მაგრამ დღე-დღეზე ყველაფერი გადასხვაფერდებოდა და ათბებოდა ულაპარაკოდ.

ელგუჯა ვაშაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ამოდენა წარმატებას თვითონაც არ ელოდა და აღტაცებული დაბრუნდა თბილისში. უკან დარჩა განათებული ხალიჩა, მაყურებლებით სავსე იარუსები. გაბრუებულივით დადიოდა; ძილშიც მსაჯის ხმა და ხალხის ყვირილი ესმოდა. ბატონმა პავლემ სულითა და გულით მიულოცა დიდი წარმატება. როცა სახელდახელოდ გამართულ სუფრაზე დათვრა, ცრემლი მოერია და თქვა: პირველად მხოლოდ მე ერთს მჯეროდა და მწამდა შენიო.

— ...ახლა ყველა თავისკენ გექაჩება, ყველა ახლა გახდა შენი მოყვარე... მე მაინც სხვა ვარ, ბიჭო, არ დაივიწყო შენი უიღბლო

და უბედური მწვრთნელი პავლე!..

ელგუჯას გული აუჩვილდა. პავლეს ბეჭზე ხელი მოხვია.

ელგუჯა ხან იფერებდა თავის ტიტულს, ხან ზედმეტად თავმდაბლობდა. არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. „ბოლოს და ბოლოს რა მოხდა!“— ფიქრობდა იგი და მაინც იძულებული იყო საზოგადოებისათვის ანგარიში გაეწია. ყველაფერს ახალი მანქანაც დაემატა, რომელიც მან მანდიკორიდან ჩამოიყვანა. ეგონათ, რიგგარეშე მისცეს, დააფასესო. კი არ იცოდნენ, რამდენი წელი ელოდა ამ მანქანას რაიონში თომა ვაშაძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი.

ინსტიტუტის ვესტიბიულში დალი კიბეზე ჩამოდიოდა, შორიდან უყურებდა ელგუჯას, იღიმებოდა, სიფრიფანა, ზღვისკენჭისფერი კბილები უელავდა. ფრთხილად ჩამოდიოდა, რათა მარმარილოს საფეხურზე ფეხსაცმლის წვრილი ქუსლი არ ასხლეტოდა. უსახელო კაბა ეცვა და მისი თეთრი მკლავების დანახვაზე მიხვდებოდა კაცი, რომ შენობაში თბილოდა. ელგუჯა ჩამოსასვლელთან შეეგება, ხელი გაუწოდა. — დამაცადე, გაკოცო! — უთხრა დალიმ.

ელგუჯა დაიხარა და იმწამსვე სუსტი კოცნა იგრძნო მარჯვენა ლოყაზე.

— მომილოცავს!

— გმადლობთ.

ელგუჯა გრძნობდა, როგორ თანდათან ენთებოდა ალი სახეზე. დალის მკლავები გულზე დაეკრიფა და თითქოს საგანგებოდ არ აშორებდა თვალს. ელგუჯას უნდოდა დროზე ეთქვა რაიმე, რათა სიწითლე, ჩრდილივით რომ ეპარებოდა, სახეზე არ დასჩენოდა და ბოლოს და ბოლოს ამ თავაზიანი ამბორისათვის მნიშვნელობა არ მიეცა.

— ერთი წუთით! — მოიბოდიშა. უცებ დალიმ, ჩქარა წავიდა და

ვიღაც ხნიერ კაცს წამოეწია. კაცმა მოიხედა და კიბესთან დაიცადა. მერე ორივენი ლაპარაკით გაემართნენ სპორტდარბაზისაკენ. „სად მიდის ნეტავი!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

თითქოს ამ ფიქრის საპასუხოდ დალიმ მოიხედა, მალე მოვალო, დაიძახა. იგი მართლაც მალე მობრუნდა. ხელში აკინძული, რემინგტონზე ნაბეჭდი ქაღალდები ეჭირა.

— ხომ არ გეჩქარება? — ჰკითხა ელგუჯას და ერთი წამით შეჩერდა.

— არა, — მაშინ წამომყევი, თუ არ გეზარება, მალე გავთავისუფლდები... — გაიღიმა მან, ისევ იმ ხნიერ კაცს წამოეწია და გვერდზე გაუხვია.

ვიწრო დერეფანში აღარავინ ჩანდა, ერთი სტუდენტი გოგონას გარდა. იგი ცერებზე შემდგარიყო და გვერდითი ოთახის კარის სარკმელში იჭყიტებოდა. ელგუჯას ფეხის ხმაზე შეკრთა, მოიხედა. გაიღიმა და ისევ კარს მიაყურა, თუმცა ამჯერად ცერებზე აღარ აპოლიკებულა. ლამაზი, ტანადი ქალიშვილი, რომელსაც ცოტა ნერვიული მზერა ჰქონდა, ელგუჯას ერთი, სამჯერ ოფიციალურად ჰყავდა გაცნობილი. რატომღაც სან ესალმებოდა, ხან არა. ამაზე გოგო არავითარ პროტესტს არ აცხადებდა. ეტყობოდა, სულ არ აინტერესებდა, ვინ როდის, რა დროს და რა ხასიათზე ეტყოდა გამარჯობას.

ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯამ ქალიშვილს მიუხედა. გოგოც ელგუჯას უყურებდა. უფრო შორს ორი ლექტორი გამოჩნდა. ერთს ხელში ჩანთა ეჭირა. შემდეგ სხვა სტუდენტებიც წამოვიდნენ.

ელგუჯამ მარცხნივ გაუხვია. ჩაბნელებულ ადგილას, სარდაფისაკენ ჩამავალი კიბის თავში დალი იდგა ლანდივით. ელგუჯა შეკრთა, სული ძლივს მოითქვა.

— რას უცდი აქ?! — იკითხა მან დაგუდული ხმით.

— ძია შიო ქაღალდებს ამომიტანს და წამოვალ! — მშვიდად უპასუხა დალიმ.

— ქაღალდებს?

— ნაბეჭდი ფორმებია კათედრისათვის და საწერი ფურცლებიც მჭირდება...

ელგუჯამ ქვევით ჩაიხედა. კიბე მარჯვნივ უხვევდა და იქვე თავდებოდა, რამდენიმე მეტრში. დაბლა ნათურაც ენთო და არც ზევით ბნელოდა ისე, პირველად რომ მოეჩვენა.

„ასე რამ დამაფეთა!?“ — უკვირდა ელგუჯას.

დალიმ კიბის მოაჯირზე თითები აათამაშა. ელგუჯამ ხელზე სელი მოჰკიდა ფრთხილად. დალი ბეჭებში აიწურა შეუმჩნევლად. ქვევიდან ფეხის ხმა მოისმა. ქაღალდებით დატვირთული ჭაღარა კაცი კიბეზე ამოდიოდა და ისე ხვნეშოდა, თითქოს ცხენის საპალნეს მოათრევდა. კაცმა ამოიხედა და დალის გაუცინა. დალი ამ დროს ხელის გათავისუფლებას ცდილობდა. თავს ძალას ატანდა, თუმცა ხვდებოდა, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო.

— ძია შიო, მოგეხმარებით! — დაიძახა ფერდაკარგულმა და ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

— არა, გენაცვალე, როგორ გეკადრება! — ჩაილაპარაკა კაცმა და კიბის ბოლო საფეხური ფეხით მოსინჯა.

— შიოს ამოსვლისთანავე ელგუჯამ თითები მოადუნა. დალიმ ამოიოხრა, მხოლოდ ხელი აღარ გაუწევია.

— რა ბრძანეთ? — იკითხა შიომ.

— არაფერი... — გაიღიმა დალიმ. იგი შიოს უყურებდა და ადგილიდან არ იძვროდა.

XXII

— კინოში არასოდეს არ გითამაშიათ? — იკითხა დამდგმელმა რეჟისორმა.

— არა, — მოკლედ უპასუხა დალიმ. — სცენაზე? — არც სცენაზე. — რატომ?

— არ ვიცი, ისე, აქ რამდენჯერმე გამსინჯეს, როლზეც ამიყვანეს, მაგრამ არ ვითამაშე...

— რატომ? — სულ გადაირია რეჟისორი. — არ ვიცი, ასე მოხდა... — მშვიდად უპასუხა ქალმა.

დამდგმელმა რეჟისორმა უადგილოდ გაიცინა და სცენარის ავტორს გადახედა, რომელიც გაბურბუსალებული იჯდა კუთხეში. მის სახეზე რეჟისორმა ვერაფერი ამოიკითხა და სულ დაიბნა. არადა ავტორის დაჟინებული თხოვნით, თითქმის ძალისძალით მოიყვანეს დალი ინსტიტუტიდან.

მთავარი როლის შემსრულებელ ქალს ეძებდნენ თვეზე მეტი იყო. თხუთმეტამდე ფირზე გასინჯეს, უამრავს ფოტოსურათები

გადაუღეს და თვალსაჩინოდ გამოფინეს სამუშაო ოთახში, მაგრამ არ იქნა და არა, მათი მოსაწონი არ აღმოჩნდა არავინ. მთავარია, ქალი იყოს ლამაზი და ქალური. ეს დებულება აღმოჩენა ეგონათ. კაცმა რომ თქვას, დამდგმელი რეჟისორი ფეხის ხმას, მხატვრებს, ავტორს და ოპერატორს იყო აყოლილი, თორემ ფირზე გასინჯულ თხუთმეტ ქალსაც ვერ ასხვავებდა ერთმანეთისაგან. რომ. ეტყოდნენ, ეს იმაზე ლამაზიაო, გაოცებას ვერ მალავდა.

დალის სარეჟისორო სცენარი ეჭირა ხელში და გზისპირზე ტაქსს ელოდებოდა. ელგუჯამ რბილად მიაყენა მანქანა ბორდიურთან. დალიმ წამით შეავლო თვალი რიყის ქვისფერ ახალ „ვოლგას“ და გვერდზე გაიხედა.

— დაბრძანდით! — სთხოვა კიმოთემ. კარი გამოაღო, დალის მიესალმა, გადმოვიდა და უკან გადაჯდა.

ქალმა ელგუჯა იცნო, გაიღიმა და მანქანაში ჩაჯდა სწრაფად, რადგან უადგილო ადგილას გახიდულმა „ვოლგა“ სამანქანო გზა ჩაკეტა.

— საით? — იკითხა მძღოლმა.

— შინ მივდივარ, ბავშვები მყავს დაბარებული სამეცადინოდ...

— ბევრი? — დაუფიქრებლად იკითხა ელგუჯამ.

— ძალიან... — გაეცინა დალის. უკან მიიხედა, კიმოთეს გარდა სხვა ხომ არ ზისო; ელგუჯას შოფრობაც გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უკითხავს.

— ჩემი დისშვილებია, სამი სხვისია, სულ — ხუთნი. სულ პატარები იყვნენ, რომ ავიყვანე. თუთიყუშებივით არიან, ენას იოლად ითვისებენ. მე კიდევ უფრო პატარა ვიყავი, უცხო ენის სწავლა რომ დავიწყე, უფრო სწორად დამაწყებინეს, გამდელიც უცხოელი მყავდა...

— თუ ბავშვობიდან არ დაიწყე ენის ათვისება, ძალიან ძნელია... — შენიშნა კიმოთემ. დალიმ წამით მიუხედა, გაუღიმა და

დაეთანხმა, მართალი ბრძანდებითო.

— აბა, მე და კიმოთეს რა ენა უნდა გვესწავლა, ქიმიას და გერმანულს ერთი და იგივე მასწავლებელი გვასწავლიდა... — თქვა ელგუჯამ და მარჯვნივ გაუხვია.

— ქიმიას და უცხო ენას რა კავშირი აქვს ერთმანეთთან?— გამხიარულდა დალი..

— ასე კი იყო და რა ვიცი...

დიდი ოთახი თავდაყირა დაეყენებინათ დალის მოწაფეებს და დისშვილებს. მასწავლებლის დანახვისას მაგიდასთან აიტუზნენ აჭარხლებულები და გაოფლილები.

— დედა, რა ამბავია... — თქვა დალიმ და ფანჯარა გააღო. — დღეის შემდეგ თქვენ ჩემთან აღარ მოხვალთ!

— სად ხარ აქამდე, აიკლეს მთელი სახლი! — უთხრა ვენერამ.

— რა ვიცი, მაცდევინეს იმდენი ხანი სულ ტყუილუბრალოდ...

მოწაფეები დალის მუქარას შეჩვეულნი იყვნენ და ახლა სულ უმიზეზოდ იცინოდნენ დიდ ოთახში.

— ვაი თქვენი ბრალი, თუ გაკვეთილი არ იცით... — ლაპარაკით შემოვიდა დალი, მაგიდა გადაწმინდა და დაჯდა. ბავშვები კურდღლებივით შემოუსხდნენ.

— მაკა, შენც ჭიდაობდი, გოგო? — სახეზე ხელი ჩამოუსვა დისშვილს.

— გიამ შენი დუხის კოლოფი გადმოაგდო სარკიდან... — უთხრა მაკამ.

— როგორ არის გახურებული! — თქვა დალიმ.

— მე როდის გადმოვაგდე! — წამოიყვირა ბუთხუზა ბიჭმა და მაკას თვალები დაუბრიალა.

— კი, შენ გადმოაგდე და მე გითხარი, არ ვიტყვი-მეთქი... — გატეხეთ? — იკითხა დალიმ.

— არა, არ გამტყდარა! — თქვა ხათუნამ.

— მე როდის გადმოვაგდე?! — ვერ მოისვენა ბუთხუზამ.

— გაჩერდით ახლა, გეყოფათ!

ბავშვები დაწყნარდნენ. დალიმ რიგრიგობით გადაშალა რვეულები, წიგნები და ნახატი ფურცლები გააფინა მაგიდაზე. არ იცოდა, რით დაეწყო. ისევ კინოზე და იმდღევანდელ შეხვედრებზე ფიქრობდა.

ელგუჯა და კიმოთე კი იქვე იმ ქუჩაზე ტრიალებდნენ მანქანით. კიმოთე ეძებდა დაწესებულებას, რომლის არც მისამართი იცოდა, არც ზუსტი სახელწოდება, თუმცა რამდენჯერმე იყო შიგ ნამყოფი. სადღაც ახლომახლო არისო, ამტკიცებდა იგი და გაფაციცებული ათვალიერებდა სახლებს. ელგუჯა კი დალის ბინის ღია ფანჯარას მისჩერებოდა ყოველ ავლა-ჩამოვლაზე და კიმოთეს ნება-სურვილის მიხედვით დადიოდა აღმა-დაღმა.

— კარგი, მოვეშვათ! — წამოიძახა კიმოთემ, როცა დაწესებულების ნახვის იმედიც დაკარგა, — ჩვენ წავიდეთ ახლა სადმე და ვისადილოთ. ფული მაქვს.

— საით წავიდეთ? — უყურადღებოდ იკითხა ელგუჯამ.

— ქალაქგარეთ, მხოლოდ ბარემ აქა ვართ და დიმიტრიც წავიყვანოთ!

ელგუჯა აღარ დაფიქრებულა, უცბად მოუმატა გაზს, აუხვია ზევით, მთელი სისწრაფით აიარა აღმართი და ტროტუართან გაჩერდა.

— გამოუშვებენ მერე ახლა, სამუშაო საათებში?

— ვერა, ვერ შეელევიან... — ჩაილაპარაკა კიმოთემ და მანქანიდან გადავიდა.

დიმიტრი ელგუჯაზე და კიმოთეზე უფროსი იყო, თუმცა ბევრად უმცროსებთან ახერხებდა მეგობრობას. იგი, როგორც ოსტატი შეგირდებს, ისე თანდათან კარგავდა ძველ ამხანაგებს. ხანი გადიოდა. მეგობრები თავ-თავიანთი გზით მიდიოდნენ, დიმიტრი კი ისევ დიმიტრად რჩებოდა. კატეგორიულად უარყოფდა თანამდე-

ბობას, საყოველთაოდ გავრცელებულ აზრებს და შეხედულებებს, კარიერას, ფუჭ სახელს და ფულს, რომელიც არასოდეს არ აწუხებდა. არაფრის დათმობას არ აპირებდა და ამით თავი მოჰქონდა. სინამდვილეში სიკეთით, კაიკაცობით ინადირებდა სხვების გულს, ვიდრე საკუთარი ფილოსოფიით, კიმოთე და დიმიტრი მალე გამოვიდნენ კვლევითი ინსტიტუტის შენობიდან. დიმიტრის რაღაც კოვბოური ტყავის ქურთუკი ეცვა. მოკლექოჩრიანი კაცი ამ სამოსელში კიდევ უფრო გამხდარი და დალეული ჩანდა.

— შენც წადი ხელიდან? — ჰკითხა ელგუჯამ, როცა იგი მანქანაში ჩაუჯდა.

— აღარ არის დრო? გამარჯობა, თუ გინდა! — გაუმარჯოს!

— ნახე, რა აცვია! — უთხრა კიმოთემ.

— ვნახე, კი, მოწონს კაცს და რა გინდა!

— მე კი არა, თქვენ მოგწონთ და იმიტომ მაცვია, — თქვა დიმიტრიმ და ქურთუკზე დაიხედა, — ტანსაცმელს იმიტომ ხომ არ ვირჩევთ, რომ ჩვენ გვინდა... მთავარია, სხვას მოეწონოს.

— სწორი ხარ, ჩემო დიმიტრი, მაგრამ ვინ გიფასებს მაგ სიმართლეს?! — ელგუჯამ მანქანა დაძრა.

დიმიტრი კუთხეში მიიყუჟა უხმოდ და ფანჯრიდან დაიწყო ყურება.

— სად მივდივართ, რატომ არ კითხულობ? — გაუკვირდა კიმოთეს.

— რა კითხვა უნდა, ცუდ ადგილზე რატომ წახვალთ, თუმცა ჩემთვის სულ ერთია... სხვათა შორის, — დაუმატა — შემდეგ, — ამ საღამოს ჟურნალ „ნიამორის“ განხილვაა, აუცილებლად მწერალთა კავშირში უნდა მივბრუნდე.

— საღამომდე დიდი დროა, — უთხრა ელგუჯამ.

— ისე ვთქვი მაინც, წინასწარ რომ იცოდეთ...

— ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, არ გვაქვს დასწრების უფლება? — იკითხა კიმოთემ.

— კი გაქვთ, — დაამშვიდა დიმიტრიმ. — მით უმეტეს შენ, შენც ხომ უკვდავი ხარ... — მწერალთა კავშირში სხდომა კარგა ხნის დაწყებული იყო, როცა ელგუჯა, დიმიტრი და კიმოთე მივიდნენ. ხმაურით დასხდნენ სულ ბოლოში და თავდაპირველად აუდიტორიის ყურადღებაც კი მიიპყრეს. მთვრალები არ იყვნენ, მაგრამ არც უღვინობა ეტყობოდათ. — ბევრს ეგონა, ჟურნალ „ნიამორს“ დაუნდობლად დაესხმიან თავსო, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. სხდომა მშვიდობიანად, შეიძლება ითქვას, უინტერესოდ წარიმართა, თუმცა ბოლოს სურათი რამდენადმე შეიცვალა და დასაწყისში ერთმა უმნიშვნელო ინციდენტმაც მიიქცია ყურადღება.

რედაქტორის მოადგილე აზიური ჩექმებითა და ჩოხა-ახალუხით მოვიდა. ღილკილოებჩაგვირისტებული, ჩასირმული; ქილებითა და ქამარ-ხანჯლით გაწყობილი შინდისფერი ჩოხა ეცვა. საზოგადოება მდუმარედ შეხვდა ამ გამოწვევას. ყოველ შემთხვევაში მასკარადს სხდომაზე პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია.

ელგუჯა სასოებით შედიოდა ხოლმე ამ დარბაზში. ერიდებოდა, ეხათრებოდა. ეგონა, სიბრძნის ტაძარში ვარო, მაგრამ ხშირად გულაცრუებული მიდიოდა შინ. იგი ახლაც მოწიწებით მისჩერებოდა ერთ ორატორს, სხაპასხუპით, სულისმოუთქმელად რომ ლაპარაკობდა. სულგანაბული დარბაზის მყუდროებას ტაშის ცემის ხმა არღვევდა დროდადრო. ორატორი ანადგურებდა ახალგაზრდა, თავგასული პოეტის ბენია ვახვახიშვილის ვრცელ პოემას, რომელიც სულ ახლახან დაბეჭდილიყო ჟურნალ „ნიამორში“. ნაწარმოები მწერლისა და მკითხველის დუელიაო, იმეორებდა კრიტიკოსი. მოფარიკავეს და მებრძოლს მაინცადამაინც თვითონაც არ ჰგავდა, მაგრამ არაფრით ამ თეორიას არ ეშვებოდა.

ბოლო სიტყვა ხანშიშესულ კრიტიკოსს მისცეს. ეს კაცი,

როგორც წესი, ყოველთვის ბოლოს გამოდიოდა. ამ უპირატესობას იყენებდა სავსებით, მთელი სხდომის შინაარს აჯამებდა ერთგვარად და გაბედულად ლაპარაკობდა თითქმის ერთსა და იმავეს. ასე თუ ისე, ასხვავებდა კარგსა და ცუდს და ზოგჯერ სიმართლესაც ლაპარაკობდა. იმ დღეს ჟურნალი აქო და ადიდა და ბოლოს, როცა ამას უკვე აღარავინ ელოდა, ისიც ბენია ვახვახიშვილს მიადგა.

...ბენიამინ ვახვახიშვილი უდავოდ გულისხმიერი, ნიჭიერი პოეტია, ამხანაგებო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავსო. რატომ არ ნიშნავდა ეს არაფერს, ვერავინ გაიგო.

...პოეტმა, ამხანაგებო, ბევრი უნდა იკითხოს და ცოტა წეროს... — ამტკიცებდა დაბეჯითებით და ბენიას ურჩევდა, უფრო დიდს და მნიშვნელოვან თემებს შეეჭიდეო.

ხალხმა მაინც ვერ დააზუსტა, მოეწონა თუ არა ხანში შესულ კრიტიკოსს ბენია ვახვახიშვილის პოემა. ვერაფერი გაარკვია თვით ბენომაც, მაგრამ იგი მაინც მადლობელი დარჩა და კრიტიკოსის გამოსვლა დიდ პატივისცემად, დაფასებად და აღიარებად მიიჩნია. დამსწრე საზოგადოებაც კმაყოფილი დაიშალა.

XXIII

შეღამებისას მოულოდნელად გაწვიმდა. წყალმა გადარეცხა მტვრიანი ქუჩები და ტროტუარები. წვიმა მალე შეწყდა, თუმცა შებინდებულ ცაზე მაინც რიალებდა საავდრო ღრუბლები. მანქანის საბურავებით დახაზული სველი ასფალტი ელექტრონის შუქზე ბრწყინავდა.

ელგუჯა მარტო მიდიოდა თავდაღმართში. მალე რუსთაველის პროსპექტზე აპირებდა გახვევას. სასეირნო ამინდი იყო სწორედ. ვიღაცამ დაუძახა. სმა გაიგონა, მაგრამ, ეგონა, მომეყურაო, მოიხედა ტროტუართან ტაქსი იდგა. ერთმა ბიჭმა, ბეჭით ჭადარს რომ მიჰყუდებოდა და უდარდელად იხედებოდა აქეთ-იქით, ელგუჯას უთხრა: გეძახიანო.

ტაქსში, ელგუჯამ რომ ადრევე შეათვალიერა, დალი იჯდა. გაუკვირდა, თავიდან როგორ ვერ დავინახეო. შეცბა, თუმცა დრო არ დაუკარგავს.

დალის მუხლებზე მუყაოს მრგვალი კოლოფი ედო, რომელ-

შიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, უზარმაზარი ტორტი ყოფილიყო.

— გამომართვი ერთი წუთით, ვეღარ გადმოვედი მანქანიდან... — იღიმებოდა დალი. ელგუჯამ კოლოფი ჩამოართვა და ფულის გადახდა დააპირა.

— გადახდილია... — უთხრა ნაყვავილარი სახის მძღოლმა.

— მანქანიდან გადმოსული დალი ზევით იხედებოდა, განათებულ ფანჯრებს აკვირდებოდა და ისე მიდიოდა ტროტუარისაკენ. ელგუჯამ მკლავში ხელი მოჰკიდა გაუბედავად.

— მანდ წყალია, ვერ გადახვალ... — გადავალ, არა უშავს... შენ ტორტი არ გაგივარდეს.

— რატომ უნდა გამივარდეს? — გაიღიმა ელგუჯამ და დალის ხელი უშვა.

— მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა... — ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, როცა ელგუჯა აბორძიკდა, კოლოფი ხელში აუთამაშდა და ტორტი თავდაღმა დაეცა ქვაფენილზე.

— ოჰ! — იყვირა მან და გვერდზე გახტა.

— ჩემი ბრალია, რა მალაპარაკებდა! — სიმწრით გაიღიმა დალიმ და ტორტს უიმედოდ დააშტერდა,

საქციელწამხდარი ელგუჯა ხან დალის უყურებდა, ხან ძირს გაბრტყელებულ ტორტს და უაზროდ აცეცებდა თვალებს.

— წავიდეთ, ახალი ვიყიდოთ! — წამოიძახა უცებ, გაუხარდა, გამოსავალი რომ იპოვა.

— სად უნდა ვიყიდოთ, ეს ტორტი საგანგებოდ გავაკეთებინე! — თქვა დალიმ.

— კიდევ გავაკეთებინოთ ვიღაცაა.

· — ის ვიღაცა ჩემი და, მთელი ღამე აცხობდა და წვალობდა. საწყალი...

ელგუჯას მოეჩვენა, რომ დალის ცრემლი მოერია. ამის გამო

სულ მოეშხამა გუნება. დალი ტირილს არ აპირებდა, მაგრამ სასაცილოდ რომ არ ჰქონდა საქმე, ადრევე ატყობდა.

— მიგქონდა სადმე?

— რასაკვირველია, მიმქონდა! — გაოცდა დალი.

— სად მიგქონდა-მეთქი, ამის თქმა მინდოდა...

— დღეობაზე, — მოკლედ უპასუხა ქალმა და ისევ ზევით.

— სხვა, კარგი, ძვირფასი რამე ვიყიდოთ...

— სხვა რამე იმათ არ აკლიათ, ერთი თვეა ამ ტორტს ელოდებოდნენ, ჩემს იმედად იყვნენ... — გადაუწურა დალიმ წყალი და ელგუჯა მიხვდა, რომ გამოსავალი აღარ იყო; უსაშველო რაღაც ჭირდა და ყველაფერს გაჩუმება სჯობდა.

— მდა... — თქვა დალიმ. — მე იქ მიმსვლელი აღარა ვარ, მაგრამ დავრეკავ, ტყუილუბრალოდ რომ არ მელოდონ.

— რატომ არ უნდა მიხვიდე, ბოლოს და ბოლოს მე წამოვალ და ვიტყვი, რაც მოხდა, ყველაფერს დავიბრალებ, თუმცა, რაღა დაბრალება მჭირდება...

დალი შეწუხებულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს დააკვირდა და უცბად გაეცინა..

— წამოდი, დავრეკოთ, ტელეფონი მომაძებნინე... ამ საქმეს აღარაფერი ეშველება და დავრეკოთ მაინც... — ახლომახლო ტელეფონი არ აღმოჩნდა. ქვევით, პროსპექტზე ჩასვლა დალიმ არ ისურვა. ცოტა ხანს ერთ ადგილას იდგა დაბნეული და შემდეგ შინ წასვლა გადაწყვიტა.

— არ დავრეკოთ? — შეახსენა ელგუჯამ.

— რომ აღარ მივალ, ხომ ნახავენ... გაძლონ უტორტოდ როგორმე...

— არასოდეს ასეთი რამე არ დამმართნია... — მაინც ვერ მოისვენა ელგუჯამ.

— ასეთი რამე სად უნდა დაგმართოდა, კონდიტერი ხომ არა ხარ? — გაეცინა დალის. გზა განაგრძეს.

კარგა ხანს მიდიოდნენ მდუმარედ.

— ხვალ მაინც ადრე ვარ ასადგომი... — ჩაილაპარაკა დალიმ.

„მაინც დღეობაზე ფიქრობს!“ — მიხვდა ელგუჯა.

— ჩემს ხელმძღვანელს ლექცია აქვს დილით, აუცილებლად უნდა დავესწრო, თერთმეტზე უნდა ვიყო კინოსტუდიაში, ლექცია მთავრდება თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება, მოვასწრებ? — მე დაგელოდები მანქანით,

— ახლაც მანქანით ხომ არა ხარ?

— ახლა არა.

ელგუჯამ იფიქრა, უარის თქმას აპირებსო, მაგრამ დალიმ — ჰკითხა, სად დამელოდებიო და დროზე და ადგილზეც შეთანხმდნენ. ამის შემდეგ უხერხული სიჩუმე რომ არ ჩამოვარდნილიყო, ელგუჯა იკითხა, კინოსტუდიაში რატომ დაიარებიო, თუმცა ამ საკითხით რატომღაც ადრე არც დაინტერესებულა.

— როლზე უნდა ამიყვანონ, თუ ვივარგე, რასაკვირველია, ხვალ ფირზე უნდა გადამიღონ.

— გინდა კინოში თამაში? — არ ვიცი, მე მგონი, არა. — აბა, რატომ მიდიხარ?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა დალიმ. — თითქოს ძალით წამიყვანეს, არ მეშვებიან, მაგრამ მაინც შემეძლო არ მივსულიყავი, რასაკვირველია, მართალი ხარ, რომ მეკითხები, რა გინდა, რომ დადიხარო, ეს რა ქუჩაა?..

ელგუჯამ ქუჩის სახელწოდება გაარკვია.

— ბარემ ერთ ადგილზეც მიმყევი, მარტო ნუ გამიშვებ... აქვეა ახლო, ხომ არ გეზარება?

— არა, პირიქით... — რა პირიქით? — მიხარია... — ერთი მეც მკითხე... — გაიღიმა დალიმ.

ელგუჯა შეცბუნდა. ვერ მიხვდა, რისი თქმა სურდა დალის. შეჩერდა კიდეც. დალიმ ეს იგრძნო, ელგუჯას მკლავში ხელი მოჰკიდა.

— აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე საშიში ნაცნობი შეიძლება შემხვდეს, ხალხი ხომ იცი, რას არ იტყვის, ვიღაცას რაღაცა ეგონება კიდეც, არადა რა უნდა ეგონოთ. რა არის რომ, არა?.

— მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, — დაასწრო დალიმ, სანამ ელგუჯა პასუხის გაცემას მოასწრებდა.

ისევ შეუხვიეს და შეიაღმართეს. გზა თანდათან დავიწროვდა; ცა გაფერმკრთალდა. აკაციის ყვავილების სუნი დადგა.

— აქ ყვავილების სუნია... — თქვა დალიმ და შეისვენა.

— არ გითხარი, თორემ დიდი ხანია ეს სუნი მცემს... აკაცია ყვავის.

— ეს არის აკაცია? — ფრთხილად დაადო ხეს ხელი დალიმ.

— ეს არის, კი.

— შენ წარმოგიდგენია, არ ვიცოდი... ისე ვლაპარაკობ, თითქოს ის ხე ვიცოდე რა მცენარეა, დავიღალე სხვათა შორის...

ლაპარაკში იმ უბნისათვის შეუფერებლად მაღალ სახლთან შეჩერდნენ. ბნელ ქუჩაში ამოსულიყვნენ. ფანჯრებში მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავდა შუქი. სადარბაზოც ჩაშავებული იყო. ახალი შენობა ხეირიანად არც კი იყო დამთავრებული.

— აქ უნდა შევიდე, როგორ ბნელა, არ გინდა შესვლა! — თვალები მოჭუტა დალიმ.

— აქ არა ვარ! — უთხრა ელგუჯამ.

— ახლა საქმე ასეა, შეიძლება დამაგვიანდეს და ამიტომ აღარ გეუბნები დამიცადე-მეთქი... ნათესავები არიან, დიდი ხანია არ ვყოფილვარ და ვიცი, მალე არ გამომიშვებენ... თუ შემაგვიანდა, ნუღარ დამელოდები, კარგი!

— მანდ ხომ არ დარჩები? — დარჩენით რატომ უნდა დავრჩე?.. — მაშინ როცა იქნება, ხომ გამოხვალ?..

— კი, როგორ არა... — გაეცინა დალის. — მოკლედ, აქა ვარ! — მაშინ თვალიც გამომაყოლე, არავინ მომიტაცოს!

დალი სიბნელეში გაუჩინარდა და ქუსლების ხმაც სადღაც ასლო მიწყდა. კარიც გაიღო და სინათლის ვიწრო ზოლმა კიბე და მოაჯირი გადაკვეთა გარდიგარდმო.

როცა ელგუჯამ დალი სამშვიდობოს დაიგულა, გარეთ გამოვიდა და ზევით-ქვევით დაიწყო სიარული. წამოშხეფა. გამშრალი ასფალტი თავიდან დაჭორფლა, მაგრამ წვიმა ისევე მალე შეწყდა, როგორც დაიწყო.

დრო გადიოდა, დალი არსად ჩანდა. ეტყობოდა, ქალი არცთუ ტყუილუბრალოდ ბოდიშობდა წინასწარ. უკანასკნელმა, დაგვიანებულმა მგზავრმაც ჩაიარა. მოპირდაპირე ქოხმახების ფანჯრებში რიგრიგობით ქრებოდა სინათლე. ელგუჯა დაიღალა, ფეხზე ჩამოწყდა. საკვირველი იყო, რას აკეთებდა დალი აქამდე? ვისთან იყო თავშეფარებული? „ალბათ სულ გადავავიწყდი, ნეტავი რა დროა, საათი მაინც მქონდეს!“ — ფიქრობდა იგი და ტროტუარზე ბოლთას სცემდა. დაიღალა, შეჩერდა, ზურგით ელექტრონის ბოძს მიეყრდნო და ჟრუანტელმა დაუარა. „დენმა ხომ არ დამარტყა?“ შემობრუნდა, სველ ბოძს ხელი ჩამოუსვა ფრთხილად. კვლავ გააჟრჟოლა. სვეტს მართლაც მოჰყვებოდა ცალფა დენი საიდანღაც. ამ შეუმჩნეველი წვიმისა და თქორისაგან ისე დამბალიყო და დამიწებულიყო, რომ დენგამტარი გამხდარიყო თავადაც. „რა არის ადამიანი, ერთ წამში შეიძლება გაგათავოს!“ ფიქრობდა და სვეტს ხელს არ უშვებდა, ხელისგულები უბჟუოდა და სიამოვნებდა. „რა ძალა აქვს მაინც ასეთი, დამარტყას ბარემ, როგორც შეუძლია, რაც არი, არი!“

სადარბაზოდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ბეტონის კიბეზე ქალის ფეხსაცმელი კაკუნებდა. დალის მეტი ვინ იქნებოდა? ამ ნახევრად ჩაუსახლებელ ბინაში კაციშვილი არ შედიოდა და არ გამოდიოდა. ელგუჯა გვერდზე გადგა და კედელს მიეფარა.

გარეთ გამოსულმა დალიმ სწრაფად, შიშით მიათვალიერა

იქაურობა, როცა ვერავინ დაინახა, უკანმოუხედავად დაეშვა ქვევით.

ელგუჯამაც მიატოვა სახუნდარი. ქალი კარგა ძალზე დაწინაურებულიყო. ელგუჯამ მხოლოდ ზურგით დაინახა და გაუკვირდა, ასე უცბად სად გავარდაო, გაიფიქრა და მარტოხელა ქალს მალე წამოეწია.

დალიმ ფესს აუჩქარა, თითქმის გაიქცა, მაგრამ უცნობს, რომელიც ფეხდაფეხ, თითქმის ზურგზე მიკრული მიჰყვებოდა, ვერაფრით ვერ დაშორდა. ამდენიც ვეღარ მოითმინა, შედგა და თავგანწირულად მოიხედა.

— შენა ხარ, არ გრცხვენია, რატომ არ დამიძახე, ვიფიქრე, ვიღაც ამედევნა-მეთქი, იცი, როგორ ცუდადა მაქვს გული?!

— აქამდე სად იყავი?

— აღარ გამომიშვეს, ხომ გითხარი, თუ დამაგვიანდეს, აღარ დამელოდო-თქო...

— მეც ხომ გითხარი, დაგელოდები-მეთქი... რატომ იფიქრე, რომ წავედი!

— სხვათა შორის, ძალიან გამიკვირდა...

დალი უკვე ჩქარობდა. ელგუჯამ გზადაკარგული ტაქსი გააჩერა და მგზავრი სახლამდე მიიყვანა.

XXIV

ვერც სხვამ გაარკვია, უნდოდა თუ არა დალის კინოში თამაში. სასინჯ გადაღებებზე უარს არ ამბობდა, თითქოს სხვა გზას ვერ ხედავდა.

მისი გულგრილობით გაოცებული რეჟისორი თავბედს იწყევლიდა, თავი დაანებეთ, მოეშვით, ნუ ეხვეწებითო. სულ ერთია, გადაღების დროს გაგვაწამებსო, არწმუნებდნენ თანამშრომლები. მართალი ხართო,—ამბობდა დამდგმელი რეჟისორი და ანალოგიურ შემთხვევებს იხსენებდა საკუთარი პრაქტიკიდან. შემდეგ კი თითქოს სხვების გასაოცებლად და ნერვების მოსაშლელად, დალის პირადად ურეკავდა, მოწიწებით ელაპარაკებოდა და საკუთარი მანქანით ახალ და ახალ დელეგაციებს უგზავნიდა ინსტიტუტში.

დალი იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას. უარის თუ დასტურის ნიშნად იღიმებოდა მხოლოდ. უზარმაზარი პავილიონი, პროჟექტორების შუქი და ათეულ ადამიანთა ყვირილი და ფუსფუსი არც

აკრთობდა, არც აშინებდა; ეს აურზაურიც მოსწონდა თითქოს. სამაგიეროდ, მოთმინება ელეოდა, წუხდა, ეგონა, რომ ეს საქმიანობა ადრე თუ გვიან უეჭველად დანაშაულამდე მიიყვანდა.

ელგუჯა სტუდიის ჭიშკართან ელოდა დალის. შესასვლელში დიდი არეულობა და აყალმაყალი იყო. სრიალით იღებოდა და იკეტებოდა საპატიმროს ალაყაფივით უზარმაზარი ჭიშკარი. იქვე ჩოხოსნები და აბჯროსნები ტრიალებდნენ. ერთი კაცი, ალბათ რეჟისორი ან მხატვარი, ამტკიცებდა: გადაღება ახლა უნდა, სანამ ფოთლებს სიმწვანე შერჩენია, სანამ მწვანე მწვანე არისო, სანამ ყვითელი ყვითელია. წითელი წითელიაო.

დალი მალე გამოჩნდა. სანამ ელგუჯამდე მიაღწევდა, რამდენიმე ნაცნობმა შეაჩერა გზაში.

— ან მე შევიშლები, ან ამათ გადავრევ, წავიდეთ?

— როგორც გინდა, — უთხრა ელგუჯამ და მანქანისკენ შეტრიალდა, კარი გამოაღო. დალი უკან დაჯდა, კუთხეში მიიკუნტა უხმოდ.

მანქანა მალე გასცდა სტუდქალაქს, სასაფლაოს, ბაგებს, ელგუჯა ზომიერად უმატებდა გაზს და ავტო რბილად, თანაბარი სიჩქარით კეცავდა მიხვეულ-მოხვეულ აღმართებს. დალი ხმას არ იღებდა. უკნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. სარკეში ქალის სწორი თმა ჩანდა მხოლოდ.

„რაც უნდა მოხდეს, წყნეთამდე უკან არ მოვიხედავ“ — ფიქრობდა ელგუჯა. ჩაითქვა და მტკიცედ გადაწყვიტა, უკან არ მოვიხედავო.

— სად მიდიხარ? — მოისმა მოულოდნელად დალის მშვიდი ხმა.

ელგუჯას ხმა არ გაუღია. დალისაც აღარაფერი უკითხავს. „მთავარია არ მივიხედო!“ — ფიქრობდა ელგუჯა.

ვიღაც გრძელი თითებით ჩააფრინდა მხრებში. თითქოს მტა-

ცებელი ფრინველი დააცხრა ზემოდან. საჭე დაბზრიალდა თავისთავად და მანქანა ხრჭიალით გაჩერდა უფსკრულის პირას. როგორ და რანაირად შეაჩერა მანქანა ელგუჯამ, ვერაფრით ვერ გაიხსენა. ფერდაკარგული მოტრიალდა, დალის მიაჩერდა, რომელიც ვერც იცნო.

— რა იყო!? — იკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ. — მანქანა დასწიე უკან, აქ ნუ დგახარ!

„რატომ მოვიხედე“! — ჯავრობდა ელგუჯა, ქალის თითებს დასჩერებოდა და ადგილიდან არ იძვროდა. — არ გესმის?!

— ჯერ გადადი, აქ მაინც საშიშია, შეიძლება დავცურდე! — არ ჩავალ, აქ ვიქნები! — ჩადი და შემხედე, გზა მაჩვენე მაინც... — გზას აქედანაც კარგად გაჩვენებ!

— ვახ! — ჰაერი შეისუნთქა ღრმად ელგუჯამ. ძრავა ჩართო. მანქანა გაჭირვებით დასწია უკან, გზაზე დააყენა; ქვევით ხრამში ქვები გადაცვივდა ხრიალით.

— სად წავიდეთ? — იკითხა მან, როცა თავი სამშვიდობოს დაიგულა.

— პირდაპირ — უპასუხა ქალმა. — წინ მაინც გადმოჯექი! — არა, აქ ვიქნები.

ელგუჯამ მანქანა დაძრა და მთელი სისწრაფით შეუყვა აღმართს. საბურავები ხრჭიალებდა მოსახვევებში. შევიდნენ წყნეთში, ჩაუარეს ბაზარს, მწვანეში ჩაფლულ აგარაკებს. უდროო დროს ჩამობნელდა. ჩანდა, საავდრო ღრუბლები ჩამოწვა. ჯერ ისევ გრილოდა და დამსვენებლები არ ჩანდნენ. აქ საერთოდ სეზონი მოგვიანებით იხსნებოდა. მაღაზიასთან გლეხები შეჯგუფებულიყვნენ. ელექტრონის ბოძზე სახედარი იყო გამობმული. ბიჭები გზაზე ურიკას მოაგორებდნენ.

— შეუხვიე მარჯვნივ! — თქვა დალიმ.

მანქანამ ვიწრო ჩიხში შერგო ცხვირი. გადათხრილ შარაზე

აჯაყჯაყდა და ცისფრად შეღებილ მესერთან შეჩერდა. „პროფესორი ალექსანდრე შელია.“ ეწერა ჭიშკარზე მიკრულ პატარა ფირფიტაზე.

დალი მანქანიდან გადმოვიდა და ჭიშკარი გააღო წვალებით.

— მობრძანდით! — უთხრა ელგუჯას.

ეზოში შევიდნენ. — აი, მანდ, ასწიე ის სე, გასაღები უნდა იყოს... ელგუჯამ გასაღებიც მოძებნა. აივანზე ავიდნენ.

მიუჩვეველმა სელმა ძლივს მოარგო გასაღები შემოდგომის იქეთ გამოკეტილ კარს. დალი უდარდელად იდგა რიკულთან და გულგრილად მისჩერებოდა კაცს, ასე თავგამოდებით რომ ცოდვილობდა. სქელი კლიტე გაიღუნა, შუა წელში გადაიგრიხა. კარი თითქოს დანებებას არ აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად ანჯამებმა გაიტკაცუნა და ელგუჯა კინაღამ თავით შევარდა ოთახში.

ნაზამთრალ ბინაში ჩახუთული სუნი იდგა. დალიმ დარაბა და ფანჯარა გააღო. რაფასთან დადგა და ალუბლების ბაღს გადახედა. მესერს იქით გზა, ფერდობი და შემდეგ ტყე მოჩანდა. არემარეს მწუხრის ბინდი ედებოდა. ღრუბლები ქვევით) და ქვევით ჩამოდიოდა. ჰაერი ისე დაიწნეხა, სუნთქვა გაძნელდა. ფრინველების სმა მიწყდა. ვერცხლისფერმა ელვამ წამით გაანათა ჩაბნელებული ოთახი და სადღაც მეხმაც დაიჭექა. დალიმ სახეზე ხელი აიფარა და უკან დაიხია.

— ახლა თავსხმა იქნება! — აუხსნა ელგუჯამ..

— გმადლობთ! — ნაძალადევად გაუღიმა დალიმ.

ელგუჯამ მეტი ვერაფერი მოიფიქრა და დამტვერილი სკამი გამოძებნა, სული გაუბერა, დალის დაუდგა. დალი არ დამჯდარა. არც ლაბადის ჯიბეებიდან ამოუღია ხელები.

— კარტი ხომ არ გვეთამაშა! — გამომცდელად იკითხა ელგუჯამ.

— კარტი? — გაოცდა დალი. — კარტს არ ვთამაშობ, თანაც მაგვიანდება, სახლში ახლობელს ველოდები.

„ვის ელოდება ნეტავი!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

— ქმარი ხომ არ ჩამოდის? — დაინტერესდა მოგვიანებით.

— არა... — უპასუხა დალიმ. იგი კარგად მიხვდა, რატომ გაახსენდა ელგუჯას მისი მეუღლე, მაგრამ იმ დღეს ყველაფერი ისე უცნაურად და უჩვეულოდ წაეწყო ერთიმეორეს, რომ ამ უადგილო შეკითხვისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

— ნათესავი გოგო უნდა ჩამომიყვანონ გამოსაცდელად, უმაღლესში მოწყობას აპირებს...

— გენატრება? — ვინ? — მოიხედა გაკვირვებულმა ქალმა. — ქმარი... — ჩაახველა ელგუჯამ. დალი ისევ შეტრიალდა და ფანჯარაში გაიხედა. — არა, არ მენატრება! — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა. — მხატვარია, ხომ? — შენ რა იცი? — გამიგონია....

— მაშინ სხვა რამესაც გაიგებდი, ხალხს ზედმეტი ლაპარაკი უყვარს და ტყუილი და მართალი ერთმანეთში აგერევა... ამიტომ ბევრის გაგებას ნუ ეცდები!..

— გიყვარს? — წასვლის დროა... — ჯერ ადრეა. — რა იცი შენ, რომ ადრეა... — გაეცინა დალის. გაჩუმდნენ.

— შეიძლება მიყვარდა, შეიძლება ახლაც მიყვარს... — ჩაილაპარაკა ქალმა.

ოთახი კი ისევ ელვამ გაანათა, ისევ დაიგრიალა მეხმაც სულ ახლოს. დალიმ ისევ დაიხია უკან, მაგრამ ადრინდელივით არ დამფრთხალა. უკვე გადაბმულად ელავდა და გრუხუნებდა. თუნუქის სახურავზე უზარმაზარ ქვემეხებს დააგორებდნენ წინ და უკან.

— გეშინია? — თქვა ელგუჯამ და იქვე მიხვდა ამ შეკითხვის უადგილობას და უსუსურობას.

— წავიდეთ! — უკან მოუხედავად თქვა დალიმ. ელგუჯამ რაღაცის თქმა დააპირა, დალის მიუახლოვდა.

— ვიცი, გინდა მკითხო: მაშინ რაღას მოდიოდიო, მაგრამ ვერ ბედავ, არც მე ვიცი, რატომ წამოგყევი, ან აქ რატომ მოგიყვანე.

შეიძლება იმიტომაც, რომ შენზე ცუდი არ მინდოდა მეფიქრა... — ხმას აუწია დალიმ, რადგან ჭექა-ქუხილისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ფანჯრის მინებზე ვერცხლისფერი საზები იკლაკნებოდა და ოთახს ანათებდა.

დალი მოტრიალდა და სანამ ელგუჯა რაიმეს მოიფიქრებდა, კარი გამოაღო. ელექტრონის შუქი პირდაპირ აივნიდან შემოვარდა და საშინელი გრიალით ჩამოინგრა ცაც. დალიმ შეჰკივლა. იმწამსვე თქეში წვიმა წამოვიდა.

— დასველდები, ეს მაინც მოიხურე! — დაუძახა ელგუჯამ და პიჯაკი გაიხადა, მაგრამ დალი უკვე სირბილით ჩადიოდა ხის კიბეზე. ელგუჯა ამ დროს კარს კეტავდა და მოეყურა, რომ დალი ვიღაცას ეძახდა არაამქვეყნიური ხმით, სადღაც ჭიშკარიც გაჯახუნდა და შემდეგ კოკისპირულმა წვიმის ხმამ დაფარა ყველაფერი.

თავიდან ფეხებამდე სველი დალი მანქანასთან იდგა. ჩალისფერ, გაშლილ თმაზე წყალი გადმოსდიოდა აქეთ და იქით. იდგა და იღიმებოდა. სიფრიფანა კბილები ელავდა დროდადრო ელვის შუქზე. ელგუჯა ამ სურათის დანახვისას გაშტერდა ერთი წამით, შემდეგ მანქანის კარი გამოაღო. დალი სწრაფად, უხმაუროდ შევიდა და ისევ უკან დაჯდა.

„რა ჩვევაა ეს!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და საჭესთან მოკალათდა. თხლიშინით წამოვიდა წყალი ფერდობიდან, ფიჩხი და ღორღი წამოიღო და შარა გადალეშტრა.

ელგუჯა მანქანას აღარ ძრავდა. აქ, ამ ადგილზე უნდოდა შეეწვიმა. წასვლა შეეძლო, მაგრამ უძრაობას უამინდობას აბრალებდა, თუმცა უკვე არც არავინ აჩქარებდა. უკან სველი დალი შრებოდა და ივარცხნიდა თმას. ქარვის სავარცხელი წკიპინებდა შეუმჩნევლად. ელგუჯამ ფანჯრის შუშა ჩამოსწია. გარედან ნოტიო მიწის სუნით გაჟღენთილი ჰაერი შემოვარდა. მანქანის სახურავზე ახმაურებული შხაპუნას ხმაც შემოიჭრა მთელი ძალით.

XXV

დარბაზში სინათლე აინთო თუ არა, დირექტორმა ღიმილით შეათვალიერა თანამშრომლები და ახალგაზრდა რედაქტორს სთხოვა, დაიწყეთო. სანამ რედაქტორი ხმას ამოიღებდა, იკითხა, რამდენი ქალი ვნახეთ ჩვენ დღესო.

— შვიდი! — დაიძახა მეორე რეჟისორმა. გ. — ამ შვიდიდან ახლა ერთი უნდა ავირჩიოთ! — განაცხადა დამდგმელმა რეჟისორმა.

— ეს თავისთავად ცხადია... — თქვა დირექტორმა. რეჟისორმა უადგილოდ გაიცინა.

დამდგმელმა რეჟისორმა სცენარის ავტორისა და მხატვრის ზეგავლენით დალი კინაღამ ულაპარაკოდ დაამტკიცა მთავარ როლში, მაგრამ სტუდიის დირექტორი გაჯიუტდა. იგი კარგად იცნობდა დალის ქმარს ბადრი კილაძეს და ფიქრობდა, ქალი გზას არ ავაცდინოო, უბედურებას არ გადავყაროო. ალბათ ბადრის პატივისცემით, უფრო კი შიშით, უცხოსავით აზროვნებდა. ეს როლი

აუცილებლად მსახიობმა უნდა შეასრულოსო, იმეორებდა დაბეჯითებით და რადგანაც სხვა რომლებზედაც ჰქონდა პრეტენზია, საკითხი სასცენარო-სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტოსო, თქვა ბოლოს.

— გთხოვთ! — მიუბრუნდა დირექტორი კედელთან ატუზულ რედაქტორს, უაზროდ რომ ახამხამებდა თვალებს. რით დავიწყოო, ფიქრობდა იგი, დირექტორის აზრს იცნობდა, იზიარებდა კიდეც, მაგრამ სცენარის ავტორის განაწყენებასაც ვერ ბედავდა. ცოტა ხანს კიდევ იმარჩიელა გუნებაში და მოულოდნელად განაცხადა: დალი შელია ამ როლისათვის არ გამოდგება, შეუფერებელია. ეს თქვა და შეისვენა, აუდიტორიას გადაავლო თვალი, რამდენჯერმე ჩაახველა და ლაპარაკი განაგრძო: დინჯად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება და — ყოვლად უადგილოდ დაიწყო სცენარის ქება. ნასიამოვნები — დირექტორის თავის კანტურის მიუხედავად, თავისი მჭევრმეტყველების სიდიადეში დარწმუნებულმა რედაქტორმა კოლეგიაზე გავლენა ვერ მოახდინა. დანარჩენები ერთმანეთის მიყოლებით ასახელებდნენ დალის, ნიშნის მოგებით უყურებდნენ დირექტორს და კმაყოფილნი სხდებოდნენ.

დირექტორი იძულებული გახდა, სიტყვა რიგგარეშე მიეცა ერთი დარბაისელი კაცისათვის, რომელსაც იგი ყველაზე მეტად ენდობოდა.

— მე რომ მკითხონ, — დაიწყო დარბაისელმა კაცმა. — ყვავილი გირჩევნია. თუ ბალახიო, ცხადია, ყვავილს ავირჩევ... საკამათო, მე მგონი, აქ არაფერია, დალი შელია ყვავილია, დანარჩენი ბალახი.

— ძროხას რომელი ურჩევნია, ყვავილი თუ ბალახი? — იქედნურად იკითხა ვიღაცამ.

— ძროხას ბალახი! — გაიცინა დარბაისელმა და დაჯდა. — დაამთავრეთ თქვენ?! — ჰკითხა დირექტორმა. — კი, ბატონო!

დირექტორმა მეტი ვეღარ მოითმინა და ოფიციალურად განაცხადა:

— მიიღება მხედველობაში, რომ ეს ფრიად საპასუხისმგებლო როლია... მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ თქვენი წამოყენებული კანდიდატურის და საერთოდ არამსახიობის... თუ რეჟისორი არ იკისრებს სრულ პასუხისმგებლობას, მე ამ საქმეს ხელს არ მოვაწერ.

დარბაისელი კაცი დირექტორის გამოსვლის შემდეგღა მიხვდა თავის შეცდომას. ეს რომ ადრევე სცოდნოდა, შეიძლება სიტყვა არ გადაეთქვა, მაგრამ იმდენს მაინც მოახერხებდა, რომ არც მწვადს დაწვავდა და არც შამფურს. საამისო პრაქტიკა და გამოცდილება საკმარისზე მეტი ჰქონდა.

— ვის სურს სიტყვა? — უხეშად იკითხა დირექტორმა.

— მე, ბატონო! — სელი ასწია ხანში შესულმა მსუქანმა რედაქტორმა; თუმცა მის მეტი აღარავინ იყო დარჩენილი და ბუნებრივია, სიტყვაც მას უნდა ეთქვა, თუკი ამის უფლება ჩამორთმეული არ ჰქონდა. — მართალმა, გულკეთილმა კაცმა ქშენით დაიწყო ლაპარაკი. სიმსუქნე და გულის ქოშინი აწვალებდა საერთოდ. აქამდე მოწყენილი და დაფიქრებული იჯდა. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი ცოლს შორდებოდა, ოჯახში თავდაყირა იდგა ყველაფერი და გულმოკლულსა და შეჭირვებულს თავისი დარდისა და სატკივარისათვის რა ეშველა, არ იცოდა. გარდა იმისა, რომ იმდღევანდელ სიტუაციაში სულ არ იყო გარკვეული, არც კოლეგების ლაპარაკისათვის დაუგდია ყური და ეკრანსაც უყურადღებოდ უყურა.

— ის თქვენი მოწონებული დალი... — შელია... — შეეშველა ვიღაც.

— შელია... — გაიმეორა მსუქანმა. — მართლაც ყველაზე კარგია, სახეც კარგი აქვს უდავოდ, მაგრამ თუ დააკვირდით, როგორ არაბუნებრივად ლაპარაკობდა, როგორ უჭირს სიარული, მიხრა-

მოხრა.

დირექტორს არასოდეს ამ ტანსრული კაცის ლაპარაკი არ მოსწონდა. ეგონა, ბნელი აზრები აწუხებდა ყოველთვის. პრინციპულობას და პირდაპირობას მუხანათობაში უთვლიდა. ახლა კი, ეს არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც სწორი მსჯელობა და ანგარიში შეუძლიაო, გაიფიქრა გუნებაში.

— ...ეს როლი, ამხანაგებო, — ლაპარაკობდა მსუქანი." არც ისეთი ხელწამოსაკრავია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ფაქტიურად ამ ქალმა უნდა ასწიოს მთელი კინო, დიახ, უდავოა, ჩემო ბატონო, რომ დალი ისა...

— შელია.

— დიახ შელია... კარგი გოგონაა ნამდვილად, გათხოვდება კიდეც.

— უდავოდ! — უთხრა ერთმა რედაქტორმა. — გათხოვილია! — შეახსენა ვიღაცამ.

— მითუმეტეს, იმას მოგახსენებდით, რა გვარია, უკაცრავად?..

— შელია. — დიახ, შელია, გათხოვილიაო, თქვენ ბრძანეთ, არა? — დიახ!

— თუ ასეა, ძალიან კარგი... თუ არა ჰყავს, ეყოლება შვილები, შვილიშვილები, შეიძლება შვილთა შვილიშვილები და მოკვდება წყნარად, როცა დრო მოვა, მაშინ, მაგრამ, მსახიობობა მაგის საქმე არაა.

ამ სიტყვებზე სცენარის ავტორმა თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა წამოიძახა: ვინ როდის მოკვდება და ვინ რამდენ სანს იცოცხლებს, არაა ჩვენი საქმეა.

— მე ვთქვი, რომ დიდხანს იცოცხლებს და ღრმად მოხუცებული მოკვდება-მეთქი... რა არის, ბატონო, ამაში ცუდი?

— არაფერი, არაფერი... — შეწუხდა ავტორი და სიგარეტს მოუკიდა.

— თქვენი კანდიდატურა? — იკითხა დირექტორმა. — მსუქანმა

ხვნეშით დაასახელა ერთი მსახიობი ქალი, რომელიც აქამდე არავის გახსენებია და დაუმატა, მე არც დალი შელიას წინააღ-მდეგი ვარო.

— მაგრამ მხარს უჭერთ მაინც ქვათაძეს, რამდენადაც მესმის!.. — დაინტერესდა დაბნეული დირექტორი.

— უდავოდ!

— მაგრამ არც ელიას წინააღმდეგი ხართ! — შეახსენა დამ-დგმელმა რეჟისორმა.

— რასაკვირველია, მე არავის წინააღმდეგი არა ვარ! — მსუქან-მა ცხვირსახოცით თავ-კისერი მოიმშრალა და დაჯდა.

დირექტორმა ვეღარც კი გაამხილა, ვის მხარეზე იყო. მის ამორჩეულ მსახიობს ზედაც არავინ შეხედა და განაწყენებულმა ჯგუფის მუშაობა დაიწუნა. დამდგმელი რეჟისორი დაიბნა, იმედი გადაეწურა, დავრჩენილვარ უქალოდ და ეს არისო, ფიქრობდა გუნებაში.

ბოლოს სცენარის ავტორმა აიღო სიტყვა. მან ისე მშვიდად და დამაჯერებლად დაასაბუთა დალის სიკარგე და აუცილებლობა, რომ ყველას ყურადღება მიიქცია, რეჟისორიც ააგულიანა.

— იმ ქალის გარდა, ბატონო, მე ვერავის ვერ ვხედავ, და ძალი-ან გთხოვთ, დასაწყისშივე ხელოვნურ ბარიერებს ნუ დამიდგამთ წინ...

„ჯანდაბისკენაც გზა გქონია!“ — გაიფიქრა დირექტორმა და სხდომაც დაამთავრა. შელია დაამტკიცეს მთავარ როლში.

მეორე დილით, დიდი თხოვნა-პატიჟის მიუხედავად, დალი სტუდიაში აღარ გამოჩენილა. ნაშუადღევს კი კატეგორიული უა-რი შემოთვალა. ამ ცნობამ ყველა გააოცა და გადამღებ ჯგუფში ისევ აირ-დაირია ყველაფერი.

XXVI

დალი შელიას კინოსათვის ნამდვილად არ ეცალა. ყოველ შემთხვევაში, სათამაშოდ არ ჰქონია საქმე. ბადრი კილაძე დღე დღეზე უნდა გამოსულიყო ციხიდან და არ იცოდა, როგორ და რანაირად შეიცვლებოდა მისი ცხოვრება. უქმრობას შეჩვეულს ცოლქმრობა აშინებდა და აფრთხობდა. ისინი ისე ცოტა ხანს ცხოვრობდნენ ერთად, რომ დალი ვერც კი გრძნობდა, მეუღლე რომ იყო. იცოდა, მაგრამ ვერ გრძნობდა. იგი თითქოს უცხო ადამიანის ბინაში იდგა. ბინის პატრონი დღეს თუ არა, ხვალ დაბრუნდებოდა და აუცილებლად დაარღვევდა მდგმურის მყუდროებას. დედ-მამა და დები ადრევე ურჩევდნენ, მიატოვეო ეს სახლი, მაგრამ დალი თავს იყრუებდა. ქმარს შინ უნდა დახვედროდა აუცილებლად. ასე სწამ— — და და ასე აასრულებდა კიდევაც. შემდეგ მომავალი გვაჩვენებდა, რას ჩაიდენდა. უნდოდა თუ არა იმ კაცის დანახვა, ვისაც მისი ქმარი ერქვა? ღმერთმა იცოდა. მისდა გასაოცებლად, თანდათან მეუღლის სახეც დაივიწყა. ცხადია, დაბეჯითებით ახსოვდა ბადრის გარეგნობა, მაგრამ მეხსიერებაში,

როცა იგი თვალებს დახუჭავდა ხოლმე, ვერაფრით ქმრის პორ-ტრეტს მთლიანად ვერ იღდგენდა. ბადრი მხოლოდ ორჯერ ნახა შრომა-გასწორების ბანაკში და ორჯერვე ძვირი დაუჯდა ეს ვიზი-ტი. თითქმის მთელი კოლონია გამოვიდა მის საჭვრეტად. იმდენი ცნობისმოყვარე, უცნაურად მზირალი მამაკაცი დალის არ ენასა და სიკვდილი ინატრა, არა დაიმჩნია რა, მაგრამ ქმარიც ყველა-ფერს მიხვდა და კატეგორიულად აუკრძალა პაემანზე მისვლა. განრიგით დაწესებულ ნახვის დღეს ახსენდებოდა წვერგაუპარ-სავი, შარვლის ტოტშემოხეული (შემთხვევით ბადრი იმ დღეს ლურსმანს გამოედო) ქმარი და ეტირებოდა, მაგრამ დროსთან ერთად დავიწყების ფარდა ეფარებოდა ყველაფერს.

ჟამიდან ჟამზე ბადრის მოკლე და მშრალი ბარათები მოჰქონ-და ვიღაცას. მოკითხვისა და ნახვის ნატვრის სურვილების მაგივ-რად, წერილი საქმიანი დავალებებით იყო სავსე და დალი ხში-რად ურეკავდა უცნობ ადამიანებს და ბარათიდან ამოკითხული გაუგებარი ტექსტით ელაპარაკებოდა. თვითონაც გზავნიდა წე-რილს და ფულსაც. ბადრი უთვლიდა, ფული არ მჭირდება, მაქ-ვსო. საიდან ჰქონდა ციხეში ფული, დალიმ არ იცოდა, მაგრამ თანხა რომ უკან არ ბრუნდებოდა, ცხადად ხედავდა.

თბილისში მთელი ერთი თვე წვიმის წვეთი არ გადმოვარდნი-ლა. ჭადრის ხეების ნახევრადშემჭკნარ ფოთლებს მტვერი ედო. ალიონზე მთავარ ქუჩებს რწყავდნენ, თუმცა ტროტუარი მაინც მტვრით იყო დაფარული. საღამოობით ცაზე ღრუბლის ნაფლე-თები გროვდებოდა. ეგონათ, მოწვიმსო, მაგრამ ალიონზე მოკ-რიალებულ ცაზე ამოცურდებოდა მზე და მთელი დღე კაშკაშებდა თვალისმომჭრელად.

ინსტიტუტს უცხოეთის პროფესორ-მასწავლებელთა დელეგა-ცია ესტუმრა. თარჯიმნად დალი წელია დაასახელეს. დალიმ ში-შით (ეგონა, ინგლისურად თავისუფლად ვეღარ ვილაპარაკებო) იკისრა ეს მოვალეობა. იგი დღედაღამ დელეგაციას დაჰყვებოდა

და გვიან ღამით დაღლილი და შეწუხებული ბრუნდებოდა შინ. წუწუნებდა, ეს რა დღეში ჩავვარდიო და მაინც მოუთმენლად ელოდა გათენებას, სტუმრებთან ხელახლა შეხვედრას, ამ საქმემ ყველაფერი გადაავიწყა. მთელი დღე გაუჩერებლივ ლაპარაკობდა ინგლისურად და აღტაცებას ვერ ფარავდა.

ველინგტონის უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლექტორმა წონასწორობა დაკარგა. იგი დაუფარავად ეტრფოდა დალის და მისი მოქმედება ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობის საზღვრებს სცილდებოდა.

ერთ კვირა დღეს სპორტის სასახლეში საზეიმო კონცერტზე ელგუჯამ უცხო ხალხში ჩამჯდარი დალი დაინახა. შესვენებაზე მთელი სასახლე დაიარა, მაგრამ იგი ვეღარსად ნახა. კონცერტი დაიწყო თუ არა, დალი და უცხოელები საპატიო ლოჟაში შემოვიდნენ და ელგუჯამ საბოლოოდ დაკარგა მისი ნახვის იმედი. სამაგიეროდ, მეორე დღეს ტელეფონით სულმოუთქმელად მოუყვა ყველაფერს. დაჰპირდა, მალე გნახავო და ორშაბათამდე უგზოუკვლოდ გაუჩინარდა.

უცხოეთის დელეგაცია მცხეთაში აპირებდა გამგზავრებას. ინსტიტუტის ეზოში დიდი ავტობუსი იდგა. ახალთახალ მანქანას ფართო, წითელი ხაზი სარტყელივით ჰქონდა შემოყოლებული. კაბინაში დასიცხული მძღოლი იჯდა, გულგრილად იხედებოდა ფანჯრიდან. სტუმრები ეზოში დასეირნობდნენ.

ელგუჯამ ავტობუსი იუცხოვა. ხალხს დააკვირდა და მალე დალიც დაინახა; გვერდზე გაუსვია და დაბალი ფიჭვის ქვეშ განმარტოებით გაჩერდა.

დალი რამდენიმე კაცს ერთდროულად ელაპარაკებოდა. მარჯვნივ და მარცხნივ იხედებოდა, თავაზიანად იცინოდა. ელგუჯა ძალიან გაერთო ამ სურათის ცქერით. გაოცებულიც კი დარჩა. არაფრით არ ეგონა, თუ დალის ამდენი შეეძლო. ქალი არ იბნეო-

და და უყურადღებობას, რასაც იგი ყოველა ფეხის ნაბიჯზე ამ-ჟღავნებდა ხანდახან, ასლა ვერაფრით ვერ დასწამებდი.

„სამაგიეროდ, მე ვეღარ მამჩნევს!“ — ფიქრობდა ელგუჯა.

საიდანღაც ტანდაბალი კაცი გამოძვრა. მძღოლს მიადგა და უთხრა, სასწრაფოდ ავტობუსი მოატრიალეთ. მძღოლმა იმწამსვე ძრავა ჩართო. რამდენიმე ხნიერი ქალი დაფეთდა და ავტობუსს მიაშურა. მძღოლმა დაიძახა, ნუ ჩქარობთო, მაგრამ ქალებს ვე-რაფერი შეასმინა. დაბალმა კაცმა უთხრა, ჩასხდნენ, შენც რა გე-ნაღვლებაო. ქალების დანახვაზე სხვებიც აჩქარდნენ, მაგრამ ავ-ტობუსი მალე თვალს მიეფარა, დარჩენილებმა ვერაფერი ვერ გაარკვიეს. ტანდაბალი კაცი ახსნა-განმარტებას მოჰყვა მუნჯუ-რად, თვითონ დალისაც, რომელსაც იცნობდა, მაგრამ იმ წუთას უცხოელი ეგონა, ხელებით დაუწყო ლაპარაკი. ამასობაში ავტო-ბუსიც გამოჩნდა, პირდაპირ წამოვიდა და მოწყვეტით გაჩერდა ხესთან.

დალი მობრუნდა და ხეივნისკენ წავიდა. „ჩემთან მოდის!“ — მიხვდა ელგუჯა. — რას აკეთებ აქ? — ჰკითხა დალიმ. — არაფერს, გიყურებთ! — წამოხვალ მცხეთაში? — მცხეთაში რა მინდა?

— მივდივართ და შენც წამოდი, ძალიან კარგი ხალხია.

— მარტო არა ვარ, უჩა და შაბათია მელოდებიან მანქანაში...

— ოჰ, არა... — მოიღუშა დალი, — მე მინდოდა მარტო შენ წა-მოგვყოლოდი...

— შორიახლო გამოგყვებით და მარანში პატივს გცემთ...

— არც იფიქრო, უჩა გიჟია, ხალხს გადარევს, წამოსული)ყავი, რა იქნებოდა, რამდენიმე კაცი მინდოდა გამეცნო.

— გაცნობით ყველას გავიცნობ, მხოლოდ ძალიან გთხოვ, ავ-ტობუსში ნუ ჩამსვამ მუნჯივით!

— აი, იმ კაცს, — ხმას დაუწია დალიმ, — ავტობუსის წინ რომ დგას, მარცხნიდან პირველი, არ შეხედო, მგონი, მართლა შევუყ-ვარდი... — იმ ბიჭს?

— ბიჭი კი არა, უნივერსიტეტის რექტორია... — შეუძლებელია, რექტორი არ იქნება! — არის, კი... — გაეცინა დალის.

რექტორმა რაღაც იგრძნო, უხერხულად შეიშმუშნა და ავტობუსში ავიდა, თუმცა იმწამსვე ჩამობრუნდა უკანა კარიდან.

— მგონი, შენ გელოდებიან. — მაშინ წავედი... — მოიცა, მოვდივარ, ხომ უნდა გამაცნო ვიღაცები.... — ჰო, მართლა, წამოდი რა! — გაუხარდა დალის.

ავტობუსამდე. ერთად მივიდნენ. დალიმ სასწრაფოდ წარუდგინა თანამგზავრი ახლომახლო მყოფთ. ელგუჯამ პირველად რექტორს ჩამოართვა ხელი. რექტორი არც ისეთი ახალგაზრდა აღმოჩნდა, შორიდან რომ მოეჩვენა. სუსტი და გამხდარი კაცი ორმოცდაათ წელსაც იქნებოდა გაცილებული. უცხოელები ელგუჯას მისჩერებოდნენ მოურიდებლად, დალისაც ყურადღებით უსმენდნენ. ელგუჯას ეღიმებოდა. დალის გადახედავდა სოლმე. ხვდებოდა, თარჯიმანი რომ მის სპორტულ დამსახურებაზეც ლაპარაკობდა არეულ-დარეულა.

— შენ ამათ კინომსახიობი ჰგონებიხარ... — ჩაილაპარაკი, ლალიმ ქართულად, როცა სული მოითქვა.

— კინომსახიობი შენ სარ ღა მე ვეგონე?.. — გაეღიმა ელგუჯას.

ამასობაში ისევ პატარა ტანის კაცი გამოვიდა ასპარეზზე. ელგუჯას მიესალმა შინაურულად და მძღოლს უთხრა, წასვლის დროაო.

— რჩები, არა? — ჰკითხა ელგუჯას დალიმ.

— დავრჩები, კი და ხუთშაბათს საერთოდ მივდივარ საზღვარგარეთ ერთი თვით...

— ერთი თვით? — დაფიქრდა დალი. — დაახლოებით...

— მე გნახავ მანამდე, გაგაცილებ, კარგად იყავი... — დალი მოწყენილი ავიდა ავტობუსში.

ელგუჯა ხესთან იდგა. ავტობუსი ჭიშკარში გადიოდა ნელა.

ერთმა წვეროსანმა კაცმა, რომელსაც ხელში ჩიბუხი ეჭირა, რაღაც იხუმრა, ეტყობოდა, რადგან ყველამ ხმამაღლა გაიცინა და ზოგმა ელგუჯასკენაც გამოიხედა.

„თუ ესენი ჩემზე იცინიან, მაგის ნახევარიც არ ეკადრებათ!“ — გაიფიქრა ელგუჯამ, ქუჩაში გავიდა და უჩას მანქანაში ჩაჯდა.

„... ნამდვილად ჯიშიანი ხალხია!.. — ფიქრობდა გზაში ხასიათწამხდარი ველინგტონის უნივერსიტეტის რექტორი, — სადღაც ამათი ამპარტავნობის გამართლებაც შეიძლება!“

XXVII

ხომ არ დამაგვიანდა? — კითხულობდა დალი.

იგი შუა ოთახში იდგა. ოთახში რაღაც დამათრობელი სურნელება ტრიალებდა. ენაჩავარდნილი ელგუჯა გაშტერებული მისჩერებოდა სტუმარს. სკამიც კი ვერ შესთავაზა, თუმცა დალი. დაჯდომას არც აპირებდა. დროდადრო იხედებოდა სარკეში და ეტყობოდა, ახალ კაბას ათვალიერებდა. უმკლავებო, გულმოხსნილი გრძელი კაბა მუხლებს კარგა ძალზე, ჩასცდენოდა და ქალი უფრო მაღალი და გამხდარი ჩანდა. მრგვალი, რბილი მხრები თითქოს უფრო დაწვრილებოდა ტანთან შედარებით. გრძელ ქუსლებზე შემდგარი ფეხები, კაბაში რომ გამოკვეთილად ჩანდა, მუხლებში ეკეცებოდა შეუმჩნევლად.

— კრება გვქონდა, არ დამთავრდა და არ დამთავრდა, წინ ვიჯექი და ვერაფრით ვერ ავდექი. მაინც რამდენი ლაპარაკი იცის პალიკომ. ლაპარაკობს ერთსა და იმავეს. ღმერთო, რა ნერვების მომშლელი კაცია. შემდეგ გურამ ხელაძე ვეღარ მოვიშორე. გინ-

და თუ არ გინდა, უნდა გაგაცილოო. აქამდე მომყვა, როდის გახდა ასეთი რაინდი და თავზეხელაღებული, ვერ გავიგე!.. ჩამაცივდა, მითხარი, სად მიდიხარო? ამხანაგთან მივდივარ-მეთქი. რომელთანაო? ქალია, კაციაო. ლამარა ბექაძესთან მივდივარ-მეთქი. აბა, რა მეთქვა. ლამარა მართლაც აქ ცხოვრობს, მგონი, ამ სახლში. იცნობ?

— არა. კი, მგონი, ვიცნობ... — კარგი გოგოა, სხვათა შორის. რა დროა ნეტავი?. — არ ვიცი, საათი არა მაქვს. — არ დაგაგვიანდეს, საათი მართლა არა გაქვს?

დალი სარკესთან დადგა, მხრებამდე ჩამოშვებული თმა ორად გაყო. მუჭში მოიმწყვდია ცალ-ცალკე. ასე იდგა ერთ ხანს.

— მოდი, შემაჭერი თმა! — რა ვქნა? — ცოტა ხნის შემდეგ გამოერკვა ელგუჯა. — აიღე მაკრატელი და შემაჭერი თმა! — რას ამბობ!

— ახლა ზაფხულია, ცხელა, მაინც უნდა შევიჭრა, შენ შემაჭერი, მირჩევნია!

ელგუჯა გარეთ გავიდა და უზარმაზარი ჟანგიანი მაკრატელი შემოიტანა.

— აი აქ და აქ, პირდაპირ გადაჭერი... მაკრატელი გახრჭიალდა დალის ყურთან უსიამოდ. — არა, არ შემიძლია, — თქვა ელგუჯამ და ხელი დაუშვა. — გეშინია?

— სად და სად? — იკითხა ელგუჯამ.

— აქა და აქ, ხელით რომ მიჭირავს, ხომ ხედავ!.

ელგუჯამ აუჩქარებლად შეაკვეცა ჯერ ერთი დალალი, შემდეგ — მეორე. თმა და მაკრატელი ფრთხილად დადო სკამზე. წელში გაიმართა და დაინახა, რომ მის წინ სულ სხვა ქალი იდგა, უფრო მაღალი ყელითა და უცნაურად მოელვარე თვალებით. უნებურად მოჰკიდა ყელზე ორივე ხელი. დალის თავი არ გაუტოკებია.,

მანქანის სიგნალის ხმაზე გავიდა ელგუჯა აივანზე და ქვევით ჩაიხედა. უჩა მეწლე და შაბათა გასაცილებლად მოსულიყვნენ.

შაბათა ზევით იხედებოდა, ცალი ხელი მანქანის სახურავზე ჰქონდა შემოდებული.

— ჩამოვალ მალე! — დაუძახა ელგუჯამ.

შაბათამ ჯიბიდან საათი ამოიღო, ელგუჯას დაანახვა და ისევ მანქანაში ჩაჯდა, მხოლოდ კარი არ დაუხურავს. უჩა კი საერთოდ არ გადმოსულა ძირს. მანქანის სარკმელთან ანთებული სიგარეტი ბოლავდა.

მზე ჩადიოდა. მიწას ბინდი ედებოდა, მაინც ცხელოდა. ელგუჯა სააბაზანოში შევიდა და მკლავებზე და მხრებზე ცივი წყალი გადაივლო.

— ვინ არის? — იკითხა ოთახიდან დალიმ.

— ამხანაგებია, სადგურზე ერთად წავალთ!

— ვინ და ვინ არის?

— არ იცნობ შენ!

— მაინც?

— უჩა მეწლე და შაბათაა!

— დარწმუნებული ხარ, რომ არ ვიცნობ? — იკითხა დალიმ.

— თუმცა ხომ... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ. კარის კარბას მიაწვა ბეჭით და სველ მხრებზე პირსახოცი შემოიხვია.

— უთხარი, წავიდნენ!

— უხერხულია, თანაც ხომ იცი, აქ მანქანას ვერ გააჩერებ... ტაქსს ვერ იშოვი. ჩემს მანქანას სადგურში ხომ ვერ. დავტოვებ... მაგათ იმედზე ვიყავი და ახლა დავაგვიანო?! — დალის აღარაფერი უთქვამს. წამოდგა, ფანჯარასთან პერანგის ამარა გაჩერდა ლანდივით და ქვევით ჩაიხედა.

— ჩავალ, რაღაცას მოვიფიქრებ! — თქვა ელგუჯამ და გატკიცინებული, თეთრი ხალათი მოიცვა.

— ისეთი არაფერი მოიფიქრო, მე რომ სადგურში ვერ გამოგყვე...

— არა. — დაიძახა ელგუჯამ და კარი გაიხურა.

— შე კაი კაცო, ამდენ ხანს რას იპრანჭებოდი გლახა პატარძალივით! — ხმამაღლა დაიძახა უჩამ, რომელიც ვიღაც გამვლელს ელაპარაკებოდა ფანჯრიდან. ელგუჯამ გაიღიმა, მანქანის კარი გამოაღო, ტყავის ჩანთა შიგ შეაგდო და სავარძელზე ჩამოჯდა გვერდულად.

— კარგად, ჯემალ, კარგად! — დიდის ამბით დაემშვიდობა უნა გამვლელს.

— ვინ იყო? — ჰკითხა შაბათამ. — წარმოდგენა არა მაქვს! — დღეს რა თარსი დღე გათენდა! — თქვა შაბათამ. — მივდივართ? — იკითხა უჩამ და საჭესთან გასწორდა.

— ერთი რამე უნდა გთხოვოთ... — ჩაახველა ელგუჯამ, — ასლა აქ ქალი შემოვა და დაჯდება ჩემს გვერდით. თუ შეგიძლიათ, სადგურამდე უკან არ მოიხედოთ, თუ არადა მეც უნდა დავრჩე!

— მართალს უბნობ? — იკითხა უჩამ ცოტა ხნის შემდეგ, — აბსოლუტურად! — ვახ! — თქვა შაბათამ. — სად არის? — სერიოზულად იკითხა უჩამ.

— ახლავე მოვა, მხოლოდ თუ თავის შეკავება არ შეგიძლიათ, წინასწარ მითხარით!

— აღარ გინდა მეტი ლაპარაკი! ელგუჯა სახლში შებრუნდა.

უჩამ მანქანას სარკე მოხსნა და სავარძლის შალითის ჯიბეში ჩააგდო. კარიც გაიღო ფრთხილად. დალი და ელგუჯა დასხდნენ უკან უხმოდ. დალი გვერდზე გაჩოჩდა, ელგუჯას ჩანთასთან მიიყუჟა.

მანქანა დაიძრა. წინ მსხდომთ თავი არ გაუტოკებიათ. უკან კი არა, გვერდზე არ გაუხედავთ არც ერთს და არც მეორეს.

„ქმრიანია, თავს მოვიჭრი თუ არა, რაღაც ნაცნობი სუნი მცემს!“ — ფიქრობდა შაბათა.

უჩამ მანქანა სადგურის მოედანზე. ტაქსებსა და ჩემოდნიან მგზავრებს შუა შეხედა და იმწამსვე კარიც გაიღო, ვიღაც უხმოდ გადავიდა და ქალის ფეხსაცმლის ქუსლების სმაც იქვე მიწყდა

მანქანების ხმაურში.

— ბარემ ქენი სიკეთე და ეს ჩანთა და ჩემოდანი შეიტანე მეოთხე ვაგონში! — სთხოვა ელგუჯამ შაბათას.

— წავიდა? — იკითხა უჩამ. — წავიდა, კი.

— ვას, შენი! — თქვა შაბათამ.

სადგურის სასაუზმესთან, სადაც ფეხსაცმლის მწმენდავი ზის ხოლმე, სადაც ლოთები და წასახემსებლად შემოვარდნილი მგზავრები ტრიალებენ, დალი იდგა და დაფიქრებული იხედებოდა. საკმაოდ კარგად ჩაცმული ბიჭი, რომელიც ცოტა ნასვამიც უნდა ყოფილიყო, გარშემო უტრიალებდა და გამოლაპარაკებას აპირებდა. დალი მოხალისეს ვერ ამჩნევდა, მაგრამ ბიჭი ფიქრობდა, ასეთნაირად განგებ იქცევა, უნდა სულ გამაგიჟოსო. მალე ელგუჯა მოვიდა. ისინი გაჩქარებული წავიდნენ სულ პირდაპირ, ჩაუარეს სადგურის მთავარ შენობას და პატარა მოედნით, სადაც საბარგო მანქანები იდგა, ბაქანზე გავიდნენ. ხელმარჯვნივ, ფარდულთან ლუდს სვამდნენ. დასიცხული ასფალტი ლუდის ნაწურით იყო დახეთქილი. იქვე ბაქო-თბილისის ცარიელი მატარებელი იდგა. უკაცრიელ, მიგდებულ ბაქანს გაუყვნენ. გზაში კიდევ ლუდის რამდენიმე ფარდული შეხვდათ. სულ ბოლოს რვა კაცი, რკინიგზელები, მძიმე კათხებს უჯახუნებდნენ ერთმანეთს და მთელი გზა გაკავებული ჰქონდათ. უხმოდ, მაგრამ მოურიდებლად გააყოლეს ქალ-ვაჟს თვალი. მეორე ლიანდაგზე მატარებელი შემოგრიალდა. შპალებმა და რელსებმა ჭრიალი დაიწყო.

— არ შეიძლება, რომ არ წახვიდე? — იკითხა დალიმ. — რატომ არ უნდა წავიდე? — ისე. — ადრე რატომ არ თქვი? — ადრე? ახლა ვამბობ... — დავრჩები, თუ ეს აუცილებელია. — აუცილებელი არ უნდა იყოს...

— შენ მითხარი, დავრჩე თუ არა, შენ ხომ იცი, ეს რას ნიშნავს,

საზღვარგარეთ მიდის გუნდი... ვისა და პასპორტი გამზადებულია...

— მაშინ წადი! — შენ რაღაცის თქმა გინდა და არ ამბობ! — რაც მინდოდა, ვთქვი! — თუ აუცილებელია, დავრჩები-მეთქი, გითხარი. — მე გეუბნები, რომ სულაც არ არის აუცილებელი... — შენ გინდა, რომ დავრჩე?

— მე ბევრი რამე მინდა... — გაიცინა დალიმ და კონდუქტორმა, ვაგონს რომ გვიდა, ძირს გადმოიხედა, ცოცხი გაუშეშდა ხელში. ლუდის მსმელებმაც მოიხედეს.

— რა გაივლის ახლა იქ, პირდაპირ გზაზე დგანან, რა გასმევთ ლუდს, არ გეზიზღებათ?!

რკინიგზელებმა ზანტად ჩაიწ-ჩამოიწიეს. სამაგიეროდ, უცხო მგზავრები უფრო დაკვირვებულად შეათვალიერეს, თუმცა არაფერი უთქვამთ. ზოგიერთს ცარიელი კათხა ეჭირა უაზროდ. ერთი ჭამდა და გვერდზე არც გამოუხედავს...

დალი ელგუჯას აჩქარებდა, არ დაგაგვიანდესო. მატარებელი მართლაც აიძრებოდა, სადაც იყო. ბოლოს სახალხოდ აკოცა და უკან მოუხედავად დაეშვა ქვის კიბეზე.

„მაინც ჯობდა, არ წასულიყო!“ — გაიფიქრა დალიმ ტროლეიბუსში ჩაჯდომისას, თავისუფლება იგრძნო, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიცილა.

ტროლეიბუსიდან ჩამოსული ფეხით აუყვა სახლისაკენ მიმავალ ქუჩას. აგრილებულიყო, თუმცა ნიავი არ იძროდა, ხის ფოთოლი არ ირხეოდა. გაუნძრევლად იდგნენ დიდი ხეები. ტოტებს იქით შეწითლებული ცა მოჩანდა.

მზე ჩადიოდა. რბილი, მძიმე ხავერდის ფარდები ეშვებოდა ციდან მიწაზე. ყველაფერი იძირებოდა მარადიულ უსასრულობაში. ყველაფერი უძრაობაში ინთქმებოდა. დაწყებულიყო მწუხრი, რომელიც ორს — სინათლეს და სიბნელეს ერთს ხდიდა. არაფერი

ცალკ-ცალკე არ არსებობდა, არაფერი არ მთავრდებოდა და ახალი არ იწყებოდა.

XXVIII

სასჯელმოხდილი ბადრი კილაძე თბილისში დაბრუნდა. ახალი კოსტუმი ეცვა. ნატის ვიწრო და გრძელი კეპი ეხურა. ფერი დაჰკარგოდა, მაგრამ უფრო მოხდენოდა სიფერმკრთალე. ახალი წამოზრდილი თმაც შვენოდა.

დალი პირველ შეყრას უფრთხოდა ყველაზე მეტად. ეგონა, თვალებში ვერ შევხედავო, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა. ქმარმა გადაკოცნა, გაიღიმა, თმაზე ხელი ჩამოისვა და ცოლს თვალი მოარიდა. შემდეგ ვენერას მიესალმა, ხომ არ გათხოვილხარო, ჰკითხა ღიმილით, მზექალა გადაკოცნა, სიდედრი და სიმამრი მოიკითხა, როგორ არიანო, მაკას და ხათუნას მოეფერა; რიგრიგობით აიყვანა ორივენი ხელში.

ბებიას დამოძღვრილ ბავშვებს ბადრი ვიღაც გადამთიელი ეგონათ, რომელსაც მათ ოჯახთან, დალის სახლთანაც კი არავითარი საერთო არ უნდა ჰქონოდა. აქამდე შეშინებულნი იდგნენ კუთხეში, თავისდა უნებურად იტყუებდნენ თავს, იცინოდნენ, თითქოს ძალიან ბედნიერნი იყვნენ.

ბადრიმ ბავშვებს თავი მიანება და ოთახი შეათვალიერა. მოეჩვენა, რომ ბევრი რამ შეცვლილი და გადასხვაფერებული იყო. ტუჩები მოკუმა და ისევ თმაზე ჩამოისვა ხელი, თითქოს დატკეპნა.

„ეს ციხეში უსწავლია!“ — გაიფიქრა დალიმ. მალულად დააკვირდა ბადრის ფართო, ღონიერ ზურგს. იგრძნო, ეს კაცი მისი ქმარი იყო. ეს შეგრძნება ისეთი ცხოველი და მწველი გამოდგა, რომ ფეხზე ვერ გაჩერდა, მკერდით ფანჯრის რაფას გადააწვა და ქუჩაში გადაიხედა უმიზეზოდ.

ბადრი კილაძე უნდობლად იყურებოდა, ცდილობდა ჯერჯერობით ცოლთან არავითარი კონტაქტი არ დაემყარებინა. ეს ქალი მისთვის ისედაც ამოუხსნელი ამოცანა იყო. ვერასოდეს ვერ ხვდებოდა იგი, რა იმალებოდა დალის სიმშვიდესა და მორჩილებაში. იყო წუთები, როცა ნახევარ სიცოცხლეს დათმობდა, ოღონდ გაეგო, რას ფიქრობდა მისი კანონიერი მეუღლე, თითქოს უშფოთველად, უპროტესტოდ რომ დაიარებოდა ქმრის ნება-სურვილზე.

საღამოს ბადრის ამხანაგებმა შეიყარეს თავი. აქამდე ლანდად არ ჩანდა არც ერთი. შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ მოჰკრავდა დალი რომელიმე მათგანს თვალს ქუჩაში, თორემ მათი ასავალ-დასავალის გაგება (ვის აინტერესებდა, მაგრამ მაინც) შეუძლებელი იყო. დიდი პატივისცემით, მოკრძალებით ეპყრობოდნენ დალის, თუ ამის დრო და საშუალება იყო, მაგრამ ქალს ისინი სძულდა უკლებლივ. მისი ოჯახური უბედურების მიზეზიც ისინი ეგონა.

დალი მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებდა. თითქოს დიასახლისობდა, სინამდვილეში ხელს უშლიდა დებს და რუსიკოს, რომლებიც თავდაუზოგველად საქმიანობდნენ.

ბავშვების დაძინების დრო იყო და მზექალა ადრე წავიდა. სამგზავროდ გამზადებული გოგონები დიდ ოთახში გამოვიდნენ და

ბიძიას დაემშვიდობნენ დაზეპირებული ფრაზებით. ბადრი ნაძალადევად იცინოდა. არც გულწრფელად მოფერება შეეძლო, არც ბავშვებთან ურთიერთობის უნარი ჰქონდა, თუმცა ორივენი ძალიან უყვარდა თუნდაც იმ დღეს, იმ წუთას.

სუფრა შებინდებამდე ვერ გააწყვეს. სტუმრები დასხდნენ თუ არა, ვენერაც წავიდა.

— შენ მაინც დარჩი! — სთხოვა დალიმ.

— მე რაღა მინდა აქ!

„რაზე ბრაზობს, ნეტავი ვიცოდე!“ — გაიფიქრა დალიმ.

ცოტა ხნის შემდეგ რუსიკომაც მოიხადა ბოდიში, სამუშაო მაქვს, ანაბეჭდი ფორმები უნდა გავასწოროო და ისიც გავიდა. დალი მარტო დარჩა სამზარეულოში. დროდადრო გადიოდა დარბაზში და სუფრას ემსახურებოდა, როგორც შეეძლო, ისე. მისი სადღეგრძელო ორჯერ დაილია. დიასახლისი მადლობას იხდიდა და მარჯვნივ და მარცხნივ თავაზიან ღიმილს აფრქვევდა. რამდენჯერმე შესთავაზეს, დაბრძანდითო, მაგრამ დალიმ ყოველთვის რაღაც მოიმიზეზა. ბადრი ამ დროს სიგარეტს აბოლებდა და თვალები უღიმოდა რაღაცნაირად. დალის არ უნდოდა დარბაზში ყოფნა. ეშინოდა, ქმარი არ ამიხირდეს, სუფრასთან ძალით არ დამსვასო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სტუმრები უმისოდაც კარგად გრძნობდნენ თავს; ძველ ამბებს იხსენებდნენ და სიცილით იგუდებოდნენ.

სუფრასთან რამდენიმე დროული კაციც იჯდა. ერთი კინაღამ ბებერი იყო. ეშმაკივით წვრილი თვალები ჰქონდა. უმარტივეს ჭეშმარიტებას რომ ამტკიცებდა, მსმენელი ფიქრობდა, ახლა ამ წუთას რაში მატყუებსო. დალის ვერაფრით აეხსნა, რა საერთო უნდა ჰქონოდა ბადრის ამ კაცთან.

დალი გაზქურასთან სკამზე დაჯდა. დაღლილსა და გასავათებულს განძრევის თავი აღარ ჰქონდა, ჩასთვლიმა კიდეც და ტაშის ცემამ და ყვირილმა გამოაფხიზლა.

ბებერს ქუდი უკუღმა ეხურა და ცეკვავდა. დანარჩენები ტაშს უკრავდნენ თავგამოდებით.

— მეთორმეტე, მეთორმეტე! — ყვიროდა ბადრი.

— მუსიანი, მუხიანი! — იძახოდა ბებერი და რაღაც უცნაურ ილეთებს აკეთებდა. ბებერმა უკანასკნელი ილეთი ჩაახვია და ცეკვაც დაამთავრა. ვიღაცამ ქუდი მოხადა და მოტიტვლებულ თავზე ცივი ღომი დაადო.

შემდეგ სიმღერა დაიწყეს. თანდათან შევიდნენ ეშხში. ერთმა ისეთი პირველი თქვა, სმა ნემსის ყუნწში გააძვრინა.

„რა კარგი სიმღერა იციან ამ ოხრებმა!“ — გაიფიქრა დალიმ. გუნებაზე დადგა, სუფრასთან დაჯდომაც კი მოუნდა, მაგრამ დარბაზში გასვლა აღარ დასჭირვებია, ბადრი თვითონვე შემოვიდა სამზარეულოში. მთვრალი იყო, მაგრამ თავს იკავებდა.

— მოდი აქ! — უთხრა ცოლს. — რა გინდა? — ჰკითხა ქალმა და ოდნავ გაფითრდა. — ახლო მოდი! — აჰა!

წინ წაიწია და ქმარს თვალებში მიაჩერდა, თითქოს გაბედულად და უტეხად, მაგრამ ბადრი ამ მზერაში მხოლოდ შიში ამოიკითხა. ცოლი შეეცოდა და თვალი მოარიდა.

— ჩვენ ალბათ გვიანობამდე არ დავიშლებით, შენ ნუღარ გაწვალდები... წადი სახლში და ამაღამ იქ დარჩი... თუ ამ ხნის მანძილზე, ესე იგი, ჩემი აქ არყოფნის დროს ჩემთვის... — შეყოყმანდა და მაინც თქვა, — გიღალატია, უკან არ მობრუნდე... თუ არადა ხვალ კვირაა, საღამოს მოდი, მე დაგელოდები, გარეთ არ გავალ.

ბადრი ერთი წამით კიდევ შეყოყმანდა, შემდეგ უცბად შეტრიალდა და გავიდა.

შეურაცხყოფილი ქალი გახევებული იდგა შუა სამზარეულოში. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ახლავე, სამუდამოდ წასულიყო ამ სახლიდან, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა, თავს ძალა დაატანა, გამოფხიზლდა. ხელები საგულდაგულოდ გადაიბანა და

სველი თითები მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ჩამოისვა. თმა აბზინდა, ქარვისფერი გადაიკრა. სარკეში ჩაიხედა. სახე წამოსწითლებოდა. „აქ ცხელა და იმიტომ!“ — გაიფიქრა მან და კიდევ კარგა ხანს უყურა თავის თავს. ბოლოს ჰოლში გავიდა, უხმაუროდ გააღო და მოიხურა ზურგსუკან უზარმაზარი კარი, კაკაკუკით გადაიარა სადარბაზოს ქვის იატაკი და რუსიკოსთან შევიდა. რუსიკო სარკესთან იჯდა და წამწამებს იღებავდა. სვეტებში ამოღებული ანაბეჭდები და სათვალე მაგიდაზე იდო.

— შენთან ვრჩები ამაღამ! — უთხრა დალიმ.

— რატომ? — იკითხა რუსიკომ და პაწაწინა ფუნჯი ხელში გაუშეშდა.

— ხმაურობენ, მოსვენებას არ მაცლიან, მთვრალებს ვერ ვიტან, ხომ იცი!

— აქ რომ მოგაკითხოს? — შინ მივდივარ-მეთქი, ვუთხარი...

მთელი ღამე არ სძინებია დალის. დილით ადრე ადგა და შინ წავიდა. მამა პარკში გასულიყო სასეირნოდ. ბავშვებს ეძინათ. გაბურბუსალებული მზექალა ღამის პერანგის ამარა გამოვიდა საძინებელი ოთახიდან. დალის გადახედა, თვალებში სელი ამოისვა და სააბაზანოში გავიდა.

— რატომ მოდი? — იკითხა დედამ. — მოვედი, არ შეიძლება? — ნაძალადევად გაიღიმა დალიმ.

დედა ამ სიტყვებზე დამშვიდდა, თუმცა რაღაც უსიამო გრძნობა, შვილის დანახვისთანავე რომ დააწვა გულზე, კარგა ხანს ვერ მოიშორა. ვენერამ კი გულზე დაიკრიფა ხელები. ხმა არ გაუღია, თუმცა რას ფიქრობდა, ისედაც გასაგები იყო. დალი განერვიულდა, დაწოლა და დაძინება მოუნდა..

„რა დღეში ჩამაგდო იმ საძაგელმა ადამიანმა, მეტი მეკუთვნის!“ — ფიქრობდა იგი.

ვენერას, შინაბერა ქალს ქმარი ისედაც უსარგებლო ნივთი

ეგონა. დალის ქორწინებას კი უბედურ შემთხვევად თვლიდა ყოველთვის. უმცროს სიძეს ვერა და ვერ შეეწყო. ვერაფრით ვერ გაიგო, ვინ იყო, რა კაცი იყო და რა უნდოდა ბადრი კილაძეს მის დასთან. პანიკურად ეშინოდა ბადრისი, მაინც არ ეპუებოდა, თითქოს თავი ჰქონდა გადადებული. როცა მარტო რჩებოდა, სიძის ჯიბეებს და უჯრებს ათვალიერებდა. რამდენჯერმე იარაღი ნახა და გული კინაღამ წაუვიდა. ბადრის დაჭერის შემდეგ ორი რევოლვერი, რომელიც მან ჩაკეტილ უჯრაში აღმოაჩინა, სახლიდან გაიტანა და მტკვარში ჩაყარა. ეგონა, ბადრი ციხიდან არ გამოვიდოდა. იმ ხანს რა გალევდა. იქამდე იქნებ ქვეყანაც დაქცეულიყო. ბადრი კი ვადაზე ადრე გამოუშვეს და მოსვლისთანავე, როცა ცოლი დაიმარტოხელა, იარაღი მოიკითხა. დალიმ დაუფარავად უთხრა, რაც მოხდა. გაკვირვებულმა ბადრიმ სელი შეათამაშა, უცნაურად გაიცინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

დალიმ დისშვილები წაიყვანა სასეირნოდ. ხელიხელჩაკიდებულნი დაჰყავდა მაკა და ხათუნა ზოოპარკში. ყურადღებით ათვალიერებდა გალიებს და ვოლიერებს; ესალმებოდა ნაცნობებს და ერთი წუთით არ ავიწყდებოდა ქმარი, რომელიც ალბათ ახლა არეულ-დარეულ ოთახს და მაგიდას ალაგებდა და ასუფთავებდა. ასეთი რამ არ ეზარებოდა. სახლის დაგვასაც კი არ თაკილობდა ხანდახან, საკუთარი პერანგებიც ბევრჯერ გაურეცხავს. მამაკაცური საქმე ხელში ნაკლებ ემარჯვებოდა. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ქათამს ვერ დაკლავდა. წყნეთში ერთხელ მეზობლად ცხვარი დაკლეს. ცხვრის პეტელზე ბადრი ოთახში შევარდა და ყურები თითებით დაიცო. და ეს ჩვევები მაინც ვერ ფარავდა მის დაუნდობელ ბუნებას, თვალსაჩინოდ რომ არაფერში მჟღავნდებოდა, მაგრამ ყველაფერში იგრძნობოდა მაინც.

„ეს რა შესანიშნავი გამოცდა ჩამიტარა?.. ურჩია ნეტავი ვინმემ თუ თვითონ მოიფიქრა, მე შენ გეტყვი, საფიქრალი დრო არ ჰქონდა!“ — ფიქრობდა დალი და ეჩვენებოდა, რომ იოლად და

უხათაბალოდ დააღწია თავი იმ გასაჭირს, რაიც დიდი ხანია აფიქრებდა და აწვალებდა. ასე იოლად მოპოვებულ თავისუფლებას ბევრი ინატრებდა. დღეიდან, რასაც უნდოდა, იმას გააკეთებდა, აღარასოდეს დავუბრუნდები ქმარსო, ამბობდა გუნებაში და იქვე გრძნობდა, რა უდღეური იყო ეს გადაწყვეტილება. კარგ ხასიათზე იმიტომ კი არ იყო, რომ გამარჯვებას ზეიმობდა. გრძნობდა, რომ შინ ბრუნდებოდა და ეს კლავდა და ახალისებდა კიდეც, არადა, ნუ განზე გადგებოდა, ამით ხომ უპატიოსნობასაც დაამტკიცებდა, ხალხის ყბიდან ხომ ვერასოდეს ამოვიდოდა. სულ რომ არ დახვედროდა შინ, სხვა იყო. ან ახლა, ამ წუთას წასასვლელი რომ ჰქონოდა, სხვა იქნებოდა. მშობლებს, დებს და განსაკუთრებით სიძეს როგორ აფიქრებინებდა, პირველსავე ღამეს ქმარმა გამოაგდოო. სიცოცხლეს გაუმწარებდა შოთა გაბუნია მზექალას, თუნდაც ამის გამო.

რკინის მესრით შემორაგვულ ეზოში ჭუჭყიანი სპილო დადიოდა. ბავშვები კამფეტებს ესროდნენ. სპილო, პატარა ელამი თვალებით ათვალიერებდა ეზოს და ტკბილეულს ეძებდა, } ნახულობდა და სათითაოდ იყრიდა პირში.

— დალი დეიდა, სპილო ჭკვიანია? — იკითხა ხათუნამ. — კი. — უპასუხა დალიმ. — რად უნდა მერე ჭკუა? — აბა, რა ვიცი! — ამოიოხრა დალიმ.

უკან უზარმაზარ გალიაში სვავები და ორბები ბათქუნობდნენ. მაკას სპილოს ყურება მოსწყენოდა და გალიას მისდგომოდა. ცხვირი ცხაურზე მიედო და დეიდას უკან მოუხედავად ეძახოდა, არწივი რომელიაო. დალი წამოდგა, გალიასთან მივიდა, ისედაც ყველა არწივი ეგონა და დისშვილს უთხრა, ხომ ხედავ, რომელიცაა, რას მეკითხებიო.

— მოიცა, შარვალი გაგიწმინდო, ბიჭი ხარ თუ გოგო, გამაგებინა და არ მინდა მეტი არაფერი!

ბადრი დინჯად იპარსავდა წვერს ფანჯარასთან. ზოოპარკიდან

დაბრუნებული დალი ოთახში იდგა, სკამის საზურგეზე დაედო ხელები და ქმარს უყურებდა. იგი სარკეში ჩანდა თითქმის მთელი ტანით. ბადრიმ გვიან მოიხედა. ოდეკოლონი მომაწოდეო, უთხრა. დალიმ ფლაკონი მიუტანა, წინ დაუდო. ბადრიმ გაიღიმა, მადლობა თქვა. დალის ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს იგი უკვე მხიარულად მიაბიჯებდა ინსტიტუტის ვესტიბიულში, მოულოდნელად ბიჭებში მდგარი ელგუჯა დაინახა, შეკრთა, მაგრამ გვერდზე აღარ გაუხედავს და დემონსტრაციულად ჩაიარა. ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს.

— როგორ სულელურად მოვიქეცი! — ფიქრობდა სამსახურიდან დაბრუნებული დალი ნაშუადღევს. იგი ძალიან მოკლე პერანგის ამარა იყო ტახტზე წამოწოლილი და შიშველ თეძოზე დაჩენილ ლურჯ ცას აკვირდებოდა. „ნეტავი სად გაშავდა ასე!“ — გაიფიქრა მან და ტელეფონმაც დარეკა. — ბატონო!

— როგორა ხარ? — იკითხა ვიღაცამ ფრთხილად.

ვინ ბრძანდებითო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა, მიხვდა, არ ღირდა.

— კარგად ვარ, შენ რას შვები? — ჩვენც არა გვიშავს. — საიდან რეკავ? — ქუჩიდან, ისე თბილისში ვარ, თუ არ გაგიკვირდება... — ვიცი, სადაცა ხარ, როდის ჩამოდი? — ამ დილით. '

ამ ცნობას უკვე პასუხი აღარ მოჰყოლია. დალი დუმდა. ყურმილიდან მამაკაცის რიტმული სუნთქვა ისმოდა. შემდეგ უცხო ხმები შემოიჭრა. ვიღაც ქალი, თითქოს ქვესკნელიდან, განწირული ხმით ეკითხებოდა ვიღაცას, ბაზარში თუ იყავიო.

— გესმის ჩემი ხმა? — დაინტერესდა ელგუჯა.

— ძალიან კარგად... — მშვიდად გამოეხმაურა დალი. თეძოზე დაჩენილ უწვრილეს ხაზს გააყოლა თითი.

— ვიღაც ჩაერთო, ხელმეორედ დაგირეკავ!

— არ დამირეკო, დაივიწყე ჩემი ტელეფონის ნომერი, ჩემი სახლი, ჩემი არსებობაც... — ბოლო ორი სიტყვა დალიმ დამარცვლა

და გაიცინა კიდეც, — ძალიან გთხოვ! — დაუმატა ბოლოს.

— გასაგებია! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯამ.

— მაშინ დადე ყურმილი, იცი ალბათ ყველაფერი და გამიგებ, კარგად იყავი!

„მართალია, ყველაფერი ვიცი!“ — ფიქრობდა მზით გახურებულ რკინის ჯიხურში გახიდული ელგუჯა. „აი, რას მიმალავდა თურმე წასვლის წინ, თუმცა რაღას მიმალავდა, ყველაფერი გასაგები იყო!“

— თავისუფალია? — ჯიხურში — შემოიხედა ხანში შესულმა მოქალაქემ, რომელსაც პარკით ბადრიჯანი მოჰქონდა.

— კი, ბატონო, მიბრძანდით! — ელგუჯამ ყურმილი დაჰკიდა, ჯიხურს მოშორდა და მანქანაში ჩაჯდა.

XXIX

შერმადინი დარდობდა, ბაღში რომ მრევლი კლებულობდა. ადრინდელი ხალხმრავლობა და სიხალისე აღარ იყო. ბიჭების დიდმა ნაწილმა ოპერის ბაღში გადაინაცვლა. ზოგიერთის აზრით ორ-სამ წელიწადში აქაურობა სულ გატიალდებოდა და ერთი ჭეშმარიტი ფეხბურთის მოყვარული აღარ დარჩებოდა.

— რაც ნაკლები ვიქნებით, მით უკეთესი, გავიცხრილოთ ჯობია, საზოგადოება გაჯანსაღდება. მე კი ოპერის ბაღში ცოცხალი თავით არ გადავალ, აქ დავბადებულვარ და აქ მოვკვდები! — ხმამაღლა გაიცინა შერმადინმა და ელგუჯას ბეჭზე ხელი ჩამოადო.

— ოპერის ბაღში ასლა თურმე კახი მენაბდე პირველობს! — უთხრა ელგუჯამ.

— ვინ არის, ბიჭო, კახი მენაბდე? მე და გოგია დადიანი რომ ამ ბაღში რაზბორებს ვაწყობდით, კახი მენაბდე დაბადებული არ იყო. ისე ფეხბურთის კუბო დავდგი, სადღაა ფეხბურთი!.. — ჩაიცინა შერმადინმა, ხელი ჩაიქნია და ნაღვლიანად დაიხედა ძირს.

შერმადინი მეტ-ნაკლებად ყველაფერში გარკვეული კაცი იყო

და თავის აზრებს და შეხედულებებს იოლად ახვევდა თავს სუსტი ნებისყოფის ადამიანებს. აფასებდნენ კიდეც. ამ ბაღში გადამეტებული ავტორიტეტითაც სარგებლობდა.

შემოდგომა მოდიოდა. დღე კლებულობდა. ხეებს ფოთლები უყვითლდებოდა თანდათან. ნაადრევად შეჟანგისფერებული ნეშო ფარფატით მოდიოდა ძირს.

— რატომ წააგეს, შერმადინ, ჩვენებმა? — დაიძახა მოპირდაპირე სკამზე მჯდარმა ბიჭმა.

— მე რა ვიცი, რატომ წააგეს!.. — გულგრილად ჩაილაპარაკა შერმადინმა.

— ტერიტორიული უპირატესობა ჩვენი ყოფილა... — განაცხადა ვიღაცამ.

— ომი იყო? — გაუკვირდა შერმადინს, — რა ტერიტორიული უპირატესობა, ასი მეტრია სულ სტადიონი აქეთ-იქით... ელგუჯას გაეცინა. — ლაპარაკობს რა ესეც! — გადმოხედა შერმადინმა.

ფეხბურთზე კიდევ ილაპარაკეს, მაგრამ შერმადინი არ იყო გუნებაზე და უმისოდ კამათს რა აზრი ჰქონდა. ბოლოს, ელგუჯას ხათრით ჭიდაობა გაიხსენეს. ელგუჯას ჭიდაობის გაგონება არ უნდოდა. ისევ შერმადინი ჩაერთო საუბარში და ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში დაეხმარა სპორტის მოყვარულებს.

ბაღში დიმიტრიც გამოჩნდა. ხელი ასწია, შორიახლო დაჯდა და იმწამსვე სიგარეტი ამოიღო.

— რავა ხართ? — თქვა მან ცალი ყბით.

— შენი ანდაზები წავიკითხე ჟურნალში! — დაუძახა შერმადინმა.

— არ დატოვო, ბიჭო, არაფერი! — ჩაიცინა დიმიტრიმ. — კი, მაგრამ რა გეანდაზება?.. — ჯერ ერთი, ანდაზები არ იყო ის... — აბა, რა იყო, სიბრძნე-სიცრუისა?

— მახვილგონივრული თქმები... — თვითონვე გაეცინა დიმიტრის.

ბაღში ბადრი კილაძე შემოვიდა მეუღლესთან ერთად. ელგუჯამ დალის თვალი მოჰკრა და იმწამსვე მიხვდა, ვისთან ერთადაც მოდიოდა. შეკრთა, აწრიალდა, ცოლ-ქმარს თვალი აარიდა.

— ეს არის ბადრი კილაძე, — ჩურჩულით თქვა შერმადინმა და ძირს დაიხედა, — არ მიაჩერდეთ ახლა თხებივით!

ზოგიერთმა, ბადრი კილაძის სახელი ადრევე რომ სმენოდა, შერმადინის გაფრთხილების მიუხედავად, გვერდზე დაიწყო ყურება. ბევრმა ეს გვარი და სახელი პირველად გაიგონა და ვერ მიხვდა, რა ასეთი მოსარიდებელი კაცი მოდიოდა.

ბადრის ზოლიანი პერანგი ეცვა, ხელში ტილოს კეპი ეჭირა. საშუალოზე მაღალ კაცს, ტანზე მომჯდარ პერანგსა და შარვალში გამოკვეთილი ფართო ბეჭები, თხელი წელი და სწორი ფეხები მოუჩანდა. მის სიარულში, მიხრა-მოხრაში, რაღაც ძალა და ხაზგასმული თავდაჯერებულობა იგრძნობოდა. — დალი აშკარად, დაუფარავად მისჩერებოდა ელგუჯას. ელგუჯა ამ დაჟინებული მზერის უადგილობას გრძნობდა და სად წასულიყო, არ იცოდა. თანაც ქალი თავს კი არ აწონებდა, ან თვალს კი არ უშტერებდა, არამედ ინტერესით აკვირდებოდა, —თითქოს იხსენებდა და კარგად ვერ იხსენებდა, საიდან იცნობდა ამ კაცს. თვალი გაუსწორა თუ არა, სალამიც უთხრა ღიმილით. ელგუჯა წამოდგა, ასევე თავაზიანად დაუბრუნა სალამი და იმწამსვე დაჯდა, თუმცა ბადრის ყურადღებაც მიიქცია. ბადრიმ მოიხედა და ხელში შერმადინი შერჩა.

— ოჰ, როგორა ხარ? — გაუკვირდა ბადრის იმ კაცის დანახვა.

შერმადინმა ბადრი მოიკითხა. დალის ხელზე ეამბორა და ცოლ-ქმარს გაჰყვა მორიდებით. მთელი ბაღის გასაოცებლად წარმოუდგენელი მოწიწებით იქცეოდა.

მოშორებით თავისუფალ სკამზე დაჯდა დალი. ფეხები ერთმანეთს მიატყუპა. პატარა ტყავის ჩანთა თუ პორტმონე კალთაში ჩაიდო და კაბა წინ გადმოიქაჩა, თუმცა მუხლების დაფარვა სულ არ უცდია. ბადრი —და შერმადინიც იქვე გაჩერდნენ. ბადრის ქუდი ხან ხელში ეჭირა, ხან თავზე იხურავდა. ისევ იხდიდა და თმაზე ხელისგულს ისვამდა. მრგვალი სახე და თხელი ნესტოები ჰქონდა. როცა იცინოდა, გალავანივით შემორკალული, თეთრი ჯანსაღი კბილები მოუჩანდა.

— კინოში ხომ არ შემოხვალ, ჩვენ კინოში შევდივართ...უთხრა ბადრიმ შერმადინს და ბილეთები აჩვენა.

— არა, გმადლობთ... — გაიღიმა შერმადინმა.

— მაშინ კარგად.

— კარგად იყავით, მაპატიე.., — წელში მოიხარა შერმადინი, დალის თავი დაუკრა და გაიმეორა, მაპატიეთო.

დალიმ გაიღიმა, შერმადინს უყურადღებოდ დაემშვიდობა, ვერაფრით ვერ გაიგო, რას ბოდიშობდა ეს კაცი.

ჩამობნელდა თუ არა და, ბაღში გიგიშაც შემოლაყუნდა.

— ეს გვაკლდა და ესეც მოვიდა! — თქვა ვიღაცამ ძალიან ხმადაბლა.

გიგიშა მთვრალი იყო და ბევრს არ ესიამოვნა მისი დანახვა. — იქნებ ვერ შემნიშნოსო, — გაიფიქრა ელგუჯამაც, მაგრამ გიგიშა სწორედ მისკენ წამოვიდა. სხვაგან იხედებოდა, თუმცა გზა არ ეშლებოდა. ხელის ჩამორთმევას არ დასჯერდა, გადაკოცნა, მოიკითხა, შენ დამაცადეო, გადახედა დიმიტრის და სხვაგან წავიდა. ნაცნობებს ჩამოუარა: უცნობებიც არ დატოვა და საბოლოოდ დიმიტრის მიაკითხა.

— ახალი ვარსკვლავი აღმოუჩენიათ! — უთხრა დიმიტრიმ.

გიგიშამ საეჭვოდ გადმოხედა. იგი კონიაკს სვამდა ძირითადად და როცა მისი თანდასწრებით, თანაც სიმთვრალეში, ვარსკვლავს ახსენებდი, შეურაცხყოფად ღებულობდა.

— რა აღმოუჩენიათ?

— ახალი ვარსკვლავი! — გაიცინა დიმიტრიმ, წამოდგა და ყოველ შემთხვევისათვის, სკამის უკან გაჩერდა.

— რა აღმოუჩენიათ, გარკვევით მითხარი! — ვარსკვლავი. — რამდენი? — ასი... — გაეცინა დიმიტრის. — ბიჭო, რასაც შენ ჭამ და სვამ; რატომ არ გერგება! — იყვირა გიგიშამ, — მითხარი, რა გჭირს ამისთანა, ცარიელი ძვალი და ტყავი რომ ხარ?! — გიგიშა უცბად აბანცალდა. დიმიტრის ეგონა, იქცევაო და სელის შეშველება დაუპირა, მაგრამ გიგიშამ ფესში სტაცა უზარმაზარი ხელი.

— რა აღმოუჩენიათ, მითხარი, თუ არა, გაგათავე... ხუთვარსკვლავიანი თუ ვარციხე?!

— გამიშვი ხელი და გეტყვი! — აჰა, გაშვებული მაქვს, თქვი!

დიმიტრიმ პერანგი და შარვალი გაისწორა. ელგუჯას შეხედა და გაიცინა..

— წადი, ძმაო, თავი დამანებე!

გიგიშა მართლაც შეტრიალდა და განცალკევებით მსხდარ პენსიონერებს მიადგა.

— უკაცრავათ, ბატონო იმანო, გაიგონეთ აქ რაზე იყო ლაპარაკი?

— არა, ბატონო. — ახალი ვარსკვლავი აღმოუჩენიათ, მართალია?

— არ ვიცი, ბიძია, რა ხანია ზევით არ ამიხედია... — ჩაიქირქილა წელში გახრილმა ბერიკაცმა.

— გაზეთებს არ კითხულობთ?

— რა გინდათ, ბატონო, თქვენ! — შეუტია ერთმა უფრო გაბედულმა.

— დაანებე თავი, — უჩურჩულა ამხანაგმა:

— რას ამბობს, აბა, თუ უკვირდება, გაზეთებს არ კითხულობო, მეტს რას ვაკეთებ, აბა! — აპილპილდა პირველი. გიგიშა კი ამ ლაპარაკისას კალთაში ჩაუჯდა, შემდეგ ყველას მუხლებზე გაწვა,

ფეხები ზევით აიშვირა, ვითომ ცაზე ვარსკვლავებს ვეძებო.

— ო, შე დაკარგულო! — წამოხტა სულ კიდეზე მჯდომი.

ამ სურათის დანახვისას ელგუჯას გულიანად გაეცინა, თან გაბრაზდა, წამოდგა და სხვაგან გადაჯდა. იქ კი უკვე სხვა თემაზე ლაპარაკობდნენ.

ერთი ფიზიკოსი თუ ფილოსოფოსი, რომელსაც დიდი თავი და გაჩეჩილი თმა ჰქონდა, მფრინავ თეფშებზე სასწაულებს ჰყვებოდა. სულგანაბულნი უსმენდნენ, თუმცა ნახევარზე მეტს არაფერი სჯეროდა.

— მაგ რა არის, — თქვა ერთმა, როცა ფიზიკოსმა აინშტაინის თეორია მოიშველია და ყველა გააჩუმა, — მაგ კი არა, არავითარ შემთხვევაში თურმე ვირი მარცხენა გვერდზე არ დაწვება...

— რატომ? — გაუკვირდა ვიღაცას. — წარმოდგენა არა მაქვს... — ეს მთვარეზეა დამოკიდებული... — განმარტა მეორემ. — მთვარე რა შუაშია? — ვერ გაიგო ფიზიკოსმა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე მეკითხებით? — დაინტერესდა ცოტა ხნის შემდეგ ის კაცი, რომელმაც ვირი ახსენა.

— დიახ, თქვენ... — მე ხმა არ ამომიღია...

— აბა, ვინ ლაპარაკობდა ახლა?.. მოულოდნელად ელგუჯა წამოხტა და ბაღიდან გავიდა. „სად გაიქცა ნეტავი!“ — გაიფიქრა მოწყენილმა დიმიტრიმ.

XXX

ელგუჯა პირდაპირ ბადრი კილაძის სახლს მიადგა, ჩაბნელებულ ფანჯრებთან შეჩერდა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. შინ რომ ვინმე ყოფილიყო, თუნდაც მძინარე, სინათლესაც დაინახავდა. დალის საძინებელ ოთახში მთელი ღამე კრთოდა ხოლმე ცისფერი შუქი.

„სადაც არის მოვლენ!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და საქმიანად გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს. ხეთა დასხეპილ, დაგვირგვინებულ ვარჯთა ჩრდილს შეაფარა თავი. ერთ ადგილას დადგა ლანდივით და ყურადღებით დააკვირდა ასახვევ-ჩასახვევებს, შუქჩრდილებით აჭრელებულ ტროტუარებს. მსუბუქი მანქანა ან დაგვიანებული მოქალაქე დაარღვევდა ხოლმე მყუდროებას, შემდეგ კვლავ სიწყნარე ისადგურებდა. ბოლოს სულ მიჩუმდა იქაურობა და მთლად ახლო, ქალის ფეხსაცმელების ქუსლების კაკუნი გაისმა. დალი და ბადრი მოდიოდნენ პირდაპირ. ელოდა და ასე უცბად როდის ამოიაღმართესო, მაინც გაუკვირდა.

ბადრის ქუდი ხელში ეჭირა. თავდახრილი მოდიოდა, თითქოს

საკუთარ ლანდს ელაპარაკებოდა გაოცებული. ვიღაცის სახელს ახსენებდა, კითხულობდა, თუ იყო, ფული თუ დატოვაო. ხეზე აკრულ ელგუჯას მეტი აღარაფერი გაუგონია, რადგან მგზავრები სადარბაზოში შევიდნენ.

ელგუჯა საფარს მოშორდა, ქუჩა გადაჭრა და ზუსტად დალის ფანჯრის წინ ჭადარზე აძვრა საოცარი სისწრაფით, ხის ტოტებში გაეჩხირა, დამტვერილი ფოთლები მისწი-მოსწია და მიაჩერდა ჩაბნელებულ ფანჯრებს, საიდანაც ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმოდა. უცებ ოთახი გაჩახჩახდა. ელექტრონის შუქი გამოვარდა ფანჯრიდან და ხის ტოტებს და მოპირდაპირე სახლის კედელს ეცა. ელგუჯა მაინც ბნელში დარჩა, თუმცა უჩინმაჩინად არ ქცეულა და თავისი სახუნდარიც არ მოეწონა. სწორედ მაშინ მიხვდა, ხეზე რომ იყო გასული, მაგრამ როდის ან რატომ ამოვიდა აქ, ვერაფრით ვერ გაიხსენა.

ოთასში ცოლ-ქმარი გამოჩნდა. ცხადად, გარკვევით დაინახა ელგუჯამ ერთიც და მეორეც. დალიმ ფანჯარა გააღო იმწამსვე. რაფას გადმოაწვა და პირდაპირ ხეს მიაჩერდა. ელგუჯას სუნთქვა შეეკრა. ჩავხტებიო, ისიც კი იფიქრა, მაგრამ განძრევის და გახმაურების შეეშინდა. მალე მიხვდა, რომ არ ჩანდა და დამშვიდდა.

დარბაზივით დიდ ოთახს მეპატრონენი სასტუმროდ და, ალბათ, კაბინეტადაც იყენებდნენ. ფანჯრიდან ხელმარცხნივ გრძელი ტახტის ცალი კიდე და კედლის ღუმელი ჩანდა. მარჯვნივ დიდი მძიმე მაგიდა და სავარძლები იდგა. კედელზე აკვარელით შესრულებული (შეიძლება ბადრის დახატული) სურათი ეკიდა. ამ სურათისა და მოცისფრო კაფელით გაწყობილი საკვამურის მეტი ელგუჯას არაფერი უცნაურა. სხვა ნივთებისათვის არც პირველი ვიზიტის დროს დაუდგამს თვალი, მაგრამ სურათი რომ იმ კედელზე არ ეკიდა, აშკარად ახსოვდა. „ალბათ, ადგილი მოუნაცვლეს და რაც მთავარია, მე ნამდვილად ვარ ამ ბინაში ნამყოფი!“ — გაიფიქრა ელგუჯა და ამ აღმოჩენამ ძალიან გაახარა. კვლავ

ფანჯარას დახედა. დალი ვეღარ შეამჩნია. სამაგიეროდ, რაფას წელზევით შიშველი ბადრი მისდგომოდა. იგი ახველებდა და თითქოს საგანგებოდ, ხისკენ იფურთხებოდა. ბოლოს საწერ მაგიდას მიუჯდა, პაპიროსს მოუკიდა. ზომიერად დაკუნთულ, თეთრ მხარმკლავებიან კაცს ტანზე ტუშის ერთი შავი წერტილი არ აჩნდა და ელგუჯა ამან ძალიან გააკვირვა. ბადრის თავი მაგიდის უჯრაში ჰქონდა ჩარგული და რაღაც ქაღალდებში იქექებოდა.

ტროტუარზე კიდევ რამდენიმე დაგვიანებულმა მოქალაქემ ჩაიარა.

„ვინ დაიჯერებს, ხეზე რომ კაცია გასული!“ — გაიფიქრა ელგუჯამ და ერთ თავჩაღუნულ კაცს ზემოდან დახედა. თავჩაღუნული მოტრიალდა და უკანვე წავიდა.

ფანჯარასთან მოწყენილი დალი იდგა. ტანსაცმელი გამოეცვალა. პენუარის ღილებს იკრავდა ნელ-ნელა. ბადრიმ, ეტყობოდა, რაღაც ჰკითხა უკან მოუხედავად. დალიმ უპასუხა, დაიხარა, საიდანღაც წიგნი და ნათურა აიღო და საძინებელ ოთახში გავიდა. ელგუჯამ იფიქრა, მეუღლეც გაჰყვებაო, აღელდა, მაგრამ ეს შიში ნაადრევი გამოდგა. ბადრი დაწოლას არ აპირებდა. კითხულობდა, სხვადასხვა ზომის ქაღალდებს ერთმანეთზე ალაგებდა, რაღაცას ინიშნავდა, ნაწერს ჩაჰკირკიტებდა.

ელგუჯა უხმაუროდ, რბილად ჩამოსრიალდა ძირს და სადარბაზოში შევიდა.

ზარმა გაბმულად დარეკა რამდენჯერმე.

— ვინ არის? — ხმადაბლა დაიძახა შიშისაგან ხმაწართმეულმა დალიმ. ხმა ჩაეხრინწა და ჩაახველა, ვერ გაიგო, ასე რა დააფრთხო.

— გააღე კარი და გაიგებ, ვინც არი! — გამოეხმაურა ბადრი..

— როგორ გავაღო, ვწევარ, მერე მეშინია! ·— გეშინია?.. აბა, შენ ყოფილხარ!.. — ჩაილაპარაკა ბადრიმ, ახალ პაპიროსს მოუკიდა, სალათი მოიხურა და გასასვლელისაკენ წავიდა.

— ჰკითხე, ვინ არის, ისე არ გააღო! — დაუძახა დალიმ, როცა ქმარმა საწოლ ოთახს ჩაუარა,

ბადრიმ კარი გააღო და ნახევრადბნელ სადარბაზოში ასვეტილ ახალგაზრდა კაცს თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა,

— შეიძლება! — მობრძანდით! ელგუჯა შინაურულად ხალათმოხურულ ბადრის დააკვირდა, შეყოყმანდა. ძველებური მაღალჭერიანი ბინის მცხოვრებნი ჩუმად, უშფოთველად იღამებდნენ; დასაძინებლად და მოსასვენებლად ემზადებოდნენ, რათა ისევ მშვიდად შეხვედროდნენ მომავალ დილას. თვითონ აქ რა მოხელე იყო, მისი ვის რა ემართა!

— მე მგონი, შევცდი, უკაცრავად... — ვინ გინდოდათ? — ექიმი ჭონქაძე.

ბადრი სტუმარს მიაჩერდა გამომცდელად. ცოტა ხნის შემდეგ ცოლს დაუძახა:

— ამ სახლში ჭონქაძე ცხოვრობს?

— არა! — ძლივს უპასუხა დალიმ. მოეჩვენა, რომ გამსუბუქდა, სადღაც წავიდა, ქვევით და ქვევით დაეშვა, დაიძრა.

— არა, აქ არ ცხოვრობს... — წყნარად გაიმეორა ბადრიმ.

— მაშინ, უკაცრავად... — ჩაილაპარაკა უცნობმა, ნელა შეტრიალდა და წავიდა.

ბადრი კარი ჩაკეტა. აბაზანას მიაშურა. „თითქოს სადღაც მინახავს!“ — შეეჭვდა იგი და დაფიქრებულმა ონკანი მოუშვა.

დალიმ სინათლე ჩააქრო. საბანი თავზე წაიხურა, წყვდიადში ჩაეფლო. გაკვირვებისა და შიშისაგან ცახცახებდა.

ელგუჯამ დაინახა, როგორ ჩაქრა დალის საძინებელ ოთახში სინათლე. ცისფრად აღარ აფერმკრთალდა მინები.

ელგუჯა ფეხით მიდიოდა შინ. არც ეჩქარებოდა, არც გზა ეშორებოდა. მალე სულ მიწყდა მოძრაობა. ვიღაცამ დაუძახა. შეკრთა და ზევით აიხედა. არაბუნებრივი, უბრიალა ხმა მოისმა მაღლიდან, თითქოს ცაში ტელეგრაფის მავთული გაწყდაო. ღამე

იყო უღრუბლო, მოვარსკვლავებული, ცისფერი ცარგვალი ჩანდა. ელგუჯა შინ მივიდა, კარი ჩაკეტა, დაწვა.

ღია ფანჯრიდან ვაკის პარკი და კუს ტბისაკენ ამავალი ფერდობი ჩანდა მკრთალად. ერთ უპატრონო გორაკზე ვიღაცას სიმინდი დაეთესა. უწყლობისაგან დაგვალული, უკვე ჩამომხმარი ყანა ღამეში ჩამოძონძილ ჯარს ჰგავდა.

ჩალურჯებულ ცას მისჩერებოდა. ცის კიდეს ნათელი ეფინა. მხოლოდ მთვარე არსად ჩანდა. სადღაც სახლს უკან იდგა.

ელგუჯა ვერ იძინებდა, თვალს მილულავდა თუ არა, შეშინებული იღვიძებდა; გულაძგერებული, გაოცებული იხედებოდა ცისკენ. ვერ გაეგო, რატომ ვერ ისვენებდა. მარტოხელა ბინადარს აშინებდა — არაფერი. თვალს დახუჭავდა თუ არა, იმწამსვე გადაიშლებოდა უკიდეგანო და უსასრულო არაფერი. არაფერი ქვეყნად არ იყო და მაინც არაფერი ბატონობდა ყველასა და ყველაფერზე. თვალს გაახელდა, დაინახავდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და მშვიდდებოდა. მერე თვალებდაჭყეტილი ფიქრობდა. მოიგონა უკანასკნელი შეჯიბრებები, მოჭიდავე ამხანაგები, შერკინებისას“ დაშვებული შეცდომები, კურიოზებიც, თითქოს გამხიარულდა და ბოლოს და ბოლოს ჩაეძინა კიდეც.

ძილში განუწყვეტლივ, გადაბმულად მიჰყვებოდა კოშმარები ერთმანეთს. ეძინა თუ ეღვიძა, უკვე ძნელი გასარკვევი იყო. ოთახში რამდენიმე კაცი ერთდროულად ლაპარაკობდა. ლაპარაკობდნენ ხმადაბლა, მაგრამ ეს უარესი იყო. სიტყვები ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ზუზუნით). თითქოს ღამის მატარებლის საერთო ვაგონში იჯდა. კითხულობდა წიგნს. წიგნის გვერდს კითხულობდა თავიდან ბოლომდე, ხედავდა ყველა სიტყვას, ყველა სასვენ ნიშანს; თავისთავად აბამდა წინადადებას წინადადებაზე, მაგრამ წანაკითხიდან აზრი არ გამოდიოდა.

— სადღაც მამალმა იყივლა. ეს ხმაც გაიგონა. გვერდი იცვალა.

... ოთახში გიგიშა იჯდა. ელგუჯას გაუკვირდა, აქ საიდან გაჩნდაო. მოსული ნასვამი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძალზე სერიოზულად იქცეოდა. არც იცინოდა, არც ყვიროდა. ეტყობოდა, ავად იყო. ახალი ვარსკვლავი კონაპუსი აღმოვაჩინეო, თქვა მან. გიგიშა ხუმრობდა, თორემ რომელი ჰიპარხი ის მყავდა, რა ვარსკვლავების აღმომჩენიც იყო, ქვეყანამ იცოდა. გიგიშა შემდეგ საერთოდ დაიკარგა და ვარსკვლავი კონაპუსი ხან ცაზე გამოჩნდა, ხან კონიაკის ბოთლზე დაიხატა.

ელგუჯა გამოფხიზლდა. თვალი გაახილა. ფანჯარაში ჩამოკიდებულ ცის ნაჭერს მიაჩერდა. დაფიქრდა, რამ გამახსენა ვარსკვლავი კონაპუსიო.

ისევ იყივლა მამალმა. მამალი ალბათ რესტორნის საქათმეში ან კერძო მოსახლის ეზოში ყიოდა. ელგუჯა წამოდგა, წყალი მოსვა. შუაღამე გადასული უნდა ყოფილიყო. ისევ იყივლა რამდენიმე მამალმა ერთდროულად.

ადრე ეგონათ, მამლები ქაოტურად ყიოდნენ. ყიოდნენ, როცა მოეპრიანებოდათ, მაშინ. კანადელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ მამლები ორიენტირს სწორედ ვარსკვლავ კონაპუსზე იღებენ. კანადელმა მეცნიერებმა (რასაკვირველია, ისინი სხვა პრობლემებითაც არიან დაკავებული) მთელი რიგი ცდებისა და დაკვირვებების საფუძველზე დაადგინეს, რომ პირველი მამლის ყივილი კონუსის ჰორიზონტზე ამოცურებას ემთხვევა. როცა კონაპუსი ჰორიზონტს იქით მიიმალება; მამლები მეორედ შემოსძახებენ. რატომ ყივიან მამლები მესამედ (აქამდე ეგონათ, გათენების გამო ყივიანო), კანადელი მეცნიერებისათვის ჯერჯერობით გაუგებარია.

სწორედ ამ ვარსკვლავის ორიენტირით გაუკვლიეს გზა „მარინერ IV“, როცა იგი მარსისაკენ გაუშვეს. „მარინერ IV“ თექვსმეტი ათას რვაასი კილომეტრის დაშორებით ჩაუარა მარსს და ყველას გულის დასაწყვეტად და იმედის გასაცრუებლად გაარკვია, რომ

მარსი ბევრად უფრო ჰგავდა მთვარეს, ვიდრე დედამიწას. იქ არ აღმოჩნდა არც მაგნიტური ველი, არც რადიაციული სარტყელი და არც წყლის ორთქლი. იმ ოცდაორ ფოტოზე, რომელმაც დედამიწაზე მოაღწია, არ ჩანს არავითარი არხის კვალი. კვალი იმ არხებისა, რომლებიც თითქოს ბევრმა ასტრონომმა საკუთარი თვალით დაინახა.

XXXI

სპორტკომიტეტმა ელგუჯას ერთოთახიანი ბინა მისცა საბურთალოსკენ, იპოდრომთან ახლო. ბინა ცნობილმა ველოსიპედისტმა მიატოვა. დაცოლშვილდა, გაფართოვდა და ძველი საცხოვრებელი ელგუჯას გადაულოცა. ჩვეულებრივ მომცრო ოთახს ისეთი არაფერი ეცხო, რითაც ყოფილი მობინადრის სადაურობას დაადგენდა კაცი. მართალია, ზუსტად შუა ადგილას, იატაკიდან ასული შავი ხაზი ჭერზე იყო გადარკალული, მაგრამ ხაზს, ბზარს რომ ჰგავდა, არაფერი საერთო ველოსიპედის თვლებთან არ უნდა ჰქონოდა.

სხვა მხრივ, ისიც სტუდენტი კაცის პირობაზე, ოთახს არა უჭირდა რა, რაც მთავარია, კარი იკეტებოდა და ღარიბული ავეჯიც თავისუფლად თავსდებოდა შიგ. ოთახში ტელეფონიც იდგა და ყველაზე მეტად ახალ მობინადრეს ეს მოეწონა. პირველ ხანს მაინც მოიწყინა. კარის მეზობლებსაც ვერ დაუახლოვდა. იმ დღეებში ამხანაგებმაც ვერ მიაკვლიეს. დიმიტრი და კიმოთე კი აღარსად ჩანდნენ. ხშირად ტელეფონი რაწკუნებდა, ველოსიპედისტს

და ვიღაც არივარგეს კითხულობდნენ, ელგუჯამ ვერ გაიგო, ეს არივარგე ველოსიპედისტის მეტსახელი იყო, თუ ამ პატარა ოთახში სხვაც იყო ჩაწერილი.

ელგუჯა ფანჯარასთან იჯდა ხოლმე და ქუჩაში იხედებოდა. მოღრუბლული, უსიხარულო დღეები ილეოდა. შემოდგომა ნახევრდებოდა, ხეს ფოთლები სცვიოდა. მოწყენილ ტოტებს ცივი ნიავი აქანებდა. ასფალტსაც სილისფერი ედო. ერთმანეთის მიყოლებით მიშლიგინობდნენ ტროლეიბუსები აღმართში, ბიგელები ტკაცუნებდნენ დროდადრო.

ელგუჯამ სწორედ ამ მარტოობაში დააზუსტა, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად მოკვდებოდა. ამ ჭეშმარიტების აღმოჩენამ იგი ძალიან გააოცა. სიკვდილის გარდუვალობის კანონ-სამართალი მზესავით ნათელი და ცხადი იყო, მაგრამ შეგრძნება სიკვდილისა, როცა იგი კონკრეტულად არ ჩანდა, არ არსებობდა, ეტყობოდა, ყველას არ შეეძლო ან სავალდებულოდ არ თვლიდა. სიკვდილის აუცილებლობის დაჯერება ჯანმრთელი, ახალგაზრდა ადამიანისათვის საშინელება აღმოჩნდა. სიკვდილი გაღვიძება და გამოფხიზლებაა, ამტკიცებდა დიდი მწერალი. ეს სიტყვები ელგუჯამ, ძალიან მოინდომა, მაგრამ მაინც ვერ იწამა და უსარგებლო ფიქრსაც აღარ მოეშვა. ცხოვრებას ახლა ვიწყებ, დასასრულზე დარდი ნაადრევია, მაგრამ მერე რა, ჩემი წუთისოფელიც ხომ ისევე მოკლეა, როგორც ერთი გაზაფხული, სიკვდილი თუ გამოღვიძება იყო, სიცოცხლე ბედის დაცინვას ჰგავდა. თუ არასოდეს არ მოკვდებოდა, ეს სხვა იყო, შეუძლებელს კი ვინ შეძლებდა, ეტლის ბორბალს ხელახლა ვინ დააბრუნებდა. არსებობდა თუ არა უკვდავება, რა სახითაც უნდა ყოფილიყო იგი. უკვდავი იყო მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობა. სიცოცხლე და მხოლოდ აქ არ იწყებოდა და არც მთავრდებოდა.

იმ დღეს ცა პირწმინდად მოიწმინდა და გადალურჯდა. სულ

პირდაპირ თვითმფრინავების მიერ დახატული ცის კიდე გამოჩნდა. ნიავი აღარ უბერავდა, ტროტუარზე დაყრილი ხმელი ფოთლებიც არ შრიალებდა. თბილოდა კიდეც. ელგუჯა ქვევით მიდიოდა. იპოდრომის ეზოდან ცხენის ფეხის ხმა მოესმა. მაღალი, შინდისფერი ულაყი ნელა, მშვიდად მოფლაყუნებდა ასფალტზე. ცხენზე ქერათმიანი ქალი იჯდა. თხელ ქალს ზამშის სერთუკსა და შარვალში მაღალი მკერდი და სქელი თეძოები ემჩნეოდა. ჩალისფერ თმას და თეთრ სახეს მზე პირდაპირ სცემდა და ოდნავ ანარინჯისფერებდა. თვალმოჭუტული, შემოდგომის მზისაგან მოთენთილი ქალი მომღიმარი სახით იჯდა ცხენზე, ცალ ხელში აღვირი ეჭირა. მარჯვენას დროდადრო ცხენს ბზიალა კისერზე უთათუნებდა. ცხენი ქუჩაში გამოვიდა და მარცხნივ გაუხვია. ნელა გაუყვა უკაცრიელ ტროტუარს. ცოტა ხნის შემდეგ შუა ქუჩაში გადავიდა და ვაკისაკენ მიმავალ გზათა შუა გაშენებულ ხეივანში შევიდა და ხეებში მიიმალა, თუმცა ჩალისფერი თმა და მაღალი კისერი ერთხანს კიდევ ჩანდა უფოთლო, ტოტებს შორის.

„იქნებ ეს არის სიცოცხლის აზრი, სიცოცხლის პრინციპი!“ — გაიფიქრა ელგუჯა. იარა, იარა და დიმიტრის მიაკითხა. კიმოთეც იქ დაუხვდა. ფილოსოფოსი და სტუდენტი ნარდს თამაშობდნენ და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები სულ არ აწუხებდათ. ელგუჯას ნარდი არ უყვარდა. თამაშს გულს ვერ უდებდა. წაგება არ სწყინდა, მოგება არ აინტერესებდა და სულ მალე ყველაფერი ბეზრდებოდა. ისევ სხვისი თამაშის ყურება სჯობდა.

— მოათავე, ბიჭო, შენ ჩასვლები? — ჰკითხა კიმოთეს, როცა ტახტზე მოკალათდა.

— არა... — უყურადღებოდ უპასუხა კიმოთემ და ნარდის ქვა გამეტებით ფერთხა ძირს.

— მეცადინეობს, ვერ ხედავ! — თქვა დიმიტრიმ, ერთი ქვა მოკლა და ორი კარი ერთდროულად ჩაკეტა.

— რა თქვი შენ? — იკითხა გაოგნებულმა კიმოთემ.

— არაფერი... — უპასუხა დიმიტრიმ და ელგუჯას თვალი ჩაუკრა.. :

— გააგორე, კაცო, გააგორე...

დიმიტრი და კიმოთე ძალიან დამეგობრებულიყვნენ, ხშირად გათენებამდე თამაშობდნენ ნარდს. დიმიტრიმ მოიგო თითქმის ყველა წიგნი, რომელიც კიმოთეს ოთახში აღმოაჩინა. კარგი და ცუდი აღარ ურჩევია, წიგნები ერთად მოაქუჩა, ერთი დიდი ფუთა შეკრა და ნადავლი თავის ბინაში გადაიტანა. კიმოთეს ეგონა, წაღებას არ იკადრებსო. სინამდვილე მანამ არ დაიჯერა, სანამ უწიგნო ოთახში არ გაახილა თვალი.

საკვირველი ის იყო, რომ მოგებული მხატვრულ წიგნებს არ კითხულობდა. ფილოსოფოსი ვარო, იმიზეზებდა და თავის უწიგნურობას ამით ამართლებდა. კიმოთეს კი თვალები წიგნის კითხვით ჰქონდა ამოღამებული. ხარბად კითხულობდა და ყლაპავდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა.

ზამთრის გრძელ ღამეში თუნუქის მოღუღუნე ღუმელთან დიმიტრი კიმოთეს ფიხტეს ქართულ თარგმანებს უკითხავდა.

დროდადრო ჩერდებოდა, საკუთარ კომენტარებსაც აკეთებდა და აგინებდა ჰეგელსა და კანტს, რომელთაც არ ესმოდა ფიხტეს „მე“-სი. კიმოთეს მარტო ამ გვარებისა და უცნაური ტერმინების გაგონებაზე ეხვეოდა თავბრუ, დიმიტრი სიგარეტს ქაჩავდა, ასვენებდა და კითხვას განაგრძობდა.

— ვერ გაიგე, შე ბითურო, ხომ ვერაფერი! — თავაზიანად მიმართავდა შიგადაშიგ მსმენელს.

— ვერ გავიგე, შენმა თავის გახეთქვამ!

— ო, რა ხარ, უკვდავო! — აქებდა დიმიტრი.

— შენ, კაცო, რატომ გაქვს შენს თავზე ამხელა წარმოდგენა!?

— რატომ არ უნდა მქონდეს? — კაი, კაცო, თუ რამეს წარმოადგენ, სხვამ უნდა თქვას...

— შენს თავზე ჯერ შენ თუ არ ილაპარაკე, სხვა რას იტყვის, ამდენი არ იცი? — უმტკიცებდა დიმიტრი, ღუმელს რცხილის შეშას შეუზრავდა ხოლმე და მაგნიტოფონს ჩართავდა. მუსიკის ხმაზე ჩხაკუნობდა ძაღლის ძვლები, ნიგვზის გამომხმარ ფიცარზე აჭახუნებდნენ ხის ქვებს.

— გამორთე მაგნიტოფონი, მოვიშალე ნერვებზე! — ყვიროდა ზოგჯერ კიმოთე.

წაგებულს ხანდახან ღვინო და ძეხვი ამოჰქონდა, კარტოფილს წვავდნენ და დიდხანს მასლაათობდნენ.

ელგუჯა რამდენჯერმე ესტუმრა მენარდეებს. ტახტზე წამოწვებოდა ხოლმე და კამათლებს აყოლებდა სავალს. ერთხელ იქვე ჩაეძინა და დილით კარგა ხანს ვერ გაარკვია, სად იყო.

დაზამთრდა. თბილისში არ მოუპოვია. ღამღამობით ყინავდა. დილით თუნუქის ყავისფერ სახურავებს თრთვილი ედო. ქუჩაში წყალსადენის გაფუჭებული მილიდან გამონადენ წყალს ყინულის თხელი ფენა ჰქონდა გადაკრული.

ახალგაზრდები მაინც უქუდოდ დადიოდნენ. თავშიშველ ბიჭებს ყელზე თბილი ღაზლი ჰქონდათ მოხვეული. ახალგაზრდა ქალებს თხელი, გამჭვირვალე წინდები ეცვათ.

ბაზარში თოვლქვეშ დაკრეფილი მწვანილი, ნახერხიდან ამოღებული ყურძენი და ვაშლი იყიდებოდა. ქინძი გაძვირდა.

ელგუჯას ბიძამ, შალვამ ახალგაზრდა, თეთრხალათიან გამყიდველს ერთი კონა ქინძი სახეში ესროლა, აგინა და სპეკულანტი უძახა. ბიჭმა იფიქრა, გირს ვლეწავ თავშიო, მაგრამ თავი შეიკავა. ამდენი მოთმინება რომ არ ჰქონოდა, ქინძს რა გააყიდვინებდა ღერ-ღერა.

— ტყულა წაიღე თუ გინდა, სულ არ მინდა შენი ფული!

— უფულოდ წავიღო, შენი მათხოვარი ვარ მე! — სულ გადაირია შალვა.

— აბა, რა გინდა, გამაგებინე! — რატომ ყიდი ქინძს ამ ფასად?

— როგორც იყიდება, ისე ვყიდი, ვინ გკითხავს შენ?!

— როდის ყოფილა, ბიჭო, ქინძი მანეთი? მანეთი ძველი ფულით თუმანია, თუმნად ოთხი კილო რუხი პური იყიდება...

— რუხი არ ვიცი მე...

დელისის მინდვრებზე ცივი ქარი უბერავდა. ქარი ფანჯრის მინებთან ზუზუნებდა და სარკმლის ჩარჩოიან-ბუდიანად შემონგრევას აპირებდა. ოთახში თბილოდა და ქარის ხმაც ყრუდ ისმოდა. გარეთ ტყვიისფერი ცა ჩანდა. მალე ღამდებოდა. ქუჩაში სიწყნარე და უხალისობა ისადგურებდა.

ელგუჯას ხელში წიგნი ეჭირა და ერთსა და იმავე გვერდს ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა. თავში არაფერი შესდიოდა. ვეღარაფერს იმახსოვრებდა. სწავლა არ შეეძლო და ეს იყო. სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა, ფიქრობდა და თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ჭერს და მკრთალად გასხივოსნებულ ცის ნაჭერს. ნაშუაღამევს საბანში ეხვეოდა. მაინც ფიქრობდა, ფიქრი მოდიოდა გაუთავებლად, განუწყვეტლივ; დაძინებას ვერ ახერხებდა. ამის გამო ნერვიულობდა და უფრო არ ეძინებოდა. როდის-როდის თენდებოდა და ძილ-ღვიძილში ხვდებოდა ალიონს.

დალიმ ვერაფრით ვერ გაიგო, რა უნდოდა იმ შუაღამისას რომ მოადგა კარს და გული კინაღამ გაუხეთქა. გულისფრიალით ელოდა ყოველ ახალ დაღამებას; ბედად ელგუჯა აღარსად ჩანდა. მხოლოდ რამდენჯერმე დალანდა ინსტიტუტში შორიდან. ეგონა, ვერ მხედავსო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ელგუჯა გაურბოდა. მის ნება-სურვილს დაჰყოლოდა, ბედს შერიგებოდა. დალი დამშვიდდა და დაღონდა. მიხვდა, რომ გაწყდა ის ერთი ძაფიც, სადღაც უკეთესისაკენ თუ უარესისაკენ რომ ექაჩებოდა. სამაგიეროდ, ერთფეროვანი, ერთი შეხედვით, უშფოთველი დღეები მიჰყვა ერთმანეთს, მაგრამ თანდათან —დაიმუხტა ჰაერი ახლადაღორძინებულ ოჯახში. ბადრი უკვე ეჭვის თვალით უყურებდა მეუღლეს. ეტყობოდა, ცოლის აღარა სწამდა. ეგონა, ქალს ბრმად

ენდო და ის ტოტი მოჭრა, რომელზედაც იჯდა თავისი შეურცხვენელი კაცობით. სიტყვით არაფერს ამბობდა, მაგრამ დალი ყველაფერს ხვდებოდა სამაგიეროდ, ბედსაც აღარ უჩიოდა. თვითონ ხომ იცოდა, პატიოსანი მეუღლის სახელს რომ ატარებდა იმჟამად. ხომ ერთგულობდა იმ კაცს, ვისი არსებობაც მისთვის ბოლომდე გაუგებარი იყო. დღიდან ჩამოსვლისა უცხოსავით უყურებდა, თუმცა ამას უკვე აღარ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი იყო, მოვალეობის შეგრძნება. ამნაირად ანგარიშობდა იგი, თუმცა არაფრით არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე იოლად ჩაივლიდა და დასრულდებოდა.

XXXII

„ღმერთო დიდებულო, ნეტავი თუ კიდევა აქვს ვინმეს ასეთი ხიდი მსოფლიოში!“ — გაიფიქრა მოხუცმა მწვრთნელმა, დიდხანს, მდუმარედ რომ უყურებდა ლეიბზე მოვარჯიშე ელგუჯას. ამოიოხრა, ზანტად წამოდგა, მოჭიდავეებს ჩამოუარა. სათითაოდ ამოწმებდა ხიდზე შემდგარ შეგირდებს. ზოგს წელს უსწორებდა, ზოგს მუხლებს, ზოგიერთებს შუბლზე ურტყამდა ხელისგულს. მისი აზრით, ამ დროს თავი კი არა, შუბლი და ყანყრატოც ხალიჩას უნდა შეჰხებოდა, თუ არა ვარჯიში წყალში იყო გადაყრილი.

. ელგუჯა მალე დაიღალა, მოითენთა. ლეიბზე თავდაღმა დაწვა, წასვლა დააპირა და ადგომაც შეეზარა, „რას ვიზამ, რაც არის, არი... თავისი ბუდე ნახა და ბედს შეურიგდა. რა უფლება მაქვს სხვის ცხოვრებაში ჩავერიო. დავიჯერო, უყვარს ქმარი? ღმერთმა გაუმარჯოს. ოცი წლის ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი შორდება ერთმანეთს, ჩვენ კი არა. მე რა დავკარგე, ბოლოს და ბოლოს... ჩემი მამაკაცური თავმოყვარეობა მაინც არ შელახულა, მე შენ გეტყვი, დაილია ქალები... ერთი წავა და სხვა მოვა...“

— რა გაქვს ბეჭებზე? — შეეკითხა მძიმე წონის მოჭიდავე უშანგი, იქვე მლოცველივით რომ იყო ჩამუხლული და მძიმედ ქშინავდა.

— რა მაქვს? — ლეიბზე წამოჯდა ელგუჯა.

— ბეჭები დაბრჭყალული გაქვს ორივე მხარეს... — მშვიდად უთხრა უშანგიმ და მხრებზე ხელი მოუსვა.

— მორჩი ახლა!

— მამის სულს გეფიცები, სულ გაწითლებული გაქვს... ვინ დაგბრჭყალა?

— არავინ მომკარებია და ვის უნდა დავეკაწრე, ლეიბმა გამხეხა ალბათ...

— არა, ეს კატის თითებია ან ქალის ფრჩხილები... — დარწმუნებით უთხრა უშანგიმ.

— კი, ქალის თითებია... — თქვა ზაურ ქავთარაძემ, ელგუჯას ბეჭზე ხელი მოუთათუნა და იღლიაში პირსახოცამოჩრილი წავიდა გასახდელისაკენ.

დანარჩენებიც შეგროვდნენ. ელგუჯას დაუწყეს ინტერესით ყურება. ელგუჯა ხელს იფათურებდა ზურგზე გაჭირვებით, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა და ვერც გრძნობდა. ურწმუნო ღიმილით მისჩერებოდა ამხანაგებს, ერთხმად, პირშეკრულებივით რომ ამტკიცებდნენ ერთსა და იმავეს.

— ეგრე ვერ მიხვდები... — აუხსნა მწვრთნელმა, — განაკაწრი ან ანაქერცლი კი არა გაქვს, ქალის თითებია თითქოს დახატული, გეგონება, შიგნიდან ჩანს, მართლაც რა უცნაური რამეა...

— შეუძლებელია... — ამოილუღლუღა თავზარდაცემულმა ელგუჯამ.

— ვითომ თვითონ არ იცის, რა აქვს! — გაიცინა ვიღაცამ. სხვებმაც ხუმრობა დაიწყეს. ელგუჯა წამოწითლდა, ლოყებზე ალმური აუვიდა.

— ლეიბმა გაუღიზიანა კანი და შემთხვევით გამოიკვეთა ასეთი

სურათი, რას იცინით, ყინვა რომ მიაჭირხლავს ფანჯრის მინას, რა სურათებს არ მიახატავს ზედ... არ გინახავთ... აბა, ჰაიდა, გადაივლე წყალი! — გამოცოცხლდა მწვრთნელი. ელგუჯა გაათავისუფლა და დანარჩენებს გაუჯავრდა, დროს ნუ კარგავთ, საქმეს მიხედეთო.

ელგუჯამ პირსახოცი მოიხვია მხრებზე და რეტდასხმულივით შევიდა სააბაზანოში. „გაუგონარი ამბავია, — ფიქრობდა იგი, — მას შემდეგ რა ხანი გავიდა, ამდენ ხანს როგორ არ მომშორდა, თუმცა აქამდე რატომ ვერავინ შემამჩნია!“

ტანს იბანდა და უკვე თავბრუ ეხვეოდა. გულს ეზიდებოდა. უგულოდ გადაივლო წყალი, შეიმშრალა, ჩაიცვა. რაღაც ამჩატებული, თავგამოფიტული მიდიოდა გასასვლელისაკენ. მოულოდნელად გვერდზე გადაქანდა. თითქოს მარჯვნიდან მოაწვა ვიღაცა. კედელს აეკრა გაოცებული. თავზე ორივე ხელი ჩამოისვა. წავიდა და დარბაზიდან გასვლამდე ორჯერ გადაქანდა ისევ მარცხნივ. აშკარად კარგავდა წონასწორობას და თვალთ უბნელდებოდა. ზევით ავიდა მაინც და გასასვლელში დაჯდა.

— შენ ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ზაურ ქავთარაძემ.

— მგონი არ ვარ კარგად...

ზაურმა სპორტდარბაზის ექიმი მოიყვანა. მალე მწვრთნელიც ამოვიდა და სხვა მოჭიდავეებიც გამოჩნდნენ. ექიმმა წნევა გაუზომა და კარგა ხანი საეჭვოდ აკანტურა თავი.

— წნევა ხომ არა აქვს? — ჩუმად იკითხა შეშფოთებულმა მწვრთნელმა.

ექიმმა თავი დააქნია.

— მაღალია?

— პირიქით, დაბალია...

— დაბალს რა უჭირს, შავი ღვინო მოუხდება! — სიცილი ატეხა მძიმე წონის მოჭიდავე უშანგიმ.

— გაჩუმდი, შე ბოთე! — უთხრა მწვრთნელმა. — ამაზე უშანგი

სულ გადაფიჩინდა. სხვებსაც გაეცინათ. ექიმიც იღიმებოდა და ელგუჯაც.

— საშიში ხომ არაფერია? — მაინც იკითხა მწვრთნელმა.

— საშიში არაფერია, მაგრამ რატომ უნდა ჰქონდეს წნევა ასე დაბალი... ნავარჯიშებს და ნააბანოვარს... სასწრაფო დახმარება გამოვიძახოთ მაინც...

ამის გაგონებაზე ელგუჯას ფერი ეცვალა, სწრაფად წამოდგა და, დანარჩენების ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად, გარეთ გავიდა.

— მე კი არ გაშინებ... — უთხრა კარში გასვლისას ექიმმა, — მაგრამ ექიმს გაესინჯე მაინც, ასე ნაუცბადევად ვერავინ ვერაფერს ვერ გირჩევს, სპეციალისტს ეჩვენე...

— კი ბატონო... — თავი დაუქნია ელგუჯამ და მანქანაში ჩაჯდა. უშანგი და ზაურიც ჩაუსხდნენ და მწვრთნელმა ერთი კაცი კიდევ გააყოლა დამატებით.

კარგად ვარო, — თქვა ელგუჯამ და ამხანაგები სახლში აღარ შეიყოლა.

— დაისვენე შენ, მეტი აღარაფერი არ გინდა, ექიმებს თუ უყურე, კარგად იქნება საქმე! — დაარიგა უშანგიმ.

ელგუჯა ოთახში შესვლისთანავე წელზევით გაშიშვლდა, სარკის წინ დადგა და იტრიალა კარგა ხანს. კისერი მოეღრიცა, მაგრამ ბეჭებზე ვერაფერი აღმოაჩინა. სახლში მაინც ვეღარ გაძლო. ისევ ჩაიცვა და სახეტიალოდ წავიდა. პირდაპირ გაუყვა გზატკეცილს. არ უნდოდა ნაცნობს შეხვედროდა და ვაკე-საბურთალოს გადაკვეთაზე ხევში გადავიდა, გაბინძურებულ მდინარეს გაუყვა. ბილიკ-ბილიკ იარა. გადაჭრა ზოოპარკი, გავიდა მოედანზე და ტროლეიბუსების გაჩერებასთან დადგა. მოქუფრული, მოჟამული მარტის დღე იყო. არ წვიმდა, მაგრამ ცას ზეთი მოსტიროდა. — ელგუჯა გრძნობდა, როგორ მძლავრად უცემდა გული, როგორ

მოძრაობდა სისხლი მის სხეულში, როგორ ფეთქავდა სისხლძარღვები საფეთქლებთან.

ალფეზ მაჩაბელი და შაბათა გამოვიდნენ საიდანღაც. ოდნავ ბეჭებში მოხრილ, სუფთად ჩაცმულ ალფეზას გაზეთები ჰქონდა ამოჩრილი იღლიაში. ელგუჯას თვალი აარიდა. შაბათა კი შეჩერდა, ელგუჯა მოიკითხა, ახალი ანეკდოტის მოყოლა დააპირა და როცა წინ წასულ მაჩაბელს მოჰკრა თვალი, მაშინღა გაახსენდა ეს ორი კაცი ერთმანეთში რომ უმძრახად იყვნენ. ალფეზა იქვე იდგა რკინის სვეტთან და თანამგზავრს ელოდებოდა.

— ყველა უბედურს და მათხოვარს საიდან გამოძებნი?! — ალფეზას გასაგონად ეკითხებოდა ელგუჯა შაბათას.

"ნირწამხდარი შაბათა იღიმებოდა, ტუჩებს უცნაურად კუმავდა, ელგუჯას თვალებით ანიშნებდა; თუ ძმა ხარ, არ გინდა, გაჩერდით.

— რამდენი ნაგავი დადის ამ ქვეყანაზე! — ალფეზასკენ გაიხედა ელგუჯამ.

შაბათამ ისევ მოკუმა ტუჩები, წარბები ასწი-დასწია. ეს მიმიკა ვედრებას, თხოვნას და დაცინვასაც გამოხატავდა ერთდროულად, მხოლოდ ვის დასცინოდა, თავის თავს, ასეთ უბედურ მდგომარეობაში რომ ჩავარდა, თუ ალფეზ მაჩაბელს, ვერ გაიგებდი. ალფეზამ ჩაასველა, გაზეთი გაშალა და ვითომ არაფერი, კითხვა დაიწყო. ელგუჯამ გალავანზე დაგდებული ასანთის კოლოფი აიღო და მაჩაბელს ესროლა. ასანთის კოლოფი ცარიელი აღმოჩნდა. ფარფატით წავიდა, ადრესატს მოხვდა, მაგრამ ძალიან მსუბუქად და შეუმჩნევლად. ალფეზამ ზევით აიხედა, ჭადრის ხეს ააყოლა თვალი, ხიდან ხომ არაფერი ჩამოვარდაო. ელგუჯამ ამ მოძრაობის მთელი სიყალბე იგრძნო და გამეტებით დააფურთხა ძირს.

— ფუი! — დაიძახა რაც შეეძლო ხმამაღლა.

— კარგად, კარგად! — ხელი ასწია შაბათამ, ელგუჯას გამოეთ-ხოვა და ამხანაგს ამოუდგა გვერდში.

— წავედით? — იკითხა ალფეზმა.

— წავედით...

ალფეზამ გაზეთები ისევ სიგრძეზე დაკეცა, იღლიაში ამოიდო და მუხლმოკვეთილი და ფერდაკარგული გაუყვა გზას.

XXXIII

ელგუჯა ერთ დღეს მარტოდმარტო მიადგა ცნობილ თბილისელ ექიმს. კითხვა-კითხვით მოძებნა სახლი და ბინასაც მიაგნო. სადარბაზოს ღია კარზე გარკვევით ეწერა: პროფესორი ემანუილ ჭონქაძე.

ჰოლში დედაბერი იკრავდა თავსაფარს და გარეთ გამოსვლას აპირებდა. ორი ქალი მოჰყვებოდა უკან და კაცი წელში გახრილი ეუბნებოდა ვიღაცას მადლობას. ეტყობოდა, რომ სამთავენი ამ მოხუცებულ ქალს ახლდნენ.

— ექიმი არის? — ხმადაბლა იკითხა ელგუჯამ.

— კი, ბატონო, არის... — უკან მოუხედავად უპასუხა ერთმა ქალმა.

ელგუჯა კართან აიტუზა. კაბინეტში შეჭვრეტა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. ჩამიჩუმი არ ისმოდა არსაიდან. დედაბერი და მისი ასაბიაც წასულიყვნენ..

— რომელია მანდ?! — იღრიალა ვიღაცამ კაბინეტიდან.

— შეიძლება! — შეიხედა შემკრთალმა ელგუჯამ.

— მობრძანდით! — თავი დაუქნია გამხდარმა, გრძელცხვირა კაცმა, რომელსაც შავი ნაბდის ქუდი ეხურა.

ელგუჯა კაბინეტში შევიდა და წიგნებით დატენილი თაროები შეათვალიერა.

— დაბრძანდით! — გმადლობთ. — თქვა ელგუჯამ და დაჯდა. — რაშია საქმე? — ჰკითხა ექიმმა.

ელგუჯამ გაიღიმა, როგორ და რანაირად დავიწყოო, — გაიფიქრა.

— რა გვარი ხართ თქვენ? — დაასწრო ემანუილ ჭონქაძემ. — ვაშაძე. — სახელი? — ელგუჯა. — ელგუჯა გომართელი რა არის თქვენი? — არაფერი. — ელგუჯა შუბლაძეს არ იცნობ? — არა, ბატონო. — რა იყო, რა გაწუხებს?

ელგუჯამ დაწვრილებით დაიწყო თავისი ავადმყოფობის ისტორიის მოყოლა, მაგრამ ექიმმა ამდენიც აღარ აცალა.

— მოსწიე მკლავი აქეთ, სახელო აიკეცე!

ექიმმა წნევის აპარატის არტახი გაშალა და პაციენტს მკლავზე დაახვია.

— არ ვიცნობო, თქვენ ბრძანეთ, არა? — დიახ.

— მოიცა, რამდენს ლაპარაკობ, არ ისუნთქო, აჰა, თავისუფალი ხარ, ახლა, გულახდილად მითხარი, რა გჭირს?

— ასე მგონია, რომ მოვკვდები... — როდის დაგემართა მაგ ამბავი? — არ არის დიდი ხანი. — მაინც?

— ერთი წელია ალბათ, დაახლოებით...

— მანამდე დარწმუნებული იყავი, რომ არ მოკვდებოდი? — მანამდე არ მიფიქრია... — დაიბნა ელგუჯა.

— ჩვენ პლანეტაზე რამდენი სული ცხოვრობს დიდიანპატარიანად, თუ იცი?

— ზუსტად ვერ გეტყვით. — დაახლოებით მითხარი, ნიშანს კი არ გიწერ. — სამ მილიარდ-ნახევრამდე არის, ალბათ...

— მერე ამ სამ მილიარდნახევრიდან არც ერთი ცოცხალი რომ

არ დარჩება, არ იცი, შენ?

— ეს კი ვიცი...

— აბა?

— ადრე სიკვდილი მაინც...

— აქედან ზოგი ადრე მოკვდება, ზოგი გვიან... — გააწყვეტინა ჭონქაძემ, — შენ რა გგონია, შემოდგომაზე. ხეს ერთდროულად სცვივა ფოთლები? ზოგი ადრე ჩამოვარდება, ზოგი გვიან. ზოგი გაზაფხულამდე შერჩება, მაგრამ ვაი ამნაირ შერჩენას. დარჩენით კი არც ერთი არ დარჩება, დამიჯერე. დაცვივდება ეს ფოთლები და ხე ახლად შეიფოთლება, შემდეგ ხეც გახმება და ახალი ამოვა.

— რატომ გავჩნდი, თუ მოვკვდებოდი, რა აზრი ჰქონდა ჩემს გაჩენას, ეს ვერ გავიგე...

— ვერც მე, სხვათა შორის... და ეს არც არის ჩემი საქმე... სიცხეებს ხომ არ გაძლევს?

— არა მგონია... — გამოსწიე, აბა ენა, საკმარისია, რა მოხელე ხარ? — წელს ვამთავრებ უმაღლესს. — ელგუჯა გომართელს მართლა არ იცნობ? — არა ბატონო... — გაეცინა ელგუჯას.

— პაპიროსს ეწევი?

— არა.

— ქალები არ გიყვარს?.. არ თქვა, არაო. სვამ?..

— ხანდახან, ზომიერად.

— რას ნიშნავს ზომიერად?

— როცა ვვარჯიშობ, საერთოდ არ ვსვამ.

— რას ვარჯიშობ?

— ვჭიდაობ.

— მოჭიდავე ხარ?

— დიახ.

— კინაღამ წავიქეციო, შენ თქვი, არა?.. ჭიდაობის შემდეგ თუ ჭიდაობის დროს?..

— ჭიდაობის შემდეგ... — ისევ გაეცინა ელგუჯას.

— და, მე გიცნობ შენ... მე მგონი, ტელევიზორში გნახე ერთხელ... სპორტი ძალიან კარგია, მაგრამ ეს ახალგაზრდები რატომ არ უფრთხილდებით თავს? მეორედ მოსვლის დღე თუ დადგა და თქვენ გაიგეთ მარტო, ჩვენც გვითხარით, რა მოხდება.

ექიმმა მაგიდიდან რაღაც სფეროსმაგვარი ნივთი აიღო, რომელიც ელგუჯას ადრევე გლობუსი ეგონა. ექიმმა „გლობუსს“ თითი დააჭირა და ხის გარსი საზამთროს ქერქივით გადაიშალა, დაღარული, სისხლისფერი ბირთვი გამოჩნდა. — ეს არის ადამიანის თავის ტვინის მოდელი, — თქვა ჭონქაძემ, თავის ტვინს ხელი გადაუსვა და განაგრძო, — ნათხემებია, ესაა მარჯვენა, ეს — მარცხენა. ესაა მოგრძო ტვინი, არ გაგიგონია, ხომ? აქაა სახის ნერვი, აქ სმენის, მხედველობის, აქ მოხეტიალე ნერვია, ეს არის მენინგეა მედია!

ბოლო ორი სიტყვა ექიმმა ისე თქვა, თითქოს ყვავილთა მეფე ვიქტორია რეგია ახსენა. ელგუჯას ასეთი ჟღერადი სიტყვები ძალიან მოსწონდა. ერთხელ ლექტორმა ქალმა სტუდენტებს შესჩივლა, მოციმციმე არითმია მაქვს და ეს სახელი ელგუჯას ისე მოეწონა, რომ ლექტორის შეშურდა.

— ეს ვენებია... — ლაპარაკობდა ჭონქაძე, — ახლა მე გეტყოდი, რა მოხდა იმ დღეს შენს ტვინში, მაგრამ დაგამახსოვრდება და უარესია; ისე ვატყობ, საერთოდ ადამიანი არაფერი არაა; ა, დახედე, მოჰკიდე ხელი და გათავებულია მაგის საქმე... — ორი თითი მოუჭირა ტვინს ჭონქაძემ, — თავს მოუარეთ, ბაბა, სანამ დროა, მეტი რა გითხრა, რა გასწავლო? — ამ დროს ტელეფონმაც დარეკა და მასპინძელმა მხიარული ლაპარაკი გაუმართა ვიღაცას. ცალი ხელით ტვინს ქერქები შემოუწყო კოხტად.

ელგუჯა გაუნძრევლად იჯდა და უაზროდ ათვალიერებდა მთელ კედელზე დაყოლებულ, წიგნებით დახუნძლულ თაროებს. წიგნები თითქოს უსისტემოდ ეწყო, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ

სხვადასხვა ფერის და სისქის ყდები რაღაც გარკვეული სიმეტრიის მიხედვით ენაცვლებოდა ერთიმეორეს. — ბატონი ემანუილი ხმამაღლა ლაპარაკობდა, იცინოდა, ტელეფონის ყურმილს სან ბეჭზე იდებდა, ხან პირდაპირ ყურზე იჩერებდა ჯამბაზივით.

ელგუჯამ ვიზიტი დამთავრებულად ჩათვალა, კონვერტშია წინასწარ ჩადებული ფული მაგიდაზე დადო, ექიმს თავი დაუკრა და გასასვლელისაკენ დაიხია.

— ჰო, ჰო, მითხარი!.. — იყვირა ყურმილში ემანუილმა და ელგუჯას ხელი დაუქნია, არ წახვიდეო. ელგუჯა მობრუნდა და მაგიდასთან გაჩერდა.

— დამაცადე, დამაცადე... ჩავიწერ! — დაიძახა ექიმმა და ხელები გაასავსავა. ელგუჯამ კალმისტარი მიაწოდა სასწრაფოდ. ექიმმა ყურმილი ბეჭზე ჩამოიდო, კალენდარი გადაფურცლა და საწერად მოემზადა.

— აიღე და ჩაიდევი ჯიბეში! — ხმადაბლა უთხრა ელგუჯას. — ეს, ბატონო... — აიღე, გეუბნები... ჰო, გისმენ, ჰო, გასაგებია, დამაცადე...

ექიმმა წერა დაიწყო. დარცხვენილმა ელგუჯამ ფულიანი კონვერტი უხერხულად ჩაიკუჭა ჯიბეში. ამასობაში ემანუილიც მორჩა ლაპარაკს.

— სად გარბიხარ, კაცო, შენ, წამალი არ გინდა?

— წამალი დამავიწყდა!—გაიღიმა ელგუჯამ და ისევ დაჯდა.

— საქმე ისაა, რომ წამალი მართლა არ გჭირდება, ამა! მაინც გამოგიწერ. ძილის წინ მიიღე! — თქვა მან და ელვის სისწრაფით შეავსო ბლანკი. — — გმადლობთ, — უთხრა ელგუჯამ და რეცეპტი გამოართვა.

— არაფერი არ გჭირს, ჯანმრთელი ხარ, როგორც ორი წლის დაუკოდავი მოზვერი... ახალგაზრდა კაცს ეს რა ფიქრები დაგიწყია... ცოტა ნაადრევი ხომ არ არის შენთვის?... აბა მე რაღა

ვთქვა? „მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქნელია...“ შენი ბორანი მაინც აქეთ მოდის, ჩემი — იქით. მე სულ მალე გავალ გაღმა, ძმაო. „სულს შებრალება იქ არ ექნება, არც სინანული!“ მშობლები ცოცხალი გყავს?

— მამა კი. — სად ცხოვრობს? — მანდიკორში. — კარპატებში?

— მანდიკორში, სოფელია ასეთი...

— ვახ სოფელო... „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი...“ მთელი ცხოვრება ვწვალობდი იმისათვის, რომ უბრალოდ მეცხოვრა: დავსახლებულიყავი სოფლად, მყოლოდა ფუტკარი. მემკურნალა ხალხისათვის... ნეტავი იმდენი ფული მომცა, რომ უბრალოდ ამაწყობია ჩემი ცხოვრება. რისთვის ვიღვწი, რა მაკლია, რაღა მინდა? ფული მაქვს, სახელი მაქვს... რაღა დამრჩა შესაძენი? ერთი მუხის კოსტიუმი მჭირდება მიწაში ჩასაყოლებლად და გათავდა. ხალხს ჩემი სჯერა. გაიხედეთ გარეთ, თუ გინდა, რიგი იქნება დამდგარი. ჰგონიათ, უკვდავების წამალი მაქვს შენახული და ჩემთვის ვერ ვიმეტებ. ხანდახან, რაღა დაგიმალო, და ისე გამკრავს (ექიმმა გულზე ხელი მიიდო), რომ ტანში ჟრუანტელი დამივლის. შვიდ ენაზე ვკითხულობ, თორმეტი აკადემიის ბიულეტენი მაქვს გამოწერილი, ვკითხულობ, ვწერ და მაინც არაფერი არ ვიცი, თანაც სხვებს ვასწავლი. „მივალ, სად მივალ, არ ვიცი!.. საიდან მოველ, — არც ისა!.. მიწისაცა ვარ, ცისაცა; არც მიწისა ვარ, არც ცისა...“ ანდა მერე „...და ველი სულთამხუთავსა შიშით და გულისძგერითა, ამ ჩემგან გაუგებარსა სოფელს ვამთავრებ მღერითა!“ — ასე ყოფილა, ჩემო კეთილო, ასე იქნება, ჩვენ წავალთ, ხე ცხოვრებისა კი არ გახმება არასოდეს. ცოლ-შვილი გყავს?

— არა.

— რას უცდი, რას ელოდები, შეირთე ცოლი, დატოვე კვალი,

გააჩინე შთამომავლობა...

Все быстротечное — символ, сравненье.

Цель бесконечная здесь — в достиженье.

Здесь — заповеданность истины всей.

Вечная женственность тянет нас к ней.

— გამოიარე სხვა დროსაც, თუ გინდა, სათევზაოდ წავიდეთ!

— კი, ბატონო, თუ არ შეგაწუხებთ... — მოდი, როცა გინდა, უკითხავად შემოდი.

ელგუჯა წამოდგა, პროფესორს ბეჭზე აკოცა. ემანუილმა თავზე გადაუსვა სელი:

— ღვინოს ნუ მიეძალები მაინცდამაინც, ნერვებს გაუფრთხილდი, ეს ფიქრები კი ამოირეკე თავიდან როგორმე!

— ექიმი არის, ბატონო? — ხვნეშით ჰკითხა მსუქანმა ქალმა გარეთ გამოსულ ელგუჯას.

— არის, კი...

მოსაცდელში მართლაც რიგი იდგა. ავადმყოფებით იყო სავსე იქაურობა. ღია კართან ნაბდიანი კაცი აყუდებულიყო,

— რომელია მანდ, შემოვიდეს! — ყვიროდა ემანუილ ჭონქაძე.

გახარებული ელგუჯა, თითქოს ნათლობიდან იყო დაბრუნებული, მთელი საღამო ღიღინებდა. ახალი შთაბეჭდილებებით დამძიმებულს ღამით მაინც არ დაეძინა, თუმცა ემანუილის გამოწერილი წამალიც დალია. მერე რა, რომ ჯანმრთელი იყო? მისი ბორანი თუ ტივიც ხომ გავიდოდა ადრე თუ მალე ბოლოში? ნუთუ არ არსებობდა მარადისობა, რა სახითაც უნდა ყოფილიყო იგი. ნუთუ აქ თავდებოდა ყველაფერი. „წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწორებელი“, და მეტი არაფერი? — ემანუილივით მსჯელობდა უკვე იგი. შუაღამე ილეოდა, ერთი პირი ძილი მორეოდა წყალსაც, ელგუჯა კი ისევ თვალებს აცეცებდა და მკრთალად განათებულ კედლებს მისჩერებოდა. გამთენიის ხანს ჩათვლიმა.

Все быстротечное — символ, сравненье.

Цель бесконечная здесь — в достиженье.

Здесь — заповеданность истины всей.

Вечная женственность тянет нас кней.

მოესმა ემანუილ ჭონქაძის ხმა. შემდეგ უჩა მწერლისა და მისი ძმაკაცების სიმღერა გაიგონა; იფიქრა, სუფრასთან ვზივარო, მაგრამ მალე მიხვდა, სადაც იყო. სამაგიეროდ, უფრო მშვიდად ჩაეძინა. დილით გვიან ადგა და ლექციებზე წავიდა. ვესტიბიულში, ხელმარცხნივ ქერათმიანი ქალი დაინახა, რომელიც ზურგშექცევით იდგა სულ მარტო. ელგუჯამ იცნო, ვინც იყო. სხვა კიდევ ვინ იქნებოდა ამ თმისა და მაღალი ყელის პატრონი, შეკრეჭილი თმაც გაზრდოდა. ჟანგიან მაკრატელს კვალიც არ დაეტოვებინა. იგი იდგა მარტო, უცხო და შორეული, როგორც მირაჟი უდაბნოში.

XXXIV

გამოცდები დაიწყო. ინსტიტუტის დერეფნები დილიდან დაღამებამდე სტუდენტებით იყო სავსე. კედელთან გრძელი მერხები იყო მიწყობილი. სტუდენტები, განსაკუთრებით ქალიშვილები, გამოცდებზე ფიქრობდნენ, წუხდნენ, ნერვიულობდნენ; ციტატებსა და თარიღებს იზეპირებდნენ ბეჯითად. საერთო მღელვარება ელგუჯასაც გადასდებოდა, თუმცა ურვა და დარდი არაფერზე ეტყობოდა. დერეფანში, კიბეზე, ხანდახან ეზოში უდარდელად იდგა და მხიარულად საუბრობდა; ლექტორებსაც ტოლივით ელაპარაკებოდა.

— ნეტავი შენ! — უთხრა ერთხელ პირმრგვალმა, მოცინარი სახის გოგომ.

— რა იყო, შე კაი ქალო, რას შემომნატრი! — არაფრის დარდი რომ არა გაქვს, რა კარგია! — რა იცი, შენ, რისი დარდი მაქვს?

— შენ რა გიჭირს, ყველა გიცნობს, ყველა პატივს გცემს... — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გოგომ და ელგუჯას უაზროდ მიაჩერდა. ელგუჯამ თავზე ხელის გადასმა დაუპირა. გოგო დაფეთდა და

მატრიკული გაუვარდა.

— აუ! — შეწუხდა ელგუჯა. გოგომ თითი პირში ჩაიდო და სულ გამოშტერდა. — დააჯექი, ნუ გეშინია! — გაამხნევა ელგუჯამ.

გოგომ მიიხედ-მოიხედა, უცბად ჩაიმუხლა, თვალის დახამხამებაში აიღო მატრიკული, გაიცინა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

თვის ბოლოს უმაღლესის დამთავრების აღსანიშნავად სტუდენტებმა ფული შეაგროვეს და ბელას სახლში იქეიფეს.

დიდ დარბაზში ერთმანეთზე გადაბმული მაგიდები კედლიდან კედლამდე იყო გაშლილი. სტუდენტებს რამდენიმე ლექტორიც ჰყავდათ მოწვეული. სუფრა იწყობოდა.

სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და საუბრობდნენ. ვიღაც პიანინოს უკრავდა. კამათლების ჩხაკუნიც ისმოდა საიდანღაც.

ელგუჯა მუდამ სპორტულ შეკრებებზე და შეჯიბრებებზე იყო გადაკარგული და კურსის ამხანაგებთან დროს იშვიათად ატარებდა. თითქმის არასოდეს არ გაუთენებია ახალი წელი თანაჯგუფელებთან, არ ყოფილა ექსკურსიებზე და შაბათობებზე, სადაც სტუდენტები უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, ვიდრე ლექციებზე.

ელგუჯამ იმ საღამოსაც დაიგვიანა. აღარავის ეგონა, სუ მოვიდოდა. მხოლოდ ბელა გრძნობდა, რომ ნანატრი სტუმარი სადაც იყო შემოაღებდა კარს და არც შემცდარა.

— ელგუჯა! — თქვა მან, როცა ზარმა გაბმულად დარეკა.

ელგუჯას დანახვისას დარბაზში ისეთი ჟრიამული ატყდა, რომ სტუმარი შეცბა, თუმცა არ დაბნეულა და აღტაცებულ, ნახევრად ირონიულ შეძახილებსაც არ დაუცია თავზარი. მასპინძლებმა, ბელას მშობლებმა და ახლო ნათესავებმა, მოურიდებლად შეათვალიერეს ახლად გამოჩენილი ადამიანი და ჩათვალეს, რომ ეს ტანადი, ახალ კოსტუმში და წითელ პერანგში გამოწყობილი ახალგაზრდა ამ პატივისცემას სავსებით იმსახურებდა.

ელგუჯას მოსვლა და სუფრაზე დასხდომა ერთი იყო.

მაგიდის ბოლოში ჩურჩული ატყდა. ვიღაცამ ელგუჯას დაუძახა. აქეთ ხომ არ გადმოჯდებოდითო. აქაც კარგადა ვარ, უპასუხა ელგუჯამ. მიხვდა, თამადად ირჩევდნენ და აღელდა. სმა რომ შესძლებოდა, ნამდვილად არ იტყოდა უარს, რადგან სიმღერა და ცეკვა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა და ჩრდილში ყოფნაც არ უნდოდა.

დაბალი, ჯმუხი ბიჭი, რომელიც თვითონ აპირებდა ტოლუმბაშობას, მაგრამ ელგუჯას გამოჩენისთანავე ოფიციალურად მოხსნა თავისი კანდიდატურა, წამოდგა და ელგუჯა ადღეგრძელა, — ამ სუფრას შენ უნდა გაუძღვე უეჭველადო. ეს წინადადება ყველას მოეწონა და ჯმუხ ბიჭს მხარი აუბეს. ბიჭი იმითაც კმაყოფილი დარჩა, ქეიფის დასაწყისშივე სუფრის ყურადღება რომ მიიპყრო.

ელგუჯამ თამადობაზე მართლაც უარი განაცხადა, მაგრამ გვიანი იყო. მთელი სუფრა, მათ შორის ლექტორებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, ელგუჯა ჩვეულებრივ თავპატიჟს იდებსო, უკვე მის სადღეგრძელოს სვამდნენ.

ლექტორები შუაღამისას წავიდნენ. ჭაღარა დოქტორმა, რომელიც კიდევ ახალგაზრდობდა და ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდა, წასვლისას ელგუჯა გვერდზე გაიხმო და უთხრა: აბა, შენ იცი, ბავშვებს კისერს თუ არ მოტეხავო, შენდენი და ჩემდენი, მაგათ სად შეუძლიათო.

უფროსების წასვლის შემდეგ სუფრა მალე აირია. ვიღაცამ მაგნიტოფონი ჩართო. ყველანი დაწყვილდნენ და შემდეგ სუფრა კარგა ხანს აღარავის გახსენებია.

ბელა სულ ელგუჯასთან ცეკვავდა. ტანსრულ ქალს მოშიშვლებულ გულ-მკერდზე და მკლავებზე კუნთის ნასახი არ აჩნდა, გამხდარ ფეხებზე კი წვივიდან კოჭამდე ორი ძარღვი დასჭიმოდა ლარივით. იგი ყველაზე მსუბუქად, რბილად ცეკვავდა და მშვიდად სუნთქავდა მამაკაცის მკერდთან.

მორიგი ცეკვის დროს ბელა და ელგუჯა, უნებურად თუ შემთხვევით, ცარიელ ოთახში აღმოჩნდნენ, ქალი უმიზეზოდ იცინოდა, ცეკვით თუ ღვინით გაბრუებული თითქოს ფეხზე ვერ დგებოდა. ელგუჯამ ხელი მოჰკიდა, ტახტზე დავსვამო, იფიქრა. ბელა კი კისერზე მოეხვია და ტუჩებში დააცხრა გახელებული. დაუზოგავად კოცნიდნენ ისინი ერთმანეთს, როცა ოთახში სულ სხვა წყვილი შემოხეტიალდა. ქალი გვერდზე გახტა და ისევ უმიზეზო სიცილი დაიწყო.

ბოლოს და ბოლოს ისევ სმა გაგრძელდა და ელგუჯამ ბელა ვეღარ დაიმარტოხელა. წესრიგი მოადგილეების ინიციატივით აღდგა. ფაქტიურად სუფრასაც ისინი განაგებდნენ უკვე. ელგუჯა ახალ-ახალ სადღეგრძელოებს იგონებდა, ჭიქებს აპირქვავებდა და სხვა რას სვამდა და რას აკეთებდა, სულ არ აინტერესებდა; თვალი ბელასაკენ ეჭირა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაიშლებოდა ეს თავყრილობა. ვიღაცამ უზარმაზარი ყანწი შემოიტანა. ამით ესა და ეს სადღეგრძელო დალიეო, უჩურჩულა მოადგილემ. ელგუჯამ იფიქრა, ახლა მართლაც ამის დროაო და ყურადღება მოითხოვა, მაგრამ, ეტყობოდა, მოადგილეს ნათქვამი ვერ გაიგო კარგად, რადგან სულ სხვა რაღაც წამოიწყო, თუმცა ამას უკვე აღარც ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა; ყანწი დაცალა და მეორე მოადგილეს ესროლა.

ყანწმა სუფრა მოკლა. ბევრს კისერი მოსტეხა. უმრავლესობა დაფრთხა და გაიპარა. სუფრა აირია, აიშალა კიდეც. ელგუჯამ ფეხი აითრია, მაგრამ ბიჭებმა ძალით გაიყვანეს გარეთ. თენდებოდა. ვიღაცამ მანქანა გააჩერა, ჩასხდნენ და სახაშეში წავიდნენ..

დიდი, ჩაბურული დარბაზი ხალხით იყო სავსე. გამოუძინებელი ადამიანები მთქნარებით ილუკმებოდნენ. ელგუჯას სული შეუგუბდა, თავბრუ დაეხვა. ამ წუთას შემოვალო, თქვა და გარეთ

გავიდა. სუფთა ჰაერზე ოდნავ აბანცალდა, ხელი ხეს წაატანა. მალე მანქანაც გააჩერა და ბელას სახლში მიბრუნდა, გაუფრთხილებლად შეაღო ბინის კარი და იქვე შედგა.

ქალები სუფრას ალაგებდნენ. ბელა არსად ჩანდა. ბელას დედა და ბელას სამი მამიდა მკლავებდაკაპიწებულები საქმიანობდნენ. ელგუჯა ამ სურათს არ ელოდა. კარში გახიდული აცეცებდა თვალებს და ადგილიდან არ იძროდა.

— მობრძანდით, გენაცვალე! — გაუღიმა მსუქანმა, ლამაზმა ქალმა.

ელგუჯა ოთახში შევიდა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ქალები) იღიმებოდნენ, წინასწარ იმშრალებდნენ წინსაფარზე მკლავებს.

— უნდა მოგეხმაროთ! — განაცხადა ელგუჯამ. ამ წინადადებაზე ქალები დაიბნენ.

— ამისათვის შენ როგორ შეგაწუხებთ, შვილო! — სერიოზულად უთხრა ერთმა.

— რა შეწუხებაა, როგორ გეკადრებათ, აბა, მეტი რაში გამოვადგებით) ერთმანეთს!

ლაპარაკობდა ელგუჯა და ქალებს ათვალიერებდა. ერთი მათგანი ბელას დედა იყო, მაგრამ კერძოდ რომელი, ელგუჯამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, თუმცა რამდენიმე საათის წინ ამ ქალის სადღეგრძელო დიდის ამბით შესვა.

შინაურებზე ელგუჯამ იმ ღამითაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მასპინძლებს გაუხარდათ კიდეც, უკან დაბრუნებული რომ დაინახეს.

— მოდი, გენაცვალე, აგერ დაჯექი! — უთხრა ერთმა ქალმა და სუფრის ბოლოში სკამი დაუდგა.

— ჯერ თქვენ დაბრძანდით, ქალბატონო! — იუარა ელგუჯამ და სხვა სკამი მოიტანა.

ბელას მამიდა მართლაც დაჯდა. საიდანღაც სიგარეტი დააძრო და გააბოლა. მუშაობა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა და ახალი ადამიანის გამოჩენა ძალიან გაუხარდა.

ელგუჯა ქალს რაღაცას უყვებოდა. გრძნობდა, სისულელეებს რომ ლაპარაკობდა და უკვირდა, რა სერიოზულად მისმენსო. ამასობაში ბელას დედამ გოჭის თავი მოიტანა.

— ეს თამადას! — თქვა მან.

— მჭრელი დანა მომიტანეთ! — მოითხოვა ელგუჯამ. მისცეს. დანა მოიმარჯვა და გოჭის თავს დააჩერდა საქმიანად.

დარბაზში ბელა გამოვიდა. პერანგზე დაფოთლილი ხალათი მოეცვა, თმა ასწეწოდა და ელექტრონის შუქით შეწუხებული თვალმოჭუტული მოდიოდა.

— ადექი, დედა? — ჰკითხა ქალმა, რომელმაც გოჭის თავი მოიტანა.

— არ დამეძინა მაინც! — ჩაილაპარაკა ბელა. — ნაცნობი სმის გაგონებაზე ელგუჯა მოტრიალდა, ამას ვის ვხედავო, დაიძახა და დანა მაგიდაზე დადო.

— რა ამბავში ხარ, ბიჭო, შენ, რა დაგემართა! — გაიღიმა ბელამ.

— ძილი ხომ არ დაგიფრთხეთ, უკაცრავად!

ბელამ ისევ გაიღიმა და ხელით თმა გაისწორა. ელგუჯამ განაცხადა, მე და ბელა და-ძმანი ვართო და მკლავი მოხვია. კარგა ხანს ამტკიცა, როგორ დასავით უყვარდა ამ ოჯახის სასახელო, ულამაზესი და უჭკვიანესი ქალიშვილი.

ბელა ამდენი ქება-ალერსით შეწუხდა და ხელი ფრთხილად მოიშორა. თუ ასეა, პიანინო დამიკარიო, სთხოვა ელგუჯამ. ბელას ბევრი ხვეწნაც არ დასჭირვებია. მრგვალი სკამი გამოსწია და პიანინოს მიუჯდა. სახეზე ხელები ჩამოისვა, ამოიოხრა.

— შოპენი! — შეუკვეთა ელგუჯამ. — ზეპირად არ მახსოვს, — არა აქვს მაგას, მნიშვნელობა...

ბელამ რამდენიმე ნოტი გადაფურცლა უხალისოდ. ერთი გაშალა და წინ დაიდო. წყნარად დაუკრა. ელგუჯამ იდაყვი მაგიდის კიდეს ჩამოადო, ხელისგულზე ნიკაპი დააბჯინა და თვალები მილულა. თანდათან ჩაიძირა უსაზღვრო ოცნებაში და ჩაეძინა კიდეც.

როცა ელგუჯამ ივალი გაახილა, ესე უკვე პირდაპირ ოთახის ფანჯრებზე იყო მომდგარი. პირველად ჭერს შეხედა, მერე კედლები და ავეჯი შეათვალიერა. თავი სტკიოდა, პირი უშრებოდა. ძირს დაიხედა. იატაკზე, ზედ სასთუმალთან, უზარმაზარი, ცარიელი ალუმინის ტაშტი დაინახა და ყველაფერს მიხვდა. გაახსენდა, როგორ იქეიფა წუხელ, როგორ წავიდა ხაშზე და ისევ უკან მობრუნდა. ადგომა დააპირა, ისევ ტაშტს შეავლო თვალი. წინდახედულ მასპინძლებს, ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ესეც გაეთვალისწინებინათ.

ფრთხილად ადგა, სწრაფად ჩაიცვა, ჩამიჩუმი არ ისმოდა არსაიდან. მოშუადღევებულიყო, მაგრამ ღამენათევ მასპინძლებს, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ღრმად ეძინათ.

ელგუჯამ მოღიავებულ კარში შეიჭვრიტა. გრძელ, მოსუფთავებულ მაგიდაზე გორა-გორად ეწყო ემალის გობებზე დალაგებული თეფშები. ელგუჯამ ცოტა ხანს იწრიალა, როცა კაციშვილი ვერ დალანდა, ფეხაკრეფით მიადგა გასასვლელს და გარეთ გავიდა. ქუჩაში გრილი, სუფთა ჰაერი იკრა, თავი სამშვიდობოს დაიგულა და გუნებაც გამოუკეთდა, თუმცა შუბლი და კეფა ისე დამძიმებოდა, თითქოს რკინის სალტე ჰქონოდა შემოჭერილი..

ცხელოდა. გამვლელ-გამომვლელი ჩრდილს ეფარებოდა. კუთხეში ბურახს ყიდდნენ. რა დღე იყო ან რა დრო, ელგუჯა არ იცოდა და არც აინტერესებდა. მიდიოდა და ისევ წუხანდელ ამბებს იხსენებდა. სიცხემ შეაწუხა, მოითენთა, სუნთქვა გაუჭირდა და შეჩერდა. „ასე ვასრულებ ექიმის დარიგებას, ეს მასწავლა ჭონქაძემ?!“ — გაიფიქრა მან. შიშმა აიტანა. უსიამო ფიქრს აჰყვა.

არ წავიქცეო, იფიქრა. ბედად ცარიელმა ტაქსმა ჩამოიარა. მან-ქანა გააჩერა და შიგ ჩაჯდა.

XXXV

ყველა ოჯახს საკუთარი დარდი აქვს. გარედან მაყურებელი (თუნდაც ფანჯრიდან მაცქერალი) ვერაფერს გრძნობს, თავისი სატირალი ჰყოფნის და სხვაგან სიმშვიდე და ბედნიერება ჰგონია.

არაფერი მოულოდნელი და ახალი ბადრი კილაძის ოჯახში არ ხდებოდა. უხმაუროდ მიჰყვებოდა დღე დღეს. სახლში ხშირად აუტანელი სიმშვიდე ისადგურებდა. თითქოს სუნთქვა ჭირდა, თითქოს ყველაფერი გაუგებრობის ბურუსში ეხვეოდა თანდათან. ბადრი ამ სიჩუმეს ვერ უძლებდა. მოთმინება ელეოდა. ერთ დღეს ცოლს უთხრა, მუშაობას თავი უნდა დაანებოო. დალი ამ დროს კარადაში ჭურჭელს ალაგებდა. უკანასკნელად გაიწკარუნა ბროლის ჭიქამ და ყველაფერი დადუმდა. გარკვევით მოისმა კედლის საათის ხმა. ქმარი, თუკი იგი სერიოზულად ლაპარაკობდა, შეუძლებელს მოითხოვდა და პასუხის გაცემაც უაზრობა იყო. ბოლოს ქაღალდმა გაიშრიალა. ეტყობოდა, ბადრიმ გაზეთი გაშალა. დალი ისევ საქმეს მიუბრუნდა. ფრთხილად ადებდა თეფშს თეფშზე,

ჭიქას ჭიქას არიდებდა, გაწკარუნებისაც ეშინოდა.

იმ დღეს მეტი აღარაფერი უთქვამთ. ამ თემაზე ბადრის საერთოდ აღარ მოუბრუნებია ენა, მაგრამ იგი უფრო და უფრო უცნაური ხდებოდა. თუკი ადრე, ციხეში ჩაჯდომამდე, ახლად შერთულ ცოლს არაფერს ეკითხებოდა, თავისას არ ამხელდა, სხვისი არ ედარდებოდა, ახლა რატომღაც საშინლად დაინტერესდა ცოლის ცხოვრებით. დაუფარავად ადევნებდა თვალს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). პომადიდან დაწყებული, საცვლებამდე აკვირდებოდა. ეკითხებოდა:

სად იყავი, სად მიდის, როდის მოხვალ და დაწვრილებით პასუხს მოითხოვდა. დასაფარავი დალის იმხანებში მაინც აღარაფერი ჰქონდა და სიმართლეს ლაპარაკობდა, თუმცა იქვე ხვდებოდა, რომ ქმარს არაფერი სჯეროდა.

დალის ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. თავის მართლება ცამდე მართალსაც არ შეეძლო. იცოდა, არ ტყუოდა და ქმარს თვალს ვერ უსწორებდა. არაფერს მალავდა და მაინც ეშინოდა. გარეთ გასულს კი ყოველგვარი უსიამოვნება ავიწყდებოდა და ხანდახან ისე გამხიარულდებოდა, რომ უფრო უდარდელი ადამიანი ძნელი წარმოსადგენი იყო.

ბადრი ხვდებოდა, ცოლს რომ სახლს სამსახური ერჩია. დარწმუნებული იყო, დალი რომელიღაც ლექტორს უყვარდა და თუ მოსახდენი არ მომხდარიყო, აუცილებლად მოხდებოდა, თუკი რამეს არ იღონებდა. ხანდახან იგი ცოლის საზოგადოებასთან დაახლოებას აპირებდა, უნდოდა დალის ჭკუის გამხდარიყო, მაგრამ ორივენი ხვდებოდნენ, რომ არაფერი გამოდიოდა. საშველი არ ჩანდა. ცოლმა იცოდა, ქმარმა რომ სამსახური ტყუილად არ წამოაყვედრა. ადრე თუ მალე კატეგორიულად მოითხოვდა ბრძანების აღსრულებას.

ერთხელ ისინი მარტო ისხდნენ დიდ ოთახში. დალი მეცადინეობდა, მაგიდაზე რამდენიმე ლექსიკონი ჰქონდა გადაშლილი.

უცხო ტექსტს ჩაჰკირკიტებდა, სიტყვას ფესვამდე მიჰყვებოდა და სხვა არაფერი ახსოვდა. ხანდახან სიტყვები ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ და იკარგებოდნენ. დალი ამ დროს ქაღალდების ნაკუწებით იწყებდა თამაშს.

დალიმ ნაკუწებს სული გაუბერა, მაგიდას ხელი გადაუსვა, გვერდზე გაიხედა და გაოცებული თვალებით მიაჩერდა ქმარს, მისგან რომ ზურგშექცევით იჯდა და სპორტულ გაზეთს კითხულობდა. დალი კარგა ხანს უყურებდა ბაზრის განიერ ბეჭებს.

— მუშაობას მე თავს ვერ დავანებებ! — თქვა მოულოდნელად მან.

გაოცებულმა ბადრიმ გაზეთი დაკეცა და ცოლს შეხედა.

— ამდენი ტყუილა ვისწავლე და ვიწვალე, ასპირანტურა ტყუილად დავამთავრე?.. ძლივს საათები მომცეს, ამ საათებს წლობით ელოდება ხალხი... ამისათვის მოვიკალი თავი, რომ შინ დავჯდე??

— ბავშვები მოამზადე, მართალია, ამზადებ, მაგრამ კიდევ დაიმატე, ისედაც გეხვეწებიან. მე შენთვის ვლაპარაკობ. დისერტაციაზე იმუშავე ინტენსიურად, მე ხელს შეგიწყობ.

— სულ ორჯერ-სამჯერ მივდივარ ინსტიტუტში; შინ რომ დავჯდე, სამუშაოს შემდეგ ვეღარ გამოვძებნი, ხელფასი ხომ მინდა, სხვა თუ არაფერი... ^

— შენი შემოტანილი ფული არ მჭირდება... ჯერჯერობით, მე მგონი, არაფერი გაკლია, მერე მუშაობასაც ვიწყებ, კარგად იცი... — წყნარად თქვა ბადრიმ და გაზეთი ფანჯრის რაფაზე შემოდო; კარგად დაიმახსოვრა, სად შეჩერდა და გადაწყვიტა, ბოლო წერილს თავიდან წავიკითხავ, რადგან დასაწყისი უყურადღებოდ ჩავათვალიერეო..

— იქნებ შენ მოკვდი, სულ მშობლებს ხომ არ შევაჩერდები? — იკითხა დალიმ.

იქნებ დაგიჭირონო, უნდოდა ეთქვა, ვერ გაბედა, მოიხათრა

და უარესი გამოუვიდა.

— სიკვდილს არ ვაპირებ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით... შეიძლება გინდა, მაგრამ არ ვაპირებ!.. — აუღელვებლად თქვა ბადრი.

— მე არაფერი არ მინდა... — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა დალიმ.

ბადრი წამოდგა და ოთახიდან გავიდა. მალე ჩაცმული შემობრუნდა. სიგარეტის კოლოფი და გაზეთი, ფანჯრის რაფაზე რომ დატოვა, ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. ღმერთმა იცოდა — სად. იგი მთელი კვირით გადაიკარგებოდა ხოლმე. სამუშაოს თაობაზე ვიყავიო, იტყოდა დაბრუნებისას. ასეთ უსაშველო ადგილზე სად ეწყობოდა ანდა ღამეს სად ათევდა, დალიმ არ იცოდა, არც იძიებდა, ქმარს ესეც აღიზიანებდა.

ბადრის კი, სადაც უნდა წასულიყო, რაც უნდა შეეცოდა და სული წაეწყმიდა, ყოველთვის ცოლი ახსოვდა. ცოლი რომ ასე არ ჰყვარებოდა, არც გაწვალდებოდა. სწორედ ახლა მოუნდა გაეგო, რას აკეთებდა დალი, როცა თვითონ ციხეში იჯდა. ეს უნდა გაეგო მარტოს, დამოუკიდებლად; სხვისი დახმარებითა და გამოკითხვით ვერ დაიმცირებდა თავს, მაგრამ რადაც უნდა დასჯდომოდა, ჭეშმარიტება უნდა დაედგინა. გრძნობდა და იცოდა კიდეც, საზიზღრად რომ იქცეოდა, მაგრამ თავის შეკავება არ შეეძლო.

ხანდახან ბადრი მთლიანად შეიცვლებოდა. გულახდილი და გულუბრყვილოც კი ხდებოდა. ცოლს მომავლის გეგმებს უზიარებდა, რომელშიც ყველაზე მეტად თვითვე იყო დაეჭვებული. დალი ყურადღებით უსმენდა, გულწრფელ რჩევა-დარიგებებს სთავაზობდა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ არაბუნებრივად იქცეოდა, რაღაცას ტყუოდა. ამ დროს თავი სძულდა.

ერთ დღეს ბადრი დაფიქრებული იდგა ფანჯარასთან, ხელები ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. გარეთ გადაუღებლად წვიმდა და მუხლები სტეხდა. ზამთრობით და ნესტიან ამინდში იგი ფეხებს

იტკიებდა. ციხის სინოტივეს და სიგრილეს მაინც დაეჩინა თავისი კვალი.

— ბავშვი უნდა ავიყვანოთ! — უთხრა მან ცოლს.

დალი გაშრა, გახევდა. ამ საკითხზე საუბარს გაურბოდა ყველაზე მეტად. უნაყოფობის შეგრძნება აწუხებდა და აწვალება. მათი ცოლქმრული უბედურების მიზეზთა მიზეზზე არ უნდოდა ეფიქრა. ქმარი გულწრფელობით ვერ დაიკვეხნიდა, როცა ამ სიტყვებს ამბობდა. ისე როგორც დალი, არც ის იყო დარწმუნებული, რომ სხვისი შვილი შეავსებდა იმ სიცარიელეს, ასე თვალნათლივ რომ იკვეთებოდა დღითი დღე. ადრე თუ მალე ბავშვის აუცილებლობა ამოყოფდა თავს, მაგრამ ამ დღეს იქით. და იქით სწევდა შეგნებულად. ახლაც დალის მეუღლის უპირველესი მოვალეობა შეახსენა, რათა თავისი უპირატესობისათვის თუ ღირსებისათვის (ამაში ღრმად იყო დარწმუნებული) ხაზი გაესვა.

— ჩვენ არა ვართ ამისათვის ჯერ მზად! — თქვა დალიმ გარკვევით.

ბადრიმ რამდენჯერმე გაიმეორა: ამიხსენი, რას ნიშნავს, ჯერ არა ვართ მზადო, მაგრამ ცოლს მეტი ვეღარაფერი დააცდენინა. ზუსტად და კონკრეტულად დალისაც არ ესმოდა თავისი ნათქვამი, თუმცა ორივესთვის ყველაფერი გასაგები იყო.

XXXVI

ელგუჯამ მუშაობა დაიწყო ჟურნალ „ნიამორში“ ლიტმუშაკად. ჟურნალის რედაქტორი გამეცადინდა, თორემ ისედაც გაბერილ შტატში ადგილის ამოქექვა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ელგუჯას პირველად სპორტული განყოფილების (რომელიც არ არსებობდა) უფროსი შეარქვეს, მაგრამ მალე ეს წოდება ყველამ მიივიწყა და ელგუჯასაც აღარავისთვის შეუხსენებია ადრინდელი თანამდებობა, თუმცა სპორტულმა მასალებმა ბოლოს მაინც მასთან მოიყარა თავი და უკანასკნელ ორ ნომერში საინტერესო სპორტული ინფორმაცია და ერთიორი ამისდამაგვარი ინტერვიუ დაიბეჭდა. საქმე მაინც მალე დაილია. მიუხედავად ამისა, პუნქტუალურად ცხადდებოდა ყოველდღე სამსახურში, თითქმის ყველაზე ადრე და მიდიოდა დღის ბოლოს, თუკი რაიმე გადაუდებელ საქმეს არ გადაეყრებოდა. წყნარად, მორჩილად იჯდა მაგიდასთან, ისე იქცეოდა, თითქოს სამუდამოდ აქ მკვიდრდებოდა. სინამდვილეში, მარტო ამის გაფიქრება ზარავდა. აქ დრო არ იძ-

როდა, არაფერი ახალი, მოულოდნელი არ ხდებოდა; შეუმჩნევ-ლად მეორდებოდა ყველაფერი და შემდეგ ისევ თავიდან იწყებო-და.

ჟურნალის თანამშრომლები: ნიჭიერი პოეტები და მწერლები, რომლებიც შეიძლება ითქვას, სამართლიანადაც დასცინოდნენ, აგინებდნენ ავტორებს, ერთმანეთს და ხშირად თავის თავსაც, ელგუჯას პატივს სცემდნენ. მის გარეშე ჭიქა ღვინოს არ წაუქცევ-დნენ. თავს; უელგუჯოდ არ აკეთებდნენ არაფერს კარგს და ცუდს, რასაც, ასე თუ ისე, კოლექტიური ხასიათი ჰქონდა.

ერთ დილას სამი ნიამორელი თავპირდასიებული გამოცხად-და სამსახურში. დღისით, მზისით გაელახათ ხულიგნებს. ელგუჯა იმავე საღამოს მოიძია დამნაშავენი, რომლებიც ცამდე მართლე-ბი აღმოჩნდნენ. გაოცებულმა პირში ენა ვეღარ მოაბრუნა, თუმცა იმ უბნის ბიჭებმა შეწუხებისათვის მაინც ბოდიში მოუხადეს. ბო-ლოს თანამშრომლებმაც აღიარეს ყველაფერი და ეს უპრეცედენ-ტო ინციდენტი (ასე მონათლეს ეს შემთხვევა) კარგა ხანს ვერ და-ივიწყეს.

მზე გადაიხარა თუ არა, ოდნავ აგრილდა. მაღალი ჭადრების ჩრდილი დაეფინა ფილაქნებს და ქვის სახლების ფასადებს. კვი-რა დღე იყო. რუსთაველის პროსპექტზე უკვე ხალხი სეირნობდა.

ელგუჯა სასტუმრო „თბილისის“ წინ იდგა. ხელში ძეწკვზე ას-ხმული მანქანის გასაღები ეჭირა. გადასასვლელთან მოქალაქე-ნი შეჯგუფულიყვნენ. პროსპექტის ცალი მხარე ჩაეკეტათ და მოძ-რაობა ჭირდა. მღებავები თეთრი ოლიფით ფეხოსნებისათვის გა-დასასვლელზე ასფალტს აჭადრაკებდნენ. ორი მუშა პრიალა ლი-თონის კონუსებს აჭდობდა გახურებულ გუდრონში. ერთი, დაბლა რომ დაცუცქულიყო, წინასწარ დანიშნულ ადგილზე მარწუხით ფრჩხილებიან კონუსს ამაგრებდა, მეორე — უზარმაზარ ურიოს იქ-ნევდა და რკინას რამდენიმე დარტყმით აბრტყელებდა. ჩაცუც-

ქულს სულ არ ეშინოდა ურoსი, ზედ ცხვირთან ზუილით რომ ჩაუქროლებდა ხოლმე.

დასიცხული ხალხი ზანტად უყურებდა ამ სურათს. სუსტი ნიავი უბერავდა, მაგრამ ადამიანები გადაშუადღებას კიდევ უფრო მოთენთა. გამვლელები ჩერდებოდნენ, მოძვრებოდნენ სულ წინ, საქმიანად უყურებდნენ მუშებს და ცოტა ხნის შემდეგ იმედგაცრუებულნი ტოვებდნენ იქაურობას. წელზევით შიშველი, ტანაელვარებული კაცი კი გამეტებით იქნევდა ურoს და შიგ შუაგულში ახვედრებდა კონუსს, გაბმულად და ყრუდ აჟღრიალებდა.

— ერთი კიდევ! — ეძახდა მეორე.

„ჰგონიათ, რომ ეს კაცი ურoს ამხანაგს დაარტყამს თავში და ამიტომ იცვლიან!“ — მისვა ელგუჯა და ამ სურათს თვალი მოაშორა. ჩანდა, დანარჩენებსაც გაუცრუვდათ იმედი. რამდენიმე კაცმა ერთდროულად დატოვა იქაურობა. ცდას აზრი აღარ ჰქონდა. იოლი მისახვედრი იყო, რომ არაფრით ერთი მეორეს ურoს არ ლეწავდა.

ელგუჯას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად უნდა წასულიყო, ეს უქმე დღე როგორ უნდა გაელია. ცოტა ხნის წინ მთამსვლელი ბიჭები რესტორანში ექაჩებოდნენ, თითო ბოთლი დავლიოთო, მაგრამ „ამ თითო ბოთლს“ რა მოჰყვებოდა, კაცმა არ იცოდა. მით უმეტეს, როცა მთამსვლელებს უჩა მეწლე ახლდათ და ფაქტიურად ის უნდა ყოფილიყო ამ წამოწყების მეთაურიც. კაცს ველოდები და მალე მოგაკითხავთო, დაიჟინა ელგუჯამ, თორემ ასე იოლად ვერ გადარჩებოდა.

— არ გვაცდევინო! — დაიძახა უჩა მეწლემ და მთამსვლელებს თამამად შეუძღვა, თუმცა არაფერი საერთო ალპინიზმთან არ ჰქონია და, კაცმა რომ თქვას, არც დანარჩენები მიდიოდნენ მწვერვალის დასაპყრობად. ,

შევიდე, არ შევიდე. მარჩიელობდა ელგუჯა. მარტო უჩა მეწლის მასხრობა რად ღირდა, მაგრამ ღვინის დანახვა არ შეეძლო.

წასასვლელი იყო წლისთავზე, სხვა წვრილმანი, თითქმის გადაუდებელი საქმეებიც აწუხებდა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა. არსად არ მიუხაროდა, არაფერი არ ახალისებდა. ჰორიზონტზე ალფეზა მაჩაბელი გამოჩნდა. შორიდან გამოჩნდა და გაქრა მისი მაღალი კისერი და თმაშეთხელებული თავი. სულ მალე შიგ სასტუმროს კარში გაეჩხირა. ელგუჯას მოერიდა და საიდანღაც მოუარა. გასუქებულიყო, ხანდატყობილი და გამტყდარი ჩანდა. კარში გახიდულმა ალფეზამ ძლივს აუარა უცხოელებს გვერდი. ელგუჯამ დამცინავი მზერა გააყოლა თან.

ვიღაცამ დაუძახა. ტროტუარზე ბელა იდგა და ღიმილით იხედებოდა.

— ოჰ! — წამოიძახა ელგუჯამ, გონს გადაალაჯა ის ბელა გადაკოცნა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ქალმა. — არა მიშავს, შენ რას შვრები? — კარგად, გმადლობთ... — უმიზეზოდ გაიცინა ბელამ.

ბელას დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და, ისედაც ტანმორჩილი, ქვემოდან შესციცინებდა დიდი ხნის უნახავ ამხანაგს.

— სად დაიკარგე, რატომ ჩვენთან არ გამოიარე? — კითხულობდა იგი.

„როდის დავდიოდი მე ამათთან!“ — გაიფიქრა ელგუჯამ, გაიცინა და თქვა: იმ დღეს ისე დავთვერი, გახსენება არ მინდაო.

— დიდი ამბავი, — გაიღიმა ბელამ, — დედაჩემი ხშირად გახსენებს.

— დედაშენი კარგი ქალია! — უადგილოდ უპასუხა ელგუჯამ:

— დედა წყალტუბოში წავიდა.. — რას ლაპარაკობ, ხომ არ გათხოვილხარ? — არა ჯერ... — გაიცინა ბელამ.

ოჯახურ საკითხებს ელგუჯა აღარ მიბრუნებია. ბელას უთხრა, მანქანით წაგიყვანო, მაგრამ ქალმა ფეხით გავლა ამჯობინა. ბელა მიდიოდა და სულმოუთქმელად ლაპარაკობდა. ახსენებდა

კურსის ამხანაგებს, ლექტორებს, მასწავლებლებს. მთელი ფიქრით და გონებით ისევ უმაღლესი სასწავლებლის გარშემო ტრიალებდა. მაშინ, როცა ელგუჯას ამ შენობასთან, იქ გატარებულ წლებთან თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოგონება აკავშირებდა და არასოდეს ბელას სადარ ფიქრებს იგი არ შეუჭირვებია. ამ საუბარში ელგუჯას შაბათ). წამოეწია. ვინ დაარქვა ამ კაცს შაბათა, ან მისი ნამდვილ სახელი როდის და რატომ მიივიწყეს, ელგუჯამ არ იცოდა შაბათას ტილოს თეთრი ქუდი ჰქონდა იღლიაში ამოდებულ და კედელ-კედელ მოდიოდა. ელგუჯას მისჩერებოდა, მაგრამ ასლო მისვლას არ აპირებდა. ელგუჯამ შემთხვევით დაინახა. და ხელით ანიშნა, სად მიდიხარო.

— სალამი! — თავაზიანად მოიხარა წელში შაბათა და ბელას ცალი თვალით გადახედა.

— უჩა „თბილისშია“, — უთხრა ელგუჯამ..

შაბათა ცივად შეტრიალდა და რესტორნისაკენ გაქანდა.

— კინოში ხომ არ შევიდეთ? — ფრთხილად ჰკითხა ელგუჯამ ბელას.

— დაწყებული იქნება! — აფიშა შეათვალიერა ბელამ.

ეს სიტყვები თანხმობას ნიშნავდა და ელგუჯა, რომელსაც სულ არ ეკინოვებოდა და ასე სასხვათაშორისოდ წამოსროლილ სიტყვას თუ ვინმე ფასს დაადებდა, არ ეგონა, სახტად დარჩა, თუმცა არაფერი დასტყობია და გამოკეტილი სალაროს წინ წამსვე გაიჩინა ორი ბილეთი.

— ზედმეტი ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა ვიღაცამ.

— არა, არა მაქვს... — ჩაილაპარაკა ელგუჯამ და ქალი წინ გაუშვა.

ბელა კინოშიც გატაცებით ლაპარაკობდა. ელგუჯა ხელზე ხელს ჰკიდებდა ფრთხილად. ბელა თითებს იშორებდა და ისე სულისმოუთქმელად ლაპარაკობდა, თითქოს ის ხელი ელგუჯასი არ ყოფილიყო.

— მართლა, მოდი რა ჩვენთან! — სთხოვა ბელამ ელგუჯას ფილმის დამთავრების შემდეგ.

— მოვალ, ვნახოთ... — დაჰპირდა ელგუჯა, — ისე, შენც რომ გამოიარო, კი არაფერი გიჭირს!

— მე არ ვიცი შენ სად ცხოვრობ? — არ იცი და გასწავლი...

ელგუჯამ მისამართი უთხრა და ტელეფონის ნომერიც დაუტოვა, მაგრამ იმ დღის შემდეგ ბელა აღარ გამოჩენილა.

XXXVII

აგრილდა. გულისგამაწვრილებელი წვიმები დაიწყო. წვიმდა ყოველდღე, გადაუღებლად. ტროტუარზე წყალი წვეთავდა. საწვიმარმოსურული ავტოინსპექტორები მოწყენილები იდგნენ გზაჯვარედინებზე. მანქანები დახშუოდნენ მოურიდებლად. შხეფებისაგან დაფეთებული მოქალაქენი ქვაფენილებზე ხტებოდნენ ან ერთმანეთს ეფარებოდნენ. გამოდარებას არ აპირებდა.

დალი უმიზეზოდ შინიდან ფეხს აღარ იცვლიდა. სამუშაო.. დანაც დროზე ბრუნდებოდა, მაგრამ ქმარი მაინც უნდოდ უყურებდა. ქალი იძულებული იყო უკვე, ტყუილები ელაპარაკა, მაშინ, როცა არაფერში ეს სიცრუე არ სჭირდებოდა. მთავარი იყო თავი ემართლებინა, თორემ ბადრი უკვე ტყუილს და მართალს ერთმანეთისაგან ვეღარ ასხვავებდა.

იმ დღეებში, გვიან ღამით ბადრი გატიალებული მთვრალი მოვიდა შინ. კარი გააღო თუ არა, კინაღამ წაიქცა. პირველად ცოლიც, რომელიც მაგიდასთან იჯდა და წერდა, ვერ შენიშნა.

— ასეთი მთვრალი ქმარი დალის არც არასოდეს ენახა.

მთვრალს ისედაც ვერ იტანდა და წარბები შეყარა. — შემდეგ თავი დახარა, თითქოს მუშაობა განაგრძო, სინამდვილეში უაზროდ დასცქეროდა ფურცლებს. ბადრი ერთ ადგილზე იდგა, და ცოლს ცინიკურად მისჩერებოდა.

ქალმა ამოიოხრა. ბადრიმ გაიცინა და ოთახიდან ოთახში დაიწყო ბოდიალი. დადიოდა და უცნაურად ღიღინებდა, შიგადაშიგ რაღაც სიტყვებს წამოიყვირებდა უაზროდ. დალის თანდათან ელეოდა მოთმინება, აღარ იცოდა, რა ექნა, სად გადავარდნილიყო. უცებ სიჩუმე დადგა. ფეხის, ბოდვის თუ სიმღერის ხმაც მიწყდა. დალიმ ამ სიჩუმეს ვერ გაუძლო და შეშფოთებულმა საძინებელი ოთახისაკენ გააპარა თვალი. ღია კარიდან ცარიელი ოთახი და აუშლელი საწოლები ჩანდა.

„საღ წავიდა ნეტავი?“ — გაიფიქრა მან და იმწამსვე დაჟინებული მზერა იგრძნო, შეკრთა და მოიხედა. ბადრი ზუსტად ზურგსუკან დამდგარიყო მოჩვენებასავით. ღიმილით დაჰყურებდა ცოლს და ხმას არ იღებდა. ვერასოდეს ქალი ამ მზერას ვერ უძლებდა და ახლაც მონუსხულივით გაშეშდა.

— რა იყო, რა დაგემართა? — აბსოლუტურად მშვიდად და ნორმალურად ჰკითხა ქმარმა.

დალიმ ვერ გაიგო, აქამდე თავს იმთვრალებდა თუ ასე უცებ მოასწრო გამოფხიზლება.

— მოდი აქ! — აქ არა ვარ, რა გინდა? — მოდი! დალი წამოდგა და ბადრის წინ დაუდგა. — მოიწი კიდევ!— — აჰა, რა გინდა?

ამის შემდეგ ბადრი სამარესავით დადუმდა და დალი მიხვდა, რომ იგი რაღაც სასწაულით იდგა ფესზე.

— წადი, დაწექი!

ბადრი მორჩილად შეტრიალდა, გაჭიმული წავიდა. საწოლი ოთახის კარს გამოედო მაინც და შემდეგ დაიშალა მთლიანად. ძლივს მიაგნო სარეცელს. თვალს ვერ ახელდა, ხვნეშოდა და დასაწოლად ემზადებოდა. ტანი რომ იხდიდა, შარვლის ტოტებში

გაეჩხირა, აბანცალდა და კარგა ხანს გასწორება ვერ მოახერხა. ბოლოს საწოლზე დაჯდა და გულდაგულ დაუწყო შარვალს კეცვა. ცალი მუხლი სქელი ნაჭრით ჰქონდა შეხვეული. დალის გაუკვირდა, რა დამართნიაო. ბადრიმაც დაიხედა, კარგა ხანს უყურა საკუთარ მუხლს და ბოლოს თქვა:

— ამაღამ მოწვიმს! დალიმ ისევ ამოიოხრა. — არ გჯერა!? — მჯერა, რა იყო, რა გაყვირებს!

— ამაღამ დელგმა და თავსხმა იქნება. თქვენ რა იცით, რა მჭირს, არავინ არაფერი არ იცის, როცა წვიმა ეპირება, მე მუხლები მტკივა!

დალის მოეჩვენა, რომ ბადრი უკვე ასაკს და სანს ემორჩილებოდა. თანდათან სისუსტეც ერეოდა.

„ბევრი ნატანჯი კი არის საწყალი!“ — გაიფიქრა მან.

— ეჰ, დალი შელია, შენი აღარაფერი მჯერა, არაფერში აღარ გენდობი, ეს საშინელება ყოფილა! — ჩაილაპარაკა, შეხვეულ მუხლზე ხელი მოისვა, დაწვა და იმწამსვე დაეძინა.

დალიც მალე დაწვა, თუმცა გადაუდებელი სამუშაო ჰქონდა და არც ეძინებოდა. სამაგიეროდ, დილით ადრე ავდგებიო, გაიფიქრა მან, თვალზე რული კი კარგა ხანს არ მოეკიდა.

ნაშუაღამევს, მართლაც თქეში წვიმა წამოვიდა. ბადრი წუხდა, ბორგავდა.

ასე საშინლად სუნთქავდა, რომ დალის ეშინოდა, არ დაიხრჩოსო და ფხიზლობდა. ბადრი გამთენიის ხანს დამშვიდდა. დალისაც ჩაეძინა.

ბადრის ესიზმრა, თითქოს შავი ზღვის პირას ისვენებდა ცოლთან ერთად. ვაშლის ბაღში ჩადგმული, პატარა სახლის სახურავი მწვანედ იყო შეღებილი, ხეებსაც პატარ-პატარა მწვანე ვაშლები ესხა. ცოლ-ქმარი შვიდი წლის წინ, მართლაც ისვენებდნენ ზღვის პირას, ამავე სახლში და ეზოში. ბადრის ძილშივე უკვირდა, როგორ მეორდებოდა ყველაფერი. დროთა კავშირი დარღვეული

იყო.

... კოკისპირულად წვიმდა. პატარა სახლის სახურავში, ეტყობოდა, ბზარები ჩნდებოდა, რადგან წყალი წვეთავდა რამდენსამე ალაგას. შეშინებული დალი პერანგის ამარა იდგა ნახევრადბნელ ოთახში. გარეთ კი ქუხდა და. ზღვა გრიალებდა. შეშინებული ქალი სახეზე იფარებდა ხელებს. ბადრიმ უთხრა, ჩემს ხელში რისი გეშინია, აქ არა ვარო. სწრაფად ჩაიცვა. სანამ სხვენზე ავიდოდა, მობრუნდა და თქვა, ცოტა მუხლები მტკივა, რადგან თერთმეტი დღე და თერთმეტი ღამე მარტოდმარტომ სველ ცემენტზე გავატარეო.

ბადრი თავდახრილი დაბორიალებდა ბნელ სხვენზე და წვიმის წვეთებს ჯამ-ჭურჭელს უდგამდა. ერთ ალაგას თეფშ: დადო, მეორე ადგილზე ვარცლი. სხვაგან სხვა ჭურჭელი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. წყალი მაინც მოდიოდა და მოდიოდა სახურავიდან. ბადრი გაგიჟდა, რევოლვერი იძრო და თუნუქის სახურავს ტყვიები დაუშინა. თუ დასაქცევია, ბარემ ერთიანად დაიქცეს ყველაფერიო, ფიქრობდა იგი და სახურავს ცხრილავდა. უცებ სახლი შეტორტმანდა, ჩაშვავდა. ბადრი მიხვდა, რომ ცოლი ნანგრევებში მოჰყვა და საშინელი ღრიალით გაიღვიძა.

— რა იყო! — წამოიძახა გულგახეთქილმა დალიმ...

— ცოცხალი სარ? — ჰკითხა ქმარმა.

— რა დაგემართა? — შუბლზე ხელი დაადო დალიე.

ბადრი ცოლის სმაზე გამოფხიზლდა და დამშვიდდა, თუმდა კარგა ხანს გაშტერებული უყურებდა მკრთალად გასხივოსნებულ ფანჯრებს. თენდებოდა.

— წვიმს? — იკითხა მან. — წვიმს! — უთხრა დალიე.

ბადრი ალიონზე ადგა. ტელეფონით დარეკა. ვიღაცას დალისათვის თითქმის გაუგებარ ენაზე ელაპარაკა, დაიბარა, ორი დღით ხაშურში მივდივარო და წავიდა. კარი მიიკეტა თუ არა, დალიმ თავისუფლად ამოისუნთქა და დაძინება დააპირა; არაფერი

გამოვიდა. ძილგამტყდარმა თვალი ვეღარ მილულა.

გარეთ ახლა ოდნავ ცრიდა. გაფუჭებული ღვარსადენიდან წყალი აღარ მოთხლიშინობდა. საქმიანი ადამიანები, პირველი მამლის ყივილზე რომ იწყებენ მუშაობას, უკვე სამსახურში მიდიოდნენ. ტროტუარზე დამბალი ფეხსაცმელების ტყაპანი ისმოდა.

დალი ადგა, ხალათი მოიხურა და ფანჯარასთან გაჩერდა. ქუჩაში ბურუსი იდგა. აქა-იქ თხელი გუბეები ლაპლაპებდა. თავჩაღუნული, გამოუძინებელი გამვლელები ზევით არ იხედებოდნენ. ფანჯრის ქვემოთ ხანდახან შავი, სველი ქოლგა გაიელვებდა.

დალი ფეხისცერებზე აიწია და ფარდა აკეცა, ამასობაში სალათი ჩამოუცურდა და სკამზე დაეფინა. ფანჯარასთან პერანგის ამარა დარჩა, მაგრამ აღარ განძრეულა. სულ ერთი იყო, არავინ უყურებდა. ახალგაზრდა კაცს, დაჭმუჭნულ საწვიმარში რომ იბუზებოდა, ქუჩას რომ ჭრიდა ირიბულად და წყლის გუბეებს დიდის გულმოდგინებით არიდებდა ფეხს, თავისუფლად შეეძლო ნახევრადშიშველი ქალის დანახვა, მაგრამ კაცი თავის აწევას არ აპირებდა. ერთი მაგრად ჩაახველა ხესთან და წელში გახრილი ქვევით დაეშვა. დალი ფანჯარას მოშორდა და სარკის წინ გაჩერდა. კარგა ხანი მისჩერებოდა საკუთარ სხეულს, მაღალ გულ-მკერდს და სიფრიფანა პერანგში გალანდულ თეძოებს.

იმ დღეს დალი გარეთ აღარ გასულა. უგულოდ კითხულობდა წიგნს, უცხოური ჟურნალების ფოტორეპროდუქციებს ათვალიერებდა. შუადღით მზემ გამოანათა, შემდეგ ისევ გაწვიმდა. დაღამებისთანავე შეწვა დალი ლოგინში და ისევ წიგნი გაშალა. გვიანობამდე კითხულობდა. ცა აგრუხუნდა. სახლში შუქიც გამოირთო. განუწყვეტლივ ქუხდა და ელავდა. ვერცხლისფერი საზები ტყდებოდა ფანჯრის მინებზე..

XXXVIII

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მსოფლიო ჩემპიონობის მაძიებელი ორი მოჭადრაკე ერთმანეთს ეჯიბრებოდა. დღეს თუ ხვალ ერთი მათგანი მსოფლიო ჩემპიონს შეხვდებოდა და პრეტენდენტთა ასპარეზობამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზი სულ სავსე იყო და ხშირად ბილეთის შოვნაც ჭირდა. ელგუჯას მუდმივი საშვი ჰქონდა და დღეჩაგდებით, როცა არ ვარჯიშობდა, თეატრში დადიოდა. განმარტოებით დაჯდებოდა ხოლმე, მთელი გულისყურით მისჩერებოდა სცენას, ერთობოდა, ხშირად ყველაფერი ავიწყდებოდა და თავი უდარდელი ადამიანი ეგონა.

მდიდრულად მორთულ, რბილი სკამებით გაწყობილ დარბაზში მუდამ სიმყუდროვე და სიმშვიდე სუფევდა. დარბაზში სულგანაბულნი ისხდნენ და ფოიეშიც ფეხაკრეფით დააბიჯებდნენ. თეატრში ძირითადად ერთი და იგივე ხალხი დადიოდა. ჭადრაკის ტრფიალთ თუ იტყვიან, სწორედ ისინი იყვნენ, მაგრამ თავმოყრი-

ლი საზოგადოების ერთ ნაწილს თამაშის ბევრი არაფერი გაეგებოდა. ამათთვის მთავარი იყო შედეგი. ვინ ვის? ფიქრობდნენ ისინი.

ერთი პატარა ტანის კინორეჟისორი ერთსა და იმავე დროს პუნქტუალურად ცხადდებოდა. უკანა რიგში, ხშირად ელგუჯას გვერდით, ჯდებოდა და ძალიან სერიოზულად მისჩერებოდა სცენას. თეატრში ქვეყნის ნაცნობი იყო, მაგრამ ელგუჯა მაინც ამ კაცს დაუახლოვდა და მალე გაარკვია, რომ რეჟისორი პოლიტიკითა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე სპორტითა და ხელოვნებით. ჭადრაკთან ცოტა მწყრალად ყოფილიყო. თამაში არ იცოდა. სამაგიეროდ, ერთ მოჭადრაკეს ფრიად გაურკვეველი მოსაზრებით უჭერდა მხარს და მტკივნეულად. განიცდიდა იმ კაცის წარმატება-წარუმატებლობას. მიუხედავად ამისა, თამაშის დასასრულს, როცა ენდშპილში ბრძოლა მწვავდებოდა და ორთაბრძოლა ზენიტს აღწევდა, რეჟისორი: შინ მიდიოდა.

ერთ დღეს დარბაზში გიგიშაც გამოცხადდა. ახალი კოსტიუმი ეცვა და ჭრელი ყელსახვევი მოუჩანდა. მკლავზე. საწვიმარი ჰქონდა გადაკიდებული. გაპარსული, გალამაზებული მოაბიჯებდა. პალტოთი და საწვიმრით თეატრში არავის უშვებდნენ და გიგიშა რა წითელი კოჭი იყო, ვერავინ გაიგო. განგან დადიოდა და ხალხს უნდოდა, ალმაცერად ათვალიერებდა. დარბაზსაც გადახედა დაკვირვებით, თავისუფალი ადგილი შეათვალთვალა და ელგუჯას გვერდით დაჯდა.

— გაიცანი, — უთხრა ელგუჯა. რეჟისორს გადახედა და საინტერესო შეხვედრის მომლოდინეს გუნებაში გაეცინა.

გიგიშა მოტრიალდა და დიდი მოწიწებით ჩამოართვა ხელი პატარა ტანის კაცს.

— გიორგი შიაშვილი! — მოწყვეტით უთხრა რეჟისორმა.

გიგიშა სმას არ იღებდა და ახალ გაცნობილ ადამიანსაც არ

უშვებდა ხელს. ბოლოს სულელურად გაიცინა და ელგუჯას გადახედა, ეს ვინ გამაცანიო. ელგუჯასაც გაეღიმა და რეჟისორს, იგიც რომ იცინოდა, თვალი მოარიდა.

— კარგი მაშინ, ჩვენზე იყოს! — თქვა გიგიშამ და სკამზე გასწორდა.

სცენაზე ახალგაზრდა კაცმა კეტი გამოიტანა და სადემონსტრაციო დაფაზე თუნუქის ფიგურების გადაადგილება დაიწყო. ხალხი აჩოჩქოლდა. ხელკეტიანი ამაყად იდგა დაფასთან. ხალხს ნიშნის მოგებით უყურებდა. ბოლოს ორი სვლაც გააკეთა და წავიდა.

— ვინ იგებს? — ჰკითხა გიგიშამ რეჟისორს.

— რა ბრძანეთ? — შეკრთა პატარა კაცი, რომელსაც თურმე ისის იყო ჩასძინებოდა.

გიგიშას სიცილი აუტყდა.

— ეს ვინ ყოფილა, ვერ მითხარი აქამდე? — ელგუჯასკენ იხედებოდა და იღრიჯებოდა იგი.

— კარგი, გეყოფა! — უთხრა ელგუჯამ.

— მე მგონი, შავები იგებენ! — დინჯად თქვა რეჟისორმა და სკამზე გასწორდა.

— რომელია შავები? — — მარჯვნიდან პირველი...

— მართალია ეს კაცი! გაუხარდა გიგიშას და რეჟისორს მხარზე ხელი დაჰკრა.

რეჟისორს გიგიშასი შეეშინდა თუ რამე მოელანდა, სიცილი ატეხა. ამაზე გიგიშა ცხენივით ახვიხვინდა. ხალხმა მოიწია, მთავარი არბიტრი ავანსცენაზე გამოვიდა, არაფერი უთქვამს, მაგრამ უკანა რიგებს მიაჩერდა.

— რა იყო, რა დაგემართა? — კითხულობდა ფოიეში გამხიარულებული ელგუჯა.

— აბა, ვინ არის, საიდან მოიყვანე, რა კაცი ხარ! — სიცილით

იხრჩობოდა იგი. — ელგუჯას ერთი გამხდარი ბიჭი გამოელაპარაკა. ამ ბიჭს იცნობდა, მაგრამ საიდან, ვერ იხსენებდა. ალბათ მოჭადრაკე იყო, რადგან სულ აქ ტრიალებდა და კულუარებში ზოგიერთ სვლას კომენტარს უკეთებდა. ისეთი სუფთა, საჭადრაკო ტერმინოლოგიით ლაპარაკობდა, რომ ძალაუნებურად ყურადღებას იქცევდა.

— როგორი მდგომარეობაა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— ალბათ ყაიმი, რამდენიმე სვლის შემდეგ თამაში ეტლების დაბოლოებაში გადავა და საათებს გააჩერებენ. — ამ ბიჭმა, რომელსაც თურმე არჩილი ერქვა, ელგუჯას ერთი მოჭადრაკე გოგო გააცნო. საკმაოდ ცნობილ მოჭადრაკეს, ერთი შეხედვით, სულ ბავშვს რომ ჰგავდა, დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ ჰქონდა მიდრეკილება და არჩილს ადრევე სთხოვა, ელგუჯა გამაცანიო. — მოჭადრაკე გოგომ მოურიდებლად გაუსწორა თვალი ელგუჯას. არ დაბნეულა, არც ენა დაბმია. ელგუჯას არც ეგონა, თუ ასე პატარა იყო. ქალიშვილი კიდევ უფრო იბავშვებდა თავს და კულულებზე ატლასის ცისფერ, ხან ვარდისფერ ბაბთებს იკეთებდა, მალე ისინი მარტონი დარჩნენ. გამოირკვა, რომ ქალიშვილს ელგუჯას ჭიდაობა ენასა თბილისში, მოსკოვში, სხვაგანაც. ამის გამო ელგუჯა მეტი პატივისცემით განიმსჭვალა და უფრო თავაზიანად დაუწყო ლაპარაკი. მალე სხვა მოჭადრაკე ქალები გამოჩნდნენ. ქალებს ერთი გულღია, მხიარული კაცი მოჰყვათ. კაცი, ელგუჯას რომ თავის ტოლი ეგონა, მოჭადრაკე გოგოს მამა აღმოჩნდა. ამის გაგებაზე დაირცხვინა და გოგოსაკენ იმ დღეს აღარც გაუხედავს.

თამაშის დასასრულს არჩილმა საჯაროდ განაცხადა: საინტერესო აღარაფერი მოსდება, რადგან შავი ლაზიერი ბე მეხუთეზე გადავა და მუდმივი ქიშის მუქარით თეთრები ყაიმზე დათანხმდებიანო.

შავი ლაზიერი, რომელსაც დანარჩენები დედოფალს ეძახდნენ, საერთოდ არ განძრეულა. შავი პაიკი მეშვიდე ჰორიზონტალამდე გაჩოჩდა და რამდენიმე სვლის შემდეგ ყველაფერი აირდაირია. თვით გიგიშაც კი დაინტერესდა ამ ამბით, გაკვირვებული მიაჩერდა დაფას. მოულოდნელად რეჟისორი წამოდგა, თავი დახარა, ვითომ ვინმეს ეფარებოდა და დარბაზიდან გასვლა დააპირა. გიგიშა წელში შეუვარდა.

— რას შვები, კაცო, შენ?! — შეკრთა რეჟისორი. — აბა, სად მიდიხარ?! — სად მივდივარ და იერუსალიმში! — თამაში ახლა იწყება, შე კაი კაცო!

— თამაშს რას დავეძებ, პალტოს უნდა მივხედო, მგონი, ნომერი დამეკარგა.

— ვინ წაიღებს შენს პალტოს, დაჯექი, გეუბნები! — გამიგონია, ხელს დაწვავს ვიღაცა იქნება!

— შენი პალტო ვის მოერგება, თუ დაიკარგა, მე გიპოვი, დიდუბის სადგურთან ერთი ყარაული ცხოვრობს და იმას ექნება წაღებული...

— იმისთანა ყარაულები მე ცხრა მყავს გამოცვლილი! — თქვა რეჟისორმა და თვითონვე ვერ გაიგო, ეს სიტყვები რა შუაში იყო.

— მაშინ, წადი! — დაჰყაბულდა გიგიშა.

— აბა, შენ თუ გიყურე, კარგად წავა ჩემი საქმე! — გაიცინა კაცმა და მასრასავით გაძვრა სკამებსა და სკამებსშუა.

პარტია, რეჟისორის არ იყოს, მართლაც შავებმა მოიგო.

— ვინ იყო ის კაცი? — ჰკითხა გიგიშამ ელგუჯას თამაშის დამთავრების შემდეგ.

— რეჟისორია კინოსტუდიაში. — სადაური რეჟისორი, არ გადამრიო! — არის და რა ვქნა. — რა დაუდგამს?

— არაფერი. მეორე რეჟისორია თუ მესამე, ამდენი აღარ ვიცი...

გიგიშას ისევ სიცილი აუტყდა და თავი კარგა ხანს ვერ შეიკავა.

— მე გადამდგარი კაპიტანი მეგონა და ეს რას მელაპარაკება!

— თუ ძალიან გაინტერესებს, ომშიც ნამყოფია...

ელგუჯა სულ რამდენიმე დღეში დაუახლოვდა მოჭადრაკე გოგოს. რამდენჯერმე სახლამდე მიაცილა. გოგო იყო ხალისიანი, მოჭადრაკის პირობაზე არცთუ დიდად დაკვირვებული, მაგრამ ნიჭიერი და გულუბრყვილოც. სულაც არ აღმოჩნდა თავხედი, ელგუჯას რომ პირველად ეგონა. არავითარ უხერხულობას, არც ერთ მომენტში, ელგუჯა ამ გოგოსთან არ განიცდიდა. ერთი-ორჯერ კლუბში, გზად რომ გაიარეს, ჭადრაკიც ითამაშეს. გოგომ ისე უმოწყალოდ და დაუნდობლად მოუგო ყველა პარტია, რომ ელგუჯას პარტნიორის ნორმალურობაში შეეპარა ეჭვი. ზედმიწევნით გულკეთილი ქალიშვილი თამაშში ჭინჭყლი და გაუტანელი ჩანდა. გოგომ რამდენჯერმე შინაც დაპატიჟა, მაგრამ ელგუჯამ მოიხათრა. ქალის მამა ამხანაგი ეგონა და რასაც სჩადიოდა, იმისიც რცხვენოდა.

ერთ საღამოს მოწყენილობის ჟამს შინიდან ელგუჯა ახლადდამეგობრებულ ქალიშვილს დაურეკა. როცა ნომერს კრეფდა, საუბრის გეგმასაც მაშინ ამზადებდა.

— გისმენთ! — მოისმა ქალიშვილის არცთუ ისეთი მომხიბლავი ხმა.

ელგუჯამ პასუხი აღარ გასცა. — ალლო! ისევ სიჩუმე. — გისმენთ, ბატონო!

ელგუჯას მდუმარედ ეჭირა ყურმილი და ციფერბლატს დაჰყურებდა უაზროდ.

— ამოიღე ხმა, ვიღაცა ხარ! — გაბრაზდა გოგო.

ელგუჯას გაეცინა. ყურმილი დადო. მიხვდა, რომ სათქმელი და სალაპარაკო არ ჰქონდა. თვის ბოლოს მატჩიც დამთავრდა და ატლასის ბაბთიან გოგონას იგი მეტჯერ —აღარ შეხვედრია.

XXXIX

ელგუჯამ გაზეთი გაშალა და შავარშიაშემოყოლებულ ნაცნობ სურათს მოჰკრა თვალი. სამინისტრო, უწყებები და ორგანიზაციები იუწყებოდნენ, რომ 67 წლისა გარდაიცვალა (ჩამოთვლილი იყო ტიტულები) ექიმი ემანუილ ჭონქაძე. ელგუჯა დიდხანს გულჩაწყვეტილი ჩასჩერებოდა ნეკროლოგს, „ამ ჩემთვის გაუგებარსა სოფელს ვამთავრებ მღერითა...“ — ესმოდა ემანუილის ხმა. რამდენჯერ დააპირა, სტუმრებოდა ექიმს. ყოველთვის რაღაცამ შეუშალა ხელი, სამერმისოდ გადადო ეს ვიზიტი და ეს სიცოცხლით სავსე ადამიანი უკვე აღსრულებულიყო.

გვიანი ღამე იყო, როცა ელგუჯა ემანუილის სახლს მიადვა. მარტოდმარტო უნდა შესულიყო ბინაში და ერთხელ მაინც დაეხედა გამხდარი ბერიკაცისათვის. სადარბაზოს კარი ღია იყო. მხოლოდ რამდენიმე კაცი, ალბათ, განსვენებულის ახლობლები, ეწეოდა მოსაცდელში პაპიროსს. ელგუჯა მოსაცდელში შევიდა და კაბინეტის კარზე აყუდებული კუბოს სახურავი დაინახა. და-

ინახა და ცივად გამობრუნდა უკან. „მართლაც არაფერი არ ყოფილა ადამიანი!“ — ფიქრობდა იგი. მთელი ღამე არ დაეძინა. „ასევე შეიძლება გავთავდე მეც ერთ მშვენიერ დღეს!“ — დაასკვნა მან და ვეღარაფრით ეს აზრი ტვინიდან ვერ ამოიგდო. მეორე დღეს რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ იქცეოდა, ძირს ვარდებოდა. თითქოს გვერდზე მიექანებოდა, რაღაც უბედურება აწვებოდა მარცხნიდან. მართლა ცუდად რომ გავხდე, ვინ მიშველის ამ მარტოობაში, ანგარიშობდა იგი. ბევრი აღარ უფიქრია და დეიდასთან გადაბარგდა. დეიდამ ექიმები დაახვია. დაუნიშნეს ნემსები, დასვენება და სიმშვიდე ურჩიეს. აღარ ვარჯიშობდა, სამსახურშიც ღარ დადიოდა. მოთმინებით მკურნალობდა და შედეგს ელოდებოდა. დეიდა ექთანი იყო და დილით და საღამოთი პუნქტუალურად უზომავდა წნევას, შემდეგ ნემსს ხარშავდა საგულდაგულო. შუადღისას სამსახურში მიდიოდა და ელგუჯას მარტო ტოვებდა მიცვალებულების სურათებით გაჭედილ ოთასში. შინ დაბრუნებული საღამოს საავადმყოფოს ამბებს ჰყვებოდა. ადამიანი წუთითააო, ამბობდა, თავს დროზე უნდა მიხედვა, თორემ შემდეგ ყველაფერი გვიანი იქნებაო. დაწვრილებით თხრობდა, ვინ როგორ და რით მოკვდა იმ დღეებში. ვის გაუსკდა გული და ვის სისხლი ჩაექცა. ელგუჯა ყურადღებით უსმენდა. მონაყოლი ტვინში ეჭედებოდა და სიკვდილის შთაბეჭდილებებს უმძაფრებდა. იგი მთელი დღე მისჩერებოდა მიცვალებული დედის სურათებს. დედა დალის ჩამოჰგავდა. დღითი დღე უფროდაუფრო მეტ საერთოს ხედავდა მათ მზერაში და ეს აღმოჩენა თავზარს სცემდა.

სულ დალი ახსოვდა. მის გარეშე არ არსებობა არაფერი, არც დრო, არც სივრცე, არც აზრი, იმ ქალის ლანდი და სული იყო ყველგან და ყველაფერში. ამ სიმარტოვეში განსაკუთრებით გრძნობდა ამ ყოფის მთელ საშინელებას. არ იქნა და არაფერი არ დასრულდა. ერთი გზისა და ერთი სინათლის გარდა, არ ჩანდა სხვა გზა და სხვა სინათლე.

ოთახში თბილოდა. ფანჯრიდან ნაცრისფერი სახლების ყავისფერი სახურავები ჩანდა. ფანჯრის მინებს უფოთლო, გაფიჩხული ხის ტოტები აჰკვროდა. ტოტებზე ბეღურები იბუზებოდნენ და ფანჯრის რაფებს ათვალიერებდნენ. ხანდახან წამოფიფქავდა და თოვლის უწვრილესი, გზააბნეული ფანტელები დაიწყებდა ჰაერში ფარფატს.

ფოსტალიონი იმ დღესაც მოგვიანებით მოვიდა. დეიდამ ახალი ჟურნალ-გაზეთები შემოიტანა და სკამზე დაალაგა. ელგუჯამ გაზეთები გადაათვალიერა. სპორტული ჟურნალი გადაფურცლა. ზამთრის ოლიმპიადა მომდგარიყო კარს. ბაკურიანიც დიდი საერთაშორისო შეჯიბრებისათვის ემზადებოდა. მოედნები, ტრასები თუ სხვა ობიექტები შეჯიბრებისათვის იყო უკვე გაჭახრაკებული. ელგუჯა ნაცნობ ადგილებს აკვირდებოდა და მოუსვენრობა იპყრობდა. უცებ წამოდგა, ლურჯი შალის იაპონური სპორტული პიჟამა გამოძებნა, კედები ჩაიცვა. წვერი გაიპარსა, გალამაზდა და ვარჯიში დაიწყო. მალე გახურდა და ფანჯარაც გამოაღო.

— ამხანაგია! — შემოიხედა დეიდამ.

— შემოვიდეს მერე! — უკან მოუხედავად უპასუხა ელგუჯამ,

— მობრძანდი, გენაცვალე, ნუ გეშინია! — მოიპატიჟა ვიღაცა დეიდამ.

„ვისაა, რომ ეშინია!“ — გაუკვირდა ელგუჯას. მნახველები, არ აკლდა, მაგრამ დღეს, ეტყობოდა, უცხო იყო მოსული. ვარჯიში მაინც არ შეუწყვეტია, დათქმული ჰქონდა, ას დათვლაზე შევჩერდებიო, მაგრამ ძალიან ნაცნობი დუსის სუნი იკრა და ნელა მოტრიალდა. ოთახში დალი იდგა. თავის მონაცრისფრო, მოქარვისფრო, შეუმჩნევლად დალიანდაგებული ქურქი ეცვა. ბეწვი თავდაღმა იყო წაფენილი და ორ ფერში ლივლივებდა.

— დახურე, ბიჭო, ფანჯარა! — რატომღაც ზედმიწევნით თავაზიანად სთხოვა დეიდამ..

ელგუჯას უკვე აღარ ახსოვდა, წელიწადის რა დრო იყო, მაგრამ ფანჯარა მაინც საგულდაგულოდ ჩარაზა.

— როგორა ხარ-მეთქი, აღარც გეკითხები!.. — გაიცინა სტუმარმა.

— პალტო გაიხადეთ! — სთხოვა დიასახლისმა..

— გმადლობთ! — თქვა დალიმ და ქურქი იმწამსვე დაცურდა შიშველ მკლავებზე.

— ...არა უშავს, აქ იყოს, მალე უნდა წავიდე.. — მოიხათრა დალიმ, ქურქის სკამზე გადაფენა დააპირა, მაგრამ ქალმა მაინც დერეფანში გაიტანა.

ლურჯი, ნაქსოვი კაბა ეცვა. კაბა მძიმედ ეშვებოდა მხრებიდან ქვევით და მკერდსა და თეძოებს მჭიდროდ ეხვეოდა. როცა იგი ელგუჯას შემოთავაზებულ სკამზე დაჯდა, კაბა აიჭიმა და მუხლისთავებს აშორდა კარგა ძალზე. დალიმ კალთები ოდნავ ამოიკეცა თეძოებს ქვემოთ და გვერდზე შეაბრუნა მიტყუპებული ფეხები. ელგუჯა დაბალ ტახტზე დაჯდა.

— არ გიკვირს, როგორ მოგაგენი? — როგორ?

ოთასში დიასახლისი შემობრუნდა. ერთი კიდევ შეავლო სტუმარს თვალი და იქვე დაჯდა.

— რა დაგემართა? — დიასახლისის გასაგონად ჰკითხა დალიმ ელგუჯას.

— ეს ისე ცუდად იყო!.. — ჩაილაპარაკა დეიდამ.

— კარგი ახლა, ცუდად არა, ის...

— კარგი არ უნდა ამას, თავს არ უვლით, გენაცვალე, ახალგაზრდები... — დალის მიუბრუნდა დეიდა,—დღეის სწორს, თქვენ ჯვარი გწერიათ და, თქვენი ხნის, თქვენსავით ლამაზი ქალი მოიყვანეს ჩვენთან საავადმყოფოში მიოკარდის ინფარქტით.

— გადარჩა? — უყურადღებოდ იკითხა დალიმ.

— რა გადაარჩენდა, ადგილზევე მომკვდარა. — აბა, თქვენთან რაღას მოიყვანეს?— გაუკვირდა ელგუჯას.

— მაინც, იქნებ რამე ვუსაშველოთო. თანაც გვამი უნდა გაკვეთონ, ექსპერტმა სასამართლოს დასკვნა უნდა მისცეს.

როგორც ლაპარაკობდნენ, ოჯახში თურმე უკმაყოფილება ჰქონიათ. მგონი, ქმარი ღალატობდაო, უნერვიულია და ერთ წუთში გათავებულა.

— ბედნიერი! — წაქვა მოულოდნელად დალიმ.

— ანგელოზივით ქალი იყო, რამ გააბედნიერა? — გაუკვირდა დიასახლისს.

— უცბად სიკვდილს რა ჯობია, აბა ავადმყოფობა და სიბერეა კარგი, მით უმეტეს ქალისათვის?! — დალის ბევრჯერ ჰგონებია, რომ რაღაც ბედნიერი გამონაკლისის გამო არ იყო ბებერი. თავის ახალგაზრდობას, ხანდახან აბსოლუტურ შემთხვევითობას მიაწერდა, თუმცა ამ ფაქტში უკანონობასაც ვერ ხედავდა. „ხომ შეიძლებოდა, ადრე დავბადებულიყავი და ახლა ამ წუთში ვყოფილიყავი ბებერი!“ — უფიქრია უაზროდ და გული შეკუმშვია.

დეიდა ადგა და უხმოდ გავიდა.

— ასეთი კედლის ღუმელი გვაქვს ჩვენც, მხოლოდ აღარ ვხმარობთ, შენ არ გინახავს ხომ ჩემი ბინა? — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით იკითხა დალიმ ცოტა ხნის შემდეგ.

„სწორედ ის ღუმელი მახსოვს ყველაზე ნათლად. არ გინახავს, ხომ, ჩემი ბინაო, მეკითხება. ნეტავი დამცინის? შეიძლება ამის საშუალო და დამხვდა. შეუძლებელია, სულ არ ჰგვანან ერთმანეთს. იქნებ ჩემს დაბადებამდე მოხდა ეს შეხვედრა. მეორედ ხომ არ მოვსულვართ ამქვეყნად? მე შევყევი შინ, მან დამტოვა მარტო. გამოიტანა კარტი, მეთამაშა, წააგო. რა უცნაურად მოხდა ყველაფერი. ალბათ ისეთი საზიზღარი ვიყავი, რომ იმ დღის გახსენებაც კი არ უნდა. არც მე მსიამოვნებს იმ დღის მოგონება. ნეტავი მართლაც სიზმარი აღმოჩნდებოდეს, თუმცა რაღა ნატვრა უნდა, მართლაც სიზმარს ჰგავს ყველაფერი. თავი გამისკდება ამდენი ფიქრით!“ შუბლს ისრესდა თავჩაღუნული ელგუჯა. დალიც

აღარ იღებდა სმას. იგი დაბალ სავარძელში გადაჯდა. ნებიერად ჩაეფლო შიგ. იჯდა წყნარად, მოწყენილი მისჩერებოდა ყავისფერ ღუმელს და მალე წასვლას რომ არ აპირებდა, როგორც ადრე თქვა, ყველაფერზე ეტყობოდა.

— რაზე ფიქრობდი? — იკითხა დალიმ.

— არაფერზე, რაღაც გამახსენდა... — ისევ გაჩუმდნენ.

— ორი საბედისწერო შეცდომა დავუშვი... — დაიწყო ლალიმ, — ციხიდან გამოსვლისთანავე ბადრიმ ყველაფრისაგან გამათავისუფლა. რამდენად ტაქტიანად გაითამაშა ეს სცენა, სხვა საკითხია, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, სწორად მოიქცა. შევშინდი. მოვერიდე ჩემიანებს, საზოგადოებას, ლაპარაკს და მითქმა-მოთქმას... შენი იმედიც არ მქონდა, სხვათა შორის და შინ დავბრუნდი. ნებაყოფლობით დავისაკუთრე უღლის ერთი მხარე, კარგი სიტყვაა მეუღლე, არა?

— კარგია, კი...

— აწი აღარაფერს მაპატიებს, ცოცხალს აღარ შემელევა ის ხომ ვიცი, რაც არის, მაგრამ არც შენ ხარ ნორმალური,

კაცმა რომ თქვას... რა გინდა ქნა?.. ეს ერთი შეცდომა.

— მეორე?

— მეორე დღეს ჩავიდინე, აქ რომ მოვედი, თუმცა მომაკვდავი მეგონე და როგორ არ უნდა მენახე?..

— ვინ გითხრა, ცუდად რომ ვიყავი?

— მითხრეს... და მაინც შემეძლო არ მოვსულიყავი, თუმცა ასე თუ გავყევით, შეიძლებოდა ერთმანეთსაც არ შევხვედროდით არასოდეს... რა საშინელება იქნებოდა, შენ რომ არ მენახე, დღეს კი არა, საერთოდ!

„მე ამ ქალთან შედარებით არარაობა ვარ!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

— აბა, კარგად იყავი! — უცებ წამოდგა დალი და ვაჟის მკერდზე

მოვიდა გონს. თავის დახსნა დააპირა, მაგრამ გვიანღა იყო. რამდენიმე წამის შემდეგ ისინი გახელებულნი კოცნიდნენ ერთმანეთს, გაუგონარი სიმხურვალით იწვებოდნენ. სინამდვილე, სიზმარი, დრო და უდროობა ერთმანეთში იყო არეული. არაფერი არ ესმოდათ, ერთმანეთის გარდა, ვერაფერს გრძნობდნენ, მაგრამ ელგუჯას მაინც მოეყურა, რომ ვიღაცა კარს მოადგა, წუთით მოეშვა და დალი ორივე ხელით თმაში ჩააფრინდა. ელგუჯა სიმწრით მოიკუნტა და ქალს მაჯები დაუჭირა.

— ხელები! — წამოიყვირა დალიმ და ელგუჯამ იმწამსვე შვება იგრძნო.

კართან არავინ არ ყოფილა. დალი გაწითლებულ მაჯებზე იხედებოდა გაკვირვებული.

— არ მინდოდა, უნებურად მომივიდა... — მოიბოდიშა აწითლებულმა ელგუჯამ, — შენ მაინც მთავარი სული ამომართვი, თმა რა მტკივნეულია, ხომ იცი... გეტკინა?

— მეტკინა და მეტი არა, არა უშავს, პასუხს სხვა დროს გაგცემ! — გაიღიმა დალიმ, სარკისაკენ მიტრიალდა, კაბა და გულისპირი გაისწორა; კედელზე გაკრულ ფოტოსურათებს შეავლო თვალი. >

— ეს ვინ არი? — დედა. — ახ, ეს არის? რა ახალგაზრდაა!.. ჰგავხარ, იცი!

დალიმ მოიხედა, ვიწრო გუგები კიდევ უფრო მოჭუტა და ლურჯი თვალები ელგუჯას მიაშტერა.

— არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ შენ ჰგავხარ ძალიან... — უთხრა ელგუჯამ.

— ესეც ასალი ამბავი... — დაფიქრდა დალი, — რატომ არ გინდოდა, რომ გეთქვა?

— არ ვიცი! — მხრები აიჩეჩა ელგუჯამ.

ოთახში დიასახლისი შემოვიდა. ხილი, კამფეტები, ლიქიორი

შემოიტანა და მაგიდაზე დაალაგა. ისევ გავიდა და კარი ღია დატოვა. დალიმ ელგუჯას გადახედა, რა საჭიროაო.

— მოიცადე ცოტა ხანს, მაინც არ გაგიშვებს უამისოდ...

— არ შემიძლია, ახლა მართლა მეჩქარება... ნახე, რას მიგავს მაჯები!..

დალი ისევ სარკესთან მივიდა, თმაზე ხელი ჩამოისვა, აწითლებული თუ ვარო, დაინტერესდა.

დეიდამ დანა-ჩანგალი და ხელსახოცები შემოიტანა.

— დაბრძანდით, გენაცვალე, ტკბილი მიირთვით, ჯერ ისევ ახალი წელია, რაც არ უნდა იყოს... — სუფრა გააწყო და ისევ გარეთ გავიდა.

— ხვალ სად იქნები?

დალიმ უაზროდ გაიღიმა და ელგუჯა მიხვდა, რომ უკვე აღარაფერი ესმოდა..

— გაიგონე? — რა გინდა? — ხვალ სად იქნები?

დალი დაფიქრდა, თითქოს პასუხს იგონებდა, თითქოს უსაშველო სიზმარს ვერ ართმევდა თავს..

— სად გნახავ? — გაიმეორა ელგუჯამ.

— არ ვიცი. შენ ნუ გგონია, როცა არ გხედავ, არ მახსოვხარ ან შენთან არა ვარ... ახლა უნდა წავიდე!

— გასინჯე, მართლა, რამე, უხერხულია. ეს დალიე მაინც... — ლიქიორი დაასხა ელგუჯამ.

— ამას ვერ დავლევ, მანდარინს ავიღებ... — მართლა ძალიან გეჩქარება? — მართლა მეჩქარება!

დალიმ ერთი მანდარინი გაფცქვნა, შუაზე გახლიჩა, კანი და გაპობილი ლებანი თეფშზე დადო და წავიდა.

XL

გაზაფხულდა. უცბად დათბა. ფეხბურთის პირველი მატჩი ჩატარდა თბილისში და ბაღი ხალხით გაივსო იმავე საღამოს. ფეხბურთის მოყვარულები ისე მამაღლა, გაცხარებით ლაპარაკობდნენ და კამათობდნენ, რომ შორიდან მაყურებელს ჩხუბი ეგონებოდა.

„დასცხონ ბარემ ერთმანეთს!“ — ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი დიმიტრი. მოწყენილი იჯდა და ძალიან უნდოდა, რაღაც ახალი, უჩვეულო მომხდარიყო. ნატვრაც მალე აუსრულდა.

ბაღში მთვრალი გიგიშა გამოჩნდა. ფეხებს მიწაზე მოაფხოკიალებდა და ოცობოცოდ ათვალიერებდა ბაღის ბინადართ. უკან ორი კაცი მოჰყვებოდა. ისინიც ნასვამები იყვნენ, მაგრამ ეგრერიგად არ ეტყობოდათ.

დიმიტრი ნასვამს და მთვრალსაც იოლად აუბამდა ხოლმე მხარს, მაგრამ გიგიშას დანახვაზე ელდა ეცა.

გიგიშამ საერთო სალამი თქვა. დიმიტრის პირადად ეახლა და ძალიან სერიოზულად ჩამოართვა ხელი.

— ხომ კარგად ბრძანდებით? — გმადლობთ, არა გვიშავს, თქვენ როგორ?

— ჩვენც კარგად, გმადლობთ!

ამ თავაზიანი სიტყვა-პასუხის შემდეგ გიგიშა შეტრიალდა, თანამოძმეებს მოეთათბირა და წავიდა. დიმიტრის ეგონა, სულ გადაიკარგაო.

„ალბათ საქეიფოდ გაუტია და მე დამტოვა!“ — ფიქრობდა განაწყენებული დიმიტრი, თუმცა გიგიშასთან სუფრაზე ჯდომა სულ არ ენატრებოდა. სიგარეტი ამოიღო, გააბოლა. ისევ ფიქრებში ჩაიძირა.

დიმიტრი ინტენსიურად მუშაობდა, ღამეებს ათენებდა. ფიხტეს, შელინგს, ბერკლის, იუმს, რატომღაც ბოგდანოვს და ფროიდს, რომლისაც არაფერი სწამდა, ერთმანეთს უდარებდა. ერთი საერთო მარცვალი ჰქონდა ნაპოვნი ამოსავალ წერტილად. მართალია, ბუნდოვან, მაგრამ, მისი ფიქრით, ლოგიკურ დასკვნამდე მისულიყო და ახლა ყველაფერს თავის მოყრა და გაანალიზება სჭირდებოდა. დღისით სამსახურში პროფესორ კონა ჯორჯაძეს უმარტივესი ცდების დემონსტრირებაში ეხმარებოდა, შტერად ასაღებდა, მაგრამ ყველაფერს მაინც ერთგულად და მუყაითად აკეთებდა. ლაბორატორიაშიც სიწყნარე და სისუფთავე სუფევდა.

— ქვევით, ჩაბნელებულ ფერდობზე, ვიღაცები ხმაურობდნენ, ლაპარაკობდნენ საკმაოდ ხმამაღლა. კაცი რომ დაჰკვირვებოდა, შეამჩნევდა გიგიშას, რომელიც ხვნეშით მოდიოდა ზევით, და მის ამფსონებს, ვირი რომ თოკით მოჰყავდათ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, უკან არავის გაუხედავს და ექსპედიცია ისე მოადგა დიმიტრის, კაციშვილს არაფერი გაუგია.

დიმიტრი რატომღაც სულ უმიზეზოდ შეკრთა და შებრუნდა, ფიჭვის ხის ქვეშ გიგიშა იდგა მოლანდებასავით.

— მოლა ნასრედინი ბუხარაში გინახავს? — იკითხა მან.

262

— ბუხარაში არ ვყოფილვარ. — კინოზე გეკითხები! — არ მინახავს! — გაეცინა დიმიტრის, — მაშინ ასლა განახებ! — დაჰპირდა გიგიშა.

დიმიტრიმ თვალები მოჭუტა, გიგიშას უკან ვიღაცები გაარჩია, თუმცა ვერც ერთი ვერ იცნო და სანამ რაიმეს გაარკვევდა, გიგიშა ზურგში დააცხრა და წიწილივით აიტაცა. ბიჭებმა სახედარი გამოაძუნძულეს და დიმიტრი ხედ შესვეს.

დიმიტრის პირველად რაღაც საშინელება ეგონა. გიგიშასაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამაზე უარესს რას ელოდა, ძნელი გასაგები იყო. გიგიშამ წინასწარ გამზადებული სქელი ქამარი დააძრო და მხედარს ვირის მუცლის ქვეშ ფეხები გაუკრა. დიმიტრი დამშვიდდა. მიხვდა, გასაქცევი არსად იყო. ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, გაიფიქრა და სადღაც მოეწონა კიდეც თავისი ყოფა. მისდა იღბლად თვინიერი სახედარი ყურს არ აპარტყუნებდა, არც წინ მიდიოდა, არც უკან.

— ფეხები გამიხსენი, შე ბითურო! — წყნარად უთხრა გიგიშას.

— რა გეჩქარება, იყავი ცოტა ხანს!

— ქამარი შემხსენი, თორემ ინანებ!

— იქით მემუქრება კიდევ! — გაუკვირდა გიგიშას.

დიმიტრის სიმწრით გაეცინა და ვირს კისერზე ხელი მოუთათუნა.

— დიოგენეს არ ჰგავს! — დაიჟინა გიგიშამ.

— არაფერი საერთო დიოგენეს ვირთან არ ჰქონია, შე იდიოტო!

— ჩამოვსვათ ახლა! — თქვეს გიგიშას ამხანაგებმა.

— ჩამოვიდეს თვითონ, ვაჟკაცობაზე რომ დებს თავს! — ფეხები შემიხსენი, შე უნიჭო!

— უნიჭოს მოგცემ მე შენ, მართლა თავს კი ნუ გაგივიდა! — გაბრაზდა გიგიშა და ვირს წიხლი ჰკრა. ვირი დაფეთდა და ტლინკები

ჰყარა. შეშინებული დიმიტრი სახედარს კისერზე შემოეხვია. ბიჭები ვირს ეცნენ, მაგრამ პირუტყვი გადაირია. შეიქნა სიცილ-ხარხარი.

— ვირს ნუ ანერვიულებთ! — დაიძახა გიგიშამ. იგი ფიჭვის ეს მიჰყრდნობოდა და ძირს აფურთხებდა.

ცოცხალმკვდარი დიმიტრი, როგორც იქნა, ძირს ჩამოვიდა. ამასობაში გაცეცხლებული მებაღეც გამოჩნდა. იგი შორიდან ყვიროდა და საშინლად ილანძღებოდა. რას შვრებით, რას — აკეთებთ, მძინარე ვირს აწვალებთ, ხალხი ხართ თქვენ, თქვენი ასე და ისეო. — ამ ყვირილზე მთელი ბაღი იქ შეგროვდა..

— არა უშავს, ძია, — ანუგეშა გიგიშამ მებაღე, — გაიზრდება და დაავიწყდება!

— ისე შენი პატრონ-მყვარებელი, რავარც ეს და შენ მეტი აღარ გაიზარდოთ! — დაუძახა მებაღე.

ამაზე საშინელი ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი ატყდა. თვით გიგიშასაც კი გაეცინა, თუმცა მებაღის ნათქვამი ხეირიანად არც გაუგონია.

მებაღემ ვირი წაიყვანა. შემოღობილში გადავიდა და დაწყნარდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მისი სმა მეტად აღარავის სმენია. პირუტყვი, რომელიც ორი დღით ბაღის სამუშაოებზე ჰყავდა სოფლიდან ჩამოყვანილი, ალბათ ბაგაზე დაობა.

— გეწყინა! — სულელურად ჰკითხა გიგიშამ დიმიტრის.

— უნიჭო კაცისაგან არაფერი არ უნდა გეწყინოს! — ამოიოხრა დიმიტრი და შარვალი გაიწმინდა. კარგა ხანს იშორებდა იგი ვირის ბალანს. სეირის მაყურებლები ასლა ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. ზოგიერთები დაგვიანებით მოსულიყვნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა მოხდაო.

დიმიტრი ასე სასტიკად არასოდეს გაბრაზებულა. ასეთი შეურაცხყოფაც არავის მიუყენებია მისთვის. ვირისაგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო, იიმედებდა თავს, მაგრამ მარტო იმედი რას

კმაროდა. აღარც იცოდა, რა ექნა, თავი როგორ უნდა დაეჭირა ნასიამოვნები ხალხის წინაშე. წასვლაც არ უნდოდა, იჯდა და თუთუნს აბოლებდა. თითქოს უდარდელად იმზირებოდა, მაგრამ ვინ რა იცოდა, გულს რა დარდი ჰქონდა შემოწოლილი. ყველაფერი ამაოებათა ამაოება იყო; ადამიანის სიცოცხლეც მართლაც სულელურ ხუმრობას ჰგავდა და მეტი არაფერი.

— რა მოხდა? — კითხულობდა მოგვიანებით გამოჩენილი ელგუჯა.

უყვებოდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. და ელგუჯამ ისევე ვერ გაარკვია, რა მოხდა. კიმოთე, ელგუჯას რომ შემოჰყვა ბაღში, მოშორებით იდგა: ნაცრისფერი, გადაღეღილი პიჯაკის გულის ჯიბიდან მზის სათვალე მოუჩანდა.

მალე გიგიშა მოვიდა და ელგუჯას უთხრა, მე და დიმიტრი განუყრელი ძმები ვართ, ჩვენი საქმე ჩვენ ვიცით, ახლა ყველანი ქალაქგარეთ გავიდეთ, პური ვჭამოთო.

— მე ვერ წამოვალ, არ ვსვამ! — ცივად მოუჭრა ელგუჯამ. — ნუ დალევ, ისე წამოგვყევი, არ გვკადრულობ, რა იყო?!

— წამოგყვებით, მხოლოდ ვერ დავლევ! — მოტყდა ბოლოს ელგუჯა.

კიმოთე, დიმიტრი, გიგიშა და მისი ორი ამხანაგი ელგუჯას მანქანაში ჩასხდნენ და კოჯრის გზას გაუყვნენ. სულ მალე მწვანე ღობით შემორაგულ სასადილოს მიადგნენ. გიგიშა ადრევე დაწინაურდა და სადღაც გადაიკარგა. სულ მალე ტუჩების წმენდით გამოვიდა გვერდითი კუპედან.

— რას ვშვებით?! — ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

გიგიშამ დახლიდარს ხელი ჩამოართვა და იმ კუპეში ერთი ყუთი ღვინო შეგზავნეთო, უთხრა.

— ორნი არიან სულ, რათ უნდათ ამდენი ღვინო!?

— რაც გითხარი, ის გააკეთე, უნდათ თუ არ უნდათ, ის მე ვიცი!

— ჰონორარი აქვს აღებული და ხარჯავს ეს გაჭირვებული, სახლში რა მიჰყვება ნეტავი ვიცოდე! — სინანულით გადაულაპარაკა დიმიტრიმ კიმოთეს.

— სარგის, მოდი აქ! — დაიძახა დახლიდარმა.

— რა გინდა? — გვერდულად იკითხა სარგისმა.

— ეს ყუთი შეიტანე მეორეში!.

— გავწყდი დღეს წელში, აღარ შემიძლია, თირკმელები მტკივა!

— გამარჯობა, სარგის! — კბილები გაახრჭიალა გიგიშამ.

— გაუმარჯოს! — იყვირა დახლიდარმა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— ეს წავიღოთ? — იკითხა შემდეგ და დამტვერილ ბოთლებს დახედა ალმაცერად.

— გიგიშამ მოგართვა-თქვა. უთხარი! — დაარიგა დახლიდარი და სამზარეულოსაკენ წავიდა.

სუფრა კაბინეტში გაშალეს. დიმიტრი მადიანად შეუდგა ჭამას, მაგრამ გიგიშამ საჭმელ-სასმელი არ შეარგო. ხომ არაფერი გეწყინა, გინდა თუ არა, მითხარიო.

— არაფერი არ მწყენია, ოღონდ დამანებე თავი!

— დაგანებო კარგია, ისე ლაპარაკობ, თითქოს ნაწყენი ხარ!

— არა ვარ, ბატონო!

გიგიშა დამშვიდდა. ორი ჭიქის შემდეგ ისევ აურია. ისე, დიმიტრის აუხირდა. ჯერ მოხარშული კვერცხი დაატეხა თავზე, შემდეგ სიგარეტი დააფერფლა. ელგუჯამ გიგიშა წამოაყენა, დაარტყა, გიგიშა აყირავდა და პირდაპირ ღია ფანჯარაში გავარდა. ისეთი ზღართანი მოადინა, თითქოს დათვი გადმოვარდა სიდან.

დაფეთებული ბიჭები და ოფიციანტიც კისრისტეხით ჩაცვივდნენ ქვევით.

გიგიშა ღობისძირას ეგდო. მკვდარი ეგონათ, მაგრამ ახლოს რომ მივიდნენ, სხვა სურათი იხილეს. თვალებდაჭყეტილი იწვა

და გაკვირვებული უყურებდა ვარსკვლავებს. იღბლად ნაძვის ხის ტოტს გამოსდებოდა. შემდეგ ჯუჯა ხეებში ჩაშვავებულიყო, თორემ ასე იოლადაც ვერ გადარჩებოდა. თვითონვე წამოდგა. ხმას აღარ იღებდა, აღარც ფეხი ეშლებოდა, გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იწმენდდა, მონგრეულ ყბას ისწორებდა.

დიმიტრის ეშინოდა, მე დამაბრალებს ყველაფერს, მაგრამ გიგიშას ლაპარაკისა და დაბრალების თავიც აღარ ჰქონდა. ენაჩავარდნილი ბრუალობდა ერთ ადგილზე. ქეიფზე ლაპარაკიც აღარ ყოფილა. მიატოვეს გაშლილი სუფრა. მანქანაში ჩასხდნენ და თბილისამდე მდუმარედ იარეს.

XLI

ჭაღარათმიანმა, მომცრო ტანის კაცმა ახალი ნაყიდი პაპიროსის კოლოფი გახსნა, პარუსინის სალათის დიდი ჯიბეები მოისინჯა და ასანთი ამოიღო.

— ლექსო, გამარჯობა! — დაუძახა ელგუჯამ. — ო, ჩემო ბიძია, გამარჯობა, რავა სარ? — გაიბადრა კაცი.

— როდის ჩამოდი, ლექსო?

— ამ დილით.

— რას შვრებით მანდიკორში?

— რას ვიზამთ, ვართ ძველებურად... მამაშენი კარგადაა, ჩვენც კარგად ვართ, შენ რავა დაიკარგე, ჩემო ბიძია!

სოფლის ექიმი ლექსო ღამის მატარებლით აპირებდა გამგზავრებას. წასვლამდე საქმე აღარაფერი დარჩენოდა და ლაპარაკით გაუდგნენ გზას. მალე ერთ პატარა რესტორანში ამოყვეს თავი. ფიქალო ქვებით ამოშენებული დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. უზარმაზარ, ღია ფანჯრებზე თეთრი ფარდები იყო გადმოშვებული. ფარდებს ნიავი აწვებოდა და აფრასავით ბერავდა.

ლექსოს ყოველთვის სიმშვიდე შემოჰქონდა ელგუჯა ცხოვრებაში. ლექსო იყო მთელი სოფლის იმედი და სიხარული. დღედაღამ, წვიმასა და ლაფში, თოვლში, გზაზე და უგზოზე ცხენით დადიოდა ავადმყოფთან. შუაღამისას თავსხმა წვიმაში აყენებდნენ და ავადმყოფთან მიჰყავდათ ხოლმე. ხან ჭრაქით, ხან ჯიბის ფარნით ინათებდა ლექსო ტყეში და ბუჩქნარებში გამავალ გზაწვრილებს. წინ ხშირად ფეხშიშველი, თავზე ყაბალახმოხვეული გლეხი მიუძღოდა.

— რატომ არ სვამ? — ჰკითხა ლექსომ ელგუჯას,

— რაღაც არ ვარ კარგად... ამასწინეებზე ცუდად გავხდი და მირჩიეს, ღვინოს მოერიდეო...

— ნუ ლაპარაკობ! — დედის სულს გეფიცები! — კაი, თუ გიყვარდე! ელგუჯა დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს.

— ... ისე კი მეუბნებიან, არაფერი არ გჭირსო, მაგრამ მაინც...

— ცხადია, ბიძია, რა უნდა გჭირდეს... ალბათ რამე სანერვიულო შეგხვდა და შეგარყია, ეს არაფერი...

— ღამღამობით ცუდად მძინავს ძალიან... — რა ვუყოთ მერე!

— ცუდი ფიქრები მიტრიალებს, მეშინია, არაფერი მომეწიოს ან თვითონ ჩემს თავს არ ავუტეხო რამე, პროფესორებთანაც ვიყავი... ხანდახან რაღაც დამაბურბუსალებს, მეშინია, თავში სისხლძარღვი არ გაწყდეს...

— რა არ გაწყდეს?

— სისხლძარღვი.

— სამედიცინო წიგნები არ იკითხო და ექიმებს და პროფესორებს მოეშვი. შენი სისხლძარღვი, ბიძია, თასმასავით მოქნილია და ტირიფის ტოტივით ელასტიური... რაებს ლაპარაკობ. ამაში არ არის საქმე, — დაფიქრდა ლექსო, — შენ ბევრად უფრო მგრძნობიარე კაცი ხარ, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი. შენი აღგზნება გაცილებით მძაფრი და ცხოველია, ვიდრე სხვისი. მე ხომ გიცნობ შენ, ბიძია. ასეთი იყავი ბავშვობაში. დედაშენს ძალიან

ეშინოდა შენი ჯანმრთელობის. რაღაცები გელანდებოდა, ღამე ჩრდილები გაკრთობდა. ელექტრონის ნათურა მძინარეს მზე გეგონა... კი, ასეთი იყავი... გულჩვილობა ხომ არ დაგჩემდა ყველაფერთან ერთად?

— კი... — ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ უპასუხა ელგუჯამ. ლექსოს გაეცინა, ჭიქა დაცალა. — დალიე, მაგ ჭიქა ჩამოცალე.... — კიდევ გაგიმარჯოს, ლექსო! — თქვა ელგუჯამ.

— სპორტსმენ კაცს კი არ უნდა დაგმართნოდა ასეთი რამ, მაგრამ ხდება... ეგ არაფერი, თავისთავად გაიარს, დამიჯერე.

ელგუჯას უცნაური სითბო ჩაუდგა მთელ ტანში. წარმოიდგინა, როგორ იწვა ოდა-სახლში სიცხიანი და ბატონებიანი. წაბლის ხის კედლებზე ცისფერი შპალერი იყო აკრული. ღია ფანჯრებზე წითელი ნაჭერი ეკიდა. ლექსომ ოქროსფერი ყვინჩილა მოიყვანა. მამალს იატაკზე სიმინდის მარცვალი დაუყარეს. ყვინჩილამ იქაურობა მიათვალიერა, სიმინდის მარცვალს ოქროსფერი ნისკარტი დაჰკრა. მარცვალი გასხლტა და ყვინჩილამ გვერდულად დაიწყო ყურება.

ელგუჯამ და ლექსომ ძველი ამბები გაიხსენეს. ადღეგრძელეს სოფელი, მშობლები და მამა-პაპის საფლავები. შენ, ჩემო ლექსო, ინგლისელი სოფლის ექიმი ედუარდ ჯენერი ხარო, რომელმაც კაცობრიობა ყვავილისაგან იხსნაო.

— ჯენერი დიდი ადამიანი იყო, ბიძია, მის სახელს ვენაცვალე! — თქვა ლექსომ და ჭიქა ასწია.

— გაგიმარჯოს ლექსო! — გაგიმარჯოს, ჩემო ბიძია... ორივემ დალია.

— შენ არაფრის არ შეგეშინდეს, ბიძია, შენი ლექსო გენაცვალოს შენ... ნერვებს არ აყვე... ბაბუაშენი ცოტა უცნაური კაცი კი იყო, თუმცა შენ დედაშენის შვილი ხარ. თვალებიც დედას გიგავს და თმაც. კარგი ქალი იყო. სოფელში უცხო ფრინველივით მოიყვანეს. ეჰ, ბიძია, ვერაფერი ვუშველეთ...

ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ასეთი ყოფილა მისი ბედი, ნათელი იქ დაადგეს. ელგუჯამ მოიწყინა. ცოტა ხანს ორივენი დუმდნენ,

— ლექსო, მართალია, რასაც ბაბუაჩემზე ამბობენ? — ხმადაბლა იკითხა ელგუჯამ.

— რას ამბობენ? — რაღას არ ამბობენ...

— ბაბუაშენი ცოტა უცნაური-თქვა, ქე გითხარი, მარა უკუღმართი კაცი იყო, ბიძია. ისე, დიდი გულკეთილი და ხელგაშლილი... რა მაქვს დასამალი და პირში გეუბნები, ახლობელი ნათესავი უყვარდა. ქალი მოკვდა თუ მოკლეს, ეს ბნელი ისტორიაა, არ მინდა გითხრა, ვინ იყო. მისი მონაგარი დღესაც კარგად არის, კარგად ამყოფოს გამჩენმა...

— ფუტკრების ენა იცოდა, ფუტკრებთან ლაპარაკობდაო, ეს შეიძლება?

— ფუტკარს შენც დაელაპარაკები, თუ გინდა, მაგრამ, არა მგონია, ფუტკარმა ენა შემოგიბრუნოს...

— რომ მოკვდა, თურმე ფუტკრებმა გვირგვინი შეკრეს და კუბო შიგ გაატარეს, ასე ვიცი მე...

— მაგას ამბობენ, კი, მაგრამ მე პირადად მაგის მსგავსი არაფერი დამინახავს, თუმცა გასვენებაში ვიყავი, რასაკვირველია, და ყველაფერი კარგად მახსოვს...

— აბა, მოიგონეს?

— არ ვიცი, ბიძია, ვერ გეტყვი... სკა მართლა აიშალა და საშინელი ბზუილი ატყდა, მაგრამ გვირგვინი მე არ დამინახავს, შეიძლება უკან ვიყავი და იმიტომ... შენ შეყვარებული ხომ არა ხარ?

— რაზე მეკითხები, მეტყობა?

— შეტყობით რაზე უნდა შეგეტყოს, რა ვიცი, თუმცა არც უმაგისობა ჩანს... თავის დღეში ელგუჯას სიყვარულზე გულახდილად არ ულაპარაკია. საიდუმლო ისტორია, რომელსაც ყურადღებით ადევნებდნენ ზოგიერთები თვალს, არსად არ გაუმხელია, სიტყვა

არ დასცდენია. ამხანაგები და მეგობრები გადაკვრით, ქარაგმით, ზოგჯერ პირდაპირაც ეკითხებოდნენ, რა საერთო გაქვს ამ ქალთანო, ფაქტის წინაშეც კი აყენებდნენ ხანდახან, მაგრამ ვერასოდეს ვერაფერი დააცდენინეს. უთქმელობა კი უფრო გატანჯა, შეაწუხა, მოკლა. მეტის მოთმენა დღითი დღე აუტანელი ხდებოდა. ადგა და დაუფარავად მოუთხრო ლექსოს ყველაფერი, თითქოს რაღაც დიდი ლოდიც მოიხსნა და მოისვენა, თავისუფლად ამოისუნთქა. გაოცებული, ამჩატებული, შექეიფიანებული ლექსო მატარებლამდე მიაცილა და შეფიქრიანებული გაუშვა მანდიკორში.

XLII

ბადრი კილაძემ მუშაობა დაიწყო. ნაცნობმა რეჟისორმა თელავის თეატრში მიიწვია მხატვრად. იგი ახალ სპექტაკლს აფორმებდა. ამ პიესით ხსნიდნენ სეზონს და ბადრიც ენერგიულად და მონდომებით მუშაობდა. რეჟისორს არ ეგონა, თუ იგი ასე დაუდებდა სამსახურს გულს. თელავის თეატრში თვითონაც პირველად მუშაობდა, იქ დარჩენას სულ არ ეშურებოდა, მაგრამ რამდენიმე სპექტაკლით თეატრალური სამყაროს გაოცება ჰქონდა გადაწყვეტილი და პრემიერაზე ნახევარი თბილისი დაპატიჟა.

ბადრი კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩამოდიოდა თბილისში და დალისათვის სახლში ადგილი არ რჩებოდა. ქმარი რომ გზას ეწია, თითქოს ამით გახარებული, სინამდვილეში აფორიაქებული და აღგზნებული დადიოდა, ვერაფერს გულს ვერ უდებდა, ვეღარც წერდა, ვეღარც კითხულობდა. ოჯახში კი მოჩვენებითმა სიმშვიდემ დაისადგურა, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა იგი ფარულად ხვდებოდა ელგუჯას თითქმის ყოველ მეორე დღეს. ოჯახი თითქოს ოჯახს ჰგავდა, ქმარი —

ქმარს, მაგრამ არასოდეს ბადრი დალისათვის ასეთი უცხო და გაუგებარი არ ყოფილა. ტყუილი, თვალთმაქცობა და ფარისევლობა ზეიმობდა. ჰქონდა კი ამ ყოფას აზრი? ალბათ, ყველაფერი თავისთავად გამოსწორდებაო, ფიქრობდა დალი და ეს სიტყვები დიდი ნუგეში იქნებოდა სწორედ, მის სიმართლეში რომ დარწმუნებული ყოფილიყო.

— ვინ არის ელგუჯა ვაშაძე? — ჰკითხა ბადრიმ დალის ერთ ჩამოსვლაზე.

— როგორ, ვინ არის? — იცნობ? — კი.

ბადრის მეტი აღარაფერი უკითხავს, სიგარეტები ჩაილაგა ჯიბეში; პორტფელი და საწვიმარი აიღო და წავიდა.

„ეს დღეც დადგა!“ — გაიფიქრა გახევებულმა დალიმ.

ღია ფანჯარასთან რაღაც მწერი ზუზუნებდა ყრუდ და გაბმულად. მისი ტანისათვის შეუფერებლად დიდ, ისრიმისფერ. ფრთებს აფარფატებდა და ერთ ადგილას იყო ჰაერში გაჩერებული. შუადღის ხვატი იდგა. შორს ფერდაკარგული ცა ჩანდა. ნიავი არ უბერავდა. ხეზე ფოთოლი არ ინძრეოდა. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს ქვეყანა ძილად იყო მიგდე, ბული.

ელგუჯა ტახტზე იყო გაშოტილი და თავს მკვდრად თვლიდა. სასიკვდილო არაფერი სჭირდა, მაგრამ ერთობოდა და ვერავითარ უცნაურობას ამ თამაშში ვერ ხედავდა. ახლა არა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ემანუილ ჭონქაძისა არ იყოს, ხომ მართლა მოკვდებოდა? ადრე თუ გვიან ეს დღეც ხომ აუცილებლად დადგებოდა? ყველაფერი დასრულდებოდა და სამუდამოდ დამთავრდებოდა. თუ დასასრულის შემდეგ არაფერი არ იყო, სიცოცხლეს რა აზრი ჰქონდა? ადამიანი ცოცხლობს სამშობლოს ბედნიერებისათვის, მიზნისათვის, ბრძოლისათვის, შრომისათვის, უკეთესი მრწამსისათვის, შთამომავლობისათვისო, გასაგები და ცხადი იყო, მაგრამ ყველაფერი ეს, თუნდაც ერთად აღებული, სიკვდილის არსებობას, მის მორალურ (და არა ბიოლოგიურ) უაზრობას

ხომ ვერ გამორიცხავდა.

ხრიალით გაჩერდა ლიფტი მეექვსე სართულზე, ვიღაც გადმოვიდა და ქალის ფეხსაცმლის ქუსლების ხმაც იქვე მიწყდა ზედ ზღურბლთან.

— დალია! — გაიფიქრა ელგუჯამ.

კარიც ფრთხილად, უხმაუროდ გაიღო. ელგუჯამ თვალები დახუჭა. „ჩათვალოს რომ არ ვარსებობ, ვაგრძნობინებ, რომ მკვდარი ვარ!“ — გაიფიქრა მან და ეს იდეა, რომლის უაზრობა იქვე იგრძნო, ძალიან მოეწონა.

სტუმარი ფეხაკრეფით, კატასავით რბილად შემოვიდა ოთახში და იქვე ტახტზე დაჯდა. სულ მალე ელგუჯას მოეჩვენა, რომ მარტო იყო და ყველაფერი ელანდებოდა, შემკრთალმა გაახილა თვალი და დალის მიაჩერდა. დალის ხმა არ გაუცია. ოთახი ახლა სულ გამოყრუვდა. ფანჯარასთან ის დაღუპული მწერიც აღარ ზუზუნებდა.

— რა სიჩუმეა!.. ასე მგონია, სამარეში ვარ...— თქვა დალიმ.

ელგუჯა სწრაფად წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და დალის მოშიშვლებულ მუხლისთავებს დაადგა თვალი.

„როგორ აძლევს ქმარი ასეთი მოკლე კაბის ჩაცმის ნებას?!“

— გინდა გითხრა, რა გაიფიქრე? — ჰკითხა დალიმ.

ელგუჯამ მხრებში მოჰკიდა ხელი, წამოაყენა და მოიზიდა.

— ხელი გამიშვი!... — გაუძალიანდა ქალი, — ვიცი, ღონიერი სარ, საკმარისია!

ელგუჯამ სელი გაუშვა და თვითონაც ტახტზე დაჯდა. დალი კი წამოდგა, კაბა გაისწორა, მაგიდაზე უკუღმა დადებული. პატარა სარკე გადმოაბრუნა და დაკვირვებით ჩაიხედა შიგ.

— ერთი ხეირიანი სარკე და საათი უნდა გიყიდო... — თქვა და გაჩუმდა, — სარკის გაჩუქება არ ვარგა? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— მე მგონი, არა. — საიდან იცი? — ვიცი, ასეა ნათქვამი, არ ვარგაო. — აბა, რა გაჩუქო სამახსოვროდ?

— რა უნდა მაჩუქო, არაფერი არ მინდა!

— შენ თქვი რაიმე ჩემზე? — მოტრიალდა დალი მოულოდნელად და ელგუჯას მიაშტერდა.

— რა უნდა მეთქვა? — შეკრთა ელგუჯა.

— ჩვენს ურთიერთობაზე მოუყევი ვინმეს რამე?

— არავის... — კატეგორიულად თქვა ელგუჯამ და იმწამსვე თითქოს გულში რაღაც ჩასწყდა.

— რატომ ჩაფიქრდი? — ჰკითხა დალიმ.

„ლექსოს ვუთხარი, მაგრამ ეს თქმად არ ითვლება. ლექსო არავის არაფერს არ ეტყოდა, ეს გამორიცხულია, თანაც იმსაღამოსვე გაემგზავრა მატარებლით... ეს სულ სხვა ამბავია და მაინც ვთქვი...“

— ამისათვის, დაისჯები შენ! — თქვა ლალიმ, ჩანთა გახსნა, ამოიღო თმები და ელგუჯას გაუწოდა.

— ეს რა არის?

— ჩემი თმა, ჩემი ორი დალალი, შენ რომ შემაჭერი, გქონდეს სამახსოვროდ!

„რას უნდა ნიშნავდეს ეს?“ — ფიქრობდა გაოცებული ელგუჯა, როცა დალის თმას ინახავდა.

— ადამიანი რომ კვდება, რა ემართება, არ იცი? — ჰკითხა დალიმ.

— მე საიდან უნდა ვიცოდე!

— აბა, როგორ, ადამიანი არაფერი არ არის?.. მოკვდება ღა გაქრება?.. — ღიმილით ლაპარაკობდა დალი და ისევ სარკეში იხედებოდა, — ნეტავი მალე მოვკვდები და სხვაგან გამეღვიძებოდეს. ვიღაცამ მითხრა, ერთი სიკვდილის შემდეგ ადამიანი სხვა პლანეტაზე იცხოვრებსო, შენ არ გინდა, რომ ერთ დღეს სხვა

პლანეტაზე გაგვეღვიძოს?.. იცი, რას გეტყვი: მოდი, მომკალი. პირობას გაძლევ, ყველაფერს ისეთნაირად მოვაწყობ, რომ ვერავინ შენზე ეჭვს ვერ მიიტანს... სულ ერთი არ არის, მე მაინც უნდა მოვკვდე, მირჩევნია შენ მომკლა...

ელგუჯამ ვერ მოისაზრა, რა შეიძლებოდა ახლა ეთქვა. „ეს უკვე ჩემს ნერვებზე თამაშობს!“ — გაიფიქრა მან.

— მართალია, გეხუმრები, მაგრამ თუ უჩემობა არ შეგიძლია, მომკალი, სულ ერთია, სიკვდილის შემდეგაც შეგხვდები, დაიხსომე, მხოლოდ აქ, ამ მიწაზე არ მთავრდება ყველაფერი...

ამ ლაპარაკის დროს, ბადრიმ თელავიდან თბილისში წასვლა აიხირა. ორშაბათამდე უკან დაბრუნებას არ აპირებდა, მაგრამ რატომღაც სახლი მოესურვილა. იფიქრა, რომ სწორედ იმ ღამით აუცილებლად ცოლის ნახვა იყო საჭირო. ეს სურვილი ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვერაფერმა ვეღარ დააკავა. ამხანაგს მანქანა სთხოვა დაჟინებით. ამხანაგია „ისრა, რაღა ამ ბნელში წასვლა აიტეხე, ბარემ დილამდე დაიცადე, დილით მეც მოვდივარო. ბადრიმ არ დაიშალა, ამხანაგმა იფიქრა, არ ეგონოს, მანქანა მენანებაო (სინამდვილეში სწორედ ასე იყო) და მეტი აღარაფერი უთქვამს.

XLIII

გვიანი ღამე იყო, როცა ბადრი თბილისს მოუახლოვდა. ტაფობში ჩავარდნილი, განათებული ქალაქი რომ გამოჩნდა, რატომღაც აღელდა. საშინელი სისწრაფით მოჰქროდა მთელი გზა და ახლაღა შეყოყმანდა. კინაღამ უკან გაბრუნება დააპირა. თბილისის ქუჩები ცარიელი იყო და აღარსად შეჩერებულა. თავის სახლს დაუგვერდიგვერდა, ზედ ტროტუარზე შეაყენა მანქანა, ჩაბნელებულ ფანჯრებს ახედა და იმწამსვე მიხვდა, შინ რომ არავინ იყო.

ბადრი გაშტერებული იდგა გამოყრუებულ ბინაში და უცნაური წინათგრძნობა, მთელი გზა რომ აწუხებდა, არაფრით არ შორდებოდა. მოულოდნელად ჩამორეკა კედლის საათმა და ნაშუაღამევის მოახლოება აუწყა. ბადრი დამშვიდდა, შუქი ჩააქრო და ღია ფანჯარასთან დაჯდა.

მთვარე მაღალი აკაციის კენწეროს მოეფარა თუ არა, მანქანა გაჩერდა ჩამოსახვევში. მანქანიდან დალი და ელგუჯა გადმო-

ვიდნენ. იქვე შეჩერდნენ ტროტუარზე. ბაღი გარკვევით უყურებდა ამ სურათს.

„რა მინდოდა, რომ წამოვედი! თელავში ახლა გრილა... ნეტავი, როდის გაიმართება ჩვენი პრემიერა!?! — ფიქრობდა იგი.

— გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა? — ჰკითხა დალიმ ელგუჯას, — რა უცნაური და უბედური დღე იყო... — სულ ჯვრის კარტები შემრჩა ხელში!

„ყველაფერი ნამდვილად მომხდარა... მე ნამყოფი ვარ ამ სახლში!“ — გაიფიქრა ელგუჯამ.

— ახლა წადი, კარგად იყავი!

— კარგად! — უთხრა ელგუჯამ. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, რა უნდა ეთქვა. რაღაც უნდოდა და არ იცოდა — რა. მონუსხულივით ემორჩილებოდა მთელი დღე დალის ყველა სიტყვას და რაღაც საზარელი გრძნობა არ შორდებოდა. მოთენთილი, თითქოს მოშხამული ჯდებოდა მანქანაში. „გველის დაკბენილი ხომ არა ვარ?!“ ფიქრობდა იგი.

ოთახში შესულმა დალიმ შუქი აანთო თუ არა, მისგან ზურგშექცევით მდგარი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ქმარი დაინახა. არც შეშინებია, არც არაფერი მოლანდებია. ელგუჯასთვის არაფერი უთქვამს, თუ არა, ტროტუარზე მანქანა იუცხოვა და სახლის ფანჯარა რომ ღია იყო, ისიც შეამჩნია. სწორედ იმ ფანჯარაში იხედებოდა ახლა ბადრი..

— როდის ჩამოდი? — ჰკითხა ცოლმა. — დღეს! — უკან მოუხედავად უპასუხა ქმარმა. — რატომ?

— არ ვიცი! — ბადრი მოტრიალდა და ცოლს დამცინავი, მაგრამ დაუნდობელი თვალებით შეხედა. ამ გამოხედვამ ქალი შეზარა. იგრძნო, როგორ გაუხურდა მთელი სახე. საწოლთან მივიდა, ფეხსაცმელი გაიხადა და ქოშები ჩაიცვა.

ბადრიმ ასანთს გაჰკრა, სიგარეტს მოუკიდა. დალი გრძნობდა, რომ ქმარი ისევ იმგვარად, იმგვარივე თვალებით უყურებდა

და თავის ზევით აწევას არ აპირებდა.

— ის იყო? — წყნარად იკითხა ბადრიმ.

ვინ ისო, უნდოდა ეთქვა დალის, მაგრამ მიხვდა, რომ თავის გასულელებას აზრი აღარ ჰქონდა.

— არ გესმის?..

— რა გინდა, მითხარი?! — წონასწორობა დააკარგვინა ქმრის მშვიდმა ტონმა.

— ის იყო-მეთქი, გეკითხები?!

დალიმ თავბრუსხვევა იგრძნო, რა უნდა ეპასუხა კაცისათვის, რომელიც საგანგებოდ, ქურდულად ჩამოვიდა თელავიდან ცოლის სათვალთვალოდ.

— ის იყო! — თქვა მან.

ბადრიმ სიგარეტი საფერფლეს დაასრისა და კედლის ღუმელს მიეყრდნო.

— რა არის შენი? — შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, რა არის?.. — გგონია, რომ არა აქვს მნიშვნელობა? — მგონია, კი... — გამომწვევად უთხრა დალიმ.

— პირველად როდის გაიცანი, პირველად როდის მოგაცილა, როდის მიეცი ამის უფლება?!

— არ მახსოვს, გინდა, დავადგინო წელი, თვე, დღე და რიცხვი?!

— არა, არ მინდა... — დაფიქრდა ბადრი, — ასლა ტყუილს იტყვი თუ მართალს, აღარა აქვს მნიშვნელობა და ჯობია მითხარი, რომ იმასთან არავითარი საერთო არა გაქვს და არც გქონია...

— მქონდა და მაქვს! — გაიმეორე!

— მიყვარს, მიყვარდა, მეყვარება! — სასოწარკვეთილი ხმით შეჰყვირა ქალმა. ამ ხმაზე ბადრი წინ წამოვიდა და დალიმ შეამჩნია, რომ კაცს ადამიანის ფერი აღარ ედო.

„ახლა უკვე აღარ დამინდობს!“ — გაიფიქრა მან და თვალები დახუჭა. იმწამსვე თვალწინ ცეცხლისფერმა სინათლემ იალა.

სულ ახლო გაისმა ყრუ სმა, რომელსაც მასთან თითქოს არავითარი საერთო არ უნდა ჰქონოდა. რაღაც მოხდა, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად. იგრძნო, რომ მუხლებზე იდგა. მარცხენა მკერდი გათბობოდა, სისხლით ევსებოდა ლიფი და უბე.

„მესროლა!“ — მიხვდა იგი. წამოდგომა დააპირა, ვერ შეძლო. ქმარმა ხელი შეაშველა, წამოაყენა, მაგრამ უცბად მოწყდა მუხლებში. ქმრის ღონიერმა ხელებმა აიყვანა და ტახტზე დააწვინა. იგი ახლა შეშლილი სახით დასჩერებოდა ზემოდან.

დალიმ გამშრალი ტუჩები გაანძრია უსიცოცხლოდ. ბადრის ეგონა, რაღაცის თქმას აპირებდა.

— გინდა რამე? — ჰკითხა მან.

დალიმ ზუსტად ვერ გაიგო შეკითხვა. მოეჩვენა, რომ რაღაცას სთხოვდნენ კიდევ.

— ხომ მომკალით, მეტი რა გინდათ!.. — დაიჩურჩულა მან. ზარმა დარეკა. ბადრი კარის გასაღებად გავარდა. — დალის ზარის სმა აღარ სმენია, არც ქმრის გასვლა გაუგია. დაცხა. საკვირველი კი იყო, თოვდა და არ ციოდა. პატარა, მომწვანო მატარებელი ნაძვის დათოვლილ ხეებს შორის მიიკვლევდა გზას. შორს თეთრი, უცნაურად გადაგლუვებული, დათქმის გამჭვირვალე მთები ჩანდა. გზაწვრილზე, მუხლამდე თოვლში, სქელწაღებიანი, ბოლომდე ჩახსნილჯუბიანი კაცი გამორბოდა. მოღიმარი სახით მოსდევდა მატარებელს, ეწეოდა და ვერც ეწეოდა. თოვლი ხრაშუნებდა, რბილად, გარკვევით, სადღაც ნაძვის ხიდან ჩამოვარდნილი გუნდა დგაფუნებდა. მატარებელი მთებსა და მთებს შორის მიკიოდა ყრუდ. ორთქლმავლის სმა გორიდან გორაზე, ხევიდან ხევში გადადიოდა და შემდეგ სადღაც შორს, უსასრულობაში, ინთქმებოდა. ნაღვლით შეფიფქული კაცი კი თანდათან პატარავდებოდა, ფერმკრთალდებოდა; ირგვლივ ყველაფერი უფრო და უფრო თეთრდებოდა და ქრებოდა.

ბადრიმ კარი გააღო. კართან რუსიკო იდგა. ბადრი უაზროდ

მისჩერებოდა მეზობელს.

— რა მოხდა აქ?! — კითხულობდა ფერდაკარგული ქალი. — შემოდი და გაიგებ! — სძინავს დალის?

— არა! — უპასუხა ბადრი და სწრაფად შეტრიალდა, ოთახში შევარდა, ტელეფონის ყურმილს დასწვდა. რუსიკოს არაადამიანური კივილი მოესმა. ბადრი მექანიკურად, მაგრამ უშეცდომოდ კრეფდა სასწრაფო დახმარებისა და მილიციის ტელეფონის ნომრებს, რომელიც არასოდეს ზუსტად არ ახსოვდა. იცოდა, რა გააკეთა, რა ჩაიდინა. მხოლოდ ეს ყველაფერი თითქოს ძალიან დიდი ხნის წინათ, შეიძლება მისი აქ არყოფნის დროსაც მოხდა. მაინც ჰქონდა შერჩენილი რაღაცის იმედი და ამ ერთადერთ იმედს ებღაუჭებოდა; ვიღაცას შველას სთხოვდა, მაგრამ ეს ხალხი მას სახლში რა უაზროდ, უმიზეზოდ დარბოდა, ხმაურობდა, ტიროდა, ყვიროდა, ვინ რას შვრებოდა, კაცმა არ იცოდა; რას სჩადიოდნენ, რა სურდათ, საკვირველი იყო პირდაპირ.

XLIV

— რა საერთო გქონდათ გარდაცვლილთან? — ჰკითხა გამომძიებელმა ელგუჯას დილით.

— ვიცნობდი. — ახლოს? — დიახ, ახლოს.

რას ნიშნავდა ეს სიახლოვე, ელგუჯას აღარ განუმარტავს, თუმცა გამომძიებელს სწორედ ეს აინტერესებდა.

— მაშინ, — ჩაახველა გამომძიებელმა, სათვალე გაიკეთა და ოქმის ფურცელი გადაშალა, — მე წაგიკითხავთ ბრალდებულის ჩვენების ერთ ნაწილს. დაზარალებულმა, უფრო სწორად, გარდაცვლილმა, სიკვდილის წინ, ესე იგი, მკვლელობის აქტის წინ, დაადასტურა, ესე იგი, ქმარს განუცხადა, რომ აქ ასე სწერია: მიყვარს, მიყვარდა, მეყვარება! თქვენზეა ლაპარაკი, სხვათა შორის..

ბადრის ზედმიწევნით ზუსტად მოეთხრო გამომძიებლისათვის ყველაფერი და ახლა მილიციის თანამშრომელი ჭუჭყიან, მელნით მოთხვრილ ოქმში დამარცვლით, საქმიანად კითხულობდა

იმ სიტყვებს, რომლებიც ელგუჯას არასოდეს დალისაგან არ სმენია.

— რას იტყვით?! — გამომცდელად კითხულობდა გამოეძინებელი. ელგუჯა დუმდა. გამომძიებელი განაგრძობდა: ყოველი მოქალაქე, თუნდაც იგი ამ საქმეში გარეულიც არ იყოს, ვალდებულია დაეხმაროს სამძებრო ორგანოებს, რათა საქმის არსს ნათელი მოეფინოს და სხვა და სხვა.

„რატომ არ იხსნის სათვალეს, კითხვას ხომ მორჩა?!“ ფიქრობდა ელგუჯა.

— მაშინ ხვალ მობრძანდით, ხვალ დილით! — თქვა ბოლოს მოსამართლემ, როცა მოწმის უმეტყველო სახეზე ვერაფერი ამოიკითხა.

— ახლა შემიძლია წავიდე? — იკითხა ელგუჯამ.

— ახლა წაბრძანდით!

მილიციიდან პირდაპირ სამსახურში წავიდა. რედაქციაში შაქრო ნერგაძე დაუხვდა. არასოდეს ეს კაცი არ ენახა და ახალგაზრდა კოლეგამ, რომელსაც ბუნების განყოფილება ებარა, გაოცება ვერ დამალა.

— მართლა არ იცნობ? — პირველად ვხედავ!

— რას ლაპარაკობ, შაქრო ნერგაძე ჩვენი ძმა არის, ტყუილს ვამბობ, შაქრო?!

— მართალია, მართალი... — ჩაილაპარაკა სქელმა, ჯანიანმა კაცმა, მაგიდაზე მიყრილ ხელნაწერებს ხვნეშით რომ აგროვებდა და ელგუჯასა და ბუნების განყოფილების გამგის ლაპარაკი რომ არ ესმოდა.

რედაქციაში არ იცოდნენ ახალი ამბავი, რომელიც მთელ ქალაქს შეაძრწუნებდა რამდენიმე საათის შემდეგ.

— თქვი, შაქრო, რამე ახალი! — ითხოვა ერთმა ლიტმუშაკმა, რომელიც მოწყენილობისაგან უკვე სულს ღაფავდა.

— კარგი, კაცო, — ხმადაბლა თქვა პირბადრმა კაცმა, ფანჯარასთან რომ იჯდა, — მაგის შემხედვარეს, აღარც მეცინება, აღარც მეტირება, ძალიან ერთფეროვანი გახდა.

— რა კაცია ეს თქვენი რედაქტორი, ვერაფრით ვერ გავიგე, — თქვა შაქრომ, — პიესებს და ისტორიულ პოემებს არ ვბეჭდავო... აბა რას აკეთებს, ვერ გავიგე!

— არაფერს! — უთხრა ვიღაცამ.

— უჩივლე, მაგ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება! — ურჩია ჭადრაკის თამაშით გაბრუებულმა ერთ-ერთი განყოფილების გამგემ, იმ, წუთას რომ შემოიხედა ოთახში.

— ეს შენ ამაზე ჭკვიანი ხომ არ გგონია! — უჩურჩულა ბუნების განყოფილების გამგემ ელგუჯას და ახლადგამოჩენილ კაცს ღიმილით მიაშტერდა.

— სად ვუჩივლო, ერთი დღე მაქვს სულ თავისუფალი, ანდა მაგის კაცი ვარ მე! — ამოიოხრა შაქრომ.

— თუ ძმა ხარ, ამას შენი პროექტები გააცანი, დაგეხმარება რამეში, სპორტსმენი კაცია, მთელი ქვეყანა იცნობს! — თქვა მოწყენილმა ლიტმუშაკმა და ელგუჯას გადახედა.

შაქრომ იმწამსვე ჩანთა გახსნა, დასტა-დასტა ამოალაგა თაბახის ფურცლები, საუწყებო, ტიტულებიანი, ბეჭედდასმული ქაღალდები. საკუთარი გამოგონებანი ნახაზებითა და ფერადი ილუსტრაციებით. სქელყდიანი პროექტები განიარაღებაზე და ქვეყნის გადარჩენაზე. დედამიწას იგი ტოტალურ დაღუპვას (ეტყობოდა, ეს სიტყვა ზუსტად არ ესმოდა) უწინასწარმეტყველებდა.

— ეჰ, — ამოიოხრა შაქრომ, — კაცობრიობა დაღუპვის კარზეა მიმდგარი. დედამიწა ერთი რიგითი ვარსკვლავია და მეტი არაფერი. ასეთი ვარსკვლავი ბევრი ჩამქრალა, ბევრი ჩაქრება. მე თვითონ მინახავს, საწყობში სამასსანთლიანი ნათურა გვქონდა, მოვარდა დენი და გადაწვა...

— ხომ ვამბობდი მე! — თქვა პირბადრმა კაცმა, ფანჯარასთან

რომ იჯდა.

— დედამიწის დაღუპვის აშკარა ნიშნები ხომ არ შეგინიშნავს ჯერჯერობით? — იკითხა ერთმა.

— კი. — მერე, თქვი, ნუ დაგვიმალავ!

— რა მაქვს დასამალავი... ჯერ მარტო ავიღოთ გაზი, ჩვეულებრივი გაზი, საჭმელებს რომ ვაკეთებთ, ისეთი... საიდან მოდის ეს გაზი?

— მიწიდან, — შეეშველა ვიღაც.

— მართალი ხარ... დედამიწის წიაღი, გული, გავსებულია ამ გაზით და ამიტომ ვტრიალებთ ასე მსუბუქად და თავისუფლად. მიწა, თუ ამ გაზისაგან დავცალეთ, დირიჟაბლივით დაეშვება ქვევით, თანდათან დაშორდება მზეს და გაიყინება.

— მართალია, ხომ იცი, მაინც ზოგიერთი გაზქურას კი არ აქრობს... არაფერი ზედ არ უდგას, არ წვავს, არ ხარშავს და ფანტავს ამ გაზს ტყუილუბრალოდ, მუქთია და რა ენაღვლება... — თქვა პირბადრმა კაცმა, რომელსაც ბიჭიკოს ნათქვამი სადღაც მაინც ენიშნა და ერთი პირობა ეს დებულებაც კინაღამ დაიჯერა.

— საერთოდ, მე ჩაგონებული მაქვს და ხალხს უნდა ვუწინამძღვრო...

— ხალხს თუ ერს? — ჰკითხა ბუნების განყოფილების გამგემ.

— ხალხს... — თქვა შაქრომ, — ამისათვის სიცოცხლეში არავინ დამაფასებს, ჩინმედლებსაც არ მომცემენ...

— აბა, ეს რა არის? — ჰკითხა ახალგაზრდა ავტორმა. — ეს არაფერი არ არის, მაღაზიაში ვიყიდე, — უპასუხა შაქრომ და კიტელის ჯიბეზე ჩამოპორწიალებული, უბრალო სამკერდე ნიშანი სელი) შეათამაშა.

— როგორ, არაფერი არ არის?!

— როგორ და კარგად... — ჩაილაპარაკა შაქრომ ის ელგუჯას ალბომი გამოართვა, რაშიც მფრინავი მოტოციკლეტის მოდელები იყო ჩახატული.

— პრემია მოგცეს, ხომ? — არ მოეშვა ახალგაზრდა ავტორი, მაგიდაზე რომ იყო ღილიდან ყვავივით შემომჯდარი.

— აუ! — შეწუხდა შაქრო. — მე მგონი, ოქროა... — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ოქრო კი არა, კიდევ ის არ გინდათ!.. — შაქრომ მკერდიდან ნიშანი მოიგლიჯა, ყველას ეგონა, ფანჯრიდან ისვრისო, მაგრამ ჯიბეში შეინახა.

— საერთოდ, — თქვა მან, როცა სიცილი მიწყდა, — ყველაფერი გამართლებაზეა, ხანდახან გაგიმართლებს კაცს, ხან არა. რაზეა ეს დამოკიდებული, ძნელი სათქმელია...

XLV

მეორე დღეს ელგუჯა ისევ დაჰკითხეს. ახალგაზრდა გამომძიებელთან ერთად რამდენიმე კაცი იჯდა ოთახში. თითქმის ერთდროულად ელაპარაკებოდნენ. „ჰგონიათ დავიბნევი!“ — ფიქრობდა ელგუჯა. იგი ისედაც არაფერს არ ფარავდა. ამბობდა ყველაფერს, რაც კი მიცვალებულის სახელს შეურაცხყოფას არ მიაყენებდა. გამოძიებამ კი ბევრი არაფერი იცოდა. ყურმოკრული ჭორების დაზუსტებას თუ დადასტურებას ცდილობდა საკმაოდ უტაქტოდ და მოუხერხებლად.

მილიციიდან ფეხით წავიდა სახლისაკენ. ქუჩა-ქუჩა მიდიოდა მარტო, სად იყო, არ იცოდა და არც აინტერესებდა. გადათხრილ ქუჩაში ბულდოზერი ბუღრაობდა. მიწაში ჩაფლული ექსკავატორის ციცხვი ქანაობდა ჰაერში. მარჯვნივ რკინის მესრით შემორაგვული ეზო და თეთრი შენობა ჩანდა. წვერგაუპარსავი, გამხდარი ბიჭი, ზოლებიანი ხალათი რომ ეცვა და გალიბანდი ეხურა, ღობე-ღობე მოდიოდა, თითქოს სარებს ითვლიდა. თანაც ელგუჯასკენ იხედებოდა აშკარად.

ელგუჯამ შეიცადა, ბიჭს აგრძნობინა, თუ რამის თქმა გინდა, მითხარიო. ბიჭმა გაუღიმა და ორად გაკეცილი რვეულის ფურცელი გაუწოდა. ელგუჯამ ფურცელი გამოართვა.

— ეს ბარათი აუცილებლად გადაეცი ინდიგო შანშიაშვილს!

— ინდიგო შანშიაშვილი ვინ არის?

ბიჭი გაჩუმდა. ეტყობოდა, გაუკვირდა ინდიგო შანშიაშვილის არცნობა. ბოლოს წყნარად თქვა:

— ინდიგო შანშიაშვილი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელია, პრავი მცველი! — გაიღიმა მან და მორცხვად დააჩერდა მიწას.

ელგუჯამ წერილი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. ბიჭმა რკინის მესერს მიაბჯინა შუბლი და ელგუჯას ნაღვლიანი მზერა გააყოლა. ვიღაც კაცმა, ეტყობოდა, იმ დაწესებულების ყარაულმა, ბიჭი საყელოთი დაითრია და ზოლებიანი ხალათის .. ფრიალით გააპორწიალა ეზოში.

ელგუჯა შინ მივიდა. ფანჯარა გააღო და ტახტზე დაჯდა. ზურგით კედელს მიაწვა, ცას მიაჩერდა. ცაზე რამდენიმე სიფრიფანა, რძისფერი ღრუბელი იდო უძრავად.

ვერაფრით ვერ მოიგონა, რომელი იყო ფეხბურთელი შანშიაშვილი. ასეთი გვარის კაცი თბილისის „დინამოში“ არც უნდა ყოფილიყო. გაიხსენა გამხდარი ბიჭის დიდი, ნაღვლიანი თვალები და გაიფიქრა, შანშიაშვილს აუცილებლად მოვძებნი, რადაც არ უნდა დამიჯდესო, თუკი იგი ნამდვილად არსებობსო, ბარათი ამოიღო ჯიბიდან. ცალხაზიანი რვეულის ფურცელს გარედან სწორედ ასე ეწერა:

თბილისის დინამოს მცველს ინდიგო შანშიაშვილს.

წერილი დაწერილი იყო გარკვევით, ლამაზი, გაკრული სელით, მხოლოდ რამდენიმე ასო იყო უცნაურად დაგრძელებული და დახუჭუჭებული.

„... ძმაო ინდიგო, სრულიად უსაფუძვლოდ, ბეზ ასნავანია, ვიმ-

ყოფები ქალაქ თბილისის ფსიქო-ნევროლოგიურ საავადმყოფოში, გრუზინსკი ესესერ. ტელეფონის ნომერი წიგნში ნახეთ. უნდა გამიყვანოთ თავდებით. ვიცი, ძალიან ჭირს დარეკვა, მაგრამ უნდა გავიდე თქვენი წერილობითი პასუხისმგებლობის ქვეშ. საავადმყოფო შემორაგვულია წრეებად და ვერავინ ვერ გადის ციფერბლატიდან. შოთა შავმა, ბორია მესხმა, ილო ვაკელმა უნდა დამემოწმოთ ყველა ფეხბურთელის სახელით. განსაკუთრებით პელე და გარინჩა სანტოსის ფლამანგოდან. აგრეთვე დოროხოვი. თქვენ უნდა თქვათ, წერილობით, ანდა უნდა დარეკოთ, რომ ფეხბურთელების სახელით მოდიხართ. ძმები ჩარლტონები, სტაროსტინები და სხვ... ფეხბურთელებია.... საერთოდ აქ წრეებია, ჩვენს გარშემოც წრეებია. ვერავინ ვერ შემოდის და ვერ გადის. ვერავინ ვერ გაძვრება ბორბლის ტრიალიდან. არც ირეკება. ვერავინ ვერ შეაჩერებს ციფერბლატურ მოძრაობას. ყველაფერი დაურღვეველ კანონს ემორჩილება. ეს არის აბსურდი, ადამიანის ტვინის კომედია. ტვინს გონია, რომ კანონებს არღვევენ. ვის შეუძლია დარღვევა. გარღვევაზე გასვლა ლევი კრაიდან. ყველანი ვემორჩილებით მოძრაობის და სიკვდილის ციფერბლატურ წესს. არაფერი არ იცვლება, არაფერი არ ჩნდება, არ იწყება და არ მთავრდება. ასე იყო და ასე იქნება. ბორბალი იყო, ბორბალი იქნება. ბორბალი ტრიალებს. ჩემი ტელეფონის ნომერი არ უნდა გაამხილოთ. გვარი სახელი და ატეჩესტვო. დარეკეთ!!!!!!! ჩემი ფეხსაცმელის ნომერი #41 შნურუკებით...“

ელგუჯამ ამოიოხრა, წერილი მაგიდაზე დადო. დიმიტრი მოვიდა. — ინდიგო შანშიაშვილს იცნობ? — ჰკითხა ელგუჯამ. — არა, არ ვიცნობ. — ფეხბურთელია, მცველი...

— არ ვიცნობ, არ გამიგონია... — ჩაილაპარაკა გაოცებულმა დიმიტრიმ და სიგარეტი ამოიღო, თავი მოუფშვნა, გააბოლა, კუთხეში მიჯდა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია.

დიმიტრი ცოლის შერთვას აპირებდა. საერთოდ კი ძალიან

მოტყდა. ძველებურად აღარაფერი ახალისებდა. ვერის ბაღშიც აღარ დაიარებოდა. ვირზე რომ შესვეს, ვერ მოინელა. სწორედ იმ ამხედრების დღიდან დაიწყო მისი ცხოვრების ახალი ეტაპი, ბუნებრივი შერჩევისა და გამრავლების უტყუარ იდეამდე რომ მიიყვანა.

XLVI

მესამე დღეს საზოგადოება „ცოდნის“ დარბაზში დიმიტრის ხელმძღვანელმა კონა ჯორჯაძემ წაიკითხა ლექცია „არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?“

ვიწრო და გრძელი, მოუხერხებელი დარბაზი სანახევროდ გაივსო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებით, ლექტორის ახლობლებით, შემთხვევით შემოსული მოქალაქეებით და თავით დაწესებულების წარმომადგენლებით.

დიმიტრი და ელგუჯა უკან დასხდნენ.

საზოგადოების თავმჯდომარემ მომხსენებელი წარუდგინა მსმენელებს:

— ლექციას თემაზე, არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტაზე, წაიკითხავს პროფესორი კონა ჯორჯაძე! — წყნარად თქვა მან, გაიღიმა და ჯორჯაძეს გადახედა.

ტაშის ხმაზე პროფესორი წამოდგა და პირწმინდად თმაგაცვენილი თავი დახარა. თავი ელექტრონის შუქით აბზრიალდა. ჩად-

გმული, ტანსრული კაცი იყო. ასაკთან შედარებით მხნედ და ჯანსაღად გამოიყურებოდა. ხმადაბლა, შინაურულად დაიწყო საუბარი და აუდიტორიასთან საქმიანი კონტაქტი დაამყარა დასაწყისიდანვე. მოხსენებას აკეთებდა ზეპირად, ასახელებდა ფანტასტიკურ ციფრებს, სიდიდეებს, მანძილებს; დროდადრო იკეთებდა ფართოშუშებიან სქელ სათვალეს და კითხულობდა ბარათებზე ამოწერილ ციტატებს.

— არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე და ვარსკვლავებზე? — იკითხა თავადვე ბოლოს. ,

ხალხი გაინაბა. ყველა ელოდა, იტყვის, არისო. მაგრამ პროფესორმა ამოიოხრა და თქვა: ამის დანამდვილებით დამტკიცება, მით უმეტეს უარყოფა, ჯერჯერობით შეუძლებელიაო. ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა ცდომილებზე და ვარსკვლავებზე სიცოცხლის არსებობის, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი წარმოდგენილი, დამადასტურებელი, უტყუარი საბუთი, მაგრამ გვჯერა და გვწამს, რომ სამყაროში ჩვენი დედამიწა არ წარმოადგენს გამონაკლისსო.

— ... შეიძლება უახლოეს წლებში, შეიძლება დღეს ან ხვალ მივიღოთ სიგნალები შორეული სამყაროდან. ამისათვის არსებობს სპეციალური დაწესებულება, ხელსაწყოები. გამოყოფილი არიან ადამიანები, რომლებიც აპარატთან სხედან და ელოდებიან უცნობი სამყაროდან მომავალ მოსალოდნელ სიგნალებს. სპეციალურ კამერაში ის კაცი და სრული ექვსი საათი ელოდება ამ სიგნალებს...

— რამდენი აქვს ხელფასი? — წამოსცდა ვიღაცას. — ვის? — გამომწვევად იკითხა ლექტორმა.

— აი, იმ კაცს, ვინც კამერაში ზის ექვსი საათი? — უკან აღარ დაიხია დაინტერესებულმა პირმა. — ამ უხეირო ხუმრობაზე თუ გულუბრყვილო შეკითხვაზე ლექტორი თითქმის უნდა გაბრაზე-

ბულიყო. ასე მოეჩვენათ, ყოველ შემთხვევაში, მაგრამ კონამ გაიღიმა და ხალხმაც შვებით ამოისუნთქა. დარბაზი ახმაურდა კიდეც, მაგრამ პროფესორი დადინჯდა კვლავ, ლაპარაკი განაგრძო. იმავე ტონით და ამ უჩვეულო ინციდენტს თითქოს ყურიც არ ათხოვა. სინამდვილეში კი შეკითხვა დაიმახსოვრა და გადაწყვიტა, შინაურ წვეულებაზე, ლექციიდან რომ უნდა წასულიყო, საჯაროდ მოეთხრო ეს ამბავი.

— ... გამოანგარიშებამ გვიჩვენა, — ლაპარაკობდა ლექტორი, — სამყაროში ძალიან გავრცელებულია 21,1 სმ სიგრძის ტალღები. თუკი სადმე შორეულ ვარსკვლავებზე კიდევ არსებობენ ადამიანის მსგავსი გონიერი არსებანი, მაშინ, ასტროფიზიკოსების აზრით, სწორედ ისინი მიაქცევენ ყურადღებას ამ ტალღას, რომელიც არსებითად განსხვავდება გალაქტიკებისა და ვარსკვლავების უწყვეტი სპექტრებისა და კოსმოსური წყალბადის გამოსხივებისაგან. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ახლა სადღაც ტაუ კიტთან ან ალფა ცენტავრის ახლოს მოტრიალე პლანეტაზე ზის ვიღაც და ამ ტალღებს ელოდება. რამდენიმე წლის წინ 21,1 სმ სიგრძის რადიოტალღები ერთმანეთზე მიყოლებით და მათემატიკური თანმიმდევრობით სამყაროსკენ გაგზავნეს. ახლახან, თქვენ ალბათ იცით, რომ ბევრმა ობსერვატორიამ აღმოაჩინა მოკლე სიხშირის სიგნალები და დაადასტურა შორეულ სამყაროში დაახლოებითი სიზუსტით განსაზღვრული პულსარების არსებობა, მაგრამ ამას ხსენებულ სიგნალებთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ისე ფაქტი თავისთავად მეტისმეტად ყურადსაღებია და შემდგომ კვლევას და დაზუსტებას მოითხოვს. მაშ, როდის შეიძლება ვიქონიოთ ჩვენ გაგზავნილ სიგნალებზე პასუხის იმედი? შემიძლია გითხრათ დაახლოებით: თუ უახლოესი ვარსკვლავიდან ჩვენამდე სინათლის სხივის მოსვლას ოთხი სრული წელიწადი დასჭირდება, მაშინ ცხადია, ოთხი ორზე უნდა — გავამრავ-

ლოთ და პასუხს ალბათ მივიღებთ რვა წლის შემდეგ, თუკი სიგნალები გაგზავნილია შვიდი წლის წინ. პასუხს ერთე წელი კიდევ დააგვიანდება და ეს ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში. თუ არადა, შეიძლება კიდევ კარგა ხანს მოგვიწიო! ლოდინი და ჩვენ თქვენთან ერთად ვიმედოვნებთ, რომ ეს ვარაუდი ჭეშმარიტად აღსრულდება.

პროფესორმა ლექცია დაამთავრა და წყალი დალია.

თავმჯდომარემ თქვა:

— სანამ პატივცემულ კონას მადლობას გადაუხდიდეთ, — ჩვენი თხოვნა იქნება, მოგვაწოდოთ შეკითხვები. გინდათ წერილობით, გინდათ, და უმჯობესიცაა, სიტყვიერად!..

— პირველად სმა ვერავინ ამოიღო. ბოლოს ვალე ჯეი წამოდგა და ხმამაღლა იკითხა: არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზეო.

კონა ჯორჯაძეს ოფლმა დაასხა. ცხვირსახოცი ამოიღო და თავზე მოისვა. ორი საათია ამაზე ვლაპარაკობ და ეს რას მეკითხებაო, გაიფიქრა, შეისვენა, ჩაასველა და ადრინდელი ნათქვამი მოთმინებით გაიმეორა. დანამდვილებით თქმა ძნელია, მაგრამ არ შეიძლება სიცოცხლე, თუკი არის სადმე, რა სახითაც არ უნდა იყოს, სხვა პლანეტებზეც არ აღმოჩნდესო.

ბოლოს და ბოლოს ისევე ვერ გაიგეს, იყო თუ არა სიცოცხლე სხვაგანაც, მაგრამ კამათი აღარ გაგრძელებულა. ვიღაცამ იკითხა: მზე ჩაქრება თუ არაო.

— კი! — პატარა პაუზის შემდეგ მიახალა ლექტორმა უმადურ აუდიტორიას.

ხალხი ახმაურდა. აწრიალდა. ზოგმა ფერი დაკარგა.

— ... მხოლოდ ეს მოხდება ალბათ, რამდენიმე მილიარდი საუკუნის შემდეგ... — დინჯად დაამთავრა კონა ჯორჯაძემ.

მსმენელებმა უცბად დაიანგარიშეს და მიხვდნენ, მათ სიცოც-

ხლეში მზეს არაფერი ელოდა, დამშვიდდნენ და დიდად ნასიამოვნები დაიშალნენ.

ერთხელ, ადრე, თომა ქალაქიდან შეღამებისას სოფელში ურმით ბრუნდებოდა. ელგუჯა მაშინ სკოლაშიაც კი არ დადიოდა. მოწნულ ძარში იჯდა, გვიმრის ფოთლებში და ჩალის ნარჩენებში ჩაფუთნული. მეურმეს სხვა გლეხებიც დამგზავრებოდნენ და ლაპარაკით მიდიოდნენ მთვარით განათებულ გზაშარაზე. ელგუჯას ურმის პრიალა ჭილზე ეკიდა ხელი და ყურებდაცქვეტილი უგდებდა საუბარს ყურს. ერთი გლეხი ამტკიცებდა, ტყეში ადრე ალები ბუდობდნენო, მთვარიანში ჭალაში ჩადიოდნენ, ტანს იბანდნენ და ოქროს თმას ივარცხნიდნენო. ალი ერთხელ თუ დაინახე, აღარაფერი გიშველის, სამარადჟამოდ დაღუპული სარო.

მთვარით განათებულ გზის ცალ კიდეს ხეებისა და ძეძვის ჩრდილი ეფინა. გამუქებული ტყიანი გორები და სერები ალაგ-ალაგ მკრთალად იყო ავერცხლილი. სადღაც ღელე ჭრიალებდა. სიჩუმეში ეკლის ხის ღერძი ჭრიალებდა გაბმულად. ურმის ფრჩხილები გამხმარ შარაზე მიფხოკიალობდა.

მთავარი სიყვარული და გაგებაა, თვარა, ადრე თუ გვიან, ყველა მოვკვდებიო, თქვა ნათლიდედასთან ვახშმად შეგვიანებულმა, შექეიფიანებულმა გლეხმა. გლეხი დაიხარა, მოწითალო მიწას სელი დააღო და ხმამაღლა თქვა: დრო მოვა, ვერც ერთი ჩვენთაგანი ამ გზაზე ვერ გაივლის, ეს გზა იქნება, ეს მიწა იქნება და ჩვენ აღარ ვიქნებითო.

— მართალი სარ, ბიძია, მართალი... — დაეთანხმა თმაგათეთრებული, წელში გახრილი, კაფანდარა ბერიკაცი, რომელიც ჯერ-ჯერობით მთელი ცხოვრება ზუსტად იმ გზაზე დადიოდა. — ამ ლაპარაკით გაოცებულ ბავშვს მალე ჩაეძინა. მხოლოდ მეორე დღეს, ისიც შუადღისას გაიხსენა ყველაფერი. სახლში შეირბინა და დედას ჰკითხა, მართლა ყველანი მოვკვდებით თუ არაო.

— ყველანი, — უთხრა დედამ. — შენც?

— როცა დიდი გაიზრდები, როცა შვილები გეყოლება, მე რომ დავბერდები და თმა გამითეთრდება, მაშინ ჩემი დროც მოვა.

— მეც მოვკვდები? — შენ არა! — წამოიძახა შეშინებულმა ქალ-მა.

— თუ ყველა მოკვდება, მე რატომ არ მოვკვდები?

— იმიტომ, რომ პატარა სარ!

— როდესაც დიდი გავიზრდები, დავბერდები, როცა ჩემს შვილს შვილები ეყოლება, და თმა გამითეთრდება, მაშინ?

— როდესაც შვილები გეყოლება და დაბერდები, სხვა გახდები, მაშინ შენ აღარ იქნები, ამიტომ ახლა ვინც ხარ, არასოდეს არ მოკვდები...

გახარებული ბავშვი სათამაშოდ გავარდა. მაშინ რა იოლად დაიჯერა ყველაფერი. „ახლა ალბათ მართლაც სხვა ვარ, ჩემი ბავშვობა არ მომკვდარა, მაგრამ ის სადღა ვარ, რაც ვიყავი, ან დედაჩემი სადღაა?..“

„მზე ჩაქრება მილიარდი საუკუნის შემდეგ... — ლექციიდან დაბრუნებულს ესმოდა კონა ჯორჯაძის ხმა, — ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს, ავიფარებ სახეზე ხელებს და ვეღარაფერს დავინახავ ისედაც. თუ სამუდამოდ დავხუჭავ თვალებს, მზეც სა-მუდამოდ ჩაესვენება, უკუნითი უკუნისამდი!“

XLVII

მეოთხე დღეს ახალ შებინდებულზე ოთახში დიმიტრი შემოვიდა დაბარებულივით. ელგუჯას გაეცინა. დიმიტრი კი უხმოდ დაჯდა და პირველივე წიგნი, რომელიც ხელში მოხვდა, საქმიანად გადაშალა.

ელგუჯა დუმდა. არც დიმიტრი ამხელდა, რას კითხულობდა ასეთი ინტერესით. უეცრად მასპინძელი შეშფოთებული წამოვარდა ზეზე. დიმიტრი შეკრთა და ხელიდან წიგნი კინაღამ გაუვარდა.

— წამოდი, გავიაროთ!.. — დიმიტრის გასაოცებლად, მშვიდად თქვა ელგუჯამ.

ელგუჯა და დიმიტრი დიდხანს დაეხეტებოდნენ ვაკის პარკში. ელგუჯას შინ წასვლა და დაძინება არ უნდოდა, მაგრამ არც დიმიტრი აპირებდა ბაღის დატოვებას,

ნათელი ღამეები წაეწყო ერთმანეთს. სავსე მთვარე დაღამებისთანავე ამოცურდებოდა და თითქმის შუაღამემდე ბრდღვიალებდა ცაზე. მერე კი სადღაც მიილეოდა და მიიკარგებოდა.

— მოგეწონა გუშინ კონა ჯორჯაძის ლექცია? — იკითხა დიმიტრიმ.

— კი, — უგულოდ თქვა ელგუჯამ.

— შტერი უძახე შენ, რამდენი ილაპარაკა, ხედავდი?,, — ჩაიცინა დიმიტრიმ.

ისინი აუზის გვერდით უზარმაზარი ვერხვების ქვეშ სკამზე ისხდნენ. მძლავრი შადრევანი შხუოდა. ატყორცნილი წყლის ჭავლი იმსხვრეოდა ჰაერში და ლურჯად და წითლად აელვარებული ჟვავდებოდა ქვევით. დამდგარი წყალი იწინწკლებოდა და ელექტრონის შუქზე ლივლივებდა.

ბაღი დაიცალა. შუაღამე გადავიდა. დიმიტრი და ელგუჯა დარჩნენ მარტონი. დიმიტრი აბოლებდა და ყვინთავდა დროდადრო.

— წადი, დიმიტრი, გვიანია უკვე, უშენობით არაფერი არ მომივა, ნუ გეშინია! — უთხრა ელგუჯამ.

დიმიტრი გამოფხიზლდა, რამდენიმე გემრიელი ნაფად დაარტყა.

— ხვალ ხუთშაბათია, გასვენების დღე... ჩემი თქმა რად გინდა, მაგრამ მაინც გეუბნები, დაკრძალვაზე არ მიხვიდე ხომ იცი, მაინც... შენი გამოჩენა არ შეიძლება, საერთოდ ნუ გამოხვალ სახლიდან.

— მომეცი ერთი სიგარეტი!

დიმიტრიმ სიგარეტი მიაწოდა. ელგუჯამ უგერგილოდ მოუკიდა, მოქაჩა, უეცრად მოეშვა, მოითენთა; იქაურობა გაყრუვდა.

... იმ დილით მომკვდარიყო დიმიტრის პროფესორი კონა ჯორჯაძე. დიმიტრი, ელგუჯა და ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი ევგენი თოდუა სამძიმარზე მიდიოდნენ. ელგუჯას ფეხები უკან რჩებოდა, ჭირისუფალთან, რომელსაც არ იცნობდა, შესვლა არაფრით არ უნდოდა. თანაც შარვლის ტოტი ჰქონდა გარღვეული. მთელი თბილისი იქ იქნება და ამ შარვლით სად შევიდე,

როგორ გამოვჩნდე, რატომ არ გამოვიცვალე ტანსაცმელი, ჯავრობდა იგი და შეჩერებას მაინც ვერ ახერხებდა. ევგენი თოდუას და დიმიტრის მიჰყვებოდა ბრმად. მარმარილოს კიბეზე მიაბიჯებდნენ. მოჩუქურთმებული რიკულები, განიერი ტალანები და კედელში გამოღებული ბუჯერები რაღაც მომწვანო, მოწითალო ფერებით იყო განათებული. ჯორჯაძის ბინის ფართოდ მოღებული კარი და ჰოლი იყო მხოლოდ ჩაშავებულ-ჩაბნელებული. ადამიანი არც იმ არემარეზე ჭაჭანებდა, თუმცა ელგუჯას მოეჩვენა, რომ ჰოლში ფეხისცერებზე გაიარა ლექტორმა კორნელი ყიფიანმა და ისიც სადღაც წკვარამში გაუჩინარდა. ბინაში შევიდნენ. ნახევრად ბნელ სცენაზე ტახტი იდგა, ტახტზე იწვა, იმჟამად უკვე განსვენებული, პროფესორი კონა ჯორჯაძე. კონას პირველი ცოლი, მართალია, არტისტი ყოფილა, მაგრამ ჯორჯაძის თეატრიდან გამოსვენება მაინც მიზანშეუწონლად მოეჩვენებოდა ადამიანს, პარტერში რამდენიმე უცნობი აკადემიკოსი ჩანდა. ერთს რატომღაც კედები ეცვა. ელგუჯა დააკვირდა და მისი ძველი მწვრთნელი ბატონი პავლე აღმოაჩინა. ახლა გაახსენდა, რომ პავლე აკადემიაშიც იყო არჩეული, მაგრამ რატომღაც ეს ამბავი ადრე არ იცოდა. პავლე კი ისე იყურებოდა, თითქოს ელგუჯას არაფერი არ უნდა გაჰკვირვებოდა წესით, მიცვალებულთან კი მარტოდმარტო იდგა დიმიტრი. ევგენი თოდუა, რომელიც იმ წუთას გვერდით მოჰყვებოდათ, მესამე იარუსის ქანდარაზე გაილანდა. იმ კაცისაგან მეტიც არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ დიმიტრის საქციელი ვერ ახსნა ვერაფრით. რატომ შემომიყვანა მაინცდამაინც სცენაზეო, ჯავრობდა. თვითონ, კარგი, მასწავლებელს სცა პატივი, მაგრამ ელგუჯა რა შუაში იყო. თანაც უკან დასაბრუნებელი გზა არსად ჩანდა. პარტერში ჩასასვლელიც ვერ შენიშნა და ჰოლის კარიც ვეღარ აღმოაჩინა. შეშფოთებულმა გადახედა მიცვალებულს და თვალს არ დაუჯერა. პროფესორ კონა ჯორჯაძეს დიმიტ-

რის ფეხსაცმელი ეცვა აშკარად. ამაზე გაუგონარ და დაუჯერებელ ამბავს ძნელად თუ წარმოიდგენდა ადამიანი. რა აუცილებელი იყო, რომ მიცვალებული მაინცდამაინც დიმიტრის ფეხსაცმლით ჩასულიყო სამარეში. დიმიტრის, კაცმა რომ თქვას, პროფესორი არ უყვარდა, მაგრამ პატიოსან პირად თვლიდა ყოველთვის და არამც და არამც კონა სხვის ფეხსაცმელს არ ჩაიცვამდა უმიზეზოდ. მართლაცდა, პროფესორ ჯორჯაძეს, ბელეტაჟის წინ რომ იდგა და სცენიდანაც კარგად ჩანდა, საკუთარი შტიბლეტები ეცვა, რომელსაც იგი, დიმიტრის თქმით, თორმეტი წელი ატარებდა, სულ უკანასკნელი. ელგუჯა დაწყნარდა. იმ ამბავს კი, კონა ცოცხალი რომ იყო და მკვდარიც, თავისი შტიბლეტებიც ეცვა და სხვისი ფეხსაცმელიც, იოლად შეურიგდა. სცენაზე გაძლება კი გაუჭირდა. ძალიან. ევგენი თოდუაც ვეღარ დაინახა. იარუსებიც აღარ ჰქონდა შენობას. ბელეტაჟში გადიოდა ქუჩა. შუაში მოჩანდა უზარმაზარი, უისრო და გამჭვირვალე საათი). ციფერბლატი შეუმჩნევლად ბრუნავდა ღერძის გარშემო. გამჭვირვალე ციფერბლატის უკან კი მექანიზმი ჩანდა. უამრავი, დიდი და პატარა ბორბალი ბრუნავდა თანაბრად, ერთ ტაქტში. საათის ქვეშ ქუჩაში ორ კაცს კუბოს სახურავი მიჰქონდა. ელგუჯა მიხვდა, რომ ვეღარავინ ვეღარ უყურებდა და დამშვიდდა. ჩვენ საერთოდ აღარ გამოვჩნდებით, რადგან უკვე ლიფტით მივდივართო, უთხრა დიმიტრიმ. ლიფტი მიდიოდა ქვევით და ქვევით. ლიფტს ოთხკუთხედი სახურავი კი არ ჰქონდა, არამედ თაღოვანი, კონუსისებური ჭერი ამშვენებდა. კონუსში ღარები ჩახვეულიყო სპირალივით. ამ სპირალური ლავგარდანებით შეიძლებოდა მხოლოდ გარეთ გასვლა. ისინი მიჰყვებოდნენ კიდეც ამ ღარს. ეს ღარები ტვინის ხვეულები აღმოჩნდა. როცა დიმიტრი ვეღარსად დაინახა, ელგუჯა მაშინღა მიხვდა, რომ ტვინში მიდიოდა. მიდიოდა და მიიწევდა ცენტრისაკენ. თანაც ეს იყო ტვინის მოდელი, ნამდვილი ტვინის ზუსტი ასლი. მენინგია მედია. საიდანღაც, ვიწრო დარანებიდან

და ლავგარდანებიდან, ისე როგორც კარსტული გვირაბის ნესტიანი ტალანებიდან, უბერავდა ნიავი და ელ. გუჯას თავზე სციოდა. სიცივემ შეაწუხა და გაახილა კიდეც თვალი. ბაღში საშინელი სიჩუმე გამეფებულიყო. შადრევანიც აღარ სცემდა. ხელში ანთებული სიგარეტი ეჭირა და ამან გააკვირვა საშინლად.

— ხომ არ შეგცივდა? — ჰკითხა დიმიტრიმ. — მგონი...

ადგნენ და წინ წავიდნენ. დიმიტრი იმ ღამეს ელგუჯასთან დარჩა.

XLVIII

ღამენათევი, გაბრუებული ელგუჯა თავისი სახლის წინ ჩრდილში იდგა მეხუთე დღეს. ძეწკვზე აცმულ მანქანის გასაღებებს ატრიალებდა ხელში. ცხელოდა. მოსწავლეები ბრუნდებოდნენ სკოლიდან; ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ შინ დიდი ჩანთებითა და მელანში მოსვრილი ტანსაცმლით.

გურამ ყვავაძემ რამდენჯერმე შემოუარა რკინის სვეტს. ჩანდა, ავტობუსს ელოდებოდა. სიცხემ შეაწუხა, უკან დაბრუნდა და ჩრდილს მიაშურა. ხელში ბადურა ეჭირა, რომელშიაც ტუალეტის დაგორგლილი ქაღალდები იყო ჩაპრესილი. ელგუჯა მოგვიანებით შეამჩნია. გულღიად მიესალმა.

— სად იყავი? — ჰკითხა ელგუჯამ.

— შესვენებაზე გამოვედი და შემთხვევით ამას გადავაწყდი... — გაიღიმა ყვავაძემ და ბადურას დახედა, — ახლა შინ მივდივარ, ვისადილებ და დავბრუნდები. საათი ხომ არა გაქვს.

— არა, არა მაქვს...

ელგუჯა გურამს შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ შეხვდებოდა. დიდ პატივს სცემდა, განათლებულ, ნიჭიერ კაცად იცნობდა და ხშირად მისადმი მოწიწებით იმსჭვალებოდა. იგი კორექტორად მუშაობდა ერთ-ერთ გამომცემლობაში. ამ პატარა თანამდებობას თვითონ არ თაკილობდა და სხვას მის მაგივრად არ რცხვენოდა. კარგად იყო აღზრდილი. ბავშვობიდანვე დაეუფლა ინგლისურს და შემდეგ რამდენიმე ენა შეისწავლა დამოუკიდებლად. უფროსებს აოცებდათ ამ ბავშვის ნიჭი, გარჯილობა და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. ბევრს კითხულობდა, წერდა, თარგმნიდა, მაგრამ მხოლოდ შელის რამდენიმე ლექსი და მილტონის ნაკლებად ცნობილი პოემა დაბეჭდა. სპეციალისტების დიდი შეფასება დაიმსახურა, თუმცა ფართო ლიტერატურულ საზოგადოებაზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. გურამი დარწმუნებული იყო, თანამედროვე ინტელიგენცია ძირითადად საშუალო ნიჭის ადამიანებისაგან შედგებოდა. საშუალო ნიჭი და გემოვნება ბატონობდა ყველგან და ყველაფერზე. საშუალო ნიჭის ხალხი აგინებდა, აღმერთებდა ერთმანეთს და ამ ერთფეროვნებაში გზის გაკვლევას დიდი დრო და მოთმინება სჭირდებოდა. და მაინც, მარტო ამ ფაქტით არ შეიძლებოდა მისი ინერტულობის ახსნა. ბევრს იგი რელიგიით შეპყრობილი ადამიანი ეგონა. ჩანდა, ელგუჯაც არ იდგა ამ აზრისაგან მაინცადამაინც შორს და გურამს პირდაპირ ჰკითხა იმ სიცხეში.

— შენ ღმერთი გწამს?

— არა... — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა გურამმა. ისევ გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო:

— ... ახლა რომ ღმერთი გწამდეს, უნდა იყო ან ძალიან შეუგნებელი ან ძალიან შეგნებული. მე, როგორც ჩანს, არც ერთი ვარ და არც მეორე. ყოველგვარი რელიგია და ფილოსოფია, რომელიც ღმერთამდე მიდის, შექმნილია სიკვდილის შიშით. ადამიანი ვერაფრით ვერ შერიგებია სიკვდილს. არ უნდა დაიჯეროს, რომ

გაქრება და ყველაფერი მასთან ერთად დასრულდება. გაზაფ-ხულზე ამწვანდება ხე, დილით მზე ამოვა, ღამით ვარსკვლავები და მთვარე გაანათებენ დედამიწას და ის აღარ იქნება არსად და არაფერში. მე რამდენჯერმე წავიკითხე ბიბლია, ძველი აღთქმა. ამ წიგნს ლიტერატურულ-მორალურ, ეთნოგრაფიულ-ისტორი-ულ ღირსებას ვინ დაუკარგავს, მაგრამ სწორედ ბიბლია და სახა-რება დააწვა ადამიანის გონებას საუკუნეების მანძილზე. ამ წიგ-ნებმა შეაფერხეს აზროვნების განვითარება. მრავალი საუკუნის მანძილზე ადამიანი ვერ გასცდა ბერძნულ-რომაულ მედიცინას, მათემატიკას, არქიტექტურას და ხელოვნებას საერთოდ. მხო-ლოდ დიდი ადამიანები, რომლებიც არღვევდნენ რელიგიის ნორმებს და ერთგვარად კიდევაც უპირისპირდებოდნენ მას, ქმნიდნენ, აკეთებდნენ, ხვდებოდნენ, ამბობდნენ და ის წლები მა-თი დიდი ტალანტისა და შეუპოვრობის ხარჯზე იწმენდდნენ სინ-დისს. ისინი აკეთებდნენ ჭოგრიტებს და ვარსკვლავებს უყურებ-დნენ; ამტკიცებდნენ, რომ დედამიწა მაინც ბრუნავდა, მთვარე უფრო ჰგავდა მიწას, ვიდრე სხვა რამეს; ამკვიდრებდნენ ცისა და მიწის, სამყაროს ერთიანობის იდეას...

— ეს რას ნიშნავს?

— გავიხსენოთ, რომ სამყაროში არსებული ყოველი ორი ნაწი-ლაკი ერთმანეთს იზიდავს, მხოლოდ მათი ძალა მათი მასის ტოლფარდია. შენ, ალბათ, გაგიგონია ზღვის მიქცევა და მოქცე-ვა...

— მინახავს კიდეც...

— ჰო, ამ დროს მთვარე გადის მერიდიანზე და ეს მოვლენაც ამით აიხსნება. საერთოდ, მთვარის ზემოქმედება დედამიწაზე სავსებით დადასტურებულია. სულ ახლახან გაირკვა, რომ მთვა-რეს და მიწასაც ერთი პულსაცია აქვს. სამყაროს მთლიანობისა და ერთიანობის იდეაც ამას ნიშნავს და სხვას არაფერს. არაფერი

ცალ-ცალკე არ არსებობს, ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მთვარე, მზე, ვარსკვლავები ადამიანის ფსიქიკაზე, ჯანმრთელობაზე, აზროვნებაზე ახდენს გავლენას. მზის აქტივობის დროს ირღვევა სისხლის მიმოქცევა, იყრებიან ოჯახები, შლეგდებიან პიროვნებები, რომლებიც შემდეგ, ძალიან ხშირადაც, წარმართავენ მოვლენებს. მის აქტივობას კი სხვა ციური იმპულსები განაპირობებს. არავითარი სოციალური, პოლიტიკური და სტიქიური უბედურება დამოუკიდებლად არ ვლინდება, ყველაფერი სადღაც სამყაროს შორეულ კუთხეში მომხდარ ცვლილებასთან არის დაკავშირებული. ჩვენი ბედი სხვაგან წყდება, თუკი იგი გადაწყვეტილი არ არის. რა არის თავი და თავი? სიტყვა, საქმე, აზრი თუ იდეა? არც ერთი. მხოლოდ მოძრაობა. მო)რაობის ეს რთული მექანიზმი ადამიანის გონებისათვის წარმოუდგენელი რაოდენობის დეტალებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მხოლოდ ვინ დააბრუნა ეს ღერძი და ბორ. ბალი, არ ვიცი. ამ მოძრაობისა და ადამიანის არსებობის პრინციპი, ერთხელ გითხარი მგონი, ჩემთვისაც გაუგებარია. აბა, შენ წარმოიდგინე, მარტო ჩვენი სამყარო, ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუკი სამყაროს დასასრული აქვს, მაშინ უნდა არსებობდნენ კიდევ სხვა სამყაროები. ხომ არ შეიძლება რაიმეს იქით იყოს არაფერი. დოპლერის მეთოდმა — წითელი ფერის სპექტრში ციალმა, დაამტკიცა, რომ გალაკტიკები სინათლის სისწრაფით მიჰქრიან და სცილდებიან ერთმანეთს. რა უნდა იყოს ამ უსასრულობაში ჩაკარგულ ადამიანზე სასა. ცილო და საცოდავი, მაგრამ ადამიანის გონება ისევე შეუცნობელია და ისევე უსასრულო, როგორც თვით სამყარო. მის ტვინში თოთხმეტი, თხუთმეტი მილიარდი სანერვე უჯრედია დაახლოებით; ახლადშობილის ორგანიზმში ორას მილიონამდე უჯრედია და ყველას დამოუკიდებელი ფუნქცია აკისრია. ესეც საკვირველებაა თავისთავად, მაგრამ ადამიანი და სამყარო ერთმანეთის გასაოცებლად ხომ არ გაჩენილან. ადამიანი,

ცხადია, ვერ იარსებებს სამყაროს გარეშე, მაგრამ, რაც უფრო უცნაურია, სამყარო წარმოუდგენელია უადამიანოდ.

იგი, უბრალოდ, მის გარეშე არ არსებობს. შეიძლება მხოლოდ მარტო ამით ადამიანის სიცოცხლის გამართლება? არა მგონია. ალბათ სხვა კიდევ უფრო დიდი და უზენაესი ფუნქცია გვაკისრია. ეს ჯერ არავინ იცის. ადამიანი კვდება, ქრება სამუდამოდ. როგორ და რანაირადაც უნდა გავამართლოთ ჩვენი არსებობა, სიკვდილი მაინც წარმოუდგენელი უაზრობა და უსამართლობაა. მაშ, რისთვის გავჩნდით, რისთვის ვცოცხლობთ? იმისათვის, რომ დავტოვოთ უსამართლობისათვის და უაზრობისათვის განწირული შთამომავლობა?,

ბოლოს გურამმა კვლავ კანტის დებულება მოიშველია, სიცოცხლის პრინციპის თავისთავადობის, აუხსნელობის იდეა გაიხსენა და მსმენელი საბოლოოდ და უიმედოდ დააბნია.

— საათი არ გაქვს, არა? — არა, არა მაქვს, არ ვატარებ! — მოიბოდიშა ელგუჯამ.

— ორი იქნება ალბათ ან სამი...— სახე მოიჩრდილა გურამ ყვავაძემ და ავტობუსის გაჩერებისაკენ გაიხედა.

— ეს ქაღალდები სად იშოვე? — ჰკითხა ელგუჯამ.

— ეს? — ტუალეტის ქაღალდებს დახედა გურამმა, — აგერ მოსახვევში არიგებდნენ. ერთი საათი რიგში ვიდექი, წარმოგიდგენია, სადილობასაც ვეღარ მოვასწრებ, ჩემი ავტობუსი მოდის, მგონი, კარგად იყავი.

— კარგად! გურამ ყვავაძე ავტობუსისაკენ გაიქცა.

XLIX

ელგუჯამ ღია სამარეს ჩაუარა და მოშორებით ქვაზე ჩამოჯდა. გვერდით მარმარილოთი კიდეებმოსარკული, ჯუჯა ყვავილებით მოჩითული საფლავები ჩანდა. ცისფრად შეღებილ, გრძელ სკამზე შავოსანი ქალი იჯდა და საფლავს დაჰყურებდა. იქვე ორი მუშა აშენებდა გალავანს. თარაზოთი და თოკით ასწორებდნენ ყორეს. იმ ახლომახლო სულ გალავანმესერ შემოყოლებული საფლავები იყო. ზოგიერთ ჭირისუფალს საფლავთან ერთად გზის ნაწილიც შემოერაგვა. ერთს ორმაგი ჭიშკარი და მოსაცდელი ჰქონდა გაკეთებული. არავინ დაწესებულ ნორმას არ სჯერდებოდა; ყველა იგლიჯებოდა და ზედმეტს ისაკუთრებდა.

კვიპაროსებისა და ტირიფების ჩრდილში გრილოდა. ხევიდან ნიავი უბერავდა და ახალი მორწყული ყვავილები და ნერგები შრიალებდა. სიჩუმე იყო. შორს ქვას თლიდნენ. საჭრეთელზე ჩაქუჩის ცემის ხმა ისმოდა გარკვევით. იქვე ახლო ამონაყარი, ნედლი მიწის ბორცვი იდგა. ელგუჯამ იცოდა, ვისი საფლავიც იყო იქ.

ვის უნდა დაჰყროდა ეს მწირი და ეწერი მიწა. თითოეული სე, თითოეული ბუჩქი, ბალახის ღერო, ზედ შეცოცებული ჭიანჭველათი, ამ მიწისა იყო, ამ ეწერს ეკუთვნოდა. ჭრიჭინობელები ჭრიჭინებდნენ. ცხელოდა. ამონაყარი მიწაც გამშრალიყო და ეს იყო ალბათ ერთადერთი შეღავათი იმ ადამიანისათვის, ვისაც ისე ძალიან არ უყვარდა სიცივე, ყინვა და ჭყაპი.

— იასონ, ვის მარხავენ თუ იცი აქ? — ჰკითხა კალატოზს შავებში ჩაცმულმა ქალმა და ღია სამარეს გადახედა.

— არ ვიცი! — უგულოდ უპასუხა მუშამ.

— ქალია თუ კაცი, ნეტავი ვიცოდე!.. — ჩაილაპარაკა შავოსანმა.

— ქალია, — უთხრა მეორე მუშამ და წელში გაიმართა.

— რა იცი, შენ?

— მარცხენა სარეს ყოველთვის ქალს მართავენ... იქი) რომ ადგილია დატოვებული, ის ქმრისაა.

— ჰო, ეს მართალია, დედაბერი იქნება ვიღაცაა... — ამოიოხრა ქალმა, — რომ ვთხოვე რაჟდენს, კარგი მეზობლება ჩამომისახლე-ქვა, ესაა?!

მუშებს ქალისათვის ყური აღარ უთხოვებიათ. ერთი დუღაბზე ბაზალტის უზარმაზარ ლოდს ადებდა და წელში გაწყვეტილი იხედებოდა დაბლა. ამხანაგი ქაფჩით ყორის ზედაპირს აშანდაკებდა და დიდ ლოდს ზომავდა თვალდათვალ. როგორც იქნა, ლოდი დადეს, გაასწორეს.

ისევ სიჩუმე გამეფდა. აღარც საჭრეთლის ხმა ისმოდა. გზაწვრილზე ხალხი გამოჩნდა.

— მოჰყავთ! — თქვა ქალმა და წამოდგა. კალატოზებმაც შეისვენეს, ერთმა დიდი ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი შეიმშრალა.

ელგუჯა მივიწყებული საფლავის გალავანს მიეფარა, ღვიის ბუჩქებს და ძეწნებს შეაფარა თავი. პროცესიაც გამოჩნდა. მამაკაცებს ყვავილებით სავსე კუბო მოჰქონდათ. ხალხი ბილიკზე არ

ეტეოდა, ერთმანეთს სიარულს უშლიდნენ, ერთმანეთს ასწრებ-დნენ, ფეხებში ედებოდნენ, გზას არ უთმობდნენ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. კუბო მიწაყრილთან დაასვენეს და ელგუჯამ შორი-დან დაინახა მიცვალებული, რომლის უკმაყოფილო და შეშინე-ბულ სახეს სანთლისფერი ედო. მზე უკვე დასავლეთიდან ანათებ-და და წამწამების ჩრდილი უპეებს სწვდებოდა.

ჩამავალ მზის სხივებში ეშვებოდა კუბო სამარეში და, თუ ეს დასასრული იყო, ყველაფერი დამთავრებულად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

დაღამდა. მთვარიანში ახალგაზრდა სურო მუშაობდა თავგა-მოდებით. დაკბილული სამტოხი მთვარის შუქზე ელავდა და თეთრი ქვის ნამსხვრევები სცვიოდა ყოველი მიმართულებით. უკვე გრილოდა და სურო დაღლას ვერ გრძნობდა. ბოლოს ვარ-სკვლავებს ახედა და დაასკვნა, წასვლის დროაო. ქვის მთლელი სასაფლაოზე იყო გაზრდილი და გვიანი ღამის მაინც ეშინოდა. გაგონილი ჰქონდა, ნაშუაღამევს მკვდრები საფლავებიდან დგე-ბიანო. არ სჯეროდა, მაგრამ მარტო ამის გაფიქრებაზეც აჟრჟო-ლებდა. ხუროომ რკინის ხელსაწყოები ჩანთაში ჩაყარა და ფარდუ-ლისაკენ წავიდა. ბილიკს აღარ გაჰყვა, გზა დაიახლოვა და პირ-დაპირ საფლავებზე გადააბოტა. მძინარე კაციც მაშინ დაინახა, რომელიც ჯერ მოჩვენება, მერე გალეშილი მესაფლავე ეგონა. გულისფანცქალით მოჰკიდა ძირს დაგდებულ ადამიანს ხელი.

ელგუჯამ თვალი გაახილა, ვინ ხარო, იკითხა. ხუროს შერცხვა, რამ შემაშინაო, თუმცა მის ადგილზე ბევრი კარგი ვაჟკაცი დაფ-რთხებოდა. ინდიგო მქვიაო, თქვა ქვის მთლელმა, ადე, კაცო, სად გძინავს, გაცივდებიო. სამარეში ვინ ვის ჩაჰყოლია, შენ რომ მიჰყვებიო.

ელგუჯა წამოდგა, ხუროს გაჰყვა, კვიპაროსების ჩრდილში შე-იმალნენ.

— ჩვენ ჩავასვენეთ ის ქალი, შენ რატომღაც არ მახსოვხარ,

თუმცა იმდენ ხალხში რას დაგიმახსოვრებდი, მთელი თბილისი იყო ამოსული. რა იყო შენი?

— არ ვიცი! — მოკლედ მოუჭრა ელგუჯამ.

— ეჰ! — თქვა ხურომ, — მე მესაფლავე არ გეგონო, ქვის მთლელი ვარ, მაგრამ ბიძინა დარჩა კენტად და მოვეხმარე, თოკის ამოდებაში ვუშველე... მიწაც ჩვენ დავაყარეთ...

— რომელი ინდიგო სარ შენ? — ჰკითხა ელგუჯამ. — როგორ, რომელი? — რა გვარი სარ? — შანშიაშვილი. — ფეხბურთს თამაშობდი?

— კი, თბილისის დინამოს დუბლში ვიყავი მცველად, ცოტა ხანს. ანაკლიაში ვარ გაზრდილი, მამაჩემი მესაფლავე იყო, ფეხბურთის თამაშიც სასაფლაოზე ვისწავლე და ისევ აქ მოვბრუნდი. საერთოდ ყველა აქ მოვალთ, ჩვენი ბოლო ესაა. პირველად რომ დაგინახე, შემეშინდა, რატომღაც ქალის სუნთქვა შემომესმა და ავი სული მეგონე, სულები არ მწამს, მაგრამ მაინც... საათი ხომ არა გაქვს?

— არა, არა მაქვს.

— გვიანია, ეტყობა, მთვარე სად წასულა. მუშაობას შევყევი, სამუშაო, იცოცხლე, არის. ვეღარც ავუდივარ. ნეტავი არ გაწვიმდებოდეს, ერთ დღეს მაინც დამაცდიდეს ამინდი, არადა ხვალ თუ არა ზეგ მოწვიმს, მე კოლხი ვარ და ავდარს სუნით ვგრძნობ...

„სადაური კოლხია შანშიაშვილი?“ — ფიქრობდა ელგუჯა.

— ამ დღეებში, — განაგრძო ხურომ. — ანაკლიაში გაწვიმდება, ზღვიდან მესეფები ამოვლენ და გაავდარდება.

— მესეფები ვინ არიან?

— ტყის ქალები.

შუაღამე რომ გადავა, წითელთმიანი, ფეხშიშველა ქალები, ლანდებივით გაჰყვებიან მთვარით განათებულ მშრალ ქვიშას. ქვიშის ჩხრიალი მიწყდება თუ არა, თეთრი კაბები ტყის — ჩრდილებში აირევა და სიბნელეში ჩაინთქმება. იმ ერთ კვირაში ტყის

ქალები ნადირს გაანაწილებენ, თავის წილს და ხვედრს არგუნებენ ღირსეულ მონადირეთ, მერე გადაიკარგა გებიან და გაუთავებელი წვიმებიც დაიწყება.

— კი არ მჯერა, მაგრამ ნათქვამია ასე და ვიმეორებ... შენ განათლებული კაცი ჩანხარ და გამიგებ... აქეთ გამოდი, მანდ საფლავია, არ წამოედო!

მგზავრები ლაპარაკით გადავიდნენ მთვარით განათებულ, მოხრეშილ შარაგზაზე და ჭიშკრისაკენ აიღეს გეზი.

L

ბადრიმ მხოლოდ ციხეში შეიტყო ელგუჯა ვაშაძისა და მისი ცოლის სიყვარულის ისტორია. დაწვრილებით და დანამდვილებით აქაც არაფერი იცოდნენ: რაც გაიგო, იმაზედაც გული დასწყდა. თითქოს უდარდელად იჯდა კუთხეში და ფიქრობდა, ხანდახან ღიღინებდა კიდეც ხმადაბლა. პატიმრების ლაპარაკს უგდებდა ყურს, თვითონ დუმდა. ძველმა ნაცნობებმა მოიკითხეს. სხვადასხვა კამერიდან ცნობები და შეკითხვები შემოუგზავნეს. ბადრის აღარაფერი აინტერესებდა, აღარაფერში ერეოდა. ეზოში, სეირნობის დროს, თუკი ამის საშუალება იყო, მდუმარედ, ხელის აწევით ესალმებოდა ნაცნობებს. საღამოს ნარზე წამომჯდარი დაჟინებით მისჩერებოდა ცის ნაჭერს, ჩამავალი მზის სხივებით რომ იყო შეფერადებული.

„ხომ მოვისვენე, ახლა ხომ აღარც ვნერვიულობ. დალი შავ მიწას დარჩა, მიწაზეც ხომ აღარ ვიეჭვიანებ!“ — ფიქრობდა იგი.

ბადრის აინტერესებდა, ვინ მოიტანა მის ოჯახში უბედურება. საიდან, როგორ დაიწყო ყველაფერი. ვინ იყო დამნაშავე? არავინ

და ყველა ერთად. ვინ იყო ელგუჯა ვაშაძე. ამ გვარისა და სახელის გაგონებაც არ უნდოდა. ამ გვარის კაცს არც თვლიდა კონკრეტულ მტრად, შურისგებას არ აპირებდა, გუნებაშიც არ ერჩოდა. თითქოს ის ადამიანი, ვისაც ელგუჯა ვაშაძეს უწოდებდნენ, გამოგონილი პიროვნება იყო.

ესიზმრა: დასახვრეტად გაიყვანეს. ბნელ გვირაბში მიაბიჯებდა თავწახრილი. უკან ვიღაცები მოჰყვებოდნენ. „ქვიშაში დამაჩოქებენ, ტყვიას მესვრიან. შედგება აქტი. ჩემს გვამს დაასხამენ ქიმიურ ხსნარს, გამაქრობენ მთლიანად და წყალს გამატანენ!“ უეცრად ყველაფერი განათდა, სინათლემ თვალი მოსჭრა და იმწამსვე ციხის ეზოში, აუზთან ცოლი დაინახა. შავი კაბა ეცვა. ეს კაბა სულ რამდენჯერმე ენახა მეუღლის ტანზე. კაბა დალის ამშვიდებდა, ალამაზებდა, მაგრამ სიხალისეს უკარგავდა, და ბადრის ამ დროს იგი ყოველთვის ებრალებოდა. დალი ქმრის სანახავად ჩამოსულიყო ციხის კარებზე. გაეღვიძა. ეწყინა, ცოლს რომ ციხე-ციხე ატარებდა და აწუხებდა. ეს ქალი ამისათვის არც არის გაჩენილი, ამის ღირსი არ არისო, გაიფიქრა და უცებ მიხვდა, დალი მკვდარი იყო. საწოლში გაშეშდა. სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა. რაღაც გაურკვეველმა, აქამდე შეუცნობელმა შიშმა აიტანა. უცებ მოუნდა გაეგო, რა იყო სიკვდილი — ეს გარდუვალი მოსახდენი, რომელიც ყველას და ყველაფერს ათანაბრებდა და ასწორებდა. „სად შეიძლება იყოს ახლა იგი, მხოლოდ და მხოლოდ მიწაში და სხვაგან არსად?.. შეუძლებელია!.. ნუთუ, ასე მარტივად არის მოწყობილი ყველაფერი!?“ შფოთავდა, ღამეები არ ეძინა. ვერაფრით ვერ აეხსნა ადამიანის სულმოკლეობის, ეგოიზმის თავი და ბოლო. „ნუთუ ეს ამბავი უნდა დატრიალებულიყო ჩემს თავზე, რომ ადამიანის არარაობაში დავრწმუნებულიყავი?“ ფიქრობდა იგი. საკნებში წვრილმან მტრობაზე, ჯიბრზე ჩადენილი დანაშაულისათვის ისხდნენ. ბადრი ვერ გაიგო, რა-

ტომ ადრე ვერ ხვდებოდა, რატომ ადრე არ ესმოდა, რომ სიზმარივით ხანმოკლე წუთისოფელი მტრობად, ძარცვად, გლეჯად და შურისძიებად არ ღირდა. რა უნდა მოგეხვეჭა, რა უნდა გეშოვა, ვისზედ რა უფლებით უნდა გებატონა, როცა ყველაფერი ყველასათვის საბოლოოდ და სამუდამოდ სრულდებოდა.

ბადრი დაკითხვაზე ელგუჯას სახელს არ ახსენებდა. ცოლს თითქოს არც კი ადანაშაულებდა. იმღამინდელ სცენას კი დაწვრილებით იხსენებდა. ლაპარაკს შევყევით, თავი ვეღარ შევიკავე და საბედისწერო ნაბიჯი როდის გადავდგი, აღარ მახსოვსო. იგი ასაბუთებდა, რომ წინასწარი განზრახვით არ ჩაუდენია მკვლელობა და მაინც ყველა ხვდებოდა, რომ მთავარს არ ამბობდა. გამოდიოდა, რომ მეუღლემ განგებ გააბრაზა იგი და ამ ოჯახურ, შეიძლება ითქვას, ტიპიურ სცენას ეს უბედურება მოჰყვა. ამას ისიც ემატებოდა, რომ დალის ახლობლები თავგამოდებით ამტკიცებდნენ დალის უცოდველობას (ამაში დარწმუნებულნი იყვნენ), ყველაფერში ბადრი კილაძეს ადანაშაულებდნენ და თითქოს გამოსაძიებელი და გამოსარკვევიც აღარაფერი რჩებოდა.

ვექილი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, როცა ბადრი კილაძის უკანასკნელი ჩვენება წაიკითხა. სასამართლოში გაჭაღარავებულ კაცს ვერაფრით ვერ აეხსნა გამოცდილი ბრალდებულის სიბეცე. მისი აზრით, ჯერ უნდა დადასტურებულიყო, რომ ქალი საკუთარ მეუღლეს საქვეყნოდ ადგამდა რქებს, ქმარი დღენიადაგ ეჭვიანობდა და როგორც შემდეგ დადასტურდა, არცთუ უსაფუძვლოდ. ერთ საღამოს ბადრი კილაძემ ცოლი ახალგაზრდა, ლამაზ ბიჭთან შეისწრო. მართალია, ქუჩაში, მაგრამ საკმაოდ შეუფერებელ დროს და ალაგას. ამის გაგონებაზე ბადრის ნერვები ეშლებოდა. თითქოს ყველაფერს სწორს ამბობდა, მაგრამ მაინც ყველაფერი „თითქოზე“ იყო შეკოწიწებული. დამცველმა ერთ დღეს ბადრის ცოლი უდიერადაც კი მოიხსენია. ბადრიმ უსა, რო-

ცა ჩემს ცოლზეა ლაპარაკი, სიტყვები შეარჩიეთ, თორემ თუ ცოცხალი დავრჩი, მოგკლავთო. ამ თავაზიან დაპირებაზე ვექილმა ფერი დაკარგა და ყასიდად აყვირდა: თუ ასეა, ბატონო, გამოძებნეთ სხვა ადვოკატი და თქვენ საქმეს იმას გადავაბარებო. როგორც გინდათო, — უთხრა ბადრიმ.

ვექილმა თითქოს მუქარის ასრულებაც დააპირა, მაგრამ ამ გახმაურებული საქმის მიტოვება იოლი როდი იყო. ბადრის ნათქვამი კი, ვითომ იმის დასადასტურებლად, როგორ უყვარდა ქმარს მეუღლე, სასამართლოში სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, სრულიად უადგილოდ.

ბადრისათვის ისედაც სულ ერთი იყო, ვინ დაიცავდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოლის სახელისათვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა და დანაშაული ფიზიკური და მორალური, თვითონ ეზღო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მაგრამ სურვილი ერთი იყო, საქმე — სხვა. პროცესზე თანდათან დათმო პოზიციები და აშკარად თავის გადასარჩენ ვერსიებს ჩაეჭიდა.

გამხდარიყო. ფერი დაჰკარგვოდა. ლაპარაკობდა წყნარად, გარკვევით და აუღელვებლად. ბოლოს და ბოლოს ზოგიერთების პატივისცემაც კი დაიმსახურა.

ბოლო დღეს ახალგაზრდა პროკურორმა ილაპარაკა. სასამართლო პროცესის, ბრალდებულისა და მოწმეების ჩვენების საფუძველზე ბადრი კილაძის დანაშაული დაასაბუთა, რატომღაც პოტენციალური მკვლელი უწოდა, თანაც ეს სიტყვები ორჯერ გაიმეორა და სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მოითხოვა.

ხალხი უცბად ასრიალდა. ბადრის სახეზე ოფლი გადაასკდა. დარბაზი ბადრის მისჩერებოდა. ბადრი ხალხის მზერას გრძნობდა; რცხვენოდა, თითით საჩვენებელი და შესაბრალისი რომ გახდა, მით უმეტეს, როცა იურიდიულად ამ სასჯელს არ იმსახურებდა და პროკურორი ძალიან ცდებოდა. დარბაზისაკენ აღარ იხე-

დებოდა, თვალგაშტერებული მისჩერებოდა სასამართლოს წევრებს, თუმცა გარკვევით მათაც ვერ ხედავდა.

ვექილმა ხელმეორედ აიღო სიტყვა. გაცხარდა, პროკურორს თავს დაესხა. საქმე აქამდე როგორ უნდა მისულიყო. მისი ლოგიკით თუ იხელმძღვანელებდნენ, ბადრი უკვე ვადაზე მეტ ხანსაც იჯდა ციხეში, დანაშაულს გადაჭარბებულადაც კი ინანიებდა. იგი რაღაც ფრაზას გამოეკიდა და მდივანს სამჯერ შეახსენა, ჩაწერეთო.

— იწერება, ნუ გეშინია! — ჩაილაპარაკა მოსამართლემ.

ბადრის აღარ ესმოდა, რას ლაპარაკობდა, რატომ ლაპარაკობდა მისი ვექილი ამდენ ხანს, რას ცხარობდა, ვის ედავებოდა. იგი გრძნობდა ამ გამოსვლის მთელ უაზრობას და მაინც სასოებით შეჰყურებდა დარბაისელ კაცს, რომელიც მის სასარგებლოდ ახანგრძლივებდა პროცესს, ხალხის ყურადღება თავის თავზე გადაჰქონდა და პატიმარს მდგომარეობას უმსუბუქებდა. როდისროდის და ამ ლაპარაკსაც მოეღო ბოლო. მოსამართლე წამოდგა და სიტყვა ბრალდებულს მისცა. ბადრიმ აღიარა დანაშაული ნაწილობრივ. შემდეგ თავის მართლებას მოჰყვა. სასჯელის შემსუბუქებას არ ვითხოვ, სასამართლო ისედაც სამართლიან განაჩენს გამოიტანს, მაგრამ მთავარია, გამიგოთ, რომ მკვლელი არ ვარო და სხვა და სხვა. ამ ლაპარაკში დარბაზში ვიღაცებს გული მისდიოდათ, შეძახილები ისმოდა სულ ახლოდან. რაღას არ ეძახდნენ ცოლის გაცეცხლებული, გამძვინვარებული ნათესავები.

— სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად! — გულგრილად თქვა მოსამართლემ.

ყველანი წამოიშალნენ. დარბაზი დაცარიელდა.

ბადრიმ თავისუფლად ამოისუნთქა, თავი ჩაღუნა და შუბლი მოაჯირის გაცრეცილ ფიცარს მიადო. დაფიქრდა. რა სდებოდა, რა ელოდა. მიხვდა, რომ საბოლოო სიტყვა არ უნდა ეთქვა. თავი

ამ დღეში არ უნდა ჩაეგდო. დაწვრილმანდა, დამცირდა, მაგრამ ბადრის უკვე აღარაფრის რცხვენოდა. მთავარი იყო, თავი დაერჩინა და სიცოცხლე, რომელიც არც პროკურორს, არც მოსამართლეს და არც ერთ აქ დამსწრეთაგანს მისთვის არ უჩუქებია, როგორმე შეენარჩუნებინა. ამისათვის ყველაფერი უნდა ეღონა მასაც და სხვებსაც, ვისაც მისი სიკეთე სურდა. ხის კედელს ზურგით მიეყრდნო, ცარიელი დარბაზი შეათვალიერა.

ძმაკაცები დროდადრო როგორღაც კარის გაღებას ახერხებდნენ და ბადრის ცერით ანიშნებდნენ, საქმე კარგად მიდისო. ბადრის საცოდავად ეღიმებოდა, ხვდებოდა, არავინ არაფერი რომ არ იცოდა, მაგრამ ეს ნუგეშიც დიდი შეღავათი იყო მისთვის.

სასამართლო დაგვიანებით შემოვიდა. ხალხმა სწრაფად დაიკავა ადგილები. უმრავლესობა ფესზე დარჩა. ბევრს დაჯდომაც არ უცდია.

ერთი მცველი ძალიან ახლო დადგა ბადრის ზურგსუკან და ბადრის მოეჩვენა, რომ ხელბორკილს ადებდნენ. მან უკვე იცოდა, რას ნიშნავდა ეს და ისევ გადაასკდა ოფლი სახეზე, შემშრალებაც ვერ მოახერხა, თითქოს უკვე გაუკავეს ხელები. ვიღაც ქალი მოვიდა და პირსახოცით გაამშრალა. ბადრი მადლობა უთხრა. ბორკილს აღარავინ ადებდა, მიხვდა, რომ გადარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო. სასამართლო ღელავდა. განაჩენის კითხვისათვის უნდა გაეძლო როგორმე. იგი ისევ წახდა. საქმე ისევ ცუდად შეტრიალდა თითქოს. ყოველთვის უბედურს დღეს რა უშველიდა. გამწირეს და ეგ არის! — ფიქრობდა იგი.

სასამართლომ კი დაადასტურა, რომ მკვლელობა მოხდა ეჭვიანობის ნიადაგზე, წინასწარი განზრახვის გარეშე, როგორც იყო სინამდვილეში. ბადრი კილაძეს თორმეტი წელი მიუსაჯეს. ბადრიმ შვებით ამოისუნთქა. ესე იგი, გადარჩა. მისმა ინტუიციამ, გამოცდილებამ იქვე აგრძნობინა, რომ მეტიც მისცეს, ვიდრე იუ-

რიდიულად, კანონებისა და კოდექსების თანახმად, იმსახურებდა.

„... მაინც ვინ დამწყევლა, ჩემი ცხოვრება რატომ წარიმართა ასე უკუღმართად. ღირს კი ასეთი სიცოცხლე? არ აჯობებდა, რომ საერთოდ არ გავჩენილიყავი? რომ არ გავჩენილიყავი, ხომ ვერ გავიგებდი, რომ სიცოცხლე არ ღირდა. სულ უარესს ისევ ეს სჯობია... როგორ შეიძლება არ ვარსებულიყავი მთელი ჩემი ბიოგრაფიით, აგებულებით, აზროვნებით, გრძნობით, მთელი კომპლექსით, უჯრედებით, სისხლით და ნაწევარით... „რატომღაც გაეცინა, გალავანივით შემორკალული კბილები გამოაჩინა და უცებ გაჩერდა. მაინც კმაყოფილმა გაიხედა გვერდზე. პირველად მაშინ გაუსწორა დარბაზს თვალი და რამდენიმე უცხო ადამიანიც შეამჩნია, რომელიც აქამდე არასოდეს შეუნიშნავს.

საპატიმროს საკანში ბადრის ცნობისმოყვარე პატიმრები შემოეხვივნენ. ბევრი არ ამხელდა, თორემ უარეს განაჩენს ვარაუდობდა. ცოტა ხანს იყაყანეს და დაწყნარდნენ.

მარტო დარჩენილი ბადრი კედელს ზურგით მიეყრდნო და გაიფიქრა: ნეტავი დამეძინებოდეს და თორმეტი წლის შემდეგ გავახელდე თვალებსო.

* * *

ელგუჯა სასამართლოს არ დასწრებია. იგი ამ დროს მანდიკორში იმყოფებოდა. გამაზუთიანებული ტანსაცმლით იჯდა ადამისდროინდელ ტრაქტორზე და ტყიდან მორებს მოათრევდა.

კარგად მიიღო იგი სოფელმა. შემოდგომაზე მასწავლებლად გაამწესეს მანდიკორის საშუალო სკოლაში და ქართული ენისა და ლიტერატურის საათები მისცეს.

კუჭის ტკივილები აწუხებდა. მოულოდნელად ასტკივდა და რამდენჯერმე შეახსენა თავი. რაიონის ცენტრში უთხრეს, ისეთი არაფერია, მაგრამ შეიძლება ოპერაცია დაგჭირდესო. ყოველ

შემთხვევაში, გამოცდილ სპეციალისტს გაესინჯე, ლენინგრადში ან მოსკოვში თუ წახვალ, უმჯობესიაო. აუტანელი შეტევები მოუვლიდა ხანდახან. წელში მოკაკვული იდგა ერთხანს და შემდეგ ტკივილს მუშაობით იოკებდა; გახელებული ბარავდა ან მორებს აპობდა.

თომა აივანს მოძველებულ ბირკვილს და იატაკს უცვლიდა. ალიონზე ამოდიოდა ლაშიღელელი დურგალი სოგრატი.

ნელა, დინჯად აიკრავდა ფეშქემალს, გამართავდა შალაშინს, ბეწვა ხერხს და მუშაობას შეუდგებოდა. ეზოში წაბლის ხის ბურბუშალის სუნი იდგა. ეს ის სოგრატი იყო, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებდა, ახალგაზრდობაში წიფლისგვერდას ტყეში ცხენზე ალი შემომიხტაო. ბეჭებზე, მართლაც, აჩნდა ალის ფრჩხილების ნაკვალევი, კატის ბრჭყალებსაც რომ ჩამოჰგავდა.

— ... ცოტა ნასმი ვიყავი, ბატონო. ნათლიდედასთან შევყოვნდი შუხერში. ცხენდაცხენ მოვშლიგინობდი გზაწვრილზე. მთვარე ხან გამოჩნდებოდა ხეებში, ხან დაიკარგებოდა, ის ჩემი ცოდვით სავსე. ნიგვზარას მთა გავლანდე თუ არა, ვიგრძენი, რომ ზურგზე რაღაც მეცა. იმწუთას მივხვდი, ალი რომ იყო. ვკარი ცხენს ქუსლი და გავვარდი. ჩემი შეფუცხუნება რად უნდოდა, საწყალი ცხენი სულ გადაირია ისედაც. მომიჭირა და მომიჭირა ტყის ქალმა ბეჭებზე ხელები.

— მერე? — ეკითხებოდა ელგუჯა. — გავცდი ტყეს და თავი დამანება! — იქნებ არც იყო ალი, თუ არ დაგინახავს, რა იცი?

— ქალს დანახვა რა უნდა, ბატონო, ქალს სუნზე იცნობ... უკან რომ მიმეხედა, დაღუპული ვიყავი!

— რატომ?

— ისეთი ლამაზია ის წყეული, თუ შეხედე, ვეღარ დაივიწყებ. დედულეთის ბიძა ყვარობდა თურმე ალს. ღამეს სახლში არ ათევდა, უკვირდათ, სად იკარგებაო. ბოლოს ყველაფერი გაარკვიეს. ბებიაჩემი ფხეიძის ქალი იყო. დიდი მარჯვე — და საზრიანი

ადამიანი ყოფილა. ერთ ღამეს სულ შემთხვევით ამდგარა, ეზოში გასულა და განათებული ნალია დაუნახავს. მთვარე სერზე ყოფილა გადასული და ასე რა ბდღვიალებდა, ვერ გაუგია. თურმე ალს ეძინა ბიძაჩემთან ნალიაში, ბებიამ თასის რძით ჩუმად ალის თმა გაბანა და ის დღე იყო და ის დღე, ბიძაჩემი ალთან აღარ უნახავთ. მას უკან ქალიც შერთეს, მაგრამ შვილი არ ეყოლა და არც არაფერს გაუხარია მის ბარობაზე. ჩემი საქმე უფრო სხვანაირად იყო და ქე გადავრჩი,

— რომ არ მიხედე, იმიტომ.

— ნეტავი მიმეხედა... — ამოიოხრა სოგრატმა, — სხვა რა მინახავს ცხოვრებაში? შვილები ომში დამეკარგა, ცოლმან მე არ გამიხარია... ის მაინც დამენახა, გინდაც არ მეცოცხლა, მხოლოდ ერთხელ დამენახა, ვაი დედა, რატომ არ მივიხედე!

— ახლა თუ არიან ალები?

— ნაკლებად, მაგრამ არიან... ელექტრონის შუქმა, მანქანების და ტრაქტორების ხმამ დააფეთა. ტყეც გაიჩეხა, თუმცა წიფლიგვერდას დობილო ტევრში, ნიგვზარას მთასთან, მთვარიან ღამით ახლაც გაიგონებ ალების ტირილს...

— რა ატირებთ? — უიღბლო, გაუხარელ სიყვარულს დასტირიან...

ნასადილევს ლაშიღელელი სოგრატი მუშაობას უმატებდა. შხუოდა უზარმაზარი შალაშინი და დაზგის ქვეშ, თეთრი სიფრიფანა ბურბუშელა ცვიოდა.

სკოლიდან დაბრუნებული ელგუჯა თელის ჩრდილში ისვენებდა. ფუტკარი ისევ დაუზოგავად ეზიდებოდა ღალას მინდვრიდან.

„... ამათი ბედნიერება შრომაშია, შრომობენ იმიტომ, რომ თავი დაირჩინონ, ჩვენც ასე ვართ? ეს არის სულ?“ თითქოს რაღაცამ იალა და ელგუჯას გონება გაუბრწყინდა ერთი წამით.

„... გარდა ამისა, ჩვენ მარადიული სიყვარული შეგვიძლია და ვარსკვლავებზე ხელახლა გაღვიძებისა და შეხვედრების იმედი

გვაქვს!“ — გაიფიქრა მან. — ფუტკარი ბზუოდა. მოწითალო გორები იელის ბუჩქებით იყო გადაყვითლებული. საღამოვდებოდა. არემარეს ბინდი ედებოდა. საქონელი სარეკელას რაკუნით ბრუნდებოდა ორღობეში. ხის სახლების საკვამურებიდან გამჭვირვალე ბოლი იწყებდა დენას. ღამდებოდა, ცაზე ვარსკვლავები ჩნდებოდა. მთვარე სერზე ამოდიოდა. ტყეში ალები ტიროდნენ, თორემ სხვა მხრივ არაფერი არღვევდა ამა სოფლის მყუდროებას.